შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები

(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)

ჯიმშერ ჩხვიმიანი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ვარ რა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად გადაცემულ თუ დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ჩემს ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯიმშერ ჩხვიმიანი

2020 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურბანული ცენტრის, ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის ფორმირებისა და ეტაპობრივი ცვალებადობის მიზეზ-შედეგობრიობა, ამ ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების ფონზე.

დმანისის ნაქალაქარი საქალაქო ცხოვრების დეტალების პოტენციურად სრულყოფილი არქეოლოგიური სურათის წარმოსაჩენად, ერთგვარ „ბედნიერ გამონაკლისს“ წარმოადგენს, ვინაიდან მის ტერიტორიას შემდგომში ურბანული რეოკუპაცია აღარ განუცდია. XX საუკუნის 30-იან წლებში ძეგლზე წამოწყებული არქეოლოგიური სამუშაოები აქ, გარკვეული ინტერვალებით, დღემდე გრძელდება. დმანისის შუა საუკუნეების საქალაქო წეს-წყობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პრობლემების გადაჭრა რამდენადმე ფერხდებოდა იმ ობიექტური მიზეზებით, რომ წლების განმავლობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის და საველე დოკუმენტაციის მზარდ მოცულობას, მათი სრულყოფილი სამეცნიერო დამუშავება, ანალიზი და პუბლიკაცია, დროში მხარს ვერ უბამდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საბჭოთა და, ნაწილობრივ პოსტსაბჭოთა საისტორიო მეცნიერებაშიც, ზოგიერთი ისტორიული მხარის თავდაპირველი მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის საკითხების საჯაროდ განხილვა, განსაზღვრული მოსაზრებებით, უხერხულ თემად ითვლებოდა.

დისერტანტის მიერ, აღნიშნულ საკითხთა კვლევის ფარგლებში, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია სხვადასხვა დროს მოპოვებული, მაგრამ ფართო სამეცნიერო წრეებისათვის დღემდე ნაკლებად ცნობილი, რიგ შემთხვევებში კი უშუალოდ მის მიერ, საველე სამუშაობით მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მონაცემები (ამონარიდები დაარქივებული საველე დოკუმენტაციიდან, ეპიტაფიებიანი საფლავის ქვები, კერამიკული ნაკეთობები, ლითონის, მინის ნაწარმი და ა.შ.).

მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის საკითხების შესწავლისთვის, ნაშრომში წარმოდგენილია მასალები შუა საუკუნეების დმანისის ბინადარ სხვადასხვა ეთნოსთა და კონფესიათათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო, საკულტო და მემორიალური ძეგლების ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ. აქვე წარმოდგენილია ამ ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებათა დინამიკა და მათი განმაპირობებელი ფაქტორები. ნაშრომში გამოთქმულია ახალი ვარაუდები შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის დასაქმების სფეროების, სოციალური და ეთნიკურ-კონფესიური დიფერენციაციის, მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებების შესახებ; ხშირ შემთხვევაში, ამ რიგის პრობლემატიკა სრულიად ახლებურადაა განხილული ქვემო ქართლის რეგიონსა და ზოგადად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესთა ფონზე.

ნაშრომში, ძეგლებზე დადასტურებულ ნივთიერ მასალასა და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით უარყოფილია სამეცნიერო თუ ფართო საზოგადოებაში დამკვიდრებული, ხშირ შემთხვევაში, სტერეოტიპული წარმოდგენა, რომ, თითქოსდა შუა საუკუნეების დმანისში მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის ზრდა პირდაპირ იყო დაკავშირებული საქართველოს ამ მხარეში მუსლიმ მმართველთა ექსპანსიის პერიოდებთან. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი ამ მოვლენის განმაპირობებელი რეალური ფაქტორები. ირკვევა, რომ ქალაქ დმანისის მოსახლეობაში მუსლიმური მოსახლეობის რაოდენობამ პიკს სწორედ XII-XIII საუკუნეებში, გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოში, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობის პირობებში მიაღწია. ავტორის მტკიცებით, სწორედ ასეთი ფონი გახლდათ ქალაქის მოსახლეობის განსხვავებული ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების უხიფათოდ თანაცხოვრებისა და მულტიკულტურულ შემოქმედებით ელემენტებზე დამყარებული, წარმატებული შრომითი საქმიანობის გარანტი. და პირიქით: იგივე მუსლიმი დამპყრობლების ექსპანსია-გაპარტახება, ქალაქის ამავე კონფესიის წარმომადგენელი მოსახლეობის ფიზიკურ განადგურებასაც ისევე იწვევდა, როგორც სხვა ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფებისა.

ნაშრომში ისიცაა ნაჩვენები, რომ თავის მხრივ, რაოდენ დიდი კულტურულ-ეკონომიკური წვლილი შეჰქონდათ ქალაქ დმანისის განვითარებასა და ზოგადად ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობაში ამ ქალაქის ეთნიკურად სომეხ, ამავე დროს რელიგიური და ხშირად კულტურული თვალსაზრისით ქართულ სივრცეში, ნაწილობრივ ან სრულად ადაპტირებულ მოსახლეობას.

აქვე წარმოდგენილია, თუ რა სავარაუდო ზეგავლენას ახდენდა ქალაქ დმანისის ავტოქტონური ქართული მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ ყოფაზე აღნიშნული ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფების ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში კულტურული შერწყმის ტენდენციები. კულტურულ ელემენტთა შერწყმის ერთ-ერთ ასეთ მაგალითად, წარმოდგენილია ქართულ და დანარჩენ ეთნიკურ-კონფესიურ ჯგუფთა წარმომადგენლების დაკრძალვის ადგილთა მემორიალური ძეგლების – საფლავის ქვებისა თუ საფლავზედა ნაგებობების იერ-სახის რამდენადმე ნიველირება და მათი გაფორმების ისეთი შტრიხებით შევსება, ერთგვარი კულტურული სინკრეტიზმი, რაც დღემდე შესწავლილ შუა საუკუნეების სხვა ქართულ ქალაქში არ დადასტურებულა.

Abstract

This work considers the causal relationship of formation and staged variability of the social, ethnic and religious composition of the population at Dmanisi, one of the most significant urban centers of medieval Georgia. The background of the work is based on archaeological explorations conducted at this settlement.

The settlement at Dmanisi is a kind of "happy exception". This is because its territory did not experience occupation after the medieval period, therefore it has the possibility to demonstrate a potentially perfect archaeological picture of medieval urban life. Archaeological excavations started at the site in the 1930s and have continued up until now with occasional breaks.

The solution of some of the most important scientific problems of the urban social system of medieval Dmanisi was somewhat hampered due to the fact, that the increase in the volume of archaeological material and field documentation, obtained over the years, was not supported by their thorough scientific processing, analysis and publication. It should also be borne in mind that in the Soviet and partially post-Soviet historical sciences, public discussions on issues of an ethnic and religious nature regarding the original population of some historical regions was considered an awkward, if not forbidden topic.

As part of the study of the above mentioned problems, the author has introduced into scientific use some archaeological material, obtained from various sources but not known to the wider scientific community, as well as materials discovered directly by him during fieldwork (excerpts from archived field documentations, tombstones with epitaphs, ceramics, metal and glass production etc.).

In order to study the issues of the ethnic and religious composition of the population this work provides materials on the architectural peculiarities of household, religious and memorial monuments characteristic of the different ethnic groups and religions of medieval Dmanisi. The dynamics of changes in the ethno-religious picture of the city residents and the factors that determine them have also been presented. New assumptions have been expressed about the spheres of employment, social and ethno-religious differentiation, and the characteristics of the lifestyles of the population of the medieval city of Dmanisi; in many cases, such problems have been considered in a completely new way against the background of the current political and cultural processes in the Kvemo Kartli region and, generally, in Georgia.

Relying on material and logical arguments one idea that was entrenched and, in many cases, stereotyped in the scientific or wider society has been refuted. This was the idea that the growing percentage of Muslims living in Dmanisi were allegedly directly related to the periods of dominance of the Seljuk or other Islamic conquerors in this part of Georgia. However, based on the studies, the real factors determining this phenomenon have been clearly shown. It turns out, that the number of Muslim population reached its peak precisely in the XII-XIII centuries, in the united Georgian state,

in conditions of economic and political stability. According to the author, it was this background that served as a guarantee of the safe coexistence of various ethnic and religious groups of city residents, as well as successful working activity based on multicultural creative elements. And, on the contrary, the expansion of the Muslim invaders and the ensuing destruction was indiscriminate with the Muslims in Dmanisi suffering in the same way as groups from other religions.

The work also shows what a major cultural and economic contribution was made to the development of Dmanisi and, in general, to the political stability of the Georgian state by ethnic Armenians, residents of this city, who were partially or fully adapted from the point of view of culture and often religion too.

Finally, this study examines the cultural merging of these ethnic and religious groups within Dmanisi with respect to the material culture. One example of this merging is found in the outward appearance of memorial monuments − tomb stones or buildings − at the burial sites of the representatives of Georgian and other ethnic and religious groups. These memorials often combine elements from the different ethnic and religious groups − a kind of cultural syncretism − which has not yet been found in other studied medieval Georgian cities.

Key Words: Medieval Dmanisi, archaeological excavations, population, ethnic and religious groups, Georgians, Armenians, Muslims, memorial monuments, tombstones.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორებს და ადმინისტრაციას, სადოქტორო საფეხურზე, სწავლის პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნისათვის და ხელშეწყობისთვის.

მადლობა ჩემ სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული ხელმძღვანელობისთვის, ფასეული რჩევებისათვის, შექმნილი დაბრკოლებების გადასალახად გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს (მშობლებს, ჩემ დას, ჩემ მეუღლეს და ჩემ უძვირფასეს შვილებს), მეგობრებს, გაწული თანადგომისა და გულშემატკივრობისთვის.

მადლობა ბატონ ჯუმბერ კოპალიანს, მრავალი წლის განმავლობაში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ვისი დამსახურებითაც მოხდა ჩემი პროფესიული მიმართულების არჩევა და ჩართვა დმანისის შუა საუკუნეების კვლევებში.

მადლობა ჩემ სამუშაო დაწესებულებას, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, გენერალურ დირექტორს ბატონ დავით ლორთქიფანიძეს, მთელ მუზეუმის პერსონალს, გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, განსაკუთრებით დმანისის შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებთან წვდომის ხელშეწყობისათვის. მადლობა ჩემ კოლეგებს მუშაობის პერიოდში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გაწეული დახმარებისა და კონსულტაციისათვის.

მადლობა ბატონ დავით ჯაფარიძეს და შესაბამისად შუა საუკუნეების დმანისის ღვაწლმოსილი მკვლევარის, ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძის ოჯახს, გაწეული დახმარებისთვის და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული მასალების მოწოდებისთვის.

სარჩევი

აბსტრაქტი II

მადლობა VII

ილუსტრაციების ჩამონათვალი X

შესავალი 1

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის შესწავლის ისტორია, სამეცნიერო ლიტერატურის და პირველწყაროების მიმოხილვა 3

ძირითადი საკვლევი საკითხები და გამოყენებული მეთოდოლოგია 16

კვლევის უმთავრესი შედეგები 18

თავი 1. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალქარი 20

1.1. ნაქალაქარის აღწერა 20

1.2. ნაქალაქარ დმანისის ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები – დმანისის სიონი 28

1.3. წმინდა მარინეს ეკლესია 60

1.4. დმანისის სიონის სამრეკლო კოშკი 64

1.5 ზემო უბნის ეკლესია და სასაფლაო 66

1.6 ქვემო უბნის ეკლესია და სასაფლაო 86

1.7 დმანისის ნაქალაქარის გარეუბანში მდებარე საყდრისქედის ეკლესია 95

თავი. 2. დმანისის ნაქალაქარზე არსებული ისლამური ძეგლები 111

2.1 ნაქალაქარის ისლამური ძეგლების აღმოჩენისა და კვლევის ისტორიიდან 111

2.2. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“ 112

2.3. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი და მედერესე“ 136

თავი 3. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი 162

3.1 სამაროვნის ზოგადი მიმოხილვა 162

3.2. დმანისის სამაროვნის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები – წმინდა თევდორეს ეკლესია 168

3.3. სამაროვნის მცირე ეკლესია №1 172

3.4. სამაროვნის მცირე ეკლესია №2 176

3.5. ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისის სამაროვნის ქრისტიანულ უბანზე 180

3.5.1. დმანისის სამაროვნის ქრისტიანული უბნის, №5 თხრილში აღმოჩენილი №5 და №6 სამარხის საფლავის ქვები 202

3.5.2 დმანისის სამაროვნის სამხრეთი უბნის №13 თხრილის სამარხების საფლავის ქვები . 209

3.6. დმანისის სამაროვანზე გამოვლენილი სხვა ქრისტიანული (სავარაუდოდ ქართული) მემორიალური ძეგლები 227

3.6.1. სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზ. №280) 227

3.6.2. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. №9 არქეოლოგიური თხრილი 241

3.7. დმანისის სამაროვნის სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლები 246

3.8. დმანისის სამაროვნის ისლამური მემორიალური ძეგლები 256

3.8.1 ტუფისგან გამოთლილი სტელისებრი ფორმის ხუთწახნაგოვანი საფლავის ქვა (საინვ. №279) 271

3.8.2. საფლავის ქვა (სამუზეუმო საინვ. №509). 272

დასკვნები და რეკომენდაციები 278

ბიბლიოგრაფია 287

ილუსტრაციების ჩამონათვალი

ილუსტრაცია 1. საქართველოს რუკა. დმანისის ნაქალაქარი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი)

ილუსტრაცია 2. მდინარეების, მაშავერასა და ფინეზაურის ხერთვისი. ნაქალაქარი დმანისი. 3D მოდელი. ავტ. ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

ილუსტრაცია 3. დმანისის არქეოლოგიური ძეგლი. მარშრუტები: 1. ვიზიტორთა ცენტრი; 2. დმანისის სამაროვნის ქრისტიანული უბნის მემორიალური ძეგლები; 3-4 სამაროვნის ისლამური მემორიალური ძეგლები, მავზოლეუმები (3. №1 „აგურის მავზოლეუმი“; 4. „ქვის მავზოლეუმი“); 5. შიდაციხე (დმანისელი ამირის სასახლე, აბანო; მარანი.); 6. დმანისის სიონი, მარინეს ეკლესია, სამრეკლო; 7. ქალაქის საიდუმლო გვირაბი; 8. საველე-არქეოლოგიური მუზეუმი (არქეოლოგიური გათხრების ტერიტორია, საგამოფენო და საგანმანათლებლო აქტივობის სივრცეები), ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“; 9. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მუსლიმური სასწავლებელი – მედრესე; 10, 11, 12. შუა საუკუნეების საზოგადოებრივ აბანოთა კომპლექსები; 13. დმანისის სამეცნიერო-კვლევითი ბაზა, ლაბორატორიები, აუდიტორია. 3D განზომილებიანი მოდელი და აეროფოტო. ავტ. ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

ილუსტრაცია 4. დმანისის ნაქალაქარი. ხედი სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი (2018)

ილუსტრაცია 5. დმანისის ნაქალაქარი, გეგმა. 1. შიდაციხე; ქალაქის კარიბჭე; 3. საიდუმლო გვირაბი; 4. დმანისის სიონი; 5. „ზემო უბნის ეკლესია“; 6. „ქვემო უბნის ეკლესია“; 7. „მინარეთიანი მეჩეთი“; 8. „ბურჯიანი მეჩეთი“. მდ. მაშავერასა და ფინეზაურის შესართავი, რელიეფის სიმაღლის ციფრული მოდელი. გ. კოპალიანი, ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

ილუსტრაცია 6. დმანისის ნაქალაქარი და სამაროვანი. სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში მომზადებული სიტუაციური გეგმა. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ტოპოგრაფიული, საველე-არქეოლოგიური ანაზომების მონაცემების და ჩვენ მიერ გაწეული გეოსაინფორმაციო სამუშაოების შეჯერების შედეგად. გ. კოპალიანი, ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 7. დმანისის სიონი. ხედი სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი

ილუსტრაცია 8. დმანისის სიონი. გეგმა, ჭრილი. ე. თაყაიშვილის (1924), ლ. მუსხელიშვილის (1937) და გ. ბოლქვაძის მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 9. დმანისის სიონი, დასავლეთი კარიბჭე. ხედი აღმოსავლეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი (2017)

ილუსტრაცია 10. დმანისის სიონი, დასავლეთი კარიბჭე, ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ნიში დას. ფასადში

ილუსტრაცია 11. დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭე, დას. ფასადი

ილუსტრაცია 12. დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭე, ჩრდ. ფასადის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ნიში. ფოტოები: ჯ. ჩხვიმიანი (2013)

ილუსტრაცია 13. დმანისის ნაქალაქარი, I არქეოლოგიური უბანი, დმანისის სიონი. ფოტო: ვ. მამიაშვილი

ილუსტრაცია 14. დმანისის ნაქალაქარი, I არქეოლოგიური უბანი, დმანისის სიონის ჩრდილოეთით შესწავლილი ე.წ. „კარიანი შენობა“ (1937) და ე.წ. „სათავსებიანი შენობა“ (2017). გეგმა. ნ. ბახტაძე

ილუსტრაცია 15. წმინდა მარინეს ეკლესია. დმანისის ნაქალაქარი. გეგმა, ჭრილი. დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

ილუსტრაცია 16. წმ. მარინეს ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2008)

ილუსტრაცია 17. სამრეკლო კოშკი, ჩრდ. ფასადი. დმანისის სიონი. ხედი სამხრეთ-დასავლეთით

ილუსტრაცია 18. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №1. აღმოსავლეთი ფასადი. ფოტო: 1980 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 19. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №1 და №2. გეგმა, ჭრილი. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 20. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის №1 ეკლესიის სამხრეთ სარკმელთან ჩასმული წითელი ტუფის ქვა სამი ჯვრის გამოსახულებით (ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი)

ილუსტრაცია 21. ეპიტაფია ზემო უბნის ეკლესიის ვერძზე. 1936 წ. ფოტო №343 (ძვ. №№ 149, 1779): საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 22. ზემო უბნის ეკლესიისა და სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი ქართული ასომთავრული წარწერით. ფოტო 1988 წელი; გრაფიკული ჩანახატი გამოცემიდან: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I,* გვ. 132

ილუსტრაცია 23. ზემო უბნის №2 ეკლესია, საკურთხეველი. ფოტო: 1986 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 24. ზემო უბნის №2 ეკლესია, საკურთხეველი. ფოტო: 1986 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 25. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, სტელა (ხაჩკარი) №17. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ილუსტრაცია 26. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №44 ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი; გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი

ილუსტრაცია 27. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №1

ილუსტრაცია 28. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №73. ფოტოები: 1988 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 29. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, 1284 წლით დათარიღებული საფლავის ქვა №45. ფოტო: 1988 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 30. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის სამხრეთი ფასადი. ფოტო ჯ. ჩხვიმიანი (2007)

ილუსტრაცია 31. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის დასავლეთი ფასადი. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის სამხრეთ კედელში ჩასმული სამჯვრიანი და სომხურწარწერიანი ქვა. ფოტოები: ჯ. ჩხვიმიანი (2007)

ილუსტრაცია 32. დმანისის ნაქალაქაარის ქვემო უბნის ეკლესია. გეგმა, ჭრილი. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

ილუსტრაცია 33. დმანისის ნაქალაქაარის ქვემო უბნის ეკლესია. გეგმა. ეკლესიის სამხრეთით შესწავლილი მცირე სასაფლაო. გეგმა. დმანისის ექსპედიციის არქივი

ილუსტრაცია 34. დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია. ეკლესიაში აღმოჩენილი ქართულწარწერიანი საფლავის ქვა. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

ილუსტრაცია 35. საყდრისქედის ეკლესია გათხრების დაწყების წინ. ფოტო: 1963 წელი. დმანისის ექსპედიციიის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 36. საყდრისქედი ეკლესიის საკურთხეველი გათხრების პროცესში. ფოტო: 1973 წელი. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 37. საყდრისქედის ეკლესია. სიტუაციური გეგმა, ჭრილი. კ. მელთაური, 1973 წელი. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 38. საყდრისქედის ეკლესია. გეგმა, ჭრილი. დმანისი. ვ. ჯაფარიძის, არქიტექტორების, რ. ბერიძის, ვ. კანდელაკის მიხედვით (1974). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 39. საყდრისქედის ეკლესიის საკურთხევლის რეკონსტრუქცია, შესრულებული კონსტანტინე მელითაურის მიერ. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 40. საყდრისქედის ეკლესიის ქვის სტელა დმანისელი ამირის წარწერით. ფოტო, გრაფიკა

ილუსტრაცია 41. საყდრისქედის ეკლესიის საკურთხეველი და მის წინ აღმართული ქვის სტელა დმანისელი ამირის წარწერით. ბოლნისის მუზეუმი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 42. საყდრისქედის ეკლესიიდან მომდინარე, ბალავარის ტიპის ქვაზე (სამუზეუმო № სსმ 609) ამოკვეთილი ე.წ. „ხუდადისძეთა მოსახსენიებელი“. ბოლნისის მუზეუმი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 43. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის ინტერიერი, სამხრეთი კედელი და კედელში მოთავსებული სალოცავი ნიში – მიჰრაბი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2010)

ილუსტრაცია 44. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის სამხრეთი ფასადი

ილუსტრაცია 45. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. გეგმა, ჭრილი. ვ. ჯაფარიძის მიხედვით. არქიტ. ვ. სურგულაძე, 1985 წელი

ილუსტრაცია 46. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

ილუსტრაცია 47. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

ილუსტრაცია 48. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

ილუსტრაცია 49. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარის II არქეოლოგიური უბანი. გათხრების პროცესი. ფოტო: 1960-იანი წლები. მეჩეთის ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ინტერიერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოჩანს სვეტის, ქვით ნაგები ბაზისი, ხოლო მის უკან მინარეთის შემორჩენილი ნაშთი

ილუსტრაცია 50. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მედრესე. ე.წ. „დერეფნიანი შენობა“ (მეჩეთის დასავლთით). ვ.ჯაფარიძის და არქ. თ. გერსამიას (1965 წელი) მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

ილუსტრაცია 51. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარის II არქეოლოგიური უბანი. გათხრების პროცესი. ფოტო 1960-იანი წლები. მეჩეთის ინტერიერი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. მეჩეთზე, ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებულ მედრესეს ინტერიერში მოჩანს სვეტების კოლონების ქვით ნაგები ბაზისები

ილუსტრაცია 52. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის ინტერიერი, ხედი სამხრეთით (მოჩანს მეჩეთის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, მინარეთი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 53. თეთრკეციანი მოჭიქული დოქი (სამუზ. №81-65/1252). საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციები. ე.წ. „დერეფნიანი შენობა“, დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ილუსტრაცია. 54. ე.წ. „დერეფნიან შენობასთან“ აღმოჩენილ ჩაფლულ განძში შემავალი ოქროს წყვილი საყურე (სამუზ. №81-65:1227). საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციები. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ილუსტრაცია 55. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი, გეგმა. ჯ. ჩხვიმიანი, გ. კოპალიანი (2016-2019). 1. წმ. თევდორეს ეკლესია, XI-XII სს.; 2. „მცირე ეკლესია“ №1, XII-XIII სს.; 3. „მცირე ეკლესია“ №2, XII-XIII სს.; 4. ქართულწარწერიანი მემორიალები XII-XIII სს.; 5. „ქვემო ხაჩკარი“, 1288 წელი; 6. „ზემო ხაჩკარი“, XIII ს-ის II ნახ.; 7. „ქვის მავზოლეუმი“, XIII-XIV სს.; 8. №1 – „აგურის მავზოლეუმი“ და №2 მავზოლეუმი, XIII ს.; 9. №3 და №4 მავზოლეუმები, XIII-XIV სს.; 10. „ზემო აბანო“, XII-XIII სს.; 11. „შუა აბანო“, XII-XIII სს.; 12. „ქვემო აბანო“, XII-XIII სს.

ილუსტრაცია 56. დმანისის სამაროვნის თევდორეს ეკლესია. გეგმა. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის არქივის ნახაზების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2009)

ილუსტრაცია 57. წმინდა თევდორეს ეკლესია, დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. 1936-1937 წლების ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 58. წმ. თევდორეს ეკლესია. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. ეკლესიის სამხრეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2007)

ილუსტრაცია 59. თევდორეს ეკლესია. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. ეკლესიის საკურთხეველი ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2012)

ილუსტრაცია 60. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №1. გეგმა, ჭრილი. მ. გოჩიაშვილის, არქიტექტორ ჯ. ბოკერიას მიხედვით (1975 წელი). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 61. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №1. შესწავლილი სამარხები. გეგმა, ჭრილი. მ. გოჩიაშვილის, არქიტექტორ ჯ. ბოკერიას მიხედვით (1975 წელი). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ილუსტრაცია 62. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2. ხედი დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ფოტო: 1985 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 63. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2. გეგმა, ჭრილი. 1985 წელი. მ. გოჩიაშვილის, არქიტ. ვ. სურგულაძის მიხედვით. ბ. გაბეხაძე (2018)

ილუსტრაცია 64. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2-ის ინტერიერი და იატაკის ქვეშ გამოვლენილი სამარხები. ზედხედი. ფოტო: 1984 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 65. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილი. ხედი ჩრდილოეთიდან. ფოტო: 1976 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 66. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილი, II ფენა (საფლავის ქვების ნაწილი აღებულია), ხედი დასავლეთიდან. ფოტო: 1977 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 67. დმანისის სამაროვანი, თხრილი №5, სამარხები №5 და №6. ხედი აღმოსავლეთიდან. ფოტო: 1976 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტ. 68. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ც. გაბაშვილის მიხედვით

ილუსტრაცია 69. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები. I დონე. მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ც. გაბაშვილის მიხედვით

ილუსტრაცია 70. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები. II დონე. მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ნ თოფურიძის მიხედვით

ილუსტრაცია 71. დმანისის სამაროვანი, №5 და №13 თხრილებში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი

ილუსტრაცია. 72. დმანისის სამაროვნი. №5 თხრილი. №5 სამარხი

ილუსტრაცია 73. დმანისის ნაქალაქარის სამაროვანი. №5 თხრილი. მიწისზედა მემორიალური ძეგლები, მათ შორის №5 სამარხის წარჩინებული პირის – ოქრო/ოქრუას და მისი მეუღლის №6 სამარხის მემორიალი. რეკონსტრუქცია, ჯ. ჩხვიმიანი (2015)

ილუსტრაცია 74. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №5 სამარხის საფლავის ქვა (დმ.15) ოქრო/ოქრუას ეპიტაფიით. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 75. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №5 სამარხის საფლავის ქვა (დმ.15) ოქრო/ოქრუას ეპიტაფიით. 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 76. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №6 სამარხის საფლავის ქვა (დმ.14). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 77. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13. ხედი აღმოსავლეთიდან დასვლეთით. ფოტო: 1986 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 78. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13, სამარხი №27-29, ფოტო, სამარხების გეგმა

ილუსტრაცია 79. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №27 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 32). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 80. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №28-29 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 26) ებია/ებიტას ეპიტაფიით. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 81. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №28-29 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 26). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 82. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13-ის მიმდებარედ. №27 და №28 (ებიას) სამარხები გახსნის შემდეგ. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 83. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13-ის მიმდებარედ. №28 სამარხის მიცვალებულს ქვეშ გამოვლენილი კიდევ ერთი ნეშტი №29 მიცვალებული. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 84. №28 სამარხში გამოვლენილი მიცვალებულის ნეშტი (ებია) და სამარხეული მასალა: ორი სპილენძის მონეტა (საველე №03:5-87:187 და №03:5-87:188) და რკინის ოთხკუთხა ბალთა (საველე №03:5-87:186). 1987 წელი. ფოტო სლაიდი: დმანისის ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 85. №28 სამარხში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი: ბეჭედი (საველე №03:5-87-190), ორი სპილენძის მონეტა (საველე №03:5-87:187 და №03:5-87:188) და რკინის ოთხკუთხა ბალთა (საველე №03:5-87:186)

ილუსტრაცია 86. სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზ. №280). ფოტოზე, აღმოსავლეთი და დასავლეთი წახნაგები. დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ილუსტრაცია 87. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის მიწისზედა მემორიალი. ფოტო: 1976 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 88. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის მიწისზედა მემორიალი. ფოტო: 1976 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 89. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის მიწისზედა, 1976 წელს დაფიქსირებული მემორიალიის ფრაგმენტი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2016)

ილუსტრაცია 90. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მეორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (დმ.17). 1 - აღმ. წახნაგი, ფოტო; 2 - აღმს. წახნაგი, გრაფიკა; 3 - ჩრდ. წახნაგი, გრაფიკა. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი; ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

ილუსტრაცია 91. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მეორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (დმ.17). 1 – დას. წახნაგი, ფოტო; 2 – დას. წახნაგი, გრაფიკა; 3 – სამხ. წახნაგი, გრაფიკა. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი; ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

ილუსტრაცია 92. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მეორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (აღმ. ნაწილში აღმართული სტელა). 1 – ჩრდ. წახნაგი; 2 – დას. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4 – აღმ. წახნაგი. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი

ილუსტრაცია 93. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. წმ. თევდორეს ეკლესია, №9 არქეოლოგიური თხრილი. დმანისის საველე-არქეოლოგიური ანაზომების მიხედვით, ჯ. ჩხვიმიანი (2015)

ილუსტრაცია 94. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. №9 არქეოლოგიური თხრილი. გეგმა, ჭრილი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაცია

ილუსტრაცია 95. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 1982 წელს №9 არქეოლოგიურ თხრილში, №2 სამრხში აღმოჩენილი წყვილი საყურე (საველე № 03:2-82:106)

ილუსტრაცია 96. დმანისისის შუა საუკუნეების სამაროვანი. „ქვემო ხაჩკარი“ (ხაჩკარი №1). ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 97. დმანისისის შუა საუკუნეების სამაროვანი. „ზემო ხაჩკარი“ (ხაჩკარი №2). 1936 წლის ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ილუსტრაცია 98. დმანისის სიონი, დასავლეთი კარიბჭე. სამხრეთ ფასადში ჩასმული საფლავის ქვა – ხაჩკარი (№3). ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2010)

ილუსტრაცია 99. ხაჩკარი (სარეგისტრაციო № დმ. 179). დმანისის სამაროვანი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ილუსტრაცია 100. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი, ე.წ. „ქვის მავზოლეუმი“. ფოტო: ვ. მამიაშვილი

ილუსტრაცი 101. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1). მავზოლეუმის აღმოსავლეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცი 102. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1). მავზოლეუმის სამხრეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცია 103. დმანისის სამაროვანი, ე.წ. „აგურის მავზოლეუმში“ (მავზოლეუმი №1). გამოვლენილი სამარხი

ილუსტრაცია 104. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1) და მავზოლეუმი №2. გეგმა, ჭრილი. ლ. მუსხელიშვილის, რ. მეფისაშვილის (1937), ვ. ჯაფარიძისა და თ. გერსამიას (1970) მიხედვით, ბ. გაბეხაძე (2019)

ილუსტრაცია 105. დმანისის სამაროვანი. №3 და №4 მავზოლეუმი. გეგმა, ჭრილი. 1971 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 106. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. მავზოლეუმი №3 და №4. აგურის წრიულ №4 მავზოლეუმში გამოვლენილი საოჯახო-საგვარეულო საფლავის ქვების ჯგუფი. 1971 წელი. ფოტო: დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 107. №4 მავზოლეუმის №5 სამარხში აღმოჩენილი წვილი საყურე და მავზოლეუმში სამარხის გარეშე აღმოჩენილი ოქროს საყურე მარგალიტით

ილუსტრაცია 108. დმანისის სამაროვანი. №4 მავზოლეუმი, №6 სამარხის საფლავის ქვა

ილუსტრაცია 109. სარკოფაგისებრი საფლავის ქვა (სამუზეუმო საინვ. №509) და სტელისებრი საფლავს ქვა (საინვ. №279) დმანისის ისლამური სამაროვნიდან. ბოლნისის მუზეუმი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

შესავალი

ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წელს დაიწყო: არქეოლოგ ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით და აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ზოგადი კონსულტაციებით, იქ ორი საკმაოდ ფართომასშტაბიანი, წარმატებული სამუშაო კამპანია ჩატარდა. ფაქტობრივად, ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიას, როგორც ცალკე მიმართულებას. არქეოლოგიური გათხრები დმანისის შუა საუკუნეების ძეგლზე XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძის აქტიური ინიციატივის წყალობით განახლდა. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დღემდე წარმოებს სხვადასხვა ინტენსივობით. ამ ხნის განმავლობაში დაგროვდა დიდძალი და უმნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, რამაც ფრიად გაამდიდრა ჩვენი შეხედულებები შუა საუკუნეების ქალაქებში მიმდინარე მატერიალური და სულიერი ყოფითი პროცესების შესახებ.

ამის შემდგომი ათწლეულების განმავლობაში, მიუხედავად ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის ინტერვალებისა, დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევას თითქმის პერმანენტული ხასიათი აქვს.[1] ამ უაღრესად საინტერესო სამუშაოების წარმოებას და მიღებული შედეგების პუბლიკაცია-პოპულარიზაციის საქმეს არაერთმა ღვაწლმოსილმა, მაღალკვალიფიციურმა მეცნიერმა დაამჩნია მნიშვნელოვანი კვალი. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევებში მეც აქტიურად ვმონაწილეობდი.

მუხედავად აღნიშნული ძალისხმევისა, დღესდღეობითაც კი, შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის არქეოლოგიური კვლევა როგორც ტოპოგრაფიულად, ისე წარმოჩენილი

[1] თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ოთხი ათწლეულის განმავლობაში, ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიის, როგორც ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსის საერთაშორისო ცნობადობის ზრდა, უპირველესად აქ უძველესი ნამარხი ჰომინიდების ნაშთების აღმოჩენას და მათი უნიკალურობის შესახებ კვლევების შედეგებს უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოსა და საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ წარმართულ კვლევათა აქტივობების ვექტორმაც, რამდენადმე ამ ეპოქების მატერიალური ნაშთების ძიებისკენ გადაინაცვლა.

სამეცნიერო პრობლემატიკის დასაბუთებულად გადაჭრის თვალსაზრისით, კვლავაც შორსაა განსრულებისგან. ეს გარემოება, ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ რიგ შემთხვევებში, წლების განმავლობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის და საველე დოკუმენტაციის მოცულობას, მათი სრულყოფილი სამეცნიერო დამუშავება, ანალიზი დროში მხარს ვერ უბამდა. შედეგად, აქამდე მხოლოდ ფრთხილი ვარაუდების დონეზე განიხილებოდა ისტორიული ქალაქის ყოფის წარმოჩენისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გათხრებისას გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლების მიხედვით ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის განსაზღვრა, სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი შიდა და გარეუბნების გამოყოფა, დმანისის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და რელიგიურ-ეთნიკური სურათის წარმოჩენა.

სადოქტორო ნაშრომის მიზანს სწორედ შუა საუკუნეების დმანისში საქალაქო ცხოვრების ამ მიმართულებების კვლევა წარმოადგენს, რაც, ვიმედოვნებთ, რომ პოზიტიურ წვლილს შეიტანს როგორც ამ ურბანული ცენტრის, ასევე ზოგადად შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების შესწავლის საქმეში. კვლევისას გამოყენებული იქნება როგორც წინა წლების არქეოლოგიური სეზონების განმავლობაში გამომზეურებული, ისე უახლესი, უშუალოდ ჩვენი (დოქტორანტის) მცდელობით მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემები.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის შესწავლის ისტორია, სამეცნიერო ლიტერატურის და პირველწყაროების მიმოხილვა

როგორ აღვნიშნეთ, დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის მიმართულებით, პირველი გეგმიური სამუშაოები 1936-1937 წლებში განხორციელდა და ეს კვლევა შოთა რუსთაველის იუბილის მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდებოდა. მისი ინიციატორი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ, ხოლო უშუალო მწარმოებელი – არქეოლოგი ლევან მუსხელიშვილი. პირველი კვლევის შედეგებს ლევან მუსხელიშვილმა ვრცელი სტატია მიუძღვნა, რომელიც დაიბეჭდა შოთა რუსთაველის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში: ლევან მუსხელიშვილი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 319-448.

მაგრამ, ლევან მუსხელიშვილის ორწლიან არქეოლოგიურ კამპანიას, კარგა ხნით ადრე, წინ უძღოდა 1853 წელს მ. ბართლომესა და დ. ორბელიანის ვიზიტი დმანისში, რომლის დროსაც ნაქალაქარის მოკლე აღწერა და დმანისში არსებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ნიმუშის გადმოღება მოხერხდა. მოგვიანებით, აღნიშნული მასალები მარი ბროსეს მეშვეობით გამოქვეყნდა Mélanges Asiatiques-ში: Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquités géorgiennes; envoi de M. le colonel Khodzko; inscriptions d'Akhal-Kalak, par M. PÉRÉVALENKO (Lu le 14 octobre 1853), Mélanges Asiatiques. Tirés du Bulletin historico-philologique de l'Académie Impériale des sciences de St.-Pétersbourg. T. II (1852—1856). (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Academie Impériale des Sciences, 1856), 264-344, ტაბ. 1-5. აღნიშნულ სტატიაში მან დმანისის სიონის კარიბჭის წარწერის წაკითხვის ვერსია წარმოადგინა (Lettres de M. Bartholomaei... გვ. 327-329, PL. IV, სურ. 19; PL. V, სურ. 18).

ოდნავ მოგვიანებით, 1894 წელს, ალექსანდროპოლის (თანამედროვე ქალაქი გიუმრი, სომხეთის რესპუბლიკა) მიმართულებით ახალი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოებული სამუშაობის დროს, დმანისის სამაროვანის ტერიტორიაზე

სამარხები გამოჩნდა. რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით დმანისში ჩავიდა ექვთიმე თაყაიშვილი და მისი ხელმძღვანელობით საგზაო სამუშაოების აღნიშნულ მონაკვეთზე რამდენიმე სამარხი გაითხარა: მაია ჩარკვიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და არქეოლოგია, *დიდი ექვთიმე* (თბილისი: არტანუჯი, 2014), 93-131. ორ იარუსად გამოვლენილი სამარხები ორმოსამარის და ქვის სამარხის (ქვაყუთები) ტიპისა აღმოჩნდა. ზედა იარუსის სულ 20 სამარხი იქნა გათხრილი. აღნიშნულ სამარხებში მინის სამაჯურები აღმოჩნდა. ექვთიმე თაყაიშვილი მათ X-XI საუკუნეებით ათარიღებს. ადრეული ხანის, ქვედა იარუსის გათხრილ სამარხებში (სულ 56), სადაც მიცვალებულთა ჩონჩხები მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით იწვნენ, ბრინჯაოს ნივთები აღმოჩნდა: ბალთები და ბეჭდები: *Отчет императорской археологической комиссии за 1894 год* (Санкт петербург: Типография Главного Управления уделов, 1896), 16. აღნიშნულ წელს დმანისში მან ეპიგრაფიკულ წარწერებზეც იმუშავა: ექვთიმე თაყაიშვილი, *სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები*, ნაწილი პირველი, ჟურნალი „კავკასიონი“, №1-2 (პარიზი, 1929), 101-106. აღნიშნული ექსპედიციის დროს აიზომა და მომზადდა დმანისის სიონის, წმინდა მარინეს ეკლესიის, სამრეკლოსა და ციხის აბანოს ნახაზები: ექვთიმე თაყაიშვილი, *ქართული ხურთმოძღვრების ალბომი,* ნახაზები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კარნისა, კდუნეს, რდაბოვისა და სევეროვის მიერ, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1924), ტაბ. 36-38.

1960 წლიდან დმანისის ნაქალაქარზე სისტემატური არქეოლოგიური გათხრები დაიწყო და მას 1936-1937 წლების დმანისის პირველი არქეოლოგიური კამპანიის აქტიური მონაწილე ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა ვიდრე 1993 წლამდე. მის ხელმძღვანელობით წარმოებული კვლევების დროს დაგროვილი საანგარიშო და საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაცია და არქეოლოგიური არტეფაქტები დმანისის კვლევის საქმეში უძვირფასესი, მდიდარი პირველწყაროა.

ასევე, ჩვენი სადოქტორო ნაშრომისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1993 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ჯუმბერ კოპალიანის ხელმძღვანელობით წარმოებული დმანისის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კვლევებიდან მომდინარე მასალები.

დმანისის სამაროვნის არაბულ და სომხურწარწერიანი საფლავის ქვების შესახებ უაღრესად საინტერესო ნაშრომები ეკუთვნის: ვერა კრაჩოვსკაიას, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, ცისია კახიანს: Вера Александровна Крачковская, надгробние надписи из Дманиси, *Эпиграфика Востока, т, V,* (Москва-Ленинград: 1951), 21-32.; ლეონ მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, *ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 158-161; ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965); ცისია კახიანი, ორი არაბულენოვანი საფლავის ქვის წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1974), 141-146; ცისია კახიანი, დმანისის უთარიღო არაბული წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №3*, (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 203-216; ცისია კახიანი, დმანისის XIII-XIV საუკუნეების რამდენიმე არაბული წარწერა, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, №3*, (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, ოქტომბერი), 497-504; ცისია კახიანი, დმანისის XIII-XIV საუკუნეების ზოგიერთი არაბული წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960), 93-110.

დმანისის კერამიკულ მონაპოვარს უძღვნეს მონოგრაფიები ზაქარია მაისურაძემ და ვახტანგ ჯაფარიძემ: ზაქარია მაისურაძე, *ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII სს (დმანისის ანგობიანი კერამიკა)*, (თბილისი: 1953); ვახტანგ ჯაფარიძე, *კერამიკული*

წარმოება საქართველოში XI-XIII სს (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), (თბილისი: 1956).

შუა საუკუნეების დმანისის ისტორია მოცემულია ჯუმბერ კოპალიანის ისტორიულ-არქეოლოგიურ მონოგრაფიაში: ჯუმბერ კოპალიანი, *დმანისის ციხე,* (თბილისი: საქართველო, 1996). მასვე ეკუთვნის დმანისის შესახებ ვრცელი გამოკვლევა, მის მიერ წარმოებული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, არქეოლოგიური კვლევების ერთგვარი შეჯამება: ჯუმბერ კოპალიანი, *დმანისის ნაქალაქარი,* (თბილისი: წიგნი+ერი, 2017).

დმანისხევის, ქალაქ დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ნუმიზმატიკური მონაპოვრის, აქ აღმოჩენილი წარწერების, გამოვლენილი ობიექტების შესახებ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემასა და კრებულ „დმანისში~(დმანისი I, თბ. 1998; დმანისი II, თბ. 2000; დმანისი III, თბ. 2001; დმანისი IV, თბ. 2003; დმანისი V, თბ. 2006) გამოქვეყნდა ვახტანგ ჯაფარიძის, ჯუმბერ კოპალიანის, დავით ბერძენიშვილის, ვალერი სილოგავას, ირინე ჯალაღანიას, ქეთევან ქუთათელაძის და სხვათა სტატიები.

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი წიაღსვლების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ნინო მიქელაძის მონოგრაფია: ნინო მიქელაძე, *დმანისი ფეოდალურ ხანაში,* (თბილისი: ივერიონი, 2015).

დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ისლამური კერამიკის ტიპები განხილული აქვს ნანა მამაიაშვილს ნაშრომში: ნანა მამაიაშვილი, *ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში,* (თბილისი: მეცნიერება, 1976). დმანისში აღმოჩენილი შუა საუკუნეების სამკაული წარმოდგენილია რუსუდან დოლაბერიძის ნაშრომში: რუსუდან დოლაბერიძე, *XI-XIII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა* (თბილისი: მეცნიერება, 1985). დმანისში აღმოჩენილ ძვლის მასალისგან დამზადებულ ნივთებს ეხება თინათინ კერესელიძის მონოგრაფია და სხვადასხვა სტატია: თინათინ კერესელიძე, *ძვლის ნივთების კატალოგი (მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდების მიხედვით)*

(თბილისი: მეცნიერება, 1978), თინათინ კერესელიძე, გიორგაძე თენგიზ, ჭადრაკის ქართული ფიგურები, *საბჭოთა ხელოვნება №9 (1979)* (თბილისი, 1979).

ნაქალაქარ დმანისსა და მის შემოგარენში არსებული საერო და რელიგიური დანიშნულების ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები წარმოდგენილია გიორგი ჩუბინაშვილის: გიორგი ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I,* (თბილისი: სახელგამი, 1936), 92; ლევან მუსხელიშვილის: ლევან მუსხელიშვილი, დმანისი – ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 319-448; ვახტანგ ბერიძის: ვახტანგ ბერიძე, დმანისი, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება,* (თბილისი: ხელოვნება, 1974), 95; ლევან რჩეულიშვილის: ლევან რჩეულიშვილი, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები,* რედ. ვ. ბერიძე, დ. თუმანიშვილი, (თბილისი: მეცნიერება, 1994), 163-168 და სხვათა ნაშრომებში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო არქეოლოგიური მონაცემებია წარმოდგენილი ვახტანგ ჯაფარიძისა და მერი გოჩიაშვილის სტატიებში დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის შესახებ: ვახტანგ ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984)* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 18-27; მერი გოჩიაშვილი, შუასაუკუნეების დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი, *ძეგლის მეგობარი №3 (1986)* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986), 49-53.

შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის თემას ეხება ჩემი რამდენიმე სტატიაც:

ჯიმშერ ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დამანისიდან, *ჟურნალი კადმოსი, №7,* (თბილისი: 2015), 35-105.

ჯიმშერ ჩხვიმიანი, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. ტ. II,* (თბილისი: ფავორიტი პრინტი, 2011), 214-246.

ჯიმშერ ჩხვიმიანი, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ (2009 წლის მასალები),* (თბილისი: სეზანი, 2009), 334-345.

ჯიმშერ ჩხვიმიანი, შუა საუკუნეების სპარსული ფაიანსი დმანისის ნაქალაქარიდან, *დმანისი V,* (თბილისი: საქართველო, 2006), 347-357.

სადოქტორო ნაშრომის პირველწყაროებს წარმოადგენს:

1. დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ამ კოლექციების ნაწილი, კერძოდ, 1936-1937 წლებში, ასევე 1960-1970 წლებში მოპოვებული არტეფაქტები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების დმანისისა და განჯისკარის ფონდში (დოქტორანტი თავად იყო ამ ფონდის კურატორი). მასალის მეორე ნაწილი, 1970 წლის შემდგომ პერიოდში მოპოვებული, წარმოდგენილია დმანისის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გამოფენაზე და ასევე ინახება საცავში. მესამე ნაწილი, მათ შორის უახლესი არქეოლოგიური მასალა, დაცულია დმანისის მუზეუმ-ნაკრძალში და ის ამჟამად კვლავ კვლევის პროცესშია (უშუალოდ დოქტორანტი ახორციელებს შესწავლას – საფონდო კოლექციებისთვის დოკუმენტირებას, აღწერას, მეცნიერულ ინტერპრეტირებას, ფოტოფიქსაციას, გრაფიკულ ფიქსაციას).

2. საარქივო მასალა (დაცულია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნახაზთა ფონდი; ამავე მუზეუმის არქივი; აკად. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქივი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის არქივი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივი; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდი; დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდი – ოფიციალური ანგარიშები (ხელნაწერი სახით), ასევე საველე-

არქეოლოგიური დოკუმენტაცია – საველე დღიურები, ჩანაწერები, ფოტოები, ფირები და სლაიდები. სხვადასხვა ფუნქციის ნაგებობის: საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო, მემორიალური და ა.შ., ანაზომები, გეგმები.

როგორც არქეოლოგიური, ისე საარქივო დოკუმენტური მასალის დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია და, ამდენად, სამეცნიერო მიმოქცევაში ამ გამოკვლევამდე არ შესულა.

3. პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიშები. ეს მოკლე პუბლიკაციები დღეისათვის, ფაქტობრივად, პირველწყაროს წარმოადგენს. ესენია სხვადსხვა პერიოდული გამოცემები:

   Археологические открытия, Академия Наук СССР, Институт археологии;

   Полевые археологические иследованиа, Академия Наук Грузинской ССР, Институт Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, Центр Археологических Исследований;

   საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, და სხვ.

4. ისტორიული წერილობითი წყაროები დმანისის შესახებ ორ ჯგუფად იყოფა – ქართულ და უცხოურ წყაროებად.

ქართულ წერილობით წყაროებში დმანისი პირველად IX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩნდება. „მატიანე ქართლისაიში“ მისი მოხსენიება არაბების (ბუღა თურქის) მიერ კავკასიაში წარმოებულ სამხედრო კამპანიას უკავშირდება: *ქართლის ცხოვრება, ტომი I*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955), 257.

ტაშირ-ძორაგეტის მეფის, დავითის მიერ დმანისის აღებაზე წერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი ანუ ასოღიკი: Всеобщая история Степ'аноса Таронского,

Асох'ика по прозванию, писателя XI столетия, переведена с армянского и объяснена Н. Эминымь, (Москва 1864). (თავი XXX, გვ. 184), რაც X საუკუნის ბოლოს (989 წ.) უნდა მომხდარიყო.

ბაგრატ IV მიერ თბილისის ხელში ჩაგდების მცდელობების ამბებთან კავშირშია დმანისელი ამირის პირველი მოხსენიება. მას შემდეგ, რაც ბაგრატმა სათავისოდ თბილისი არ დაიჭირა იგი დმანისის ამირას, თბილისის ჯაფარიან ამირათა დმანისის შტოს წარმომადგენელს ამირა სითლარაბს დაუთმო დიდი საფასის სანაცვლოდ: *ქართლის ცხოვრება, ტომი I*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955), 312.

დიდგორის ომის წინარე ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თურქ-სელჯუკთა სულტნის კარზე მისულ დმანისელ ვაჭრებს. მისივე ცნობით, დავითმა დმანისი თურქ-სელჯუკებისგან 1123 წელს გაათავისუფლა: *ქართლის ცხოვრება, ტომი I*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955), 340-344.

დავით აღმაშენებლის მიერ დმანისის აღებაზე წერს მათე ედესელიც (მათეოს ედესელი, „ჟამთააღმწერლობა“, მე-3 ნაწილი, თავი 94. თარგმანი: Armenia and the Crusades, tenth to twelfth centuries: The Chronicle of Matthew of Edessa /translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian; foreword by Krikor H. Maksoudian (Lanham, New York, London: University Press of America, 1993), 231.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე I-ის მიერ დმანისის ხელმეორედ აღებაზე წერს ვახუშტი ბატონიშვილი: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება, ტომი IV*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 165. ამასვე ადასტურებს სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი. მის მიხედვით, დმანისში ყოფილან დაპატიმრებული დემეტრე I-ის წინააღმდეგ შეთქმული მეფის ძმა ვახტანგი და მხედართმთავარი ივანე აბულეთისძე (ვარდან დიდის ნაშრომის მე-3

ნაწილი, Текст воспроизведен по изданиям: Всеобщая история Вардана Великого, Перевел Никита Осипович Эмин, (Москва: Типография Лазаревского института восточных языков, 1861) http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm (25.02.2020).

დმანისი, როგორც სავაჭრო ქალაქი, მოხსენიებულია XII-XIII საუკუნეების არაბ ავტორთან, იაკუთისთან: *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. 1.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს შესახებ არსებული წყაროების შემსწავლელი კომისია, არაბული ტექსტი თარგმნა და შესავალი დაურთო ე. სიხარულიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1964), 57.

1235 წელს მონღოლების მიერ დმანისის აღებაზე გვაწვდის ცნობას სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი: Киракос Гандзакеци, *История Армении,* Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, (Москва: Наука, 1976), 163.

მონღოლების ბატონობის პერიოდში დმანისში ჩრდილოეთ კავკასიიდან დევნილი ოსების ჩასახლებაზე წერს ჟამთააღმწერელი. მისივე ცნობით, XIII საუკუნის 80-იან წლებში სამეფო ქალაქი დმანისი დემეტრე II-ის ათაბაგს, სადუნ მანკაბერდელს ჩაუგდია ხელში: *ქართლის ცხოვრება, ტომი II,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1959), 251,272. ამის შემდგომ, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, დემეტრეს რამდენჯერმე უშედეგოდ უცდია მისი დაბრუნება. საბოლოოდ ის დავით VIII-ის მეფობის პერიოდში დაბრუნებია სამეფო ხელისუფლებას: დევი ბერძენიშვილი, დმანისხევი, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 141.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, მონღოლობის დროს საქართვლოს მეფე ვახტანგ III დმანისში დაუკრძალავთ: *ქართლის ცხოვრება, ტომი II,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1959), 310.

XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად განადგურების შემდეგ, დმანისმა, როგორც ქალაქმა არსებობა შეწყვიტა და ამიერიდან, ამ სახელით

მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში, ბარათაშვილების საფეოდალო სახლის მიერ აღდგენილ ციხეს და მიმდებარე, მცირე დასახლებულ პუნქტი მოიხსენიებენ.

ეს უკანასკნელი პერიოდი დმანისის ისტორიისა, ცდება ჩვენი საკვლევი თემის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. თუმცა, გვიან შუა საუკუნეების წყაროებს ნაშრომში გამოვიყენებთ უფრო ადრეული, დმანისის ქალაქობის დროინდელი საკითხების, ტრადიციების რეკონსტრუქციისთვის.

დმანისის კვლევის კუთხით ისტორიული წყაროების ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც დმანისის ნაქალაქარისა და ისტორიული დმანისხევის ტერიტორიაზეა გამოვლენილი ან უშუალოდ დაკავშირებულია დმანისთან.

ამ ლაპიდარული წარწერებიდან რამდენიმეს აღვნიშნავთ, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, გამომდინარე იქიდან, რომ დმანისის ქალაქობის ხანას განეკუთვნებიან.

დმანისის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს მისი, როგორც ციხე-ქალაქის მოხსენიება სამხედრო გამარჯვების აღსანიშნავ ტექსტში, ისტორიულ ლორე-ტაშირში, ტავუშის პროვინცია (სომხეთის რესპუბლიკა) ქალაქ ნოემბრიანში (ძველი ბარანა), რომელიც უშუალოდ ესაზრვრება მარნეულის მუნიციპალიტეტს (საქართველო). აქ აღმოჩენილ, ქვაზე ამოკვეთილ ცხრასტრიქონიან ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლში, საუბარია მეფე დემეტრეს ათაბაგისა და ამირპასალარ ივანე აბულეთისძის მიერ დმანისის აღებაზე და იქ ციხის ოთხ თვეში აგებაზე (სავარაუდოდ იგულისხმება ციხის ხელახალი აგება-გამაგრება): აკაკი შანიძე, ვასილ ცისკარიშვილი, ბარანის ციხის წარწერა, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №11,* (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968), 17-26. წარწერა გიორგი ოთხმეზურის ვარაუდით დემეტრე I-ის (1125-1156) ხანაში, 1129 წლისთვის უნდა იყოს შესრულებული: გიორგი ოთხმეზური, ბარანის ციხის წარწერის თარიღისათვის, *საისტორიო კრებული, წელიწდეული, №5* (თბილისი: მხედარი, 2015), 201-215.

დმანისთან დაკავშირებული, უაღრესად საინტერესო ახალი ეპიგრაფიკული მასალა შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემით: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* ავტორ-შემდგენლები: გიორგი ოთხმეზური, ალექსანდრე ბოშიშვილი, შოთა მათითაშვილი, ირინე მირიჯანაშვილი, ნიკოლოზ ჟღენტი, დიმიტრი ცუცქირიძე, ელზა ხაინდრავა (თბილისი: 2017). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წარწერა მოთავსებული დმანისის სიონის სამხრეთი მინაშენის ფასადზე რომლის აქამდე წაკითხვაც ვერ ხერხდებოდა. ავტორთა მიხედვით ქორონიკონიანი წარწერა სავარაუდოდ 1142 წელს უნდა იყოს შესრულებული და იგი საამშენებლო წარწერის ხასიათს ატარებს. წარწერაში საუბარია დმანისის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის, თუ განახლების განსრულებაზე და მეფის (სავარაუდოდ იკითხება დემეტრე I) მიერ დმანისში ეპისკოპოსის დასმაზე (*ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი...* გვ. 142-146).

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭის წარწერები. მათგან ორი დასავლეთის ფასადზეა ამოკვეთილი, ხოლო მესამე მოთავსებულია კარიბჭის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთის თაღზე. ფასადის წარწერებიდან ერთ-ერთი საამშენებლოა, მასში მოხსენიებულია კარიბჭის მაშენებელი ეპისკოპოსი თევდოსი კალონპეტის-ძე და მეფე ლაშა-გიორგი, დათარიღებულია XIII საუკუნის 10-იანი, 20-იანი წლებით: ლევან მუსხელიშვილი, დმანისი: ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 389. ფასადის მეორე წარწერა ეკუთვნის დმანელ მამამთავარს, რომელსაც საგადასახადო დავა დმანისის მრევლის სასარგებლოდ გადაუწყვეტია, როცა ქორწინებისთვის დაწესებული გადასახადი საერთოდ გაუუქმებია. ამავე ტექსტში ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოხსენიებულია ლაშა-გიორგის (1210-1223) შვილი დავითი, მომავალი დავით VII (1247-1270). წარწერა XIII საუკუნის I ნახევრით თარიღდება: ვალერი სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, *დმანისი ტ. II*, (თბილისი: მეცნიერება, 2000), 236, 246. კარიბჭის შიგნით, სვეტის თაღზე ამოკვეთილი წარწერაც სააღმშენებლო შინაარსისაა და ვინმე აფრიდონის

მხრიდან მშენებლობისთვის გაწეულ შემოწირულობაზე გვამცნობს: ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტ. IV,* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 50.

დმანისში მართველობის ფორმების საკითხისთვის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ნაქალაქარის სიახლოვეს, საყდრისქედის ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილი, ლაშა-გიორგის თანამედროვე დმანისელი ამირის, იობ მიხრიკისძის წარწერა: დევი ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXIII, 3,* (თბილისი: მეცნიერება, 1964), 751; ვალერი სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, *დმანისი ტ. II*, (თბილისი: მეცნიერება, 2000), 245. ამავე ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილ ხუდადისძეთა ცოცხალთა მოსახსენებელში ჩამოთვლილი არიან ოჯახის წევრები: მხეცი, ინაი, გიორგი, იაკობი, ბეშანგი და მარიამი, ხოლო გარდაცვლილებში გიორგი და მისი მეუღლე მარიამი. ამავე წარწერის დასასრულს მოსდევს ტიკნაც ტიკინისი ვარდერისი და ხუფრაც ტიკინიცი-ს მოსახსენიებელიც: ვახტანგ ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 152-173; *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* (თბილისი: 2017), 29-31, 168-169. ჩვენი თემისთვის განსაკუთრებით ეს ორი უკანასკნელი პიროვნებაა საინტეროსო, გამომდინარე მათი წარმომავლობის მიმანიშნებელი სახელებიდან. ტიკნაც ტიკინისი ვარდერისი და ხუფრაც ტიკინიცი სავარაუდოდ სომხური წარმოვლობის ქალბატონები არიან. მათი დმანისის წარჩნებულთა წრისადმი კუთვნილება აშკარაა, რაც მეტად საინტერესო სურათს იძლევა დმანისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გასაანალიზებლად. ამავე დროს, მოხსენიებული პირების დმანისის ქართული საზოგადოებაში, მაღალ სოციალურ და კულტურულ სივრცეში წარმოჩენა, დმანისის სომხური მოსახლეობის „გაქართველების“, ქალკედონიზაციის ტენდენციების მანიშნებელია.

დმანისხევის სამეფო დომენის განსაზღვრული პუნქტების სამამულო მფლობელობაზე მიუთითებს დმანისის სიახლოვეს ნასოფლარ ვარძაგარაში (დღევანდელი სოფელი ჰამამლუ) ეკლესიის კედლებში ჩაყოლებული წარწერები, სადაც თამარ მეფე და ერისთავი კახა, სავარაუდოდ, თორელი არიან მოხსენიებულნი, ასევე ბეღელას ძე ოქროპირ და მისი მეუღლე კრავაჲ. აქვეა აღმოჩენილი ამავე პერიოდის ეპიტაფიიანი ქვაχვარი – მემორიალური ძეგლი ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც ასევე დმანისის ქალაქობის პერიოდს უკავშირდება და მსგავსი ტიპის ძეგლების იშვიათობას წარმოადგენს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში: დევი ბერძენიშვილი, ვარძაგარა, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 66-75.

დმანისის მოსახლეობის ეთნიკური, კონფესიური და სოციალური კუთვნილების საკითხისთვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს დმანისის ნაქალაქარის სამაროვნიდან მომდინარე არაბული და სომხურწარწერიანი საფლავის ქვები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება: Вера Александровна Крачковская, надгробние надписи из Дманиси, *Эпиграфика Востока, т, V,* (Москва-Ленинград: 1951), 21-32: ლეონ მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 153-161; ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება, 1965).

ძირითადი საკვლევი საკითხები და გამოყენებული მეთოდოლოგია

წლების განმავლობაში ნაქალაქარ დმანისის შესწავლა სხვადასხვა მიმართულებით წარმოებდა. ესაა ქალაქის პოლიტიკური ისტორია, მასთან დაკავშირებული ისტორიული წყაროთმცოდნეობა, დმანისის საფორტიფიკაციო სისტემები, ნაქალაქარის ცალკეული ნაგებობის კვლევა, დმანისიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალის – კერამიკის, ნუმიზმატიკური მონაპოვრის შესწავლა, იმპორტის გზით მოხვედრილი არქეოლოგიური მასალის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ფონზე ინტერპრეტირება და ა.შ.

ჩვენი კვლევის მიზანი და სურვილი იყო ნაკლებად შესწავლილი საკითხების წინ წამოწევა, ამ მიმართულებით უფრო დეტალური კვლევის წარმართვა.

ასეთად დავისახეთ დმანისის ქალაქობის ხანის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების საკითხები, ქალაქ დმანისის გეგმარებითი სტრუქტურის პრინციპები, მის შემადგენელ ცალკეულ სეგმენტთა კვლევა.

ნაშრომში ვეცდებით ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

როგორი იყო ქალაქ დმანისის ურბანული სურათი?

ქალაქის რომელი სტრუქტურული სეგმენტები (შიდა და გარე უბნები) შეიძლება გამოვყოთ და რა ნიშნით?

როგორი დინამიკით მიმდინარეობდა ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური სურათის ცვლილებები?

რა ფაქტორები განაპირობებდა ამ ცვლილებებს?

იყო თუ არა ამ ცვლილებების მიზეზი პოლიტიკური ფაქტორი?

რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქალაქ დმანისის გათხრებისას გამოვლენილი საკულტო და მემორიალური ხასიათის

ძეგლები და სხვა არქეოლოგიური მასალა ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების თაობაზე?

თემის აქტუალობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ არჩეულია კვლევის ინტერდისციპლინური მიმართულება. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ჰუმანიტარულ, ისე საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური კვლევების სფეროებს.

კერძოდ: წყაროთმცოდნეობითი კრიტიკული ანალიზის მეთოდი; შედარებითი პალეოგრაფიული კვლევის მეთოდი; ნივთიერი მასალის (მათ შორის არქეოლოგიური არტეფაქტების) ისტორიულ-შედარებითი, სტილისტურ-შედარებითი, ხელოვნებათმცოდნეობითი და ხუროთმოძღვრული ანალიზის მეთოდი; საველე-არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდები; გამოვლენილი უძრავი ობიექტებისა და არქეოლოგიური მასალის შეფარდებითი (სტრატიგრაფია, ტიპოლოგია და სხვ.) მეთოდები; გეო-საინფორმაციო, ტოპოგრაფიული კვლევის მეთოდი; ქალაქგეგმარებითი და ნივთიერი მასალის 3D მოდელირების მეთოდი.

კვლევის უმთავრესი შედეგები

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი არქეოლოგიური მონაცემები (ეპიტაფიებიანი საფლავის ქვები, კერამიკული ნაკეთობები, ლითონის, მინის ნაწარმი და ა.შ.).

ნაშრომში წარმოდგენილია, უშუალოდ ჩვენ მიერ სადოქტორო ნაშრომის მომზადების პროცესში შესრულებული, ქალაქგეგმარების ამსახველი ტოპოგრაფიული რუკები, 3D განზომილებიანი მოდელები და ცალკეული ხუროთმოძღვრების ძეგლების არქიტექტურული ანაზომები, (არსებული და განახლებული ან ახალშექმნილი) სხვადასხვა ფოტომასალა.

ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგად ნაშრომში წარმოჩინდა დმანისში, ასევე საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ნაქალაქართა მაგალითზე სუსტად შესწავლილი საკითხები, როგორიცაა: ქალაქის სტრუქტურული ერთეულები, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და კონფესიური სურათი.

მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური საკითხების შესწავლისთვის წარმოდგენილია მასალები სხვადასხვა ეთნოსთა და კონფესიათათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო, საკულტო და მემორიალური ძეგლების ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ.

წარმოვადგენთ დმანისის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებათა დინამიკას, მის განმაპირობებელ ფაქტორებს.

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ახალი, დღემდე შეუსწავლელი მასალა განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების შესახებ.

ნაშრომში გამოვთქვამთ ახალ ვარაუდებს შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის დასაქმების სფეროების, სოციალური და ეთნიკურ-კონფესიური დიფერენციაციის, მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებების შესახებ; ახლებურად ვიხილავთ პრობლემატიკას დმანისის ქალაქობის ეპოქაში ქვემო ქართლის რეგიონსა და ზოგადად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესთა ფონზე.

თავი 1. დმანისის შუა საუკუნეების ნაქალქარი

1.1. ნაქალაქარის აღწერა

საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში, ქვემო ქართლში მდებარე დმანისი მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია (ილუსტ. 1). აქ წარმოდგენილია სამი ძირითადი სხვადასხვა ეპოქა – ქვედა პალეოლითის სადგომ-ადგილსაპოვებლი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი და შუა საუკუნეების ქალაქის ვრცელი არქეოლოგიური, ისტორიულ-არქიტექტურული ნაშთები. ეს უკანასკნელი ჩვენი კვლევის უშუალო საგანია.

ილუსტრაცია 1. საქართველოს რუკა. დმანისის ნაქალაქარი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი)

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი (მოიცავს 13 ჰა) მდინარეების, მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან წარმოქმნილ ხერთვისში, მაღალ ვულკანურ კონცხზეა განლაგებული (ილუსტ. 2-5). გალავნითა და შიდაციხით დაცულ ქალაქის ტერიტორიას სამხრეთიდან მთის ფერდობზე მდებარე ქალაქის სამაროვანი (დაახ. 25 ჰა) აკრავს (ილუსტ. 3). მდინარე მაშავერას ხეობაში, ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქის ერთ-ერთი გარეუბანი – კლდეში ნაკვეთი, ოთხ იარუსად განლაგებული ათეულობით კლდის სახლია შემორჩენილი. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ სოფელ პატარა დმანისის ადგილას შემორჩენილია საზოგადოებრივ აბანოთა სამი კომპლექსი (ილუსტ. 3, 55). აქვე, ძველ საქარავნო გზასთან, უნდა არსებულიყო ფუნდუკ-ქარვასლები და სხვა სავაჭრო ადგილები.



ილუსტრაცია 2. მდინარეების, მაშავერასა და ფინეზაურის ხერთვისი. ნაქალაქარი დმანისი. 3D მოდელი. ავტ. ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

ილუსტრაცია 3. დმანისის არქეოლოგიური ძეგლი. მარშრუტები: 1. ვიზიტორთა ცენტრი; 2. დმანისის სამაროვნის ქრისტიანული უბნის მემორიალური ძეგლები; 3-4 სამაროვნის ისლამური მემორიალური ძეგლები, მავზოლეუმები (3. №1 „აგურის მავზოლეუმი“; 4. „ქვის მავზოლეუმი“); 5. შიდაციხე (დმანისელი ამირის სასახლე, აბანო; მარანი.); 6. დმანისის სიონი, მარინეს ეკლესია, სამრეკლო; 7. ქალაქის საიდუმლო გვირაბი; 8. საველე-არქეოლოგიური მუზეუმი (არქეოლოგიური გათხრების ტერიტორია, საგამოფენო და საგანმანათლებლო აქტივობის სივრცეები), ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“; 9. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მუსლიმური სასწავლებელი – მედრესე; 10, 11, 12. შუა საუკუნეების საზოგადოებრივ აბანოთა კომპლექსები; 13. დმანისის სამეცნიერო-კვლევითი ბაზა, ლაბორატორიები, აუდიტორია. 3D განზომილებიანი მოდელი და აეროფოტო. ავტ. ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია ნაქალაქარადაა ქცეული, აქ დღეისთვის მაინც იკითხება ოდესღაც ძლიერი ქალაქის სტრუქტურული ნაწილები: 1. ქალაქის თავდაცვითი სისტემა – შიდაციხე, ქალაქის გალავანი და კარიბჭე, საიდუმლო გვირაბი; 2. ქალაქის შიდაუბნები (რელიგიურ-ეთნიკური, საწარმოო ტერიტორიები); 3. ქალაქის გარეუბნები – სამოსახლო, სავაჭრო, სამეურნეო-საწარმოო, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილები; 4. ქალაქის სამაროვანი; 5. ქალაქის ეკონომიკური რაიონი ქალაქისპირა სოფლებით; 6. ქალაქზე გამავალი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო გზები და გზებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა (ილუსტ. 3-6).

ადრეულ შუა საუკუნეებში დმანისში დაბის ტიპის დასახლების არსებობა არქეოლოგიურადაა დადასტურებული.[2] IX საუკუნიდან აქ ციხის აშენება და ქალაქის ეტაპობრივი ჩამოყალიბება იწყება. წერილობით წყაროებშიც დმანისი სწორედ ამ პერიოდიდან იჩენს თავს, კერძოდ „მატიანე ქართლისაჲში“.[3] დმანისის ქალაქობის პირველ ეტაპზე – IX-XI სს-ში, ის არაბების, ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს და თურქ-სელჯუკთა მფლობელობაშია.[4] შემდგომ, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, დმანისი ქართველ მეფეთა სამეფო ქალაქი ხდება.[5] აქედან მოყოლებული ქალაქს უკვე მეფის მიერ დანიშნული მოხელე – ამირა მართავს.[6] XII-XIV საუკუნეებში, ქალაქობის მეორე ეტაპზე, დმანისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, სამეფოს სამხრეთი

---

[2] ჯუმბერ კოპალიანი, *დმანისის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* (თბილისი: საქართველო, 1996), 62-63; Джапаридзе Вахтанг, Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1980), 272-273.

[3] *ქართლის ცხოვრება, ტომი I,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955), 257.

[4] ქეთევან ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია),* (თბილისი: მთაწმინდელი, 2001), 102.

[5] ქართლის ცხოვრება, ტომი I, 340-344.

[6] დევი ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXIII, 3, (თბილისი: მეცნიერება, 1964).*

საზღვრის თავდაცვითი სისტემის ნაწილი ხდება[7] და საქართველოს სამეფოს საერთო სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩართული, თავისი განვითარების მაქსიმუმს აღწევს. დასტურდება აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გარესამყაროსთან.[8] ამ ყოველივეს კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად ქალაქის მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარეობაც განაპირობებდა.[9]

ილუსტრაცია 4. დმანისის ნაქალაქარი. ხედი სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი (2018).

---

[7] ჯუმბერ კოპალიანი, *ქვემო ქართლის თავდაცვითი სისტემა შუა საუკუნეებში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* ავტორეფერატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევითი ცენტრი, (თბილისი, 2002). 43-44.

[8] *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. 1.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს შესახებ არსებული წყაროების შემსწავლელი კომისია, არაბული ტექსტი თარგმნა და შესავალი დაურთო ე. სიხარულიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1964), 57.

[9] ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 19-37.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ქალაქში დაწინაურებული ჩანს ვაჭრობა, ხელოსნობის დარგები: მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის,[10] მინის ნაწარმის წარმოება,[11] მეტალურგია, საფეიქრო საქმიანობა და ტყავის დამუშავება,[12] მცენარეული ზეთის წარმოება[13] თუ სხვ. დმანისში არსდება ზარაფხანა და იჭრება სპილენძის ფული,[14] იზრდება ქალაქის მოსახლეობა. დმანისი ყალიბდება, როგორც აღმოსავლურ-ქართული მრავალეთნიკური ქალაქი. მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებები კარგადაა ასახული ქალაქის სამაროვანზე ისლამურ-არაბული[15] და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების[16] გაჩენით და ასევე უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე

---

[10] მარინე მიწიშვილი, *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს.* (თბილისი: ხელოვნება, 1969), 69-71.

[11] მერი ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში,* (თბილისი: მეცნიერება, 1978), 39; Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Мгеладзе Нугзар, Гочиашвили Мери, Болквадзе Гиви, Бугианишвили Тамаз, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году* / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 115-117.

[12] კერესელიძე თინათინ, *ძვლის ნივთების კატალოგი (მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდების მიხედვით)* (თბილისი: მეცნიერება, 1978), 13-17.

[13] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 69.

[14] *ფული საქართველოში,* შემდგენელი: იულონ გაგოშიძე, მერი ანთაძე, ციალა ღვაბერიძე, მედეა წოწელია, თინათინ ქუთელია, მედეა შეროზია, (თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკის გამომცემლობა, 2000), 54; ჯალაღნია ირინე, ჯაფარიძე ვახტანგ, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V,* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 20.

[15] კახიანი ცისია, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965); ვახტანგ ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984)* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 18-27.

[16] მელიქსეთ-ბეგი ლეონ, დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 158-161.

ქართული ეკლესიების გვერდით სომხური მცირე ეკლესიების, მეჩეთებისა და მუსლიმური სასწავლებლის, მედრესეს აგებით.[17]



ილუსტრაცია 5. დმანისის ნაქალაქარი, გეგმა. 1. შიდაციხე; ქალაქის კარიბჭე; 3. საიდუმლო გვირაბი; 4. დმანისის სიონი; 5. „ზემო უბნის ეკლესია"; 6. „ქვემო უბნის ეკლესია"; 7. „მინარეთიანი მეჩეთი"; 8. „ბურჯიანი მეჩეთი". მდ. მაშავერასა და ფინეზაურის შესართავი, რელიეფის სიმაღლის ციფრული მოდელი. გ. კოპალიანი, ჯ. ჩხვიმიანი, ვ. მამიაშვილი (2019)

XIV საუკუნის ბოლოს ქალაქი თემურ ლენგის შემოსევათა შედეგად ნადგურდება და აქედან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდე, დმანისის ხსენებისას იგულისხმება არა ქალაქი, არამედ ბარათაშვილთა საფეოდალო გვარის მიერ აღდგენილი ციხე და სოფლის ტიპის მცირე სამოსახლო პუნქტი. ამის გამოხატულებაა XVII საუკუნის ერთ-ერთ წარწერაში (ქვევრზე) დმანისის მთავარი საკათედრო ტაძრის მოხსენიება, როგორც „სოფლის ეკლესიისა".[18]

[17] ჩხვიმიანი ჯიმშერ, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B),* (თბილისი, 2011), 217-218.

[18] კოპალიანი ჯუმბერ, წარწერიანი არქეოლოგიური მასალა დმანისის შიდა ციხიდან, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 81.



ილუსტრაცია 6. დმანისის ნაქალაქარი და სამაროვანი. სადოქტორო ნაშრობის ფარგლებში შექმნილი სიტუაციური გეგმა. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ტოპოგრაფიული, საველე-არქეოლოგიური ანაზომების მონაცემების და ჩვენ მიერ გაწეული გეოსაინფორმაციო სამუშაოების შეჯერების შედეგად. გ. კოპალიანი, ჯ. ჩხვიმიანი (2019)

1.2. ნაქალაქარ დმანისის ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები დმანისის სიონი

დმანისის სიონი ფრიად დიდი ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიაა. ეკლესიის შვერილი აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა. მინაშენების გარეშე ტაძრის მთავარი ნავის ზომები 23x12 მეტრს უდრის. სწორედ ტაძრის ამ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე შედარებით ნაკლებად შეცვლილი და თავდაპირველი სახით (ილუსტ. 7-8).

ეკლესიის მთავარი და გვერდითი ნავები ნაშენია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის, ასევე სხვადასხვა ფერის ტუფის ქვის კვადრებით, უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვებით და ე.წ. „ქართული აგურით". ეკლესიის კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილი – ნაგებობის კუთხეები, აფსიდის ნაპირები და სხვ., ამოყვანილია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით.[19]

ილუსტრაცია 7. დმანისის სიონი. ხედი სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი

[19] *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3,* მთ. რედ. ირ. აბაშიძე, (თბილისი: სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, 1978), 594-595.

ტაძარს სამხრეთის მხრიდან მიშენებული აქვს კარიბჭე და სანათლავი, ხოლო ჩრდილოეთიდან სამკვეთლო, რომელზედაც დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი ოთხკუთხა ნაგებობა-ოთახია მიდგმული. ტაძრის კარნიზი სადა, თლილი ქვებისგანაა შედგენილი. სარკმელები შემოსილია წითელი ტუფის კვადრებით. ეკლესიას მრავლად ეტყობა გადაკეთება-შეკეთების კვალი: აქა-იქ უწესრიგოდ ჩასმული სხვადასხვა ფერის ქვები, აგური და სხვ.; მთავარი ნავის დასავლეთი კედლის სარკმლის თავზე და აფსიდის სარკმლის ზემოდან ჩასმულია წითელი ტუფის ჯვრები; ფასადთა კუთხეებში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ნათალი ქვები.[20]

ეკლესიის მთავარი ნავის კედლები და სწორკუთხოვან პილასტრებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული მოყვანილობის საბჯენი თაღები გამოყვანილია აგურნარევი ქვით. ინტერიერის კედლები სრულად ყოფილა შელესილი. საკურთხეველში და მის მიმდებარედ – ტაძრის გარკვეულ მონაკვეთებში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები.[21]

საინტერესოა ის ადრეული სტელებისა და საფლავის ქვების ფრაგმენტები, რომლებიც უკვე მოგვიანო ხანაში გამოუყენებიათ ეკლესიის განახლებისას. ასეთი რამდენიმეა: ეკლესიის სამხრეთი კარიბჭესა და საკურთხევლის დაბალი ქვის კანკელში ჩაშენებული არაბულწარწერიანი[22] და ჯვრისგამოსახულებიანი საფლავის ქვები ხოლო, კანკელის სამხრეთ კუთხეში სტელის კაპიტელის ფრაგმენტი (ზომ. 0.32x0.25 მ). ამ ადრე შუა საუკუნეების სტელის წახნაგზე მოცემულია საინტერესო ბარელიეფი – ანფასში მდგარი ორი მამაკაცი და მათ შორის მაღალ ბუნზე აღმართული ტოლმკლავებიანი ჯვარი. ჯვრის ბუნი დაბალ კვარცხლბეკზე დგას. მამაკაცის ორივე ფიგურას მარჯვენა ზეაღმართულ ხელში სავარაუდოდ სამფურცლა ყვავილი უჭირავს.

---

[20] ლევან მუსხელიშვილი, დმანისი: ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938). 363-364.

[21] მუსხელიშვილი, დმანისი. 365-366.

[22] ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965), 39, ტაბ. XXVI, სურ. 25.



ილუსტრაცია 8. დმანისის სიონი. გეგმა, ჭრილი. ე. თაყაიშვილის (1924), ლ. მუსხელიშვილის (1937) და გ. ბოლქვაძის მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2019)

გამოსახულ მამაკაცებს წელზე შეკრული, მუხლს ქვემოთ ჩამოსული და რკალივით ბოლოგამოყვანილი კაბები აცვიათ. წელზე კი ბალთიანი სარტყლები აკრავთ და ერთნაირი ქუდები ახურავთ. მარცხენა მამაკაცის შემთხვევაში მაღალყელიან ფეხსაცმელს ვხედავთ. სტელის კაპიტელის კანკელის კედლიდან გამოღების შემდეგ მის მეორე წახნაგზეც გამოსახულება გამოჩნდა. აღნიშნულ წახნაგზე ვარსკლავი და მხედარია გამოსახული. სამართლიანად, ვახტანგ ჯაფარიძეს აღნიშნული სტელის ფრაგმენტი ადრე შუა საუკუნეების სტელების ჯგუფში შეყავს.[23]

დმანისის სტელის ფრაგმენტზე გამოსახული ადამიანები ჩაცმულობით მსგავსებას ავლენენ ბრდაძორის მცირე ქვის სვეტის (VI ს) ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულ წარჩინებული ოჯახის წევრების ჩაცმულობასთან. ბრდაძორის სტელაზე მაღალი სოციალური წრის ოჯახის წევრების გამოსახულებების ჩაცმულობაში სასანიდური ირანის დიდგვაროვანთა ჩაცმულობის სტილს ხედავს დევი ბერძენიშვილი. მისივე მოსაზრებით, ერთ-ერთ ფიგურას მარჯვენა ხელში ყვავილის სიმბოლო უკავია, რომელიც, შესაძლოა, მის განსაკუთრებულ სტატუსს უსვამდეს ხაზს და ის შესაძლოა წოფის ხევისუფალიც ყოფილიყო.[24]

სიონში გამოსახული ყვავილის მსგავს ფორმას, სამფურცლა ლოტოსს (ან ზამბახს) ვხვდებით დმანისის რაიონულ ცენტრში (ძვ. ბაშკიჩეთი) აღმოჩენილ სტელაზე, სადაც, იგი ასევე „ირანულ“ სტილში შემოსილ მამაკაცის ფიგურას ზეაღმართულ მარჯვენა ხელში უჭირავს.[25]

---

[23] ვახტანგ ჯაფარიძე, *ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან,* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 46-47.

[24] დევი ბერძენიშვილი, დებედის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, *ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან,* (თბილისი: სეზანი, 2014), 367-369.

[25] გიორგი ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები,* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), 27, ტაბ. LV, სურ. 1.

სამფურცლა ყვავილი გვხვდება დმანისის სიახლოვეს, სოფელ განთიადთან არსებულ ნასოფლარ ნაგზაურას საეკლესიო კომპლექსში აღმოჩენილ VI საუკუნით დათარიღებულ სტელაზეც. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, სტელის ერთ-ერთ სცენაში გამოსახულ ორ მამაკაცთაგან ერთ-ერთს ზეაღმართულ ხელში ზამაბახისებრი ყვავილი უკავია. კიტი მაჩაბელის მოსაზრებით, ყვავილი-ინსიგნია სასანური ირანიდან, ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარე მოტივია. ყვავილი ხელში კი პიროვნების მაღალ ფეოდალურ სტატუსს უსვამს ხაზს, რასაც სპარსული იერის, ქართლის წარჩინებულთა საზოგადოებაში დამკვიდრებული კოსტუმის, ფიგურაში გამოსახული პიროვნების ჩაცმულობაც ემატება.[26]

როგორც ვნახეთ, ყვავილის სიმბოლურ გამოსახულებასა ადრე შუა საუკუნეების ქართლის საზოგადოების მაღალი სოციალური წრის ჩაცმულობის სტილს ვხვდებით დმანისშიც, საკურთხეველში ჩაშენებულ სტელის ფრაგმენტზე გამოსახული პიროვნებების შემთხვევაშიც. სხვა თანადროულ სტელებთან პარალელების გავლების შემთხვევაში შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დმანისის სტელაზეც, შესაძლოა, მაღალი იერარქიის პიროვნებები იყვნენ გამოსახული, სავარაუდოდ ადგილობრივი ხელისუფალნი.

სავარაუდოდ, აღნიშნული სტელის ფრაგმენტი ეკლესიის მშენებლობისთვის, როგორც სამშენებლო-შესამკობი მასალა ახლო მანძილიდანაა მოტანილი ან შესაძლოა უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე ყოფილიყო აღმართული.

აქვე, შევნიშნავთ, რომ ლევან მუსხელიშვილი ამ ორი მამაკაცის ჩაცმულობაში, კერძოდ კი ქუდებში, XIII-XIV საუკუნეების ათაბაგთა თავსაბურავების მხატვრულ გადმოცემას ხედავდა.[27]

---

[26] კიტი მაჩაბელი, *ქართული ისტორიული კოსტუმი (V-X საუკუნეები),* (თბილისი, 2013), 29-33.

[27] მუსხელიშვილი, დმანისი. 367.

ადრეული სტელების ფრაგმენტებიდან, საინტერესოა ასევე ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩასმული წითელი ქვა, რომლის ცალ პირზე გამოქანდაკებულია კვარცხლბეკიან მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი.[28]

დმანისის სიონის კედლის მხატვრობის მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. შეიძლება ითქვას, რომ ფერწერული ზედაპირი მთლიანად ჩამოშლილია (ფრესკული მხატვრობას სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები 1986-1987 წლებში წარმოებდა ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ. რესტავრატორი - ა. გოგლიძე, რეკონსტრუქციები და ანალიზები – ი. იაკობაშვილი). ამდენად, რთულია სიღრმისეული მსჯელობა მხატვრობის იკონოგრაფიული შემადგენლობის, მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლებისა თუ შესრულების მანერის შესახებ.[29]

დმანისის სიონის კედლის მხატვრობა შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდსა და ჩრდილოეთ პილასტრებზე. აფსიდის მოხატულობა ორ რეგისტრადაა წარმოდგენილი. თავდაპირველად, ზედა რეგისტრში, თორმეტი მოციქულის ფიგურა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამჟამად, კი, მოციქულთა ფიგურების მხოლოდ სქემატური, ფრაგმენტული ნაწილები, სამოსის კალთები; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოციქულების შემთხვევაში ხელში დაჭერილი გრაგნილები; მეხუთე მოციქულთან ასომთავრული „რ“, იკითხება. რაც შეეხება აბსიდის ქვედა რეგისტრს, იგი ეკლესიის მამათა ფრონტალურ რიგს ეთმობა. მღვდელმთავართა რიგს აფსიდის კუთხეებში დიაკვანთა გამოსახულებები ასრულებს. ტრადიციული იკონოგრაფიული ელემენტებით წარმოდგენლი, წიგნებით ხელში გამოსახული მღვდელმთავრების სახეები დაზიანებების გამო ძნელად იკითხება, მაგრამ მათ ახლავთ ასომთავრული წარწერები. ჩრდილოეთით: წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმინდა ბასილი, წმინდა სკრიელი, წმინდა კირილე, წმინდა გრიგოლ საკვირველმოქმედი და დიაკვანი წმინდა სტეფანოზ. სამხრეთით: წმინდა იოანე

[28] მუსხელიშვილი, დმანისი. 364.

[29] ქეთევან მიქელაძე, დმანისის სიონის მოხატულობა, *საქართველოს სიძველენი 7-8* , (თბილისი, 2005), 240.

ოქროპირი, წმინდა ათანასე, წმინდა ნიკოლოზი, წმინდა ამბერკი, წმინდა სილიბისტროს და დიაკვანი წმინდა გერმანოს. აფსიდის ქვედა რეგისტრში გამოსახული ეკლესიის მამათა შუაში, აბსიდის სარკმლის ქვემოთ, ძალიან დაზიანებული სახით, მაგრამ მაინც იკითხება სწორკუთხა ჩარჩოში წარმოდგენილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება წარწერით „IC XC“. ამავე სარკმლის წირთხლებში, წარწერების მიხედვით, წმინდა მკურნალთა ფიგურებია გამოსახული: ჩრდილოეთის წირთხლზე – წმინდა დამიანე და წმინდა კოზმან სამხრეთის წირთხლზე. ასევე, კედლის მხატვრობით ყოფილა დამშვენებული აფსიდის ზემაც, რაზეც, აქ, ორ რეგისტრად შემორჩენილი გამოსახულებების ფრაგმენტები მეტყველებს. სამხრეთის ნაწილის ზედა რეგისტრში ერთი, ძალზე დაზიანებული ფიგურის (სავარაუდოდ რომელიმე წინასწარმეტყველი) ფრაგმენტებია. მის ქვემოთ, ქვედა რეგისტრში კი ორი ფიგურის ფრაგმენტია შემორჩენილი. ორი წმინდანის დაზიანებული გამოსახულებაა შემორჩენილი ასევე ბემის ჩრდილოეთ ნაწილში. არსებული წარწერების მიხედვით მარცხენა ფიგურა წმინდა იოანე ნათლისმცემელია, ხოლო მის მარჯვნივ გამოსახულია შუახნის მამაკაცი, ჭაღარაშერეული, მხრებზე დაშვებული თმით, წვერ-ულვაშით – წინასწარმეტყველი მალაქია. აფსიდის მოხატულობის ქვედა რეგისტრს რომბული ბადის სარტყელი, ხოლო აფსიდსა და აფსიდის ბემის თაღებს, პილასტრებს, ამჟამად ასევე ფრაგმენტული სახით შემორჩენილი მცენარეული ორნამენტები ამშვენებს.[30]

კედლის მხატვრობით უნდა ყოფილიყო შემკული ტაძრის მთავარი ნავის დანარჩენი კედლებიც. ამის შესაძლებლობას ის შიდა სივრცე იძლევა რომელსაც დაუნაწევრებელი მაღალი კედლები ქმნის. სავარაუდოდ, მონუმენტური მხატვრობის თავისუფლად განშლისა და განთავსების წინაპირობებს ქმნიდა ტაძრის ნაკლებად დაუნაწევრებელი სივრცე – მთავარი დარბაზის საკმაოდ განიერი და კედლების ხაზიდან დარბაზის ცენტრისკენ ღრმად შემოჭრილი მაღალი და მასიური პილასტრები.

[30] მიქელაძე, დმანისის სიონის მოხატულობა, 240-241.

ჩრდილოეთის კედლის, ჩრდილო-დასავლეთ პილასტრზე (დასავლეთიდან პირველ პილასტრზე), ორი პატარა კომპოზიციის ფრაგმენტია შემორჩენილი. ზედა ნაწილში – აღსაყდრებული ღვთისმშობელი ანგელოზებს შორის და ქვედა ნაწილში – „აბრაამის წიაღი“, ტახტზე მჯდარი აბრაამი გარშემორტყმული მართალთა სულებით. ასევე, ამავე სცენის შემადგენილი იკონოგრაფიული ელემენტებია სიცოცხლის ხე და ჯვარზე დაყრდნობილი მორწმუნე ავაზაკი. აღწერილი მხატვრობიდან განსხვავებით დიდი ზომის მონუმენტური ფიგურის მხატვრობის კვალი იკითხება მეორე პილასტრზე. აღნიშნულ პილასტრზე გამოსახულ ფიგურა თითქოს აღმოსავლეთისაკენ ვედრებითაა ხელგაწვდილი და მას სამეფო შესამოსელი აცვია. არ იკითხება ფიგურის სახე და თავი, თუმცა ჩანს შარავანდედი. პილასტრის ფიგურის ამ სამეფო გამოსახულებაში მკვლევარი ქეთევან მიქელაძე ლაშა გიორგის (1213-1223) პორტრეტულ გამოსახულებას ხედავს. მისივე მეფობის ხანაში შესრულებულად თვლის იგი დმანისისი სიონის დღესდღეობით შემორჩენილ და ჩვენ მიერ განხილულ მხატვრობას, როგორც ეკლესიის აფსიდში ისე ჩდილო-დასავლეთ პილასტრებზე. ერთი შენიშვნით, პირველი პილასტრის მხატვრობას, სცენებით, „აღსაყდრებული ღმრთისმშობელი“ და „აბრაამის წიაღი“, ავტორი შედარებით მოგვიანო პეროდს, XIII საუკუნის II ნახევარს უკავშირებს. ამავე დროს, ავტორი დმანისის ეკლესიის კედლის მხატვრობას კაზრეთის, სათხეს, თევდორეწმინდას, ფიტარეთის (I ფენა) და ბოსლების ეკლესიების მხატვრობებთან ერთად, ერთ საერთო ქრონოლოგიურ და ლოკალური-სტილისტურ ჯგუფში აერთიანებს. ამ ჯგუფის მხატვრობებიდან იგი დმანისის სიონის კედლის მხატვრობას ყველაზე ადრეულად მიიჩნევს და როგორც ვთქვით იგი მას ლაშა გიორგის მეფობის ხანას უკავშირებს, რომლის დროსც მოხდა დმანისისის სიონის ყველაზე მნიშვნელოვანი განახლება და როდესაც აშენდა დმანისის ტაძრის დასავლეთის კარიბჭე. შეჯამების და ავტორისეული შენიშვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ დმანისის სიონის მოხატულობაში, წამყვანად მეორედ მოსვლისა და ხსნის თემა დომინირებს.[31]

[31] მიქელაძე, დმანისის სიონის მოხატულობა, 241-255.

დმანისის სიონის ორ კართაგან ერთ-ერთი, დასავლეთის, თავდაპირველად მაღალი თაღოვანი შესასვლელი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდგომში საგრძნობლად დაუპატარავებიათ. სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც ეკლესიას დასავლეთის მხრიდან განსხვავებული მოყვანილობისა და სტილის ნაგებობა – დასავლეთის კარიბჭე მიაშენეს (ილუსტ. 9).

დასავალეთის კარიბჭე აგებული და მოპირკეთებულია კარგად გათლილი, მომწვანო-მონაცრისფრო ტუფის კვადრებით. შენობას მხოლოდ სამი კედელი აქვს, მეოთხის მაგივრობას კი დმანისის სიონის მთავარი ნავის დასავლეთი კედელი ასრულებს. კარიბჭის შიდა კედლები შელესილი ყოფილა ბათქაშით რომელიც დღეისათვის ალაგ-ალაგაა შემორჩენილი. კარიბჭის გადახურვა ჯვარედინია შიგნით აყვანილი ნახევარწრიული კამარით, რომელიც ოთხ სვეტზე დაყრდნობილ, უხვად მოჩუქურთმებულ თაღებზე დგას. ჭერსა და სახურავს შორის დარჩენილ ადგილში სამალავია მოწყობილი. კარიბჭის სამივე ფასადში ორ-ორი მოხდენილი, მრგვალი და კუთხოვანი თახჩაა ჩადგმული. მოჩუქურთმებულია შესავლის თაღი, კარნიზი, სვეტისთავები, ხარისხები და სარკმელები. კარიბჭის საუცხოოდ შესრულებული წნული და ხლართული სახეები, ფოთლოვანი და ყვავილოვანი მოტივები, უსასრულო მწკრივებად ენაცვლებიან ერთმანეთს.[32]

[32] მუსხელიშვილი, დმანისი, 371-378.

ილუსტრაცია 9. დმანისის სიონი, დასავლეთი ჯკარიბჭე. ხედი აღმოსავლეთით. ფოტო: ვ. მამიაშვილი (2017)

აღსანიშნავია, რომ საინტერესოდაა გაფორმებული დმანისის სიონის კარიბჭის ნიშის იმპოსტები (ილუსტ. 10-12). ისინი სამეფო გვირგვინით მდიდრულად მორთული რელიეფური კომპოზიციებითაა შემკული. ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთი ნიშის იმპოსტზე გამოსახულია ჯვარცმის სცენა. ჯვარცმის სცენა ჯვარცმული ქრისტეს გარეშე, მხოლოდ ჯვრის გამოსახულებითაა გადმოცემული. ჯვრის ორივე მხარეს გამოსახული ადამიანის ფიგურები შესაძლოა წმ. იოანე ღვთისმეტყველი და ღმრთისმშობელი იყვნენ. ჯვარცმის ამგვარი იკონოგრაფიული რედაქცია ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს ქართული რელიეფური პლასტიკის სცენებში. კიდევ ერთ სცენას, რომელსაც ჩრდილოეთ ფასადის დასავლეთი ნიშის იმპოსტში ვხვდებით, ესაა ფრინველთა ჰერალდიკური კომპოზიციით გამოხატული სამოთხის ჰარმონიის ასახვა. იმპოსტის ეს სცენა ორ

მოჩარჩოებულ კომპოზიციადაა გაყოფილი. მარცხენა ნაწილში დიდი ფრინველი და ბერტყი ერთმანეთს ეხებიან ნისკარტებით, ხოლო მარჯვნივ გამოსახული ფრინველი ბატკანს ეხება ნისკარტით. კიდევ ერთი სცენა რომელიც აღნიშვნის ღირსია სამხრეთის ფასადის ნიშის ორნამენტირებული იმპოსტის ქვეშ ფიქსირდება, ჰორიზონტალზე კვეთილი ლომების ჰერალდიკური კომპოზიციაა.[33]

კარიბჭიდან სიონში შესასვლელის მაღლა და გვერდებზე, ე. ი. სიონის დასავლეთ კედელზე ეტყობა ძველი კედლის მხატვრობა რამდენიმე ადამიანის ფიგურის ზედა ტანი. კარიბჭის იატაკი გვიან შუა საუკუნეებში საკმაოდ სახეშეცვლილია. შიდასივრცის იატაკი მოგებულია გვიან შუა საუკუნის საფლავის ქვებით.[34] სიონის დასავლეთ კარიბჭის შიგნით, მთვარი ნავის დასავლეთ კედელზე შესასვლელი კარის ორივე მხარს არსებულ შელესილობაზე შემორჩენილია ნაკაწრი და ფრესკული წარწერები. იკითხება ქართული, სომხური, არაბული და ბერძნული გრაფემები (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ).[35]





[33] თამარ დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე, თამარ ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება,* (თბილისი: სეზანი, 2017), 314, სურ. 6-16-619.

[34] მუსხელიშვილი, დმანისი, 379.

[35] ნიკოლოზ ჟღენტი, დმანისის სიონის დასავლეთ კარის შელესილობის ნაკაწრი *წარწერები, ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.,* (თბილისი, 2017), 239-276.

ილუსტრაცია 10. დმანისის სიონი, დასავლეთი კარიბჭე, ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ნიში დას. ფასადში; ილუსტრაცია 11. დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭე, დას. ფასადი; ილუსტრაცია 12. დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭე, ჩრდ. ფასადის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ნიში. ფოტოები: ჯ. ჩხვიმიანი (2013)

დასავლეთის კარიბჭეს სამი ასომთავრული წარწერა ამშვენებს: მთავარი წარწერა ამოჭრილია დასავლეთის ფასადის ცენტრალურ სიბრტყეზე, დიდი რელიეფური ჯვრის ორივე მხარეს (ილუსტ. 11).[36]

წარწერას შინაარსი ასეთია:

„† ს(ა)ხ(ე)ლითა || ღ(მრთისა)ჲთა და მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა || წ(მიდი)სა || ღ(მრთი)სმშ||[(ო)ბ(ე)ლ(ისაჲ)თა, და(ა)მ]ყ(ა)რ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ |[2] || მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფ(ო)ბ||(ა)ჲ გ(იორგ)ისი, რ(ომე)ლთა მ(იე)რ || ღ(ი)რს ვ||იქმ(ე)ნ მე || [მ](ი)წ(ა)ჲ მ(ა)თი . . . . ჭ თ(ე)ვ]||დ(ო)სი მ(ამათ)მ(თავარ)ი კ|[3]ალ(ო)ნპ(ე)ტ(ი)სძე აღშ||(ე)ნ(ე)ბ(ა)დ კ(ა)რ(ი)სბჭ(ი)სა ამის || ს(ა)დ(ი)დ(ე)ბ(ე)ლ||(ა)დ . . . [მ(ე)||ფ(ო)ბ(ი)სა მ(ა)თ(ი)სა დ[ა] |[4] მ(ო)ს(ა)ჴს(ე)ნ(ე)ბლად ცოდვ||ილისა ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისა, ბიძ(ა)ჲ||სა ჩ(ემ)ისა ა}||ნტ(ო)ნს, მშ(ო)ბ||(ე)[ლ]თა და . . . || ნთა { ს} მ(ათ)თათ(ჯ)ს, |[5] ღ(მრთ)ისა ს(ი)ყ(უა)რ(უ)ლისათ(ჯ)ს ლ(ო)ც(უა)სა || მოგ(უი)ჴს(ე)ნ(ე)ნიᲮ> რ(აჲთ)ა ღ(მერთმა)ნ || თქ(უე)ნცა || მ(ო)გ(ი)ჴს(ე)ნ| |[ნე]{ ს} . . . [ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)ლსა] მ[ისს]ა. ვინცა ესე |[6] დაწ(ე)რილი რაჲს||აც(ა) მ{იზ(ე){ზ(ი)ს}(ა)თ(ჯ)ს აღმ(ოშალო)ს ბ(რძანე)ბ(ა)||სა (?) კ{რ}(უ)ლმ||ცა არ||[ს] ღ(მრთ)ისა პ[ირთა, მკვ]დ(ა)||რი და ცოცხა|[7]ლი გ(ა)ნუჴსნ(ე)ლ(ა)დ, დ||ა ჩ(უ)ენ(ი)თ(ა)მცა ბრ(ა)ლთა მზღ||ვ(ე)ლი არს || დღ(ე)სა მ(ა)ს || გ(ა)ნკ(ი)თხ[(ვისა)სა] . . . || Ხ ს(ულ)ი თ(ე)ვდ(ო)სი მ(ამათ)მ(თავრი)ს(ა)ჲ.“[37]

[36] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტ. IV,* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 47-48.

[37] *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.,* (თბილისი, 2017), 161-162.

საამშენებლო წარწერის შინაარსის მიხედვით დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭის მშენებლობა ლაშა გიორგის (1210-1223) მეფობის ხანაში განხორციელებულა. აღნიშნული მშენებლობის ხელმძღვანელად დმანელი ეპისკოპოსი თევდოსი კალონპეტის-ძე[38] გვევლინება.

დმანელი ეპისკოპოსის თევდოსის მამის მსგავსი სახელი, პარუირ მურადიანის ამოკითხვით – „კალონაპე“, გვხვდება ტაშირში (სომხეთი), ჰნევანქის (ძელი ჭეშმარიტი) ქართული მონასტრის საფლავის ქვის ეპიტაფიებზე.[39] დევი ბერძენიშვილის ვარაუდით, ამ ორი სხვადასხვა ადგილის წარწერების საერთო ქრონოლოგიურობიდან გამომდინარე, ჰნევანქის საფავის ქვების ეპიტაფიებში მოხსენიებული იოსებ და კვირილე კალონაპეს ძეებს და დმანელ ეპისკოპოსს თევდოსის შესაძლოა საერთო მამა ჰყოლოდათ და ამდენად, ერთმანეთისთვის ძმები ყოფილიყვნენ.[40] ჰნევანქის მონასტრის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მკვლევარების, თემო ჯოჯუასა და გიორგი გაგოშიძის მოსაზრებით მამა კვირილესა და მამა იოსების ეპიტაფიებში მოხსენიებული, სავარაუდოდ მათი საერთო მამის სახელია – „კალონაპეტი“. ხოლო, დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული კალონაპეტი შესაძლოა არ იყოს იგივე პიროვნება და ამდენად არც ჰნევანქელი მამები – კვირილე, იოსები და დმანელი ეპისკოპოსი თევდოსი იყვნენ ძმები. თუმცა, მათივე ვარაუდით შესაძლებელია

---

[38] ლევან მუსხელიშვილი ქარაგმების გახსნის შემდეგ აღნიშნულ სახელს კითხულობს როგორც: „კალნაპეტის ძე“ ან „კალნაპატის ძე“ (მუსხელიშვილი, დმანისი, 385-386); ვახტანგ ჯაფარიძე იმეორებს მუსხელიშვილისეულ ქარაგმების გახსნას: „კალნაპეტის ძე“ (ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, 47-48); ასევე, – „კალნაპეტის ძე“, ხსნის ქარაგმებს ვალერი სილოგავა: ვალერი სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, *დმანისი ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 226. გიორგი ოთხმეზურისეული ქარეგმების გასნის შემდგომი წაკითხვა გახლავთ – „კალონპეტის ძე“: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. I, დმანისის რაიონი, V-XVIII სს.,* (თბილისი, 2017), 28.

[39] Պարույր Մուրադյան, Վրացերեն արձանագրությունները Հայաստանում, *Լրաբեր Հասարակական Գիտությունների, № 3,* (Երևան, 1966), 39. მურადიანი ჰნევანქის მონასტრის ი(ო)ს(ე)ბ მამის ეპიტაფიის ტექსტში მამამისის სახელს კითხულობს როგორც: „კ(ა)ლონ(ა)პე“, ხოლო კუირ(ი)ლეს შემთხვევაში ის ძეა „კ(ა)ლონაპე“-სი. იქვე, შენიშვნის სახით იგი გამოთქვამს ვარაუდს რომ „კ(ა)ლონ(ა)პე“/„კ(ა)ლონაპე“ შესაძლოა ბერძნული წარმოშობის სახელი იყოს (χαλον/χαλλιοπη).

[40] დევი ბერძენიშვილი, დმანისხევი, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 124.

ყველა ზემოხსენებული პიროვნება ერთი და იმავე ფეოდალური სახლის – კალონაპეტის-ძეთა საგვარეულოს ერთი ან სხვადასხვა თაობის წევრები იყვნენ.[41]

კიდევ ერთი, ზემოგანხილული დმანელი ეპისკოპოსის საამშენებლო წარწერის თანადროული წარწერაა განთავსებული კარიბჭის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთის სვეტის აღმოსავლეთის განის თაღზე.

წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

„ქ. ამის(ს)ა შ(ე)ნ(ე)ბ(ას)ა შ(ინ)ა შ(ე)სწ(ი)რა აფრ(იდო)ნ ლ (30) || დრ(აჰ)კ(ან)ი, დღე გ(აუ)კ(უეთე)თ აღ(ა)პ(ა)დ ღ(მრთი)ს(მშო)ბ(ლი)ს შ(ო)ბ(ა)ჲ. ვ(ი)ნც(ა) დ(აა)კ(ლო)ს კრ(უ)ლ(მ)ცა არს.“[42]

რიგით მესამე წარერა, რომელიც პირველი ორთან შედარებით რამდენიმე წლით მოგვიანო ხანის ჩანს, ამოტვიფრულია კარიბჭის დასავლეთი ფასადის მარცხენა ნიშის (თახჩის) თავზე.

წარწერის შინაარსი ასეთია:

„† სახ||[ე]ლ̣ითა ღ(მრ)თის(ა)ით[ა] [და] ̣მეოხ̅(ე)ბ(ი)თ̅[ა] |[2] ̣ყ̣(ოვლა)დ წ(მიდა)ჲსაჲ ღ||(მრთი)სმშობ[ელ(ი)ს(აჲ)]თ˝ა, [ესე] [დ](ა)წ(ე)̣რ̣||ჲ|[3]ლი ||[და] [ნ]ჲშ(ა)ნჲ, მ̣[ე], ̣დ̣||მ(ა)ნჲსის[ა] მ(ა)მ(ა)[დ][მთ(ა)ვ(ა)რმ(ა)ნ] [თ(ევ)დ(ო)სი] (?) [დ(ა)ვწ(ე)რე] |[4] ეკლეს(ი)ჲსა კა˝რ̅||˝ი̣ს˝ბ̅ჭე[სა] [შ(ი)ნა ჩე]||̣მსა შემოსუ[ლ](ა)სა ̣უს(ა)მ(ა)[რთლო] |[5] ˝ს˝ამ(ა)რთ(ა)ლჲ იქ(მ)ნ(ე)ბოდა – უმეყ||ვსოთ(ა) [და უქონოთა] || [ქ]̣ალ-ყმ(ა)თ[ა და] ˝მამა-დ̅[(ე)დ(ა)თა

[41] თემო ჯოჯუა, გიორგი გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები XII-XIII,* (თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2012-2013), 319-320;

2018 წელს სათხის ეკლესიის იატაკის გათხრებისას აღმოჩნდა XIII საუკუნის წარწერიანი საფლავის ქვა, სადაც ასევე მოხსენიებულია ვინმე ...კ(ა)ლონ(ა)პეტრ(ი)ს ძე... , რომელსაც ავტორი ამავე, კალონაპეტისძეთა საგვარეულოს აკუთვნებს: გიორგი გაგოშიძე, სათხის მონასტრის წარწერა, *არქეოპრესი,* (თბილისი, 2019), 56-58.

[42] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 162-164.

ქ(ო)რ]|[6]წ(ი)ნებად არ მო(უ)შუებდ(ე)ს ვი||(დ)რე ოქროსა არ || ̣ა(ი)ღებდეს. [ვ]ჲთა ̣დ̣ (?) მ[ართ]|[7]ალჲ ს(ა)მ(ა)რთალი იყო, ეგრე || ჩემსა დმ(ა)ნჲსისა || ̣ ̣მ̣(ა)მ(ათ)მთ(ა)ვრო ̣ბ̣(ა)სა შიგა [არაჲვისა]|[8]თუჲ̣ს̣ ამ(ი)ღია, დავჲთ(ი)ს [დ]̣ღ̣ეგრძელობჲ̣ს̣ა, |[9] და ვ(ი)ნც̣ ̣ ̣ა ̣შ(ე)მ̣დ||გ(ო)მ(ა)დ ჩემ ̣ს̣||ა̣ ა(ი)ღოს, |[10] წყევ(ა)სამ̣||[ცა] ქუეშე || არ̣ს, ვ̣ით|[11]ა ნესტორ |[12] დ(ა) ოროგჲ|[13]ნე, ა(მე)ნ.“[43]

ზემოწაკითხულ წარწერა უთარიღოა, თუმცა პალეოგრაფიული ნიშნებით ისიც XIII საუკუნეს ეკუთვნის. შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ დმანელ მამამთავარს (ეპისკოპოსს) მისივე მრევლის სასარგებლოდ გადაუწყვეტია ეკლესიასა და მრევლს შორის არსებული საგადასახადო დავა და იმ პერიოდში დმანისში არსებული წყვილთა ქორწინებისათვის განსაზღვრული საეკლესიო გადასახადი საერთოდ გაუუქმებია. წარწერის ტექსტში ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოხსენიებული დავითი, ლაშა-გიორგის უკანონო ვაჟი, მომავალი დავით VII ულუ (1247-1270) უნდა იყოს, რომელიც წარწერის შესრულების დროისათვის სავარაუდოდ მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო. დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის ეს წარწერა-აქტი თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ქალაქ ანისის ეტიფანე კათალიკოსის წარწერას, რომლის მიხედვითაც კათალიკოსს მსგავსი საგადასახადო დავა ანისში გადასახადის შემცირებით მოუგვარებია.[44]

ამდენად, ზემომოყვანილი სამივე წარწერა: საამშენებლო, მშენებლობასთან დაკავშირებული შემოწირულობის აქტი და საკანონმდებლო აქტი-წარწერა დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის აგების კონკრეტულ თარიღზე მიანიშნებს. ესაა, XIII საუკუნის 10-20-იანი წლები, მეფე ლაშა გიორგის (1210-1223) მეფობის ხანა.

კიდევ ერთი, დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭეზე მოცემული წარწერა რომელიც ასევე ქალაქობის პერიოდს უკავშირდება შესრულებულია წითელი საღებავით

[43] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 164-166.

[44] ვალერი სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000). 236.

– სინგურით. წარწერა ორ სტრიქონად შესრულებულია მინაშენის ჩრდილოეთ ფასადზე. წარწერის შინაარსი ასეთია: „დ დ დ |2 მ(ეო)ხ(ე)ბითა“.[45]

საყურადღებოა, რომ დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის არქიტექტურული მოწყობა თითქოსდა სიახლოვეს უნდა იჩენდეს სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ ნართექსების თავისებურ ვარიანტთან. საზოგადოდ ცნობილია, რომ დასავლეთის ნართექსის თემა ანუ „გავითი“, როგორც კონსტრუქციული ხუროთმოძღვრული სეგმენტი, სომხურ არქიტექტურაში X-XI საუკუნეებში წარმოიშვა და განსაკუთრებულ განვითარებას XII-XIII საუკუნეებში მიაღწია. ამავე დროს, გავითები იგებოდა გვიან შუა საუკუნეებშიც.

გავითების თემა სომხურ არქიტექტურაში უკვე ჩამოყალიბებული არქიტექტურული სეგმენტის სახით ჩანს ჰორომოსის მონასტერში, ქალაქ ანისის სიახლოვეს, ანისის მეფე ჰოვანეს-სმბატ III ბაგრატუნის (1020-1040) დროს განხორციელებულ მშენებლობაში.[46]

ჰორომოსის მონასტრის წმინდა იოანეს ეკლესიაზე დასავლეთიდან მიშენებული ნართექსი – „ზამატუნი“ ანუ „გავითი“ თავიდანვე აგებული იყო როგორც საგვარეულო დასაკრძალი სივრცე. მსგავსი ფუნქციით შენდებოდა გავითები შემდგომ პერიოდშიც. სომხურ არქიტექტურაში აღნიშნულმა ტენდენციებმა განსაკუთრებულად ხშირი ხასიათი XIII საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა. გავითების უმთავრეს ფუნქციას, როგორც დასაკრძალი სივრცეებისა, მათში მოწყობილი სამარხების და მემორიალების გარდა, კედლებზე არსებული წარწერებიც ადასტურებს. ხშირ შემთხვევაში, გავითების სახით

[45] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 166-167.

[46] Николай Токарский, *Архитектура Армении IV-XIV вв* (Ереван: Армгосиздат, 1961), 350-352.

ახალი მშენებლობების შემწირველნი თავად უკვეთავდნენ საკუთარ განსასვენებელ ადგილს.[47]

გავითების მშენებლობის ესოდენ ფართო გავრცელება ასევე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ეკლესიის მრევლის გაზრდასთან და დამატებითი სამლოცველო სივრცის შექმნის საჭიროებასთან. მათ სავარაუდოდ იყენებდნენ როგორც საზოგადოების თავშეყრის და სხვადასხვა საკითხების განსახილველ ადგილს, როგორც სატრაპეზოსა და ბიბლიოთეკას.[48]

მართალია, დმანისის სიონის ე.წ. დასავლეთის კარიბჭე არ წარმოადგენს კლასიკურ, განვითარებული შუა საუკუნეების სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ გავითს, თუმცა თვისი არსით, იგი ახლოსაა მასთან. სავარაუდოა, რომ დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭის შემთხვევაში საქმე გვქონდეს სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი თავისებურების, გავითების თემიდან მომდინარე ტენდენციებთან, რომელიც საბოლოო ჯამში დმანისის სიონის ე.წ. „დასავლეთის კარიბჭეში“ ქართულ-სომხური არქიტექტურული სინკრეტიზმით მივიღეთ.

დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭე ქვის ლორფინებითაა გადახურული, რაც იშვიათობას არ წარმოადგენს ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის. ქვის ლორფინებით გადახურვას ასევე ფართოდ ვხვდებით სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, მათ შორის გავათების გადახურვის შემთხვევაშიც.[49]

შემთხვევითობას არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ წარწერაში მოხსენიებული და დმანისის დასავლეთი კარიბჭის მაშენებელი ეპისკოპოსი თევდოსი კალონპეტის ძე

---

[47] Edda Vardanyan, The Zamatun of Horomos and the Zamatun/Gawit' Structures in Armenian Architecture, *Horomos Monastery: Art and History* (Paris, 2015), 207-236.

[48] Николай Токарский, *Архитектура древней Армении* (Ереван: Издательство Академии наук Армянской ССР, 1946), 246-262.

[49] Токарский, *Архитектура древней Армении,* 339-343.

სავარაუდოდ ეკუთვნოდა კალონპეტისძეთა საგვარეულო ოჯახს რომელთა დანარჩენი წევრები თითქოსდა ჰნევანქის ქართულ სავანის მოღვაწეობას უკავშირდებიან. ცნობილია რომ ამ პერიოდში ჰნევანქის მსგავსად შექმნილი ანალოგიური სავანეები ქართული ქალკედონისტური ქრისტანობის ექსპანსიის მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ სამხრეთით, სომხეთის მიმართულებით. ბუნებრივია, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ სავანეების საზოგადოების ნაწილი ქალკედონიზირებული სომხები შესაძლოა ყოფილიყვნენ.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ სომხური არქიტექტურული ტენდენციები და იმპულსები თითქოსდა ისევე ჩანს დმანისის ქართულ-ქალკედონურ ხუროთმოძღვრებაში, როგორც ქალკედონიზირებული სომხური საზოგადოება ზოგადად დმანისის მოსახლეობაში (რა თქმა უნდა, მცირე როდენობით მონოფიზიტი დმანისელი სომეხი მოსახლეობის პარალელურად). ამ ვითარების წარმოსაჩენად, საინტერესო იქნება დმანისის ნაქალაქართან არსებული საყდრისქედის ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლების გახსენება, რომლებიც, სავარაუდოდ, ქალკედონიზირებული სომხური წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ.

ფაქტია რომ, თავის დროზე, დმანისის სიონის საფუძვლიანი განახლება დასავლეთის კარიბჭის მშენებლობის ჩათვლით ლაშა გიორგის (1210-1223) უშუალო დაკვეთით უნდა მომხდარიყო. კარიბჭეზე არსებულ ერთ-ერთ წარწერაში ლაშა გიორგის (1210-1223) უკანონო შვილი, დავითი იხსენიება. მასვე და მის დღეგრძელობას ეძღვნება დმანისის მრევლისთვის გაკეთებული საგადასახადო შეღავათი. თითქოს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავითი სამეფო დომენის ამ კონკრეტული ადგილის უშუალო უფალია. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ტახტზე მისი მომავალი გამეფების ბედი, იმ კონკრეტულ ხანაში სრულიად ბუნდოვანი ჩანდა: რომ არა შემდგომში მონღოლური ხელისუფლების დამყარება საქართველოში, ლაშა გიორგის (1210-1223) უკანონო შვილის

დავით VII ულუს (1247-1270) სამეფო ტახტზე ასვლა, სავარაუდოდ შეუძლებელი იქნებოდა.

ამდენად, შემთხვევითობას არც ის უნდა წარმოადგენდეს, რომ დავით VII ულუს უშუალო შთამომავლები, დმანისის მფლობელები, სწორედ რომ დმანისში იკრძალებოდნენ. ამის მაგალითია მეფე ვახტანგ III-ის (1298-1299, 1302-1308) დაკრძალვა დმანისის სიონში.[50]

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ არა ის შემთხვევითობა, რის შედეგადაც მონღოლების მხარდაჭერით დავით ლაშა გიორგის ძე საქართველოს სამეფო ტახტზე აღზევდა, დმანისი როგორც ლაშა გიორგის უკანონო მემკვიდრის უშუალო, საუფლისწულო საკუთრება, მომავალში მისი და მისი მემკვიდრეების დასაკრძალ ადგილად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. თითქოსდა, ამ ყველაფრისადმი პროტესტს და დაპირისპირების გამოხატულებას წარმოადგენს დავით ლაშა გიორგის ძის გამეფების შეურიგებელი მოწინააღმდეგის, რუსუდან მეფის მიერ საკუთარი შვილის, დავით VI ნარინის სახელით დმანისში სპილენძის ფულის მოჭრა. როგორც ვიცით, აღნიშნული დროისათვის რუსუდანის შვილი მონღოლებთან ყარაყორუმში იყო გაგზავნილი მეფობის დასამტკიცებლად. თუმცა, რუსუდანი უკვე წინსწრებით, ჯერ კიდევ მეფედ დაუმტკიცებელი დავით ნარინის სახელით 1245/46 წელს დმანისში ფულს ჭრის. სავარაუდოა, რომ რუსუდანმა სწორედ ამ აქტით გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დავით ლაშა გიორგის ძის შესაძლო გამეფებაზე და მონღოლთა საბოლოო გადაწყვეტილებამდე მხოლოდ თავისი შვილის, დავით ნარინის სამეფო ტახტზე ასვლის უცილობელ უფლებას გაუსვა ხაზი. ამავე დროს, ამ აქტით მან დავით ლაშა გიორგის ძის, ჩვენი ვარაუდით დმანისის უშუალო მფლობელის, უფლებების დემონსტრატიული უარყოფა-დაკნინება განახორციელა.

---

[50] *ქართლის ცხოვრება, ტომი II*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1959), 322.

ასე თუ ისე, დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის მშენებლობის შემთხვევაში საქმე მეტად საინტერესო, აღნიშნული ეპოქის, არქიტექტურული ტენდენციებიდან მომდინარე და სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეულ იმპულსებთან გავაქვს საქმე. ფაქტია, რომ აღნიშნული საკითხები სამომავლოდ უფრო სრულყოფილ სახელოვნებათმცოდნეო კვლევას მოითხოვს.

როგორც ვახსენეთ, დმანისის სიონის მთავარ დარბაზულ ნაგებობას სამხრეთის მხრიდან მიშენებული აქვს კარიბჭე და სანათლავი, ხოლო ჩრდილოეთიდან სამკვეთლო, რომელზედაც დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი ოთხკუთხა ნაგებობა-ოთახია მიდგმული. ჩვენთვის ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეიძლებოდა განხორციელებულიყო აღნიშნული მშენებლობა, მით უმეტეს, რომ საკუთრივ დმანისის სიონის მთავარი ტაძრის თავდაპირველი აშენების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

მიჩნეულია რომ, დმანისის საეპისკოპოსო VI საუკუნეში ჩამოყალიბდა. ჯუანშერთან დაცული ცნობით, V საუკუნის II ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მიერ განწესებულ ეპისკოპოსთა შორის დმანისელი ეპისკოპოსი არ იხსენიება.[51] ხოლო 506 წელს, დვინში ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის მოხსენიებული ტუმასელი მიჩნეულია დმანისის მღვდელმთავრად – ეპისკოპოსად.[52] ამდენად, ავტორთა მიხედვით, დმანისის ეპარქია შესაძლოა V საუკუნის ბოლოს, 506 წლამდე დაარსებულიყო. ამავე პერიოდში მოიაზრება დმანისის პირველი საეპისკოპოსო ტაძარის აგება.[53] ქეთევან ქუთათელაძის ვარაუდით დმანისის ეპარქიის შექმნას, შესაძლოა, ქართულ-სომხურ ეკლესიების შორის განხეთქილებამ და ცურტავის, შუშანიკის მიერ დაარსებული ორენოვანი სამწყსოს დაშლამ შეუწყო ხელი. მისივე

[51] დევი ბერძენიშვილი, დმანისხევი, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 113.

[52] *ეპისტოლეთა წიგნი.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1968), 97, 159.

[53] დევი ბერძენიშვილი, დმანისხევი, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 113.

ვარაუდით, VII საუკუნის დასაწყისისათვის მომხდარი ამ ამბების შემდეგ, ცურტავის ძველი ეპარქიის ქართული თემები, შესაძლოა, დმანისის ეპარქიაში გაერთიანდა.[54]

გიორგი ჩუბინაშვილი დმანისის სიონსა და ბოლნის-ქაფანახჩის ეკლესიებს შორის განსაზღვრულ სიახლოვეს ხედავდა და, შესაბამისად, დმანისის სიონს ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებდა.[55] ადრეული პერიოდითვე, VI საუკუნით ათარიღებდა მას ვახტანგ ბერიძეც.[56] რადგანაც დმანისის სიონში VI საუკუნის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ მკაფიო სტილისტურ ნიშნებს (მაგალითად, თაღების ნალისებრ მოხაზულობას) არ ვხვდებით, ავტორთა მიერ ამ ეკლესიის ადრეული ხანით დათარიღების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, ჩვენ შემდეგი გარემოება მიგვაჩნია. როგორც გ. ჩუბინაშვილი, ისე ვ. ბერიძე, ამ დარბაზულ, ჩრდილო და სამხრეთ მინაშენებიან ტაძარს, ე.წ. „სამეკლესიან ეკლესიათა“ ჯგუფს, ისიც მათ უადრეს წრეს მიაკუთვნებდნენ, რომელთა მსგავსი გეგმარებითი სქემის ზოგიერთი ტაძარი საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სწორედ VI საუკუნით ჰქონდათ დათარიღებული. ჩვენ დმანისის სიონის გეგმარების „სამეკლესიანი“ ეკლესიების ჯგუფისადმი მიკუთვნება ხელოვნურად მიგვაჩნია: ამ ტაძრის ჩრდილოეთის და სამხრეთის პატარა ეგვტერებს, სანახევროდ დამოუკიდებელ ეკლესიებად ვერ მივიჩნევთ და არც ტაძრის სივრცული კომპოზიცია იძლევა იმის საბაბს, რომ ეს სამი მოცულობითი ელემენტი (ძირითადი, დიდი დარბაზი და მომცრო მინაშენები), ლამის არის სრულუფლებიან კომპონენტებად აღვიქვათ.[57] ასევე, ერთ-ერთი გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, დმანისის ძველი, VI

---

[54] ქეთევან ქუთათელაძე, დმანისის ეპარქია, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XI,* (თბილისი, 2009), 137-138.

[55] გიორგი ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, (თბილისი: სახელგამი, 1936), 192.*

[56] ვახტანგ ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, (თბილისი: ხელოვნება, 1974), 95.*

[57] Георгий Чубинашвили, *Архитектура Кахетии,* (Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1959), 141-199.

საუკუნის ეკლესიის ადგილას ახალი, დღევანდელი დმანისის სიონის მთავარი ნაგებობა IX საუკუნეში აუგიათ.[58]

მიუხედავად ზემომოყვანილი დოკუმენტებისა და ვარაუდებისა, ფაქტია რომ არ გვაქვს წერილობითი წყაროები დმანისის მღვდელმთავართა და საეპისკოპოსოს შესახებ VI სააუკუნის შემდგომ, დმანისელ ეპისკოპოსად მიჩნეულ ტუმასელსა და შემდგომში, რიგით მეორე, ჩვენთვის დმანისის სიონის კარიბჭის წარწერიდან ცნობილ, დმანელ მღვდელმთავარ თევდოსი კალონპეტის ძის (XIII ს) მოღვაწეობას შორის. ეს გარემოება კი საეჭვოს ხდის ზოგადად დმანისის საეპისკოპოსოს არსებობას XIII საუკუნემდე.

დმანისის სიონის დათარიღებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არქეოლოგიურ მონაცემებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ 1981 წელს დმანისის სიონის ინტერიერში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები (გათხრებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა გივი ბოლქვაძე). აღნიშნულ არქეოლოგიურ სეზონზე დმანისის სიონის შიგნით, ეკლესიის ძველი იატაკის გამოცვლასთან დაკავშირებით, გვიან შუა საუკუნეებში მოწყობილი ორბელიანთა საგვარეულო სამარხების გათხრა წარმოებდა. ამავე დროს, გათხრების პროცესში გამოჩნა ნაგებობის ნაშთი რომელიც ტაძრის კედლებს ქვეშ ექცეოდა. ეკლესიის ქვეშ არსებული შენობის ზუსტი თარიღის განსაზღვრა იმჟამად ვერ მოხერხდა, თუმცა შესაბამის დონეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა IX-X და XII-XIII საუკუნით დათარიღდა. ამავე დროს, არ დადასტურებულა რაიმე შენობის ნაშთი, რომელიც, შესაძლო იქნებოდა, დმანისის ადრეული ეკლესიის ნაშთად მიგვეჩნია.[59]

არქეოლოგიური გათხრები დმანისის სიონის ინტერიერში განმეორებით, ამჯერად უკვე 2006 წლის სეზონზე წარმოებდა (ხელმძღვანელი ჯუმბერ კოპალიანი). შესწავლილ,

---

[58] დევი ბერძენიშვილს (დმანისხევი, დმანისი, ტ. II, *თბილისი: მეცნიერება, 2000,* 113-114), ისევე როგორც ქეთევან მიქელაძეს (დმანისის სიონის მხატულობა, *საქართველოს სიძველენი 7-8,* თბილისი, 2005, 239) შესაბამისად მოჰყავთ არჯევანიძის ხელნაწერ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება დმანისის სიონის აგების თარიღთან დაკავშირებით.

[59] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გივი ბოლქვაძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, 1981 წელი (ხელნაწერი, დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში), 10-14.

XVII-XVIII საუკუნეებში ტაძრის იატაკში მოწყობილ ორბელიანთა საგვარეოულოს სამარხებთან ერთად, ხელმეორედ გაიხსნა და გაფართოვდა ტაძრის ქვეშ არსებული ნაგებობის კონტურები. ტაძრის იატაკის ქვეშ გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობის ორი სათავსის ნაშთები. ამ საცხოვრებელი ნაგებობის ძირითადი ნაწილი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვეშ ექცევა და, სავარაუდოდ, ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდება. ნაგებობის კედლები ნაგებია ქვიშაქვით, კირის დუღაბზე. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1.40-1.60 მეტრს შეადგენს. კედლების სისქე საშუალოდ 0.75-0.80 მეტრს უდრის. 1.25 მეტრ სიღრმეზე გამოვლინდა საცხოვრებელი სათავსის თიხით მოტკეპნილი იატაკი. ამავე დონეზე გამოვლინდა ცეცხლის კერა, იატაკის დონიდან სიღრმეში მოწყობილი თონე და სამეურნეო ორმო ასევე მიწაში ჩადგმული ქვევრი. არქეოლოგიური მასალა, მათ შორის ანგობით მოხატული და მწვანე ჭიქურით მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც აღნიშნულ საცხოვრებელ დონეზე აღმოჩნდა, IX-X საუკუნეებით თარიღდება. ამასთან, აღმოჩენილი მასალის მცირე ნაწილი, შესაძლოა X-XI საუკუნეებით დათარიღდეს. გარდა ამისა, ავტორის შენიშვნით, ეკლესიის ქვეშ გამოვლენილი ნაგებობის კონსტრუქციებში, ქალაქ დმანისის მშენებლობის პირველი ეტაპის, IX-X საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სამშენებლო მასალის გამოყენების ტენდენციასთან გვაქვს საქმე: IX-X საუკუნეების ქალაქის (ციტადელის) მშენებლობებში მხოლოდ ქვიშაქვაა გამოყენებული ისევე როგორც ეს ეკლესიის ქვეშ არსებული ნაგებობის შემთხვევაშია. ამდენად, ზემომოყვანილი არქეოლოგიური მონაცემების შეჯამებით, ავტორი დმანისის ეკლესიის მშენებლობას X საუკუნის შემდგომი ხანით ვარაუდობს და მის აგებას XI-XII საუკუნეებში მოიაზრებს.[60]

2006 წლის დმანისის სიონის არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ტაძრის აგების პერიოდად ჩვენც XII საუკუნეს ვვარაუდობდით. 2007 წლის სამაგისტრო ნაშრომში, სადაც აღნიშნულ საკითხს ცალკე ქვეთავიც მივუძღვენით: „დმანისის სიონის

[60] ჯუმბერ კოპალიანი, დმანისის სიონის დათარიღებისათვის, *ძველი ხელოვნება დღეს, №4,* (თბილისი, 2013), 56-63.

დათარიღებისათვის“. იმ დროისათვის ახალი არქეოლოგიური მონაცემებისა და XI-XII საუკუნეებში საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენებისა და დმანისში არსებული პოლიტიკური სურათის გათვალისწინებით დმანისის სიონის აგება 1123 წლის შემდგომ, დავით აღმაშენებლის მიერ დმანისის თურქ-სელჯუკების მფლობელობიდან გათავისუბლების შემდგომ პერიდს დავუკავშირეთ.[61]

დმანისის სიონის თავდაპირველი აგების თარიღის განსაზღვრისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ტაძრის სამხრეთ მინაშენში ჩაშენებულ, წითელი ტუფის ორ კვადრზე ამოკვეთილ ქართულ ასომთავრულ წარწერას. მის წაკითხვას პალეოგრაფების ჯგუფი 2015-2016 წლებში შეეცადა.[62]

აღნიშნული წარწერა, სავარაუდოდ შეგნებულად, იმდენადაა წაშლილი რომ მისი წაკითხვის მცდელობაც კი აქამდე არავის უცდია და, ამდენად, წარწერის მხოლოდ ზოგადი აღწერილობა იყო ცნობილი.[63] ახლადწაკითხული წარწერის (გაშიფრვაზე უშუალოდ იმუშავა ნიკოლოზ ჟღენტმა), შინაარსის გაშიფვრა ფრაგმენტული სახით გახდა შესაძლებელი. თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ წარწერის ტექსტში საუბარია რომელიღაცა გამარჯვებაზე (იგულისხმება სამხედრო გამარჯვება), სავარაუდოდ დმანისში ეპისკოპოსის დასმასა და ტაძრისთვის მსახურების დაწესებაზე. ტექსტის ბოლოში მოცემულია ქორონიკონი. მართალია დაზიანებულია ქორონიკონის აღმნიშვნელი ერთი გრაფემა, მაგრამ ავტორთა მიერ ისტორიული რეალიების გათვალისწინებით და წარწერაში მოხსენიებული პიროვნების მოღვაწეობის პერიოდის

---

[61] ჯიმშერ ჩხვიმიანი, ქალაქ დმანისის სტრუქტურული განვითარება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფონზე (ხელნაწერი), სამაგისტრო ნაშრომი, (თბილისი, 2007).

[62] გიორგი ოთხმეზური, ალექსანდრე ბოშიშვილი, შოთა მათითაშვილი, ირინა მირიჯანაშვილი, ნიკოლოზ ჟღენტი, დიმიტრი ცუცქირიძე, ელზა ხაინდრავა: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* (თბილისი, 2017), 142-146 (ამ კონკრეტული წარწერის წაკითხვაზე იმუშავა ნიკოლოზ ჟღენტმა).

[63] ლევან მუსხელიშვილი, დმანისი: ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 389; ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტ. IV*, (თბილისი: მეცნიერება, 1982), 50-51.

გათვალისწინებით წარწერის შესრულების თარიღი 1142 წლით განისაზღვრა. ამდენად, დმანისის სიონის სამხრეთის მინაშენის ფასადზე, სადაც მოხსენიებული მეფე დემეტრი I -ის (1125-1156) გამარჯვებაზეა საუბარი, შესაძლოა იგულისხმებოდეს 1139 წელს განძის აღება. მანამდე კი, როგორც ცნობილია, დემეტრეს ორჯერ, 1125 და 1128 წლებში, სამეფო ხელისუფლებისადმი ურჩობის გამო, დმანისის ხელახალი აღება მოუწია. წარწერის შინაარსის დასასრულს თითქოსდა (ტაძრის? ჯ.ჩ.) მშენებლობის განსრულებაზეა საუბარი და, თარიღად, როგორც ვახსენეთ, 1142 წელია მოცემული.[64]

დმანისის სიონის სამხრეთი მინაშენის ახლადწაკითხული სამშენებლო წარწერის ხასიათი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დმანისის პალეოგრაფიის მკვლევარებს ბარანას (ძველი ნოემბრიანი, სომხეთის რესპუბლიკა) ციხის წარწერას აგონებთ. აღნიშნულ წარწერაში საუბარია ათაბაგ და ამირსპასალარ ივანე აბულეთისძის მიერ დმანისის ციხის აღებაზე (სავარაუდოდ 1129 წელს), დმანისიდან კირის წამოღებაზე და ოთხ თვეში ბარანას ციხის აგებაზე. წარწერაში იხსენიება მეფე დიმიტრი (დემეტრე I, 1125-1256).[65]

ამდენად, თუ დმანისის სიონის სამხრეთი მინაშენის საფასადო წარწერის შინაარსის ავტორისეულთა წაკითხვის ვერსია სწორია, მაშინ გამოდის, რომ აღიშნული წარწერა სამშენებლო ხასიათისაა და იგი გარდა ეკლესიის მშენებლობის განსრულებისა, დმანისში ეპისკოპოსის დასმასა და ეკლესიისათვის მსახურების დაწესებაზე მოგვითხრობს. ამდენად, აღნიშნული ახალი ეპიგრაფიკული მონაცემები მხარს უჭერს ჩვენ მიერ 13 წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებებს დმანისის სიონის 1123 წლის შემდგომ ხანაში აგების შესახებ და დმანისის საეპისკოპოსოს დაარსებაზე ამავე პერიოდში.

ჩვენ მსჯელობაში, შესააძლოა დავუშვათ, რომ დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენზე არსებული სამშენებლო ხასიათის წარწერა საკუთრივ აღნიშნულ მინაშენის

---

[64] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 24, 142-146.

[65] გიორგი ოთხმეზური, ბარანას ციხის წარწერის თარიღისათვის, *საისტორიო კრებული წელიწდეული, კრებ. 5,* (თბილისი: მხედარი, 2015), 201-215.

მშენებლობას ეხებოდეს და არა დმანისის სიონის მთავარ ნაგებობას (რაც, რა თქმა უნდა სამშენებლო წარწერის, როგორც მოვლენის ამსახველი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ მცირე მასშტაბის მშენებლობისთვის, მხოლოდ სამხრეთი მინაშენისთვის, შეუსაბამოდ გამოიყურება). თუ აღნიშნულ ვარაუდს დავუშვებთ, მაშინ გამოდის რომ 1142 წლისათვის, როდესაც სამხრეთი მინაშენის, მცირე კარიბჭე-ნავისა და სანათლავის აგება მოხდა, დმანისის სიონის მთავარი დარბაზული ნაგებობა უკვე აშენებული იყო. შესაბამისად, ამ მიმართულებით მსჯელობისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს დმანისში განვითარებული ისტორიული მოვლენები. კერძოდ: არსებობდა თუ არა რეალური პირობები დმანისში ამ საკმაოდ სოლიდური ეკლესიის ასაგებად.

როგორც ცნობილი, დმანისში ციხე-ქალაქის აგება IX-X საუკუნეებში იწყება. სწორედ ამ პერიოდის მშენებლობებს უკავშირდება დმანისის შიდა-ციხის ყველაზე ადრეული სამშენებლო ფენების წარმოქმნაც.[66] პირველად, წერილობით წყაროებშიც დმანისი სწორედ ამ პერიოდისთვის ჩნდება და ის 853 წელს, ბუღა თურქის ხელმძღვანელობით, ამიერკავკასიაში წარმოებულ სამხედრო კამპანიას უკავშირდება.[67] თბილისის ამირის საჰაკის სამაგალითო დასჯის შემდეგ, ის ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილ ას ოსურ ოჯახს (სავარაუდოდ იგულისხმება გარნიზონის დასმა ჯ.ჩ.) დმანისში ასახლებს. როგორც ჩანს, არაბი სარდალი აქ თბილისის საამიროს არაბთა ბატონობის მტკიცე დასყრდენ პუნქტთა შექმნითაა დაკავებული და დმანისის შემთხვევაში აქცენტი მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზეა გაკეთებული. ბუღა თურქს ის ჭირდებოდა ამ მხრიდან მოსალოდნელი დარტყმების მოსაგერიებლად. საქმე ისაა, რომ ამ მოვლენას წინ უძღოდა სომეხთა ერისთავის, აბულაბაზისა და გვარამ მამფალის გაერთიანებული აქცია ბუღა თურქის წინააღმდეგ; როგორც ჩანს, მომავალი შეტაკებაც

---

[66] ჯუმბერ კოპალიანი, *დმანისის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* (თბილისი: საქართველო, 1996), 59-71.

[67] *ქართლის ცხოვრება,ტომი I,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955), 257.

მათთან სწორედ ტაშირისა და ჯავახეთის მხრიდან იყო მოსალოდნელი, რაც მოკლე ხანში გვარამ მამფალის მოქმედებებითაც დადასტურდა.[68]

ფაქტია რომ, ბუღა თურქი მოკავშირეების დმანისში დასახლებითა და გამაგრებით, ის თბილისის საამიროსთვის ახალი თავდაცვითი სისტემის შექმნას ცდილობდა, რომელშიც იმ დროისათვის თბილისის საამიროზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო გზების კონტროლიც შედიოდა. დმანისიც ხომ სწორედ ასეთი მნიშვნელობის გზებზე მდებარეობდა. ამდენად, შეძლება ვიფიქროთ რომ დმანისში ციხე-ქალაქის თავდაპირველი მშენებლობა სწორედ რომ არაბებს, ამ შემთხვევაში დმანისის უშუალო მფლობელებს, თბილისის საამიროს ინტერესებს ემსახურებოდა.

X საუკუნის ბოლოსათვის დმანისი, ისევე როგორც ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტაშირ-ძორაგეტის მეფეთა მფლობელობაში აღმოჩნდა.[69] ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა შირაკის სამეფოსთან, იმართებოდა ბაგრატუნთა გვერდითი შტოს – კვირიკიანი მეფეების მიერ.[70] ტაშირ-ძორაგეტის მეფის, დავითის მიერ დმანისის აღებაზე წერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი ანუ ასოღიკი, რომელიც 989 წლისთვის უნდა მომხდარიყო.[71] კვირიკიანების მიერ დმანისი თითქმის 60 წლიანი ფლობის პერიოდში, დმანისის უშუალო მმართველები, თბილისელი ჯაფარიდი ამირების დმანისური შტო ჩანს. 1065 წელს, როდესაც ბაგრატ IV-მ თბილისი ფაქტიურად აიღო, იგი თავისთვის არ დაიჭირა და 44 ათასი დრაჰკანის სანაცვლოდ სწორედ რომ ჯაფარიდების დმანისელ ამირა

[68] ბერძენიშვილი, დმანისხევი, 115-116.

[69] ქეთევან ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია),* (თბილისი: მთაწმინდელი, 2001), 102.

[70] ქეთევან ქუთათელაძე, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის I ნახევარში (გურგენ-კვირიკე I, დავით „ანჰოლინი“), *დმანისი, ტ. II*, (თბილისი: მეცნიერება, 2000), 198-211.

[71] *Всеобщая история Степ'аноса Таронского*, *Асох'ика по прозванию*, *писателя XI столетия*, переведена с армянского и объяснена Н.Эминым (Москва, 1864), 184.

სითლარაბს გადასცა.[72] XI საუკუნის 70-იან წლებში დმანისი თურქ-სელჯუკთა ხელში ექცევა. 1123 წელს დავით აღმაშენებელი დმანისს თურქ-სელჯუკთა მფლობელობისაგან ათავისუფლებს და თავისი სამეფოს შემადგენლობაში აქცევს.[73]

ზემოგანხილულ პერიოდში, მათ შორის კვირიკიანების ბატონობის ხანაში, დმანისის ხევის სხვადასხვა პუნქტების მფლობელ-მმართველები ადგილობრივი ფეოდალები ჩანან. უშუალოდ ციხე-ქალაქ დმანისის, სავარაუდოდ ნარევი მოსახლეობაც ქართულ ელფერს ატარებს. აღნიშნულ პერიოდში ნაქალაქარზე აღმოჩენილი წარწერებიც მხოლოდ ქართულია.[74] დმანისელი ამირებიც ადგილობრივ ფეოდალებად გვევლინებიან. დევი ბერძენიშვილის მიხედვით, დმანისს (დმანისხევს) არაბი ამირები ფლობდნენ თუ კვირიკიანი მეფეები, ჩანს რომ ქვეყანა ქართული რჩებოდა, ქართული მიწათმფლობელობითა და ადგილობრივი ხელისუფლებით. ეს სურათი კარგადაა ასახული ამ პერიოდის ადგილობრივი ეკლესიების წარწერებშიც.[75]

ამ მსჯელობიდან და X-XI საუკუნეებში დმანისში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლოა გვეფიქრა, რომ იგივე კვირიკიანების ხანაშიც (X საუკუნის ბოლო, XI საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლთ), შესაძლებელი ყოფილიყო დმანისში ეკლესიის აგება (რაც ნაკლებად შესაძლებელი გვეჩვენება XI საუკუნის 60-იანი წლებიდან 1123 წლამდე, თურქ-სელჯუკთა გამუდმებული ლაშქრობების ფონზე). ამ პერიოდის რამდენიმე ქართულ ეკლესიაზე ხომ ბუნებრივად იხსენიებენ კვირიკიან მეფეებს, როგორც ადილობრივ ხელისუფალთ. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა ეს მათი უშუალო ინიციატივით განხორციელებულიყო. ამდენად, საბოლოოდ ჩვენ მაინც

---

[72] შოთა მესხია, *საისტორიო ძიებანი, ტ. I*, (თბილისი: მეცნიერება, 1984), 244.

[73] *Armenia and the Crusades, tenth to twelfth centuries: The Chronicle of Matthew of Edessa* /translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian; foreword by Krikor H. Maksoudian (Lanham, New York, London: University Press of America, 1993), 231.

[74] ჯუმბერ კოპალიანი, წარწერიანი არქეოლოგიური მასალა დმანისის ნაქალაქარის შიდა ციხიდან, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 76-82.

[75] ბერძენიშვილი, დმანისხევი, 118-122.

ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ დმანისის სიონის აგება დავით აღმაშენებლის მიერ დმანისის ქართული სამეფოს საბოლოო შემოერთების შემდგომ მომხდარიყო. მით უმეტეს, ამ ყველაფერს, როგორც გასული საუკნის ისე ბოლო პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები და ეკლესიაზე არსებული, ზემომოყვანილი წარწერებიც უჭერს მხარს. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ის ახალი ეპიგრაფიკული მონაცემებიც, რომელიც სიონის დასავლეთ კარიბჭის შიგნით, მთვარი ნავის დასავლეთ კედელზე შესასვლელი კარის ორივე მხარს არსებულ შელესილობაზე გვხვდება (ესეიგი დმანისის სიონის ყველაზე ადრეულ ნაგებობაზე). აქ შემორჩენილია ნაკაწრი და ფრესკული წარწერების ფრაგმენტები. აღნიშნულ მინაწერებში მოცემულია ქართული, სომხური, არაბული და ბერძნული გრაფემები. მინაწერების ყველაზე ადრეული ჯგუფი ავტორის მიერ IX-X საუკუნეებითაა დათარიღებული, რაც ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას დმანისის სიონის თავდაპირველი ტაძრის აგების თარიღად XII საუკუნის I ნახევრის მიჩნევის შესახებ ეწინააღმდეგება.[76] ამდენად, აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლა მომავალში კვლავ მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა მოვიყვანოთ ახალი არქეოლოგიური მონაცემები, რომელიც დმანისის სიონის იატაკის ქვედა დონეზე შემორჩენილ, ტაძარზე უფრო ადრეულ სამშენებლო ფენებს ეხება.

2006 წლებში, სიონის ინტერიერის გათხრების დროს, ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ტაძრამდე აქ მდგარი ნაგებობები ერთიანად და შეგნებულადაა დანგრეული-მოსწორებული. მათ ადგილზე, შემდგომ, შემაღლებული ტერასის მოწყობის შემდეგ ეკლესიის საძირკველი გაიჭრა და ახალი ნაგებობა – ეკლესია აღიმართა. ეკლესიის ქვეშ არსებული ნაგებობის ჩრდილოეთი გაგრძელება და სხვა თანადროული და შესაბამისი სამშენებლო ჰორიზონტის შენობა-ნაგებობები, ახლად აშენებული ეკლესიის დონეზე გაცილებით დაბლა აღმოჩნდნენ. ჩანს, რომ ეკლესიაზე ჩრდილოეთის

[76] ნიკოლოზ ჟღენტი, დმანისის სიონის დასავლეთ კარის შელესილობის ნაკაწრი *წარწერები, ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* (თბილისი, 2017), 239-276.

მხრიდან უშუალოდ მიბჯენილი ამ შენობა-ნაგებობების განსაზღვრული სათავსები გაუქმდა, რათა ეკლესიას გარშემოსავლები სივრცე ჰქონოდა. შედარებით მოშორებით მდებარე ნაგებობების სათავსები, რომლებიც ეკლესიის სივრცით თავისუფლებას ხელს არ უშლიდნენ, დატოვეს და მათი ნაწილი გვიან შუა საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას.

ილუსტრაცია 13. დმანისის ნაქალაქარი, I არქეოლოგიური უბანი, დმანისის სიონი. ფოტო: ვ. მამიაშვილი.

ჩვენი ამ მსჯელობის ამსახველი სურათის გამოხატულებაა 2016-2017 წლებში ჩვენ მიერ დმანისის სიონის ჩრდილოეთით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მონაცემები. აღნიშნული გათხრების შედეგად ვვარაუდობთ, რომ დმანისის სიონის ჩრდილოეთით, უშუალოდ ეკლესიასთან მდებარე

შენობები გადაკეთდა და დამხრობის მიმართულება ეკლესიის დამხრობის შესაბამისად, დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე გასწორდა. ეკლესიის ქვეშ არსებული ნაგებობის კედლებს ჩრდილო-დასავლეთი სამხრეთ-აღმოსავლეთის დამხრობა აქვთ, ისევე როგორც აღნიშნული შენობის თანადროული ეკლესიიდან ჩრდილოეთით, შედარებით მოშორებულ ნაგებობებს, რომელთაც ეკლესიის აგების შედეგად გადაკეთება არ შეხებიათ (ილუსტ. 13).



ილუსტრაცია 14. დმანისის ნაქალაქარი, I არქეოლოგიური უბანი, დმანისის სიონის ჩრდილოეთით შესწავლილი ე.წ. „კარიანი შენობა" (1937) და ე.წ. „სათავსებიანი შენობა" (2017). გეგმა ნ. ბახტაძე.

გადაკეთებულ და ეკლესიის დამხრობის შესაბამისად აგებულ ნაგებობას წარმოადგენს ე.წ. „სათავსებიანი მოგრძო შენობა“ (ილუსტ. 14). შენობის ოთხი სათავსიდან სამი ეკლესიის აგებიდან მოყოლებული, მის პარალელურად ფუნქციონირებდა. შენობის მეოთხე სათავსი, რომელსაც ახალი ეკლესიის შესაბამის დამხრობაზე გასწორება არ შეხებია, როგორც ჩანს, საერთოდ გაუქმდა. ეს გარემოება, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ დმანისის სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრში წმინდა მარინეს ეკლესია აიგო, რომლის დასავლეთი კედლის საძირკველი უშუალოდ სათავსებიანი მოგრძო ნაგებობის №4 სათავსის აღმოსავლეთ ნაწილზეა დაშენებული. საყურადღებოა, რომ №4 სათავსის იატაკის, საცხოვრებელ დონეზე in situ მდგომარეობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (განსაკუთრებით საუბარია ამოკაწვრით მოხატულ და ცისფრად მოჭიქულ ჯამზე) XI – XII საუკუნის I ნახევრით შესაძლოა დათარიღდეს. აღნიშნული პერიოდის შემდეგ სათავსის ფუნქციონირება არ შეინიშნება. ამდენად, ეს მონაცემები, არა მხოლოდ დმანისის სიონის ტაძრის მშენებლობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, არამედ წმინდა მარინეს ეკლესიის აგების თარიღს XII საუკუნის I ნახევრით ან მისი შემდგომი პერიოდით განსაზღვრავს. დმანისის სიონის ტაძრისა და წმინდა მარინეს ეკლესიის თითქმის თანადროულად აგების ნიშნები ჩანს მათივე სამშენებლო ჰორიზონტის თანხვედრიდან გამომდინარე.

ამდენად, ჩვენი ვრცელი მსჯელობების შეჯამების შედეგად ვვარაუდობთ, რომ დღეს არსებული ტაძრის სახით დმანისის სიონის თავდაპირველი აგება XII საუკუნის I ნახევრში უნდა განხორციელებულიყო. აღნიშნული თარიღიდან გამომდინარე, დმანისის სიონის მოხატულობის პირველი ფენის შესრულება, შესაძლებელია, იმავე ეპოქას უკავშირდებოდეს. ფერწერული ანსამბლის პროგრამა და საკუთრივ, საკურთხევლის ფრესკული ფრაგმენტების მთელი რიგი მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლები (ფიგურათა მონუმენტურობა, წიგნით ხელში გამოსახულ მღვდელმთავართა ფრონტალურად დაყენების წესი, სამოსთა დრაპირების ჭარბი ხაზების არქაული ხასიათი, ფერწერის ზედაპირის გრაფიკული სტილით მოდელირება და ა.შ.) არ გამორიცხავს, რომ

იგი შედარებით უფრო ადრე შეექმნათ.[77] XIII საუკუნის I ნახევარში, როგორც ჩანს, ტაძარი კვლავ განახლდა და ინტერიერის გარკვეული მონაკვეთები ფრესკებით ხელმეორედ შეიმკო. სწორედ ამ დროს მოხდა მასზე დასავლეთი კარიბჭის მიშენება.

1.3. წმინდა მარინეს ეკლესია

დმანისის სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ახლოს, რამდენიმე მეტრში მდებარეობს დარბაზული ტიპის ეკლესია (ილუსტ. 15). ნაგებობა დგას ორსაფეხურიან თლილი ქვის საყრდენზე – ცოკოლზე. ეკლესია სხვადასხვა სამშენებლო მასალითაა აგებული. ძირითადად გამოყენებულია კარგად გათლილი მუქი წითელი, მწვანე და მუქი ფერის ტუფის კვადრები. ბევრგან ჩატანებულია ფლეთილი ქვები, რიყის ქვა და გვიან შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი აგური (ზომით 21x21x4 სმ). ეკლესია ერთნავიან, კამარით გადახურულ სამლოცველოს წარმოადგენს, გარედან სწორკუთხოვანი გეგმით, აღმოსავლეთ ნაწილში ჩაწერილი აფსიდით. ნაოსის სივრცე პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით პირობითად ორ ნაწილადაა გაყოფილი (ზომ. 5.40x7.90 მ). გარე კედლების წყობაში თვალშისაცემია, რომ ქვედა რიგები მთლიანად თლილი ქვის მოზრდილი კვადრებისაგან შედგება, ზედა რიგებში კი მას უწესო მოხაზულობის ქვები და აგურის რიგები ენაცვლება. სხვადასხვა ფერის ქვის კვადრებისაგან მიღებული ფასადთა ფერადოვნება განსაკუთრებულ ეფექტს ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სარკმლის გარშემო აღწევს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მშენებელმა საგანგებოდ კი არ

[77] ფერწერის თარიღთან დაკავშირებით მოსაზრების გაზიარებისთვის მადლიერებით მოვიხსენიებ საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის თანამშრომელს, ხელოვნებათმცოდე ნელი ჩაკვეტაძეს.

მოიძია სხვადასხვა ფერის საშენი მასალა წინასწარ გამიზნული მხატვრული ეფექტის მისაღებად, არამედ გამოიყენა ის რაც ხელთ ჰქონდა.[78]



ილუსტრაცია 15. წმინდა მარინეს ეკლესია. დმანისის ნაქალაქარი. გეგმა, ჭრილი. დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

[78] ვახტანგ ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება (თბილისი: კანდელი, 1994), 120-121.

ნაგებობას სამი თაღოვანი სარკმელი აქვს, ჩრდილოეთის კედლის გამოკლებით. დარბაზი საკმაოდ აზიდულია. ერთი წყვილი პილასტრი, აფსიდის ნაპირები და თაღები სხვადასხვა ფერის თლილი ქვებით არის აწყობილი. ვიწრო საბჯენი თაღი გადადის დასავლეთ კედელზეც. ინტერიერის დანარჩენი წყობები ფლეთილი ქვისაა. პილასტრის კაპიტელების პროფილირებულ თაროების სიბრტყეები ქვემოთ ოდნავ შეზნექილია. კამარაში მრავლადაა ჩატანებული მცირე სარეზონანსო ქვები. ნახევარწრიული საკურთხევლის იარტაკის ჰორიზონტი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო მართკუთხა ნიშია. მცირე ნიშია ჩრდილო კედელზე აფსიდის მხართან, ხოლო მოზრდილი ნიში სამხრეთი კედლის ძირში. კონქი გადაყვანილია წვრილი ქვებით. საკურთხევლის წინ, ამჟამად სამთავროს დედათა მონასტრიდან გადმოტანილი გვიანი ხანის კანკელია აღმართული. ეკლესიის იატაკი მოგებულია ქვის ფილებით. ჩრდილოეთ კედელს ძირზე დაჰყვება საფეხური.[79]

ეკლესიას ეტყობა განახლება-რესტავრაციის კვალი; აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების საფასადო მხარეს ჩასმულია, სავარაუდოდ ქალაქის სამაროვნიდან მოტანილი, არაბულწარწერიანი საფლავის ქვები.[80] აღნიშნული საფლავის ქვები ანალოგიური მასალის მიხედვით XIII-XIV საუკუნეებით თარიღდებიან.[81]

---

[79] *დმანისის ნაქალაქარის ეკლესია „წმინდა მარინე“,* ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1993 წლის 15 სექტემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

[80] მუსხელიშვილი, დმანისი, 396.

[81] ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965), 21, 28, 51-52. ტაბ. III, სურ. 3; ტაბ. X, სურ. 11; ტაბ. XXXVII, სურ. 44-45; ტაბ. XXXVIII, სურ. 46.

ილუსტრაცია 16. წმ. მარინეს ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2008)

წმ. მარინეს ეკლესიას შესასვლელი კარი სამხრეთის მხრიდან აქვს (ილუსტ. 16). არქიტრავისთვის გამოყენებულია არაბულწარწერიანი საფლავის ქვა. მის ზემოთ, ლეგა ფერის ფილაზე მოცემულია ოთხ სტრიქონიანი წარწერა, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება:

„შესწევნითა ღმრთისაითა, მე ფრიად ცოდვილმან ბატონისშვილის მარიამის გამდელმან ისახარ, კუალად განვაახლე დაქცეული საყდარი ესე წმიდის მარინისა ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ბატონთა ჩვენთა მოსახსენებლად ქს ტჟ“ (390).[82]

[82] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. IV,* (თბილისი, 1982), 51.

ამდენად, ეკესიაზე მოცემული გვაქვს ტაძრის განახლების თარიღი – 1702 წელი. აქვე, წმინდა მარინეს ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის პერანგის ქვაზე, ეკლესიის ცოკოლიდან პირველ წყებაში, მწვანე ტუფის ქვაზე (ზომ. 70x49 სმ.) წითელი საღებავით შესრულებულია ქართული ასომთავრული წარწერა (ზომ. 30x35 სმ.). წარწერა ერთსტრიქონიანია და შემდეგნაირად იკითხება: „წ(მიდ)ჲ მ(არი)ნე“. ქვა რომელზეც წარწერაა მოცემული სავარაუდოდ გვიან შუა საუკუნეებში ეკლესიის განახლებისას მეორადადაა გამოყენებული, მაგრამ იგივე ეკლესიის ქვებიდან. საკუთრივ წარწერა XIII საუკუნით თარიღდება. წარწერა სიახლოვეს ამჟღავნებს დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის ასევე საღებავით შესრულებულ და XIII საუკუნით დათაღირებულ წარწერასთან. გამოდის, რომ წმინდა მარინეს ეკლესია ამ ადგილას XIII საუკუნეში უკვე იდგა.[83] სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დმანისის სიონისა და წმინდა მარინეს ეკლესიის მშენებლობებს შორის დიდი ქრონოლოგიური განსხვავება არ უნდა იყოს.

1.4. დმანისის სიონის სამრეკლო კოშკი

წმინდა მარინეს ეკლესიის სამხრეთით და სიონის ეკლესიის აღმოსავლეთით, შემორჩენილია ძველი ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი, რომელიც სამრეკვლოს უნდა წარმოადგენდეს (ილუსტ. 17). მას მრავალჯერ განუცდია რესტავრაცია-გადაკეთება. შენობას თავიდან ორი დიდი თაღოვანი შესასვლელი ჰქონია აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან. შემდგომში, ამ ორი შესასვლელის მალის უდიდესი ნაწილი ამოუშენებიათ, რომლის დროსაც აღმოსავლეთში პატარა კუთხოვანი კარი და მის ზემოთ ვიწრო სარკმელი დაუტოვებიათ. ერთი დიდი ზომის ოთხკუთხა სარკმელია

[83] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 167-168.

დატოვებული ამოშენებულ დასავლეთის მალში. ახლად მოწყობილი სარკმელების წირთხლებად გამოყენებულია ქართულწარწერიანი და არაბულწარწრიანი ქვები[84]. ძველი სამრეკლო საცხოვრებლად გადაუკეთებიათ, ამაზე მეტყველებს შენობის პირველ სართულზე, სამხრეთის კედელში ჩაშენებული ბუხარი და საკვამური, რომელიც კედლის გამონგრევის შედეგად გარეთ გამოდის. დღეისათვის შენობა ორსართულიანია, გადახურვა კი ბრტყელი რომელიც მეორე სართულიდან აყვანილ ჯვარედინ თაღებს უკავია.

ილუსტრაცია 17. სამრეკლო კოშკი, ჩრდ. ფასადი. დმანისის სიონი. ხედი სამხრეთ-დასავლეთით.

თავდაპირველად ამ სამრეკვლოს მეორე სართულს გუმბათოვანი გადახურვაც უნდა ჰქონოდა. სამრეკლოს ფუნქციონირებისას, ზედა სართულის არსებობის

[84] ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965), 39-40. ტაბ. XXVI, სურ. 26.

დამადასტურებელია კედლებში შემორჩენილი საკოჭეები, მეორე სართულის სარკმლები და შესასვლელი კარი, რომელიც დასავლეთის მხარესაა. მასზე გარედან მიდგმულია ლამაზი თაღოვანი კიბე, რომლის ქვედა დაბოლოება სიონის სამხრეთ კარიბჭესა და კონქზეა მიბჯენილი. სამრეკლოს ზემოაღწერილი გადაკეთება და მისთვის ფუნქციის შეცვლა, სავარაუდოდ XIV საუკუნის შემდგომ მომხდარა.[85] რაც შეეხება სამრეკლოს მშენებლობაში მეორადად გამოყენებულ საფლავის ქვებს: 2016 წელს ეკლესიის საძმომ კიდევ ერთი სტელისებრი ფორმის არაბულწარწერიანი საფლავის ქვა გადმოგვცა, რომელიც სამშენებლო მასალად ყოფილა გამოყენებული სამრეკლოში მოწყობილ გვიანდელ კიბეში.

1.5 ზემო უბნის ეკლესია და სასაფლაო

ზემო უბნის ეკლესია მდებარეობს ნაქალაქარის კონცხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ფინეზაურის ხეობის მხარეს. შემორჩენილია გვერდი-გვერდ მდებარე ორი ეკლესიის ნაშთები (№1 და №2 ეკლესიები). ორივე ეკლესია დაბალი, გალავნის მაგვარი კედლითაა შემოზღუდული. ეკლესიების გარშემო, ზედაპირულად, საფლავის ქვები ფიქსირდება. №1 ეკლესია საშუალო ზომის (7,94x4,46 მ) დარბაზული ნაგებობაა. ეკლესია აგებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ან დაუმუშავებელი ბაზალტის ქვები, ტუფის ქვები, ქვიშაქვები. კუთხეებსა და შესასვლელის წირთხლებში შედარებით უკეთესად დამუშავებული ქვის კვადრებია გამოყენებული. სარკმელსა და ფასადის რამდენიმე ადგილას აგურისფერი ტუფია ჩატანებული.

[85] მუსხელიშვილი, დმანისი, 389-394.

ზემო უბნის №1 ეკლესიის დარბაზი ვიწრო და სიმაღლეში აზიდულია. დარბაზი უპილასტროა. წვრილი ქვით გადაყვანილი კამარა უშუალოდ ეკლესიის კედლებზეა დაყრდნობილი (ამჟამად ნავის კამარა თითქმის მთლიანად ჩამოშლილია). აფსიდი ღრმა და ნახევარწრიულია ხოლო აფსიდის კონქი უხეშადა გადაყვანილი. თაღოვანი სარკმელია გაჭრილი აფსიდის ცენტრში (ილუსტ. 18). აფსიდის გვერდებზე, კედელში, თითო მართკუთხა ნიშაა მოწყობილი. უხეშად ნაგები ეკლესიის ინტერიერის კედლების წყობა კირის დუღაბითაა შელესილი. აფსიდსა და სამხრეთ კედელზე ეტყობა ძველი მხატვრობის კვალი.[86]

ილუსტრაცია 18. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №1. აღმოსავლეთი ფასადი. ფოტო: 1980 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

[86] *დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №1,* ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1992 წლის 12 ნოემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს. კარების თავზე მოცემულია არქიტრავის ქვა, რომელზეც მკრთალად ეტყობა სამი ჯვრის გამოსახულება.

ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ კედლებში მოწყობილი სარკმელები აღმოსავლეთი სარკმლის მსგავსია. ნაგებობისთვის უცხოა და მას არ უნდა ეკუთვნოდეს სარკმელთა რელიეფური თავსართები, ისევე როგორც ფასადთა კუთხეების გეომეტრიული რელიფური ქვები. ისინი მეორადად გამოუყენებიათ. ერთ-ერთ ასეთ ფრაგმენტს წარმოადგენს აღმოსავლეთი სარკმლის თავსართად გამოყენებულია მოწითალო ტუფის ქვის ოთხწახნაგოვანი სტელის ფრაგმენტი. ის კედლის მშენებლობაში ჰორიზონტალურადაა ჩასმული და სარკმლის ნახევარწრიული თაღის ამოჭრისას დაზიანებული. სტელაზე, სარკმლისთვის ამოჭრილი თაღის გარშემო დაზიანებების მიუხედავად იკითხება სტელის წახნაგზე ადრე არსებული ორნამენტები: სამკუთხედების არშიისაგან შეკრული წრე-მედალიონი და მის ორივე მხარეს გამოსახული ნახევარპალმეტები.



ილუსტრაცია 19. დმანისის ნაქალაქაარის ზემო უბნის ეკლესია №1 და №2. გეგმა, ჭრილი. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2019)

კიდევ ერთ, კედელში ჩაშენებულ სტელის ფრაგმენტს ვხედავთ ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. მოწითალო ტუფის ქვის ფრაგმენტი, ზომით დაახ. 0.50x0.50 მეტრი, სავარაუდოდ სტელის კაპიტელის ნაწილი უნდა იყოს. ეკლესიის სამხრეთ ფასადზე მოქცეული სტელის წახნაგზე გამოსახულია ორი, ერთმანეთის

პარალელურ წრის სარტყელში ჩასმული ექვსყურა მცენარე, თითქოსდა გაშლილი ყვავილი.

ჩვენს მიერ აღწერილი ორნამენტიანი ქვები ადრე შუა საუკუნეების სტელების ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. ნათელია, რომ ისინი როგორც სამშენებლო მასალა, უკვე მოგვიანო ხანაში იქნა გამოყენებული ზემო უბნის №1 ეკლესიის რესტავრაციისას.[87]

კიდევ ერთი, მართკუთხა ფორმის მოწითალო ტუფის ქვაა ჩასმული ეკლესიის სამხრეთი ფასადის სარკმლის მარჯვნივ. კვადრატული ფორმის ქვაზე უხეშადაა ამოკვეთილი სამი, გვერდი-გვერდზე მდგარი ჯვარი (ილუსტ. 20). სავარაუდოდ, ჯვრების გამოსახულებიანი ეს ქვა ზომომოყვანილი ადრე შუა საუკუნეების სტელის ფრაგმენტებისგან განსხვავებით, გვიანი შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ილუსტრაცია 20. დმანისისის ნაქალაქარის ზემო უბნის №1 ეკლესიის სამხრეთ სარკმელთან ჩასმული წითელი ტუფის ქვა სამი ჯვრის გამოსახულებით (ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი).

[87] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 107.

სარკმელთან ჩადგმული ეს ქვა ძალზე ჰგავს ნაქალაქარის ქვემო უბნის მცირე ეკლესიის კართან ჩაშენებულ სამჯვრიან ქვას, სომხური წარწერით.

აღნიშვნის ღირსია, რომ სამშენებლო მასალად, მეორადად გამოყენებულ ორლილვიანი მოგრძო ფორმის არქიტექტურულ დეტალებს ვხვდებით ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის საფასადო წყობაში.

ზემო უბნის ეკლესია 1936-37 წლებში აღწერილი აქვს ლევან მუსხელიშვილს. მის მიერვე გაითხარა ეკლესიის სასაფლაოზე მდებარე რამდენიმე სამარხი. ერთ-ერთ სამარხზე, რომელშიც მოზარდი იყო დაკრძალული, 1.65x0.57 მეტრი ზომის ვერძის ქანდაკება – საფლავის ქვა იდგა. მიცვალებულისთვის გაჭრილი ორმოსამარხის ზედა ნაწილი ქვის წყობით იყო ამოყვანილი. სამარხი უნვენტარო აღმოჩნდა. ვერძის ქანდაკების კისერზე ამოკვეთით შესრულებული ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრულით ეპიტაფია იყო მოცემული (ილუსტ. 21). სავარაუდოდ, XVII საუკუნის წარწერის შინაარსი ასეთია: „ქ. შ(ა)პ(უ)ცს |[2] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)ო.“[88]

[88] მუსხელიშვილი, დმანისი, 397; ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 187-188.

ილუსტრაცია 21. ეპიტაფია ზემო უბნის ეკლესიის ვერძზე. 1936 წ. ფოტო №343 (ძვ. №№ 149, 1779): საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი.

არქეოლოგიური გათხრები ზემო უბნის ეკლესიაზე დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1986 წელს განაახლა. გათხრების შედეგად ზემო უბნის №1 ეკლესიის გვერდით, სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრში №2 ეკლესია გამოვლინდა.

როგორც აღვნიშნეთ, ორივე ეკლესია საერთო ზღუდითაა შემოსაზღვრული. სამხრეთით ამ „გალავნის“ კედელში მოქცეულია თითქმის მთლიანად დანგრეული, №2 ეკლესიაზე მიშენებული სათავსები. ზემო უბნის №2 ეკლესია წარმოადგენს მცირე სამლოცველოს, ღრმა, შეღუნული ფორმის ნახევარწრიული საკურთხევლის აფსიდით და მოკლე ვიწრო დარბაზით. დასავლეთის კედელი და კამარა მთლიანად მოშლილია. შემორჩენილი კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი (ქვიშაქვის, ბაზალტის) ქვით. ამ პატარა ეკლესიის კედლების წყობა №1 ეკლესიის მსგავსად უხეშია. აფსიდის ცენტრში გაჭრილია შიგნით წირთხლებგაგანიერებული სარკმელი, რომლის ზედა ნაწილი შემორჩენილი არაა. სარკმლის ორივე გვერდზე მართკუთხა ნიშებია მოწყობილი. სამხრეთის ნიში გამჭოლია და ის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში გადადის. კიდევ ერთი ნიშაა ჩაყოლებული აბსიდის სამხრეთ მხართან. ნაგებობაზე არ არის შემორჩენილი

ლავგარდანი და ეკლესიაში შესასვლელი კარი. შენობა მოკლებულია ყოველგვარ ორნამენტაციას.[89]

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მინაშენთანაა აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალის ფრაგმენტი, რომელზედაც ქართული ასომთავრული წარწერის ფრამენტია შემორჩენილი (ილუსტ. 22). აღნიშნული წარწერა გამომცემლების მიერ XI-XII საუკუნეებით თარიღდება და მასში „ღ(მრთისა)ჲთა...“ იკითხება.[90]



ილუსტრაცია 22. ზემო უბნის ეკლესიისა და სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი ქართული ასომთავრული წარწერით. ფოტო 1988 წელი; გრაფიკული ჩანახატი გამოცემიდან: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I,* გვ. 132.

№2 ეკლესიის აფსიდის ცენტრში დგას სამკუთხედის ფორმის საკურთხევლის ქვა. როგორც არქეოლოგიური სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი (როდამ აბრამიშვილი)

[89] *დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №2,* ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1992 წლის 11 ნოემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

[90] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 132.

ვარაუდობდა, საკურთხევლის ტრაპეზის ქვად საფლავის ქვაა გამოყენებული და ის სავარაუდოდ ქალაქის სამაროვნიდან უნდა მოეტანათ.[91]

№2 ეკლესიის გათხრებისას, დასავლეთის ფასადთან არსებულ მოედანზე, აღმოჩნდა 14 თხელი და მოკლე სტელა. რამდენიმე მათგანზე დატანილი იყო ჯვრები და სომხური წარწერები. ასევე, ეკლესიის საკურთხევლის წინ, მწკრივზე დალაგებულ სტელის ქვებზეც, რელიეფურ ორნამენტებთან ერთად რამდენიმე სომხური წარწერა ფიქსირდება. მოყვანილი სტელის ქვების შემთხვევაშიც, მათ მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე.[92]

№2 ეკლესიის საკურთხეველი ამაღლებული ჩანს მოგვიანო ხანაში. სამშენებლო მასალად გამოყენებულია საკურთხევლის წინ ჩალაგებული სტელები, ჯვრების გამოსახულებით (4 ცალი). აღნიშნული სტელები სომხურ მემორიალულ ქვებს – ხაჩკარებს უნდა წარმოადგენდნენ და ისინი სავარაუდოდ გვიან შუა საუკუნებით თარიღდებიან. მეორადი გამოყენებისაა საკურთხეველში ვერტიკალურად მდგარი ტრაპეზის ქვა, რომელიც ასევე საფლავის ქვა უნდა იყოს. მსგავსი, ორფერდა ზედაპირიანი სარკოფაგისებრი, მოგრძო საფლავის ქვები მრავლად მოგვეპოვება დმანისის სამაროვანზე და ისინი ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდებიან.

---

[91] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, თამაზ ბუგიანაშვილი, გივი ბოლქვაძე, მერი გოჩიაშვილი, ნუგზარ მგელაძე, როდამი აბრამიშვილი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1986 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1986.

[92] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 107.

№2 ეკლესიის საკურთხევლის ამაღლებისთვის გამოყენებული ქვის სტელების აღების შემდეგ, მათ ქვეშ, ეკლესიის აფსიდში გამოვლინდა სამარხები, რომელთაც in situ მდგომარეობაში, მოგრძო ან კვადრატული ფორმის ბრტყელი საფლავის ქვები ეფარათ.

ილუსტრაცია 23. ზემო უბნის №2 ეკლესია, საკურთხეველი. ფოტო: 1986 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

№2 ეკლესიის საკურთხევლის ამაღლებისთვის გამოყენებულ ქვბიდან საინტერესო ნიმუშს წარმოდგენს სტელა №17 (ზომ. 0.90x0.50 მ.).[93] სტელის მთავარ საფასადო წახნაგზე

[93] აღნიშნული სტელა 1988 წლის აქეოლოგიური გათხრების დოკუმენტაციაში დანომრილია როგორც სტელა №17. ამავე ნუმერაციით გადმოგვაქვს ის ჩვენს ნაშრომში. წყარო: ვახტანგ ჯაფარიძე, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1988 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1986. 20.

გამოსახულია ორფურცლა მრგლოვანი მცენარეული მკლავებით დაბოლოებული ჯვარი (ილუსტ. 25). შემორჩენილი არის ამ ჯვრის ქვედა მკლავის დაბოლოება. ის თითქოს ნახევარპალმეტებისებრ მცენარეულ მოტივებით გამოსახულ ბაზისზე დგას (გამოსახულება საკმად წაშლილია და რთულად იკითხება). ჯვრის ზედა მკლავის ორივე მხარეს წრე-ვარდულებია გამოსახული. სტელაზე გამოსახულ ჯვარს წახნაგის ორივე მხარის კიდეებზე, ჰორიზონტულად, მცენარეულ-გეომეტრიული მოტივის არშიები დაუყვება. სტელის ზედა ნაწილში არშიის სახით და ასევე სტელის ქვედა ნაწილში სომხური წარწერებია მოცემული.

ილუსტრაცია 24. ზემო უბნის №2 ეკლესია, საკურთხეველი. ფოტო: 1986 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ტექსტი საკმაოდ დაზიანებულია, თუმცა მისი შინაარსი თითქოსდა წმინდა ჯვრის შეწირვაზე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას და ძნელად ამოსაკითხი ასოები თითქოსდა თარიღს - XVI საუკუნეს უნდა გვაძლევდეს.

ილუსტრაცია 25. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, სტელა (ხაჩკარი) №17. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

გვიანი შუა საუკუნეების საფლავთაგან საინტერესო გამოსახულებით გამოირჩევა №44 (ზომ. 0.75x0.34 მ). საფლავის ქვეზე ადამიანია გამოსახული. ადამიანის გეომეტრიულად სტილიზებულ, სქემატურ გამოსახულებას სფერული თავი აქვს. საფლავის ქვაზე გამოსახულ მიცვალებულს ხელები მუცელზე აქვს დაწყობილი. გულმკერდის არე შევსებულია ორ ვერტიკალურ რიგად დაწყობილი ჰორიზონტული ზოლებით. მიცვალებულს გრძელი კაბა და ქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. ადამიანის გამოსახულების ყელის მარჯვენა მხარეს, სავარაუდოდ, სავარცხელი ხოლო მარცხენა მხარეს მართკუთხედის ფორმის ჩარჩოიანი სარკეა გამოსახული. წელს ქვემოთ, კაბაზე გამოსახულია ხმალი, თოფი, საპირისწამლე, სავარაუდოდ თოფის მასრები და ნაჯახი (ილუსტ. 26).



ილუსტრაცია 26. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №44 ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი; გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი

გვიან შუა საუკუნეების საფლავის ქვებიდან განსაკუთრებით სანტერესოა ორი, მართკუთხედის ფორმის, ბრტყელზედაპირიანი ლოდისებრი საფლავის ქვა, რომლებზეც სომხური ეპიტაფიებია ამოკვეთილი.

№1 საფლავის ქვა გამოვლენილი იქნა №1 ეკლესიის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ კუთხესთან (ილუსტ. 27). საფლავის ქვაზე (ზომ. 1.55x0.38 მ) ამოკვეთილია 13 სტრიქონიანი ეპიტაფია. წარწერის დასაწყისში მოცემულია სომხური მოქცევის თარიღი რომელიც შეესაბამება ჩვენი წელთაღრიცხვის 1746 წელს. ეპიტაფიის ტექსტში

სავარაუდოდ საუბარია სასულიერო პირზე (ავაქ?), რომელსაც მოვალეობების გამო დმანისში მოუწია ყოფნა და აქვე მახვილით დაიღუპა.[94]

ილუსტრაცია 27. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №1;

ილუსტრაცია 28. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, საფლავის ქვა №73. ფოტოები: 1988 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

[94] სომხური წარწერების შინაარსის ამოკითხვაში დახმარების გაწევისთვის მადლობას ვუხდით ვ. კეკელიას,ჰ. ხუდანიანს, ა. ჰარუთუნიანს.

№73 საფლავის ქვაზე (ზომ. 1.50x0.40 მ) მოცემულია სომხური მოქცევის თარიღი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით შეესაბამება 1746 წელს (ილუსტ. 28). ეპიტაფიაში სავარუდოდ უნდა იკითხებოდეს ახალგაზრდა (მოზარდი ?) გარდაცვლილის სახელი (შერმაზანი ?) რომელიც, შესაძლოა იყოს წარჩინებული ოჯახიდან.

გარდა გვიანი შუა საუკუნეების საფლავის ქვებისა, ზემო უბნის ეკლესიასთან აღმოჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ხანის სომხურწარწერიანი საფლავის ქვაც. №45 საფლავის ქვის წარწერა ამოკვეთილია მომწვანო ფერის ორქანობიან მართკუთხედის ფორმის ქვაზე. საფლავის ქვის ეპიტაფიაში, ჩრდილოეთ ქანობზე, მოცემულია გარდაცვალების თარიღი რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 1284 წელს შეესაბამება.[95] წარწერის ზოგადი შინაარსი კი ასეთია: ხანშიშესული მშობლები დასატირიან ახალგაზრდა ლამაზ ვაჟს (ილუსტ. 29).[96]

---

[95] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 107.

[96] ვახტანგ ჯაფარიძე, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1988 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1986. 24.

ილუსტრაცია 29. დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია, 1284 წლით დათარიღებული საფლავის ქვა №45. ფოტო: 1988 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ზემო უბნის ეკლესიების ირგვლივ მოწყობილ მცირე სამაროვანზე სულ 80-მდე საფლავის ქვაა აღმოჩენილი. ამ ტერიტორიაზე სამარხების გათხრა 1986 და 1988 წლებში წარმოებდა.

№1 ეკლესიის დასავლეთ ფასადთან, ორ იარუსად, აღმოჩნდა ბავშვთა სამარხები. I იარუსზე (მიწის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე) – 4 სამარხი და II იარუსზე (მიწის ზედაპირიდან 0,47 მ სიღრმეზე) – 2 სამარხი. I იარუსისის ერთ-ერთ სამარხის მიცვალებულთან აღმოჩნდა მანგუ ყაენის (1251-1259 წწ) სპილენძის მონეტა, ხოლო II იარუსის მიცვალებუულთან თამარ მეფის 1200 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა.

ამდენად, აღნიშნული სამარხებიდან II იარუსისა XIII საუკუნის I ნახევრით, ხოლო I იარუსის XIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.[97]

ზემო უბნის ეკლესიის მცირე სამაროვანზე გამოვლენილი საფლავის ქვების უმეტესობა, ძირითადად გათლილი და დამუშავებულია. სამარხეული ქვების ნაწილზე, №44 საფლავის ქვის მსგავსად, გარდაცვლილთა მენტალურად სახასიათო მოტივებია მოცემული ან ადამიანის სქემატური გამოსახულებები.

წარმოდგენილი არქეოლოგიური ფაქტებიდან და ლოგიკური მსჯელობით გამოდის, რომ უკვე XIII საუკუნეში, ნაქალაქის ამ ნაწილში ეკლესია უნდა მდგარიყო, რომლის მცირე სასაფლაოზე მიცვალებულებს კრძალავდნენ. ამას, ინვენტარიანი სამარხების გარდა, თარიღიანი სომხურწარწერიანი საფლავის ქვაც ადასტურებს. ეკლესია და სასაფლაო ფუნქციონირებას განაგრძობდა XVIII საუკუნის ჩათვლით (სავარაუდოდ უფრო XVIII საუკუნის შუა ხანებამდე, დმანისის საბოლოო დაცარიელებამდე). ამ ხნის განმავლობაში, ზემო უბნის ორთავე ეკლესიას, მათივე აღწერილობიდან გამომდინარე, რესტავრაცია-გადაკეთება განუცდია.

ქართული საფლავების აქ არსებობის გათვალისწინებით, კერძოდ კი ქართულწარწერიანი ვერძის მიხედვით, ლევან მუსხელიშვილი ზემო უბნის ეკლესიას ქართულად მიიჩნევს. იგი ამავე დროს ითვალისწინებს რა ეკლესიის კედლებში ჩასმულ სომხურ ჯვრებს და ეკლესიის ნანგრევებში გამოვლენილ სომხურ წარწერებს, გამოთქვამს ვარაუდს, რომ ზემო უბნის ეკლესია, შესაძლოა ერთდროულად ყოფილიყო ქართულიც და სომხურიც. იგი ამ ვარაუდის გასამყარებლად, აკეთებს შედარებას ქალაქის სამაროვანთან, სადაც სომხურ-ქართული სასაფლაო ერთადაა წარმოდგენილი.[98]

---

[97] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 107.

[98] მუსხელიშვილი, დმანისი, 397.

XX საუკუნის 80-იან წლებში ძეგლზე მომუშავე არქეოლოგების ვარაუდით, ზემო უბნის ეკლესია და მცირე სასაფლაო სომხური უნდა ყოფილიყო.[99]

ამავე აზრს ვიზიარებთ ჩვენც და მიგვაჩნია, რომ ზემო უბნის ეკლესია და სასაფლაო მოქცეული უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის ერთ-ერთ ეთნიკურ-კონფესიურ უბანში, კერძოდ სომხურ უბანში და ის უბნის ეკლესიის დატვირთვას ატარებდა. ამ ეკლესიის სასაფლაოზე ქართულწარწერიანი საფლავის ქვების გაჩენა, სხვა თანადროულ სომხურწარწერიან საფლავის ქვებთან ერთად, როგორც ვნახეთ, გვიან შუა საუკუნეების ხანას უკავშირდება – პერიოდს როცა დმანისს ქალაქის ფუნქცია დაკარგული აქვს და მხოლოდ ციხე-სიმაგრეს, მასთან არსებულ სოფლური ტიპის მცირე დასახლებას წარმოადგენს.

მართალია, ეკლესიის ინტერიერში, ჩრდილოეთის კედელში, მონოფიზტური ძეგლების დამახასიათებელი, ნიშის მსგავსი სანათლავი არ არის მოწყობილი და არც ეკლესიის საკურთხეველია ამაღლებული, მაგრამ შესაძლოა დავუშვათ, რომ დმანისის ზემო უბნის №1 ეკლესიის სამხრეთ ფასადში ჩასმული სამი ჯვრის გამოსახულება, ისევე როგორც ბალავარზე ამჟამად გადაშლილი ჯვრების გამოსახულებები, აღნიშნული ეკლესიის ეთნიკურობის გამომხატველი იყოს.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქვემო უბნის ეკლესიის სამხრეთ ფასადშიც სამი მსგავსი ჯვრის გამოსახულებაა სომხური წარწერით. ამ ეკლესიის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პატარა ეკლესიას ჯერ კიდევ ლევან მუსხელიშვილი მიიჩნევდა სომხურად. თუმცა იქვე, სომხურ მოსახლეობასთან

[99] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 108.

დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ დმანისში ისინი დიდწილად ქალკედონური უნდა ყოფილიყო.

ზემო უბნის №1 ეკლესიას მონოფიზიტური ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ გააჩნია. თუმცა აქვე, სასაფლაოზე გამოვლენილი საფლავის ქვების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ეკლესია აქ უკვე XIII საუკუნეში უკვე უნდა მდგარიყო. დმანისის ქალაქობის ხანაში, XIV საუკუნის ჩათვლით, ვფიქრობთ რომ ზემო უბნის ეკლესია ქალკედონური და დმანისელი ქალკედონისტი სომხების უბნის ეკლესია უნდა ყოფილიყო. თემურ ლენგის მიერ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მოწყობილი ლაშქრობების შედეგად დმანისი და მისი ქართული, სომხური და მუსლიმი მოსახლეობა მთლიანად განადგურებული ჩანს. სხვადასხვა ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების საფუძველზე, მეტად სავარაუდოა, რომ დმანისის ხელმეორედ დასახლება-განახლება XV საუკუნის I ნახევრის შემდეგ მოხდარიყო. მიუხედავად ამისა, გვიან შუა საუკუნეებში დმანისი უკვე ქალაქს აღარ წარმოადგენდა და აქ ციხესთან არსებული სამოსახლო პუნქტი ფაქტიურად სოფლის ტიპის დაახლება იყო. ამ ხანაში, ზემო უბნის ეკლესიის ტერიტორიზე მონოფიზიტური ნიშნები ჩნდება. №1 ეკლესიის პარალელურად №2 ეკლესიაც ფუნქციონირებს, რომელსაც მეორადად გამოყენებული, გვიან შუა საუკუნეების ხაჩკარებით მოწყობილი ამაღლებული საკურთხეველი აქვს.

XV საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობის ახალი ტალღა შემოდის. ძირითადად მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1442) მიერ, თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ, ხელახლა შემოერთებული სივნიეთიდან (დღევანდელი ყარაბახი). აღნიშნული მიგრაციული პროცესი უკვე ასახულია XVI საუკუნის ქვემო ქართლში, ახლად დაარსებული თუ განახლებული სოფლების სომხურ სახელწოდებებში.[100]

[100] კოპალიანი, დმანისის ნაქალაქარი, 40.

სავარაუდოა, რომ დმანისში ახლად დასახლებული სომხური მოსახლეობა თავიდან მონოფიზიტები იქნებოდნენ.

1536 წლის, იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის განჩინებაში საინტერესო ცნობებს ვაწყდებით იმ დროის დმანისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. დმანისში ამ პერიოდისათვის დაახლოებით 140 კომლს ითვლიდა. სავარაუდოდ, ძველი ქალაქის ტერიტორიაზე თავმოყრილ მოსახლეობას მამულები დმანისის გარშემო უნდა ჰქონოდა. აღწერილი მოსახლეობიდან უმრავლესობა ქართველია. ჩანს სომხური და თათრული კომლებიც, მაგრამ ისინიც უმეტესწილად გაქართულებული გვარებით.[101]

ვახუშტი ბატონიშვილის დმანისხევის მოსახლეობის აღწერილობის მიხედვით, აქ მცხოვრები ეთნიკურად სხვა, მათ შორის როგორც ჩანს სომხებიც, „სარწმუნოებით უმეტესნი ქართველნი ყოფილან“,[102] რაც მათ ქართულ ქალკედონიზმს უნდა გულისხმობდეს. გვიან შუა საუკუნებში, დმანისხევში ჩასახლებული უცხოელების „გაქართველებაზე“ სხვა ცნობებიც მეტყველებს.[103]

ჩვენს შემთხვევაში, დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესიის სასაფლაოზე, გვიან შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვების გაჩენა, თანადროულ სომხურწარწერიან ქვებთან ერთად, შესაძლოა ზემოხსენებული კონფესიური ცვლილებების გამოხატულება იყოს.

არ არის გამორიცხული, რომ ზემო უბნის ეკლესიებიდან ერთ-ერთი – №1 ამ დროისათვის (XVIII ს) ქალკედონური ყოფილიყოს, ხოლო №2 ეკლესია აწეული საკურთხეველით – მონოფიზიტთათვის განკუთვნილი. ორივე ეკლესიის მცირე

[101] ბერძენიშვილი, დმანისხევი, 146.

[102] ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია),* თამარ ლომოურისა და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, (თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა 1941), 39.

[103] ბერძენიშვილი, დმანისხევი, 172-175.

სასაფლაოზე ალბათ ქართველი და სომეხი ქალკედონელები და, შესაძლოა მონოფიზიტებიც, უკვე ერთად იკრძალებოდნენ.

1.6 ქვემო უბნის ეკლესია და სასაფლაო

ქვემო უბნის ეკლესია და სასაფლაო მდებარეობს ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ფინეზურას ხეობის მხარეს. ეკლესია დარბაზული ტიპის, ერთნავიანი ნაგებობაა ორფერდა გადახურვით (ილუსტ. 30). მისი ზომები: 5.5x4.15 მეტრია. შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვებით (ქვიშაქვით, ბაზალტით ჯ.ჩ.). მშენებლობის დროს არ არის დაცული ფასადთა წყობის რიგითობა. კედელთა კუთხეები გამოყვანილია მონაცრისფრო, უხეშად გამოთლილი ქვის კვადრებით. სარკმელთათვის გამოყენებულია მოწითალო და მოყვითალო ტუფის ფილები. საკმაოდ დახრილ ქობიან ფრონტონთა კუთხეებში ჩასმულია რელიეფური ქვები. როგორც ჩანს აღნიშნული ქვები ისევე, როგორც ფასადთა სხვა რელიეფებიანი ფრაგმენტები, სხვადასხვა ნაგებობებიდან არის მოტანილი.

ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის წითელი ტუფის ჩარჩოსებრი მორთულობის თავზე, ჩასმულია მართკუთხედის ფორმის ვერტიკალური სტელის ფრაგმენტი. ეს მოყვითალო ქვიშაქვის ჩანართი შესაძლოა საფლავის ქვა, სომხური ხაჩკარი იყოს. ამ ქვის ხილული წახნაგი საკმაოდ დაზიანებულია, თუმცა მასზე მაინც იკთხება ჯვრის გამოსახულება და მცენარეული ორნამენტის რელიეფური ფრაგმენტები.

ილუსტრაცია 30. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის სამხრეთი ფასადი. ფოტო ჯ. ჩხვიმიანი (2007)

ეკლესიის შესასვლელი სამხრეთიდანაა. გარედან არქიტრავულია, შიგნიდან კი – თაღოვანი. კარის ღიობი 1.75x0.92 მ-ს შეადგენს. ეკლესიას აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში დატანილია სამი სარკმელი. ისინი ერთმანეთის მსგავსია – თაღოვანი, ინტერიერისკენ წირთხლებგაგანიერებული და დაქანებულ ძირით.



ილუსტრაცია 31. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის დასავლეთი ფასადი. ქვემო უბნის ეკლესია, დმანისის ნაქალაქარი. ეკლესიის სამხრეთ კედელში ჩასმული სამჯვრიანი და სომხურწარწერიანი ქვა. ფოტოები ჯ. ჩხვიმიანი (2007).

ეკლესიის ვიწრო დარბაზი უპილასტროა. შიდა კედლები შელელესილია კირის ხსნარით. ეკლესიის დარბაზულ გეგმარებაში ჩასმულია ნახევარწრიული აფსიდი (დიამეტრი – 2.5 მეტრი; რადიუსი – 1.3 მეტრი; სიმაღლე – 4.35 მეტრი). კონქი უხეშადაა გადაყვანილი. ეკლესიის აფსიდში, აღმოსავლეთი სარკმლის ორივე მხარეს თითო, მცირე მართკუთხა ნიშაა ჩაშენებული. ფლეთილი ქვის სატრიუმფო თაღის კაპიტელები პროფილიანია. მომრგვალებული თარო ბალიშების ძირს ეფუძნება (ილუსტ. 32).[104]

[104] *დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია,* ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1993 წლის 10 სექტემბერს გია ჭანიშვილის მიერ). დოკუმენტის მიხედვით ეკლესია გვიან შუა საუკუნეებითაა დათარიღებული.

ეკლესიის შიდა კედლებში ჩაყოლებული სტელის ფრაგმენტები V-VII საუკუნეებით თარიღდება და ისინი აქ სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი. ეკლესიას არ გააჩნია თავდაპირველი მშენებლობის დროინდელი წარწერა და გაფორმება, რაც მის დათარიღებას ართულებს - მით უმეტეს, რომ ეკლესიის ეს დარბაზული ტიპი ჩვენში საუკუნეთა განმავლობაში იყო გავრცელებული.



ილუსტრაცია 32. დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია. გეგმა, ჭრილი. შედგენილია დმანისის ექსპედიციის ანაზომების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

ამდენად, ეკლესიის დათარიღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არქეოლოგიურ მონაცემებს ენიჭება.

ქვემო უბნის ეკლესიასთან სასაფლაოს არქეოლოგიური შესწავლა 1983-1984 წლებში წარიმართა და ის ეკლესიის სამხრეთ აღმოსავლეთით, ორ პარალელურ კედლებს შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავდა. ხსენებული პარალელური კედლები ეკლესიაზე უფრო ადრეული საცხოვრებელი შენობის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს, რომლის მოშლის შემდეგაც აქ სასაფლაო მოუწყვიათ (ილუსტ. 33).

გათხრების ტერიტორიაზე გამოვლენილ სამარხების უმრავლესობას[105] საფლავის ქვები გააჩნდა, ოღონდ წარწერის გარეშე. სამარხები უინვენტარო იყო. მხოლოდ რამდენიმე მათგანში აღმოჩნდა მონეტები, რომელთაგანაც 3 კარგად თარიღდება.

1. მეფე რუსუდანის მონეტა (1227 წ.) სამარხი №10[1] (0.25 მ სიღრმეზე);
2. მანგუ ყაენის მონღოლური მონეტა (1254-57 წწ.) – სამარხი №9[1] (0.40 მ სიღრმეზე);
3. ე.წ. „სომხითური“ მონეტა (XIII საუკუნის 80-90 იანი წლები) – სამარხი №9[2] (0.60 მ სიღრმეზე);
4. გაურკვეველი მონეტა (სპილენძის) – სამარხი №10 (0.35 მ სიღრმეზე);

[105] საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის მიხედვით ქვემო უბნის ეკლესიის სააფლაოზე სულ 30 სამარხი უნდა გათხრილიყო.



ილუსტრაცია 33. დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია. გეგმა. ეკლესიის სამხრეთით შესწავლილი მცირე სასაფლაო. გეგმა: დმანისის ექსპედიციის არქივი

ეკლესიის შიგნით, მის ჩრდ. დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა საფლავის ქვა მხედრული წარწერით (ილუსტ. 34). დაზიანების მიუხედავად იკითხება გარდაცვლილი პიროვნების ვინაობა: ზედგინისძე, ძე ზაალისა („ზაალიშვილი“).[106]

[106] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Нугзар Мгеладзе, Мери Гочиашвили, Гиви Болквадзе, Тамаз Бугианишвили, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году* / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 105-119, Таб. CLXXXVIII-CCII.

ილუსტრაცია 34. დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია. ეკლესიაში აღმოჩენილი ქართულწარწერიანი საფლავის ქვა. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

მხედრულით შესრულებული წარწერის შინაარსის ახლებური წაკითხვა კი ასეთია: ქ. მე ზედგინიძე ზაალის შვილი [დავემკვიდრე. ქ(ორონი)კ(ონ)ს] |[2] უკი, ას(უ)ლითა და მშობ<ჭ>ლნი დაუტე{ვ{ე მ[ტ]ირ[ალნი]. წარწერა ქორონიკონითაა მოცემული: „უკი“, რაც 1742 წელს შეესაბამება.[107]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია სავარაუდოდ XII საუკუნის ბოლოს ან XIII ს-ის I ნახევარშია აგებული აქ არსებულ, უფრო ადრეული ხანის სამშენებლო ფენებზე, მას შემდეგ რაც ეს დუღაბის ხსნარზე ნაგები ქვის შენობები დაინგრა. XIII ს-ის I ნახევარიდან ეკლესიის გარშემო მცირე სასაფლაო მოუწყვიათ, რასაც სამარხებში აღმოჩენილი მონეტებიც ადასტურებს. სავარაუდოდ, გვიან შუა საუკუნეებისთვის, ეკლესიის სამხრეთით მდებარე XIII საუკუნის სამარხებზე ახალი საცხოვრებელი დონე, ქვის მშრალი წყობით ნაგები სტრუქტურები მოუწყვიათ. როგორც ჩანს ეკლესია

[107] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი I, 223.

ფუნქციონირებას განაგრძობდა XVIII საუკუნეშიც, რაზეც ეკლესიაში აღმოჩენილი საფლავის ქვის მხედრული წარწერაც მეტყველებს.[108]

ლევან მუსხელიშვილის ვარაუდით, ქვემო უბნის ეკლესია კართან ჩატანებული სომხურჯვრებიანი ქვის გათვალისწინებით, შესაძლოა სომხური ყოფილიყო.[109]

მონოფიზიტური ძეგლების სიაშია შეტანილი აღნიშნული ეკლესია გიორგი გაგოშიძისა და ნათია ჩანტლაძის მონოგრაფიაშიც. თუმცა, ავტორები იქვე შენიშნავენ, რომ ამ ეკლესიას, მონოფიზიტური ძეგლების მახასიათებელი ნიშნები – აწეული საკურთხეველი და ჩრდილოეთ კედელში ჩადგმული სანათლავი, არ გააჩნია. ეკლესია ავტორთა მიერ გვიან შუა საუკუნეებითაა დათარიღებული.[110]

ეკლესიის კართან ჩასმულ ჯვრების გამოსახულებიან ქვაზე ამოკვეთილი წარწერა თავის დროზე წაკითხული აქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს. იგი ამ ორსტრიქონიანი წარწერის პირველ სტრიქონში კითხულობს თარიღს – 1511 წელს, ხოლო მეორე სტრიქონი მას გაშიფრული აქვს როგორც: „წმიდა ღუკა“.[111]

აღნიშნული, ჯვრების გამოსახულებიანი და სომხურწარწერიანი ქვა თითქოს მეორადი გამოყენებისა ჩანს; ყოველ შემთხვევაში, თავის ამჟამინდელ ადგილას ის გვიან უნდა იყოს ჩასმული – შესაძლოა უკვე ეკლესიის განახლების დროს, გვიან შუა

---

[108] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, ნუგზარ მგელაძე, გივი ბოლქვაძე, მერი გოჩიაშვილი, თამაზ ბუგიანიშვილი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984. 8-10.

[109] მუსხელიშვილი, დმანისი, 397.

[110] გიორგი გაგოშიძე, ნათია ჩანტლაძე, *მონოფიზიტური ძეგლბი საქართველოში (არქიტექტურა, რელიეფები, წარწერები) I,* ქვემო ქართლი, (თბილისი: არტანუჯი, 2009), 53.

[111] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 159, სურ. 8.

საუკუნეებში, წარწერის თარიღის გათვალისწინებით, 1511 წელს. შესაძლოა მაშინ მოხდა ეკლესიის განახლება და ეს ქვაც მაშინ აღმოჩნდა დღეს არსებულ ადგილზე.

XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის მიერ განადგურებული ქალაქ დმანისის აღდგენა იწყება. მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც ქალაქი ვერ აღდგა, დმანისი სტრატეგიული ციხისა და მასთან არსებული სამოსახლო პუნქტის ფუნქციას მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა. XV საუკუნის II ნახევარში დმანისის მფლობელებად უკვე ბარათაშვილები გვევლინებიან. XV საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში იაყუბ ყაენის ლშქრობებს აქვს ადგილი. მისი ლაშქარი არბევს დმანისხევსაც.[112] სავარაუდოა, რომ ამ ლაშქრობების დროს დმანისი კიდევ ერთხელ დაზარალდა. ამდენად, შესაძლოა ქვემო უბნის ეკლესიის განახლებაც ამ უკანასკნელი ლაშქრობების შემდგომ მომხდარიყო, XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში. შესაძლოა ეკლესიაზე განახლება-რესტავრაციის დროს ჩასმული თარიღიანი ქვაც ამვე პერიოდს ეხმიანებოდეს.

ნიშანდობლივია რომ, ქვემო უბნის ეკლესიის სასაფლაოზე არ ვხედავთ სომხურ წარწერებიან საფლავის ქვებს, რომლებიც ასე მრავლად გვაქვს ზემო უბნის სომხური ეკლესიის სასაფლაოს შემთხვევაში. ამ გარემოების გამო, სათუოა აღნიშნული ეკლესია სომხურად მივიჩნიოთ, ყოველ შემთხვევაში მონოფიზიტურ ეკლესიად.

მეტად სავარაუდოა, რომ ქვემო უბის ეკლესია თავიდანვე, XIII საუკუნიდან მოყოლებული, ქალკედონური ყოფილიყო. უკვე მოგვიანო ხანაში, გვიან შუა საუკუნეებში ეკლესიის სამხრეთ კედელში ჩასმული სომხურწარწერიანი ქვა კი, შესაძლოა, ეთნიკურობის ხაზგასმა იყოს და არა კონფესიური კუთვნილების გამოხატულება.

დმანისის ქალაქობის ხანაში, ამ ეკლესიას შესაძლოა ქალაქის ერთ-ერთი უბნის ეკლესიის ფუნქცია ჰქონოდა. შესაბამისად, ქალაქის ეს ნაწილიც, დღევანდელი

---

[112] *ქართლის ცხოვრება, ტომი IV*, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 386.

ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, დმანისელი ქრისტიანებით (ქართველებით) იქნებოდა დასახლებული.

1.7 დმანისის ნაქალაქარის გარეუბანში მდებარე საყდრისქედის ეკლესია

საყდრისქედის ეკლესია ნაქალაქარის ტერიტორიაზე არ მდებარეობს, თუმცა ის ქალაქობის ხანისაა და უშუალოდ დმანისის მმართველ ელიტას უკავშირდება. ეკლესიის არქეოლოგიურ გათხრებისას აღმოჩენელი წარწერები უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ქალაქის მოსახლეობის მაღალი სოციალური წრის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ეთნიკურ-კონფესიური სურათის, ქალაქის მმართველობის შესახებ. ეკლესია დმანისის ნაქალაქარიდან აღმოსავლეთით, 2 კილომეტრში, მდინარე ფინეზაურის მარჯვენა მხარეს, მთის ქედზე მდებარეობს. ეკლესია ამჟამად უღრანი ტყითაა გარშემოცული.

ეს მცირე ეკლესია 1962 წელს აღმოჩნდა აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითი ექსპედიციის მუშაობის შედეგად.[113] დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაეკლესიარის ტერიტორიაზე მუშაობა 1963 წლიდანვე დაიწყო, რასაც შემდგომში, 1973 წელს, გეგმური არქეოლოგიური საველე კვლევები მოყვა.

საყდრისქედის ეკლესია დარბაზული ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა, ზომით 5.85x3.25 მეტრი. თავდაპირველი სიმაღლით ეკლესიის მხოლოდ აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი. აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის ზემოთ კედელში წითელი ტუფის ჯვარია ჩასმული. დასავლეთი კედლიდან მხოლოდ ორი-სამი რიგის კედლის წყობის

[113] დევი ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIII, 3,* (თბილისი, 1964).

ქვებია შემორჩენილი; ნახევრადაა ჩამოშლილი ეკლესიის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. ეკლესიის კედლები 0.70 მეტრი სისქისაა (ილუსტ. 35-37).

ილუსტრაცია 35. საყდრისქედის ეკლესია გათხრების დაწყების წინ. ფოტო: 1963 წელი. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ეკლესიის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის, უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის, ტუფისა და ბაზალტის ქვებით. კედლის კუთხეების წყობაში გამოყენებულია დამუშავებული ქვის კვადრები. კედლების წყობაში არ არის დაცული ჰორიზონტალური რიგითობა. კედლები ნაგებია კირის დუღაბზე. ეკლესიის ინტერიერი, ასევე ექსტერიერი შელესილი ყოფილა კირით. საკურთხეველში დაფიქსირდა შელესილობის სამი ფენა. ეკლესია მოხატული უნდა ყოფილიყო, თუმცა მოხატულობის კვალი ეკლესიის აღმოჩენის დროისათვის პრაქტიკულად არ იკითხებოდა. ეკლესიაში შესასვლელი

სამხრეთის მხრიდან ყოფილა მოწყობილი. შემორჩენილია 1.20 მეტრი სიგანის კარის ღიობი. სარკმელი მხოლოდ აფსიდის კედელშია შემორჩენილი. არ ვიცით, ჰქოდა თუ არა სარკმლები ეკლესიის სხვა კედლებს. ეკლესიის კონქი და ნავი მთლიანად ჩამოშლილია. ეკლესიის გადახურვა ორფერდა უნდა ყოფილიყო. ეკლესია საუცხოოდ გათლილი სწორკუთხოვანი ქვის ლორფინებით (ზომები: 1.40x0.05x0.80 მეტრი) ყოფილა გადახურული.[114]

ილუსტრაცია 36. საყდრისქედი ეკლესიის საკურთხეველი გათხრების პროცესში. ფოტო: 1973 წელი, დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

[114] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუანშერ ამირანაშვილი, კონსტანტინე მელითაური, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (გათხრები დმანისის გარეუბაში 1973 წელს) საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1973.



ილუსტრაცია 37. საყდრისქედის ეკლესია. სიტუაციური გეგმა, ჭრილი. კ. მელთაური, 1973 წელი. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ეკლესიის საკურთხეველი იატაკის დონესთან შედარებით ერთი საფეხურით (0.18 მეტრი) მაღლაა. აფსიდის სიგანე 2.90 მეტრს შადგენს. საკურთხევლის აფსიდში, ორივე მხარეს დატანილია ორი ოთხკუთხა ნიში.

ეკლესიის ინტერიერში, ჩრდილოთ და სამხრეთ კედლებთან (ასევე, საკურთხევლის აფსიდსაც) შემოუყვება 0.27 მეტრი სიგანისა და 0.35 მეტრი სიმაღლის ხარისხი, სავარაუდოდ ჩამოსაჯდომი დანიშნულებით. ეკლესიის იატაკი შელესილი იყო კირის ხსნარით. ეკლესიის ნავს შუაში კედლებზე ამოყვანილი პილასტები და მასზე გადაყვანილი საბჯენი თაღი ჰყოფდა (ილუსტ. 38).



ილუსტრაცია 38. საყდრისქედის ეკლესია. გეგმა, ჭრილი. დმანისი. ვ. ჯაფარიძის, არქიტექტორების, რ. ბერიძის, ვ. კანდელაკის მიხედვით (1974). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ეკლესიას სამხრეთის მხრიდან, გვიანდელი, 5.40x1.9 მეტრი ზომის მინაშენის ნაშთები დაფიქსირდა. მინაშენში შესაძლოა პატარა მარანი ყოფილიყო. აღმოჩნდა იატაკის დონიდან მიწაში ჩაფლული სამი პატარა ქვევრი. ასევე, გვიანდელი, ქვითა და ტალახით ნაშენი ნაგებობის (4.70x4.30 მეტრი ზომის) ნაშთი აღმოჩნდა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. იგი დარბაზული ტიპის, სავარაუდოდ ერდო-გვირგვინიანი სახოვრებელი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ოთახის ცენტრში, იატაკზე კერის კვალი დაფიქსირდა. მის ორივე მხარეს ქვის ბალიშებია, რომლებზეც, სავარაუდოდ, დედაბოძის ხის სვეტები იდგა. მსგავსი ბალიშები აღმოჩნდა ოთახის კედლების ძირში, სავარაუდოდ ბანური გადახურვის კონსტრუქციის დამჭერი სვეტებისთვის (ილუსტრ. 37).[115]

ეკლესიის მინაშენის სამხრეთ კედელთან, გარეთა მხრიდან აღმოჩნდა XI საუკუნის ორი ცალი ბიზანტიური სპილენძის მონეტა, თეოდორას (1055-1956) და რომანოზ III (1028-1034 წწ) სახელით მოჭრილი.

ეკლესიის დასავლეთი კედლის ძირთან, 0.15 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა მონეტების ორი განძი. 1964 წელის გათხრებისას თამარ-დავითის 1200 წელს მოჭრილი15 სპილენძის მონეტისაგან შედგენილი განძი და 1973 წელს მსგავსი, 33 მონეტისაგან შედგენილი მეორე განძი. კიდევ ორი გვიანდელი მონეტაა აღმოჩენილი ეკლესიის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი მათგანი იკითხება და იგი მოჭრილია აჰმედ III (1703-1730) სახელზე.

ეკლესიის დასავლეთით სამი სამარხი გაითხარა. სამარხებს ბრტყელი, მართკუთხედის ფორმის საფლავის ქვები ეფარა. №2 სამარხში მიცვალებული არ აღმოჩნდა. №№1 და 3 სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ქრისტიანული წესით. სამარხები უინვენტარო აღმოჩნდა. ეკლესიის ტერიტორიაზე გათხრების დროს XII-XIII საუკუნეებზე ადრინდელი ფენა არ გამოვლენილა. ეკლესიაც, შემსწავლელი ჯგუფის მკვლევართა აზრით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

---

[115] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუანშერ ამირანაშვილი, კონსტანტინე მელითაური, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (გათხრები დმანისის გარეუბაში 1973 წელს), *საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს,* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 82-85, ტაბ. XVII-XVIII/1.



ილუსტრაცია 39. საყდრისქედის ეკლესიის საკურთხევლის რეკონსტრუქცია, შესრულებული კონსტანტინე მელითაურის მიერ. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 40. საყდრისქედის ეკლესიის ქვის სტელა დმანისელი ამირის წარწერით. ფოტო, გრაფიკა

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი საუცხოო ჩუქურთმებით შემკობილი ტუფის ქვის კანკელის ფრაგმენტები. საყდრისქედის კანკელი სამმალიანია. ცენრალურ მალი საკურთხეველში შესასვლელი კარია (1.10 მ სიგანის ღიობით). კარის ორივე მხარეს, კედლები ამოყვანილია სწორკუთხოვანი ფილებით, რომელთა ძირსა და თავზე ვიწრო ჩუქურთმიანი არშიები, ხოლო გვერდებზე

გაწყვილებული ნახევარსვეტები ამშვენებს. კანკელის ქვედა ნაწილზე, გვერდითა ფილებზე, ორ-ორი მრგვალი სვეტია აღმართული, რომლებსაც სამთაღიანი კანკელის ზედა ნაწილი – ანტაბლემენტი ეყრდნობა. მისი თითეოეული თაღი შემკულია წინ გამოწეული სამფურცლოვანი ფესტონებით. ანტაბლემენტს თავზე ზოლად მოჩუქურთმებული ლავგარდანი გასდევს (ილუსტ. 39).[116]

საყდრისქედის კანკელი, თავისი კონსტრუქციით, შემადგენელი სეგმენტებითა და შემკულობაში გამოყენებული ორნამენტული მოტივებით, მსგავსებას ამჟღავნებს XII-XIII საუკუნეების სხვა ცნობილ ქართულ კანკელებთან. კონსტრუქციულად განსაკუთრებული მსგავსება იგრძნობა სათხისა[117] და გუდარეხის[118] კანკელებთან ხოლო ორნამენტული მოტივების მიხედვით, დმანისის სიონის კარიბჭესთან, ფიტარეთთან, ლურჯ მონასტერთან, ბეთანიის ორნამენტებთან.[119]

ეკლესიის კანკელი ამჟამად გამოტანილია ახლადგახსნილი ბოლნისის მუზეუმის შუა საუკუნეების ექსპოზიციაზე (ილუსტ. 41). კანკელის, მის წინ მდგარი წარწერიანი სტელის, საკურთხევლის რეკონსტრუქცია ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს აღნიშნული მუდმივმოქმედი გამოფენის კონცეფციაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი ავტორიც დოქტორანტია.

უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია საყდრისქედში აღმოჩენილი წარწერები. საყდრისქედის ეკლესიიდან რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი

---

[116] ვახტანგ ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 165-168.

[117] ექვთიმე თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი მეორე, *სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტომი 43*, (თბილისი, 1951), 159-162.

[118] ლევან მუსხელიშვილი, შალვა ხიდაშელი, ვახტანგ ჯაფარიძე, *გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიის გამომცემლობა, 1954), 107-108.

[119] თამარ დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე, თამარ ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება,* (თბილისი: სეზანი, 2017), 575-576, 578-587, სურ. 305-307.

მომდინარეობს. მათგან უმთავრესით, დმანისელი ამირის, იობ მიხრიკის-ძის მოსახსენებელი წარწერით დავიწყებთ, რომელიც 1210-1223 წლებით თარიღდება.

ილუსტრაცია 41. ბოლნისის მუზეუმი. საყდრისქედის ეკლესიის საკურთხეველი და მის წინ აღმართული ქვის სტელა დმანისელი ამირის წარწერით. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

28 სტრიქონიანი წარწერა ამოკვეთილია ბაზალტის 1.45x0.25x0.28 მეტრი ზომის ოთხწახნაგოვანი სტელის (სამუზეუმო ნომერი: სსმ 608) ერთ-ერთ წახნაგზე – სტელის დასავლეთ ფასადზე. სტელის წიბოები მომრგვალებულია ლილვისებურად (ილუსტ. 40). სტელის თავზე ამოჭრილია ფოსო რომელშიც ქვის ჯვარი იყო ჩასმული. საკუთრივ

სტელა კუბური ფორმის ბაზისში (ზომ. 0.65x0.52x0.33 მ) იყო ჩასმული. ქვაჯვარი აღმართული იყო საყდრისქედის ეკლესიაში საკურთხევლის წინ. სტელის სიმაღლე ბაზისში ჩასმული და თავზე ჯვრით 1.70 მეტრს შეადგენს. სტელაზე ამოკვეთილი წარწერის შინაარსი ასეთია:

q სახე|[2]ლითა |[3] ღ(მრთ)ის(ა)ჲთა|[4] და შეწ(ე)ვ|[5]ნითა ყ(ოვლა)დ |[6]წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ის მშ|[7]ობლის(ა)ჲთა |[8] ადიდენ და|[9]ამყ(ა)რენ |[10] ღ(მერთმა)ნ ძლ(იე)რი და |[11] უძლ(ე)ვ(ე)ლი მ|[12]ეფ(ე)თ(ა) მ(ე)ფო|[13]ბ(ა)ჲ გ(იორგ)ისი. მე, |[14] მიწ(ა)მ(ა)ნ მ(ე)ფ(ო)ბისა |[15] მ(ა)თის(ა)მ(ა)ნ იობ მი|[16]ხრიკის ძ(ე)მ(ა)ნ დმ(ა)ნ|[17]ის ჩ(ე)მსა ამირ(ო)ბ|[18](ას)ა შ(ინ)ა აღვჰ(უ)მ(ა)რ|[19]თე ჯ(უარ)ი ესე ს(ა)ხ(ე)ლსა |[20] ზ(ედ)ა წ(მიდ)ისა მ(ო)წ(ა)მისა |[21] დიმიტრისა ს(ა)ლ(ო)ც|[22]ვ(ე)ლ(ა)დ მ(ე)ფ(ო)ბისა მ(ა)თ(ი)|[23]სა ს(ა)ჴს(ე)ნ(ე)ბლ(ა)დ ს(უ)ლი|[24]სა ჩ(ემ)ისა. ვინცა მო|[25]მ(ა)ვ(ა)ლთა ჟ(ა)მთა |[26] დაწერილი ესე ა|[27][ღ]მ(ო)იკჲთხ(ო)თ ლ[ოც|[28]ვ(ა)სა მ(ო)მ(ი)ჴს(ე)ნ(ე)თ].[120]

წარწერის შინაარსიდან ჩანს, რომ წარწერიანი სტელის აღმართველი დმანისელი ამირა იობ მიხრიკის ძეა. ისტორიული წყაროების ჩათვლით, ეს დმანისელი ამირის მოხსენიების მესამე შემთხვევაა. ამათგან პირველი ორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI საუკუნის II ნახევარში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ესაა, თბილისელი ჯაფარიდი ამირების დმანისელი შტოს წარმომადგენელი, ამირა სითლარაბი, რომელსაც საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ემ განსაზღვრული საფასის სანაცვლოდ თბილისი დაუთმო და დმანისელი ამირა სახელის მოუხსენიებლად, რომელიც მეფე გიორგი II-ის წინააღმდეგ მიმართულ თურქ-სელჯუკთა კოალიციაში იყო გაერთიანებული.[121]

ამ სამოხელეო ტერმინთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ის ქართლში არაბთა ხელისუფლებისა და მართვა-გამგეობის შედეგად შემოსულია. როგორც

---

[120] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 164-165.

[121] *ქართლის ცხოვრება, ტომი II*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1959), 312-317.

ცნობილია, დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს ქალაქებში უკვე მეფე ნიშნავდა თავის მოხელეს. მას ძველებურად ამირა ერქვა. ეს არაბული ტერმინი ქალაქის მმართველი ქართველი მოხელის აღმნიშვნელი გახდა. მეფე ამირებს ნიშნავდა იმ ქალაქებშიც, სადაც საერთოდ არ ცხოვრობდნენ არაბები. ვიცით, რომ მეფე თამარის დროს თბილისის ამირა აბულასანი იყო. ის ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება, როგორც ქართლის ერისთავთერისთავი და ამირთა ამირა. ესე იგი, ამირა გარდა ძველი ჩვეულებისა – თბილისის მმართველობისა, განაგებს ქალაქის ახლომდებარე რაიონებსაც. XIII საუკუნეში ცნობილია ასევე გორის ამირთა ამირა, ჟინვალის ამირა, ქუთაისის ამირა. ამირებს ნიშნავდნენ ასევე საქართველოსთვის ახლად შემოერთებულ ქალაქებში. გიორგი III-ის მიერ ანისის შემოერთების შემდეგ იქ ამირად ერთ-ერთი ქართველი დიდებული დაინიშნა, ხოლო თამარის დროს შემოერთებული კარის ამირად – ივანე ახალციხელი.[122]

სტელაზე ამოკვეთილი ტექსტიდან ჩანს, რომ იობ მიხრიკის ძე მეფის მიერ დმანისში დანიშნული ქრისტიანი, ქართველი ამირაა, რომელსაც ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდება ქალაქისპირის სოფლებზე. აქ მისი მოვალეობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც სხვა ამირებისა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქალაქის მართვა-გამგეობა, მის გაშენება-თავდაცვასა და მეურნეობაზე ზრუნვა და ა.შ. დევი ბერძენიშვილის ვარაუდით, დმანისის ამირა ადგილობრივი ფეოდალური მფლობელი არ უნდა იყოს. იგი მეფის ხელისუფლების მოხელედ ითვლება და ადმინისტრაციულად მას ქალაქი და მეზობელი სოფლები ექვემდებარება.[123] ეს კი ის სოფლები და გარშემო არსებული ტერიტორიაა, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა უშუალოდ ქალაქის რომელიღაც სტრუქტურულ ნაწილს, მაგალითად, გარეუბანს ან ზოგადად, ქალაქის ეკონომიკურ რაიონს.

---

[122] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში,* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 120.

[123] დევი ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIII, 3,* (თბილისი, 1964).

საყდრისქედის სტელაში მოხსენიებულ იობ მიხრიკის ძის მსგავსი სახელით, დევი ბერძენიშვილს რამდენიმე ისტორიული პიროვნება მოჰყავს და მათ დმანისელ ამირასთან სავარაუდოდ აკავშირებს. ესენია: ჯვრის მონასტრის XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ აღაპებში მოხსენიებული ელ-მიხრიკი[124] და 1189-1200 წლების შიომღვიმის ერთ-ერთ ჩანაწერში, სამწირვლოს წყალობის განახლების შესახებ მოხსენიებული აბრაამ მიხრიკის ძე.[125]

იქვე, ბერძენიშვილი ყურადღებას აქცევს დამნისელი ამირის სახელის აღმოსავლურ იერს და ამავე ფუძიდან ნაწარმოებ და ძველ წარმართულ ღვთაება მითრასთან დაკავშირებულ სახელს როგორიცაა მიჰრი/მირი. მას მაგალითად ასევე მოჰყავს მსგავსი სახელით, XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარი, კილიკიაში დრაზარკის მონასტრის დამაარსებელი გეორგ მეღრიკი/მეხრიკი (სომხურად: Գևորգ Մեղրիկ). სახელი ფუძე „მეღრ“-დან მომდინარეობს და ის თაფლს, ტკბილს აღნიშნავს.[126] გეორგ მეღრიკის გარდაცვალების თარიღად სამუელ ანცთან, სტეფანოზ ორბელიანთან, ისევე როგორც კირაკოზ განძაკეცთან მოცემულია 1113 წელი.[127]

საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსის პირველ გამოცემაში, სადაც თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესის აბულასანის მამის სახელი – იობ არის მოყვანილი, რომელიც მხოლოდ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, თბილისის ლურჯი მონასტრისა და ანდრია პირველწოდებულის ხატის წარწერებში ფიქსირდება. ავტორთა მოსაზრებით, აბულასანი იობის ძე და იობ მიხრიკის ძე, შესაძლოა ერთმანეთის

---

[124] ელენე მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,* (თბილისი, 1962), 74.

[125] *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საბუთების მიხედვით, ტომი III,* მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ, (თბილისი: არტანუჯი, 2004), 202-203.

[126] დევი ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIII, 3,* (თბილისი, 1964).

[127] Киракос Гандзакеци, *История Армении,* Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, (Москва: Наука, 1976), 91, 274.

მომდევნო ორი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ასევე გამოთქმულია ფრთხილი ვარაუდი, რომ აბულასანის ფეოდალური სახლის საპირისპიროდ, ამავე საგვარეულოს მეორე შტო დააწინაურეს, რომლებიც შემდგომში უკვე დმანისში ჩანან (იობ მიხრიკის ძის შტო). მსგავსი პრეცენდენტები საქართველოს ისტორიაში რამდენჯერმე ფიქსირდება, როცა ფეოდალური საგვარეულოს ერთ შტოს სამეფო ხელისუფლება კონფლიქტის შემთხვევაში აქვეითებს და იმავე ფეოდალური სახლის მეორე შტოს აწინაურებენ პირველის საწინააღმდეგოდ.[128]

საყდრისქედის ეკლესიის სამხრეთის ფასადთან კიდევ ერთი ვრცელი წარწერა აღმოჩნდა, ე.წ. ხუდადისძეთა მოსახსენიებელი. აღნიშნული წარწერაც XIII საუკუნის I ნახევრითაა დათარიღებული. წარწერიანი ქვა (სამუზეუმო ნომერით სსმ 609) შესაძლოა იყოს ეკლესიის სამხრეთი მინაშენის ბალავრის ქვა (ილუსტ. 42).



ილუსტრაცია 42. საყდრისქედის ეკლესიიდან მომდინარე, ბალავარის ტიპის ქვაზე (სამუზეუმო № სსმ 609) ამოკვეთილი ე.წ. „ხუდადისძეთა მოსახსენიებელი“. ბოლნისის მუზეუმი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

[128] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი I, 30.

ქართული ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია სწორკუთხა ფორმის ტუფის ქვაზე (ზომა: 1.50x0.52x0.27 მ). წარწერის შინაარსი ასეთია:

წ. ს(უ)ლს(ა) მ̓ჴეცის̣ა̣, ინაისს(ა), გი(ორ)გისსა, იაკ(ო)ʹბისს[ა], |[2] ბ(ეშა)ნგ(ი)სსა დ(ა) მ(ა)რ(ი)ამსს̣ა̣ შ(ეუნდვე)ნ უ(ფალო) ღ(მერ)თო დ(ა) მ(ათ)თა მ(ი)ცვ(ა)|[3]ლებ(უ)ლთა, ხ(უ)დ(ა)დ(ი)სძ(ე)სა გ(იორგ)ის დ(ა) მ(ე)ოღლ(ე)სა მ(ი)სს(ა) მ(ა)რ(ია)მს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. |[4] ღ(მრთი)სმ(შო)ბ(ელ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ტ(ი)კნ(ა)ც-ტ(ი)კ(ი)ნ(ი)სი ვ(ა)რდ(ე)რესისი და ხ(უ)ფ(ა)რ(ა)ც ტ(ი)კინ(ი) სი, ა(მე)ნ.[129]

მეტად საინტერესოა წარწერაში მოხსენიებული პირების სახელები, რომლებიც, სავარაუდოდ, მათივე წარმომავლობის შესახებ გავწვდის ინფორმაციას. წარწერაში მოხსენიებულ სახელთაგან – გიორგი, იაკობი და მარიამი, ფართოდ გავრცელებული ჩანს საქართველოში. იშვიათ სახელს წარმოადგენს „ინაჲ“, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, ასეთივე სახელი გვხვდება გუნიაყალას XIII საუკუნის წარწერაში.[130] სახელი ბეშანგი, ფეშანგის ფორმით მრავლად გვხვდება XVII საუკუნის დოკუმენტებში.[131]

წარწერის ტექსტში, მიცვალებულთა შორის მოხსენიებული სახელი ვარდერესი ორი ნაწილისაგან შეგება „ვარდ“ და „ერეს“. სომხურად ვარდი ქართულის მსგავსად „ვარდ“-ია (Վարդ). სახელის მეორე ნაწილი კი „ერეს“ (երես) სომხურია და სახეს აღნიშნავს. სახელის ორივე ნაწილი ერთად, ქართულად „ვარდისახა“-ს ნიშნავს, რაც სომხურად „Վարդերես“-ი იქნება (მსგავსი წარმოშობის და მნიშვნელობის სახელი სპარსულად იქნება „გულჩარა“). ქართულ ონომასტიკაში მსგავსი მნიშვნელობის სახელი,

---

[129] ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 168-169.

[130] ვახტანგ ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 163; ანა ბაქრაძე, XIII საუკუნის წარწერა *გუნია-ყალადან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953), 219-220.

[131] *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საგუთების მიხედვით, ტომი IV,* მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა (თბილისი: არტანუჯი, 2007), 307-308.

„ვარდისახარი“-ის ფორმით გვხვდება. სახელი ვარდერესი: „Վարդերես“ (აქედანვე უნდა მომდინარეობდეს თანამდროვე გვარი ვარდერესიანი) სომხურ ონომასტიკაში დადასტურებულია XIV საუკუნეებში. ერთ-ერთ ისტორიულ, 1320 წლამდე დათარიღებულ წყაროში და ასევე 1333 წლის იერუსალიმთან დაკავშირებულ საეკლესიო დოკუმენტში.[132] გამოდის რომ Վարդերես („ვარდერესი“) სახელის ყველაზე ადრეული მოხსენიება (როგორც ვნახეთ, აჭარიანთან მოხსენიებულ მსგავსი სახელების პირველად ვხვდებით XIV საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ მასალებში) დმანისში ფიქსირდება.

საყდრისქედის წარწერაში ვარდერესი მოხსენებულია როგორც ტიკნაც-ტიკინისი, რაც სომხურად აღნიშნავს – „დედოფალთ-დედოფალი“. როგორც ქართული ისე სომხური ონომასტიკისათვის უცნობია სახელი „ხუფარაც“, თუმცა იგი ნახსენებია როგორც ტიკინიცი, რაც „დედოფალს“ ნიშნავს. უცნობი პირები ჩანან ამავე წარწერაში მოხსენიებული ხუდადისძე და მისი მეუღლე მარიამი. ქართულ ონომასტიკაში ხუდადისძეები არ გვხვდებიან. ვახტანგ ჯაფარიძე წარწერაში მოხსენიებული სომხური სიტყვებისა და წარმოშობის პიროვნებათა სახელების გათვალისწინებით, მათ სომხურ კულტურულ წრესთან აკავშირებს.[133] დევი ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ საყდრისქედის წარწერებში მოხსენიებულმა სომხური წარმოშობის მაღალი წრის წარმომადგენლებმა ქართულ გარემოში მოხვედრის შემდგომ ქალკედონელობა მიიღეს და, როგორც წარწერიდან ჩანს, მონაწილება მიიღეს ქართული ეკლესიის მშენებლობაში.[134]

საინტერესოა ხუდადისძეთა წარმომავლობის საკითხი. ამ გვარსახელის ძირს „ხუდად“, „ხუდადა“ წარმოადგენს. არ გვხვდება გვარი ხუდადისძეები ქართულ

---

[132] Հրաչեայ Աճառեան, *Հայոց անձնանունների բառարան, Հատոր 5,* (Երեւան: Երեւանի Պետական Համալսարան, 1962), 111.

[133] ვახტანგ ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 163-164.

[134] ბერძენიშვილი, დმანისხევი, 126.

ისტორიულ წყაროებსა და ონომასტიკაში, სამაგიეროდ გვხვდება სახელი ხუდადა და მისგან ნაწარმოები გვარსახელი ხუდადასშვილი. მათი მოხსენიება გვიანდელ პერიოდს უკავშირდება და მათ ძირითადად XVII საუკუნის ისტორიულ საბუთებში ვაწყდებით.[135] ამავე ძირის სახელი გვხვდება სომხურ სახელებში. ამ სახელის სრული ფორმა „ხუდადად“ (Խուդադադ) და მისი შემოკლებული ვარიანტი „ხუდად“ (Խուդադ) ფიქსირდება XIV საუკუნის წყაროებში.[136]

სავარაუდოდ ამავე სახელიდან მომდინარეობს თანამედროვე სომხური გვარსახელი ხუდადიანი.

მეტად სავარაუდოა, რომ საყდრისქედის ეკლესიის მშენებლობა დმანისის მმართველ ამირასა და მის ოჯახს უკავშირდებოდეს. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ ამირა არ ჩანს საკუთრივ დმანისის სიონის წარწერებში. იგი, ამ შემთხვევაში დმანისის დროებითი მმართველია და არა ადგილობრივი ფეოდალი, მათ შორის დმანისის მფლობელი. დმანისს, ისევე როგორც ქვემო ქართლის უმეტეს ნაწილს, აღნიშნულ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფო სახლი ფლობდა სამეფო დომენის სახით. საყდრისქედის ეკლესია შესაძლოა იობ მიხრიკის ძისა და მის ოჯახის წევრთა ერთგვარ საძვალედაც ყოფილიყო გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში ჩანს, რომ აღნიშნული ეკლესიის როგორც მშენებლობა, კუთვნილება და გამოყენება, დმანისელ ამირის ოჯახსა და მის უახლოეს წრეს უკავშირდება. მოყვანილი მასალებიდან ასევე ჩანს, რომ XIII საუკუნის I ნახევარში ქალაქ დმანისის მაღალი საზოგადოების წრის წარმომადგენელების ნაწილი, რომლებიც ასევე მმართველ სამოხელეო თანამდებობებსაც იკავებდენ, სომხური

---

[135] *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საბუთების მიხედვით, ტომი V,* მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ (თბილისი, 2015), 413-415.

[136] Հրաչեայ Աճառեան, *Հայոց անձնանունների բառարան, Հատոր 5,* (Երեւան: Երեւանի Պետական Համալսարան, 1942), 553.

წარმომავლობის გაქალკედონებური და, შესაბამისად, გაქართველებული ოჯახები იყვნენ.

საყდრისქედის ეკლესია, სავარაუდოდ, დმანისის ქალაქობის შემდგომ ხანაშიც, გვიან შუა საუკუნებამდე ფუნქციონირებდა. ამის მანიშნებელია ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილი გვიანდელი თურქული მონეტები და XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული წარწერის ფრაგმენტები.[137]

თავი. 2. დმანისის ნაქალაქარზე არსებული ისლამური ძეგლები

2.1 ნაქალაქარის ისლამური ძეგლების აღმოჩენისა და კვლევის ისტორიიდან

დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლებისა და ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების შესწავლა ჯერ კიდევ დმანისის პირველი არქეოლოგიური კამპანიის დროს, XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. აღნიშნულ პერიოდში, 1937 წელს, ლევან მუსხელიშვილის მიერ არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში (უბანი III) გამოვლენილი ერთოთახიანი, დარბაზული ტიპის „იმპოზანტური“ შენობის ნაშთების შესასწავლად. ნაგებობის ინტერიერში, სამხრეთ კედელში თაღოვანი ნიში იყო ჩაშენებული, რომელსაც საპირისპირო მხრიდან, შენობის სამხრეთ ფასადზე, გარედან

[137] აღნიშნულ ორი წარწერის ფრაგმენტს ვახტანგ ჯაფარიძე დანარჩენი ზემომოყვანილი წარწერების თანადროულად მიიჩნევს და მათ XIII საუკუნით ათარიღებს: ვახტანგ ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 164; აღნიშნული წარწერები XVI-XVII საუკუნეებითაა გადათარიღებული ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსის გამომცემელთა მიერ: ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი I, 190-191.

ნახევარკონუსისებრი ბურჯი ჰქონდა მიდგმული. მიუხედავად იმისა რომ ამ „ბურჯიანი“ ნაგებობის (როგორც შემდგომში აღმოჩნდა მეჩეთის) ფუნქციის განსაზღვრა იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა, ნაგებობა არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი და დადგინდა მისი აგების თარიღი: XIII-XIV საუკუნეები.[138]

1961 წლის სეზონზე, დამანისის ნაქალაქარის ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთიდან“ ჩრდილოეთით რამდენიმე ათეულ მეტრში, არქეოლოგიური გათხრების მე-II უბანზე, გამოვლინდა ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მედრესე, მათ სიახლოვეს გაითხარა ასევე აღნიშნულ ნაგებობებთან დაკავშირებული კიდევ ერთი ნაგებობა – ე.წ. „დერეფნიანი შენობა“.[139] აღნიშნული მეჩეთი პირველთან, ესე იგი ე.წ. „ბურჯიან მეჩეთთან“ შედარებით, რამდენადმე ადრეულია.

2.2. ე.წ ბურჯიანი მეჩეთი

ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, III არქეოლოგიურ უბანზე შემორჩენილია ერთ-ერთი საყურადღებო ნაგებობის ნაშთი (ილუსტ. 43). როგორც თავის შესავალში ვახსენეთ, აღნიშნული შენობით ჯერ კიდევ 1937 წელს დაინტერესდა არქეოლოგი ლევან მუსხელიშვილი მის მიერვე დმანისში წარმოებული მეორე არქეოლოგიური კამპანიის დროს. ამავე პერიოდში ჩაატარა მან აქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები. ამ იმპოზანტური შენობის ნანგრევები, (როგორც მას ლევან მუსხელიშვილი უწოდებდა),

[138] მუსხელიშვილი, დმანისი, 413-419.

[139] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 65.

თავისი სიდიდით, უჩვეულო ფორმითა და სქელი, სუფთად ნაგები კედლებით, მკვეთრად განსხვავდება დმანისის ნაქალაქარის სხვა ნაგებობებისგან.[140]

III შენობის (ამ ნუმერაციით გვხვდება ის ლევან მუსხელიშვილთან – ჯ. ჩ.) კომპოზიცია მარტივია: იგი ოდნავ წაგრძელებული, კვადრატს მიახლოებული სწორკუთხოვანი, 10,00x8,00 მეტრი ზომის დიდი ოთახია (ილუსტ. 45), შენობის 1.5 მეტრი სიგანის კარის ღიობი აღმოსავლეთ კედელშია დატანებული.[141]

შენობის 1.15 მეტრი სისქის კედლის შიდა და გარე პირებად თლილი ქვაა გამოყენებული, გული კი დუღაბითა და მცირე ქვებითაა შევსებული. ფასადის პერანგის წყობაში გამოყენებულია რუხი ბაზალტის ქვები, ალაგ-ალაგ კი მოყვითალო და ბაცი მომწვანო-ნაცრისფერი ქვიშაქვისა და ტუფის ქვები. ყველაზე უკეთ მოპირკეთებულია შენობის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები, სადაც საპირე წყობა ამოყვანილია რიგების დაცვით. რაც შეეხება დასავლეთის და ჩრდილოეთის ფასადებს, მათში არ იგრძნობა გაფორმებისადმი ხუროთმოძღვრის ის შემოქმედებითი მიდგომა, რაც წინა ორ ფასადზე ჩანს.[142]

---

[140] მუსხელიშვილი, დმანისი, 413-419

[141] ლევან მუსხელიშვილი ჩრდილოეთ კედელში კიდევ ერთ, შენობაში შემავალ, 0.75 მეტრი სიგანის შესასვლელ კარს ვარაუდობდა: მუსხელიშვილი, დმანისი, 1938: 414. თუმცა, ეს შესასვლელი ნამდვილად კარის ღიობია თუ მეჩეთის გაუქმების შემდეგ კედლის ამ მონაკვეთზე ჩამონგრევის ან ნაგებობისთვის დამატებითი შესასვლელის გაკეთების მიზნით კედელში გაჭრილი კარის ღიობი, ძნელი სათქმელია. ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილი მეჩეთის აღწერილობისას მხოლოდ ერთ, შენობაში აღმოსავლეთის მხრიდან არსებულ შესასვლელს აფიქსირებს: ლევან რჩეულიშვილი, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, გამოცემის რედაქტორი ვახტანგ ბერიძე, დიმიტრი თუმანიშვილი,* (თბილისი: მეცნიერება, 1994), 164.

[142] აღნიშნული მხარს უჭერს ლევან რჩეულიშვილის პოზიციას შენობის კარის მხოლოდ აღმოსავლეთის კედელში არსებობის შესახებ, იმ კედელში, რომელიც, როგორც ნაგებობის მთავარი ფასადი, საგულდაგულოდ მოუპირკეთებიათ.

ილუსტრაცია 43. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის ინტერიერი, სამხრეთი კედელი და კედელში მოთავსებული სალოცავი ნიში – მიჰრაბი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2010)

შენობის შიდა სივრცეში მყოფი ადამიანის ყურადღებას, სამხრეთი კედელი და მის შუაგულში ჩაშენებული, ნახევარწრიული თაღით გადახურული თახჩა (სიმაღლე 2.25 მეტრი, სიგანე – 1.00 მეტრი, სიღრმე – 0.70 მეტრი) იპყრობს (ილუსტ. 43). შენობის სივრცის გასანათებლად მოწყობილ სარკმელთაგან სამი სწორედ რომ სამხრეთის კედელშია დატანებული. მათგან ორი ნახევარწრიული თახჩის სიმეტრიულად არის განთავსებული, მესამე (ამჟამად სარკმლის ადგილი ჩამოშლილია – ჯ. ჩ.) კი თახჩის მაღლა, კედლის შუა

ღერძზეა მოთავსებული.[143] კიდევ ორი სარკმელი შეინიშნება დასავლეთის კედელში. ისინი სამხრეთი კედლის თახჩის ორივე მხარეს განლაგებული სარკმლების სიმაღლეზე მდებარეობს.

ილუსტრაცია 44. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის სამხრეთი ფასადი

ჩრდილოეთის და, ნაწილობრივ, დასავლეთის კედლები 1.30 მეტრ სიმაღლეზე 0.20-0.30 მეტრით ვიწროვდება. როგორც ჩანს, ხუროთმოძღვრის გადაწყვეტით ზედა იარუსებზე კედლებისთვის 1 მეტრის სისქე საკმარისი იქნებოდა მედეგობისათვის.

[143] ლევან რჩეულიშვილი, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, გამოცემის რედაქტორი ვახტანგ ბერიძე, დიმიტრი თუმანიშვილი,* (თბილისი: მეცნიერება, 1994), 164.

კედლების სქელი მონაკვეთი ვიწრო ნაწილზე მართი კუთხით გადადის, რითაც აღნიშნულ მონაკვეთებზე თაროების მოწყობის საშუალებაც იქნებოდა.

რამდენიმე პატარა ოთხკუთხა ნიში – ბუდე-წალოა დატოვებული დასავლეთის, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებში. საინტერესოა, რომ მსგავსი ბუდე-წალოები დასტურდება დმანისის ნაქალაქარის თითქმის ყველა შენობის ინტერიერის კედლებზე და ისინი გასანათებლად მოწყობილ, ჭრაქის ჩასადგმელ ნიშებადაა მიჩნეული ავტორთა მიერ.[144]

სამხრეთ კედელს გარედან, თახჩის პირდაპირ, სქელი, ნახევარკონუსისებრი ბურჯი აქვს მიშენებული (ილუსტ. 44). სამხრეთი კედლის კუთხეებშიც, გარედან შენობას ერთ და ორსაფეხურიანი ცოკოლები აქვს, რომელთა დანიშნულება, ლევან მუსხელიშვილის მიხედვით, ნაგებობის დაცვა უნდა ყოფილიყო შენობის სიახლოვეს მიმავალი ურმებისგან.[145] ერთსაფეხურიანი ცოკოლი სამხრეთ კედელს შიგნითაც აქვს, ხოლო ჩრდილოეთ კედელს – გარედან (ილუსტ. 45).

[144] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 63.

[145] მუსხელიშვილი, დმანისი, 414.



ილუსტრაცია 45. ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. გეგმა, ჭრილი. ვ. ჯაფარიძის მიხედვით. არქიტ. ვ. სურგულაძე, 1985 წელი

შენობის კედლების გარეთა მხარიდან რამდენიმე საფეხურით გაფართოება, ანუ ცოკოლის მოწყობის წესი, რომელიც არ ემთხვევა გარეთა კედლების შვეულს, ცნობილია ქართულ ხუროთმოძღვრებაში. აღნიშნული ღონისძიება ზოგჯერ მიწისძვრის წინააღმდეგაა მიმართული და ამდენად, საძირკვლის გარეთ კედლების „ფეხგადგმულობა“ ნაგებობისათვის მეტი სიმტკიცის მინიჭებას გულისხმობს.[146] ჩვენ შემთხვევაში ცოკოლების მოწყობის არც ეს გარემოება არ არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ აღნიშნული შენობა, სხვებისაგან განსხვავებით, ნაშალ მიწაზე დგას და არა მყარ დედაქანზე – ადრე პლეისტოცენური პერიოდის დანალექ შრეებზე.

შენობის შიგნით, სამხრეთ კედელში ჩაყოლებული ნიში, რომელიც შენობის ერთგვარ შიდასივრცობრივ უბეს ქმნის, საგანგებოდ ყოფილა მორთული, თუმცა, ეს მორთულობა შემორჩენილი არ არის. თახჩის შიგნით, მის ქვედა ნაწილში, ორი პატარა ბუდე-წალოა ამოღებული.

ლევან მუსხელიშვილი ზემოაღწერილ შენობაში საზოგადოებრივ დაწესებულებას ხედავდა, მაგრამ კონკრეტულად, თუ რა დანიშნულებისა იყო იგი, მისივე სიტყვებით – გაურკვეველი დარჩა.[147]

XX საუკუნის 60-იან წლებში ნაქალაქარის III შენობის არქიტექტურულ დეტალებს ყურადღება მიაქცია ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილმა. ნაგებობის სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის საფუძველზე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული შენობა მუსლიმურ სალოცავს – მეჩეთს წარმოადგენდა. შენობის სამხრეთ კედელში მოწყობილ ნიშზე, თახჩაზე ყურადღების გამახვილებით, ავტორმა დამაჯერებლად დაასაბუთა საკუთარი პოზიცია: „...ცნობილია, რომ მაჰმადიანი ლოცვის დროს პირით მიქცეული უნდა იყოს ქალაქ მექისაკენ, რომელიც არის „ყიბლა“ ქვეყნის ყველა მხარეში მცხოვრები მაჰმადიანისათვის. მუსლიმურ სალოცავ სახლში, მიზგითში

---

[146] დომენტი მშვენიერაძე, *ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1950), 14.

[147] მუსხელიშვილი, დმანისი, 419.

კი ყიბლის გამოსაცნობად ეწყობა საგანგებო ნიშა – „მიჰრაბი“. ის სალოცავი ნიშაა და არ საჭიროებს დიდ ფართობს. მასში ან მასთან ახლოს, იდება ყურანი. მიჰრაბი ან კედლის სიღრმეშია ჩამჯდარი, ან კედელთან არის მიდგმული. ის განსაკუთრებით არის მორთული და გამოიყოფა შენობის სხვა ნაკვეთებისაგან...“. ჩვენ მიერ აღწერილი დმანისის ნაქალაქარის III შენობა „...მუსლიმური სალოცავი სახლის, მიზგითის ყველა ნიშანს ატარებს. მისი ნიში – მიჰრაბია. იგი სამხრეთისკენ არის ორიენტირებული. დმანისელ მაჰმადიანთათვის კი ყიბლა სამხრეთითაა, ქალაქი მექა მისგან ხომ სწორედ სამხრეთით მდებარეობს“.[148]

რაც შეეხება ნაგებობის დათარიღებას, ლევან რჩეულიშვილმა არ გაიზიარა ლევან მუსხელიშვილისეული, „... X-XI საუკუნეების ნაშალ მიწაზე მდგარი“ შენობის თარიღი – XIV საუკუნე.[149] ამ ნაგებობის მშენებლობა მან დააკავშირა მუსლიმთა მიერ X-XI საუკუნეებში ქალაქ დმანისის ფლობას და მეჩეთი ამავე საუკუნეებით დაათარიღა.[150]

შემოთავაზებულ გადათარიღებასა და მოყვანილ მოსაზრების შემთხვევაში ჩვენთვის რამდენიმე შეუსაბამო გარემოება იჩენს თავს: კერძოდ, დმანისის, როგორც ციხე-ქალაქის მოხსენიება IX საუკუნის შუა ხანიდან იწყება. ქალაქს ამ დროს არაბები ფლობენ.[151] დმანისის შიდაციხის მშენებლობის პირველი ეტაპიც, სამშენებლო ფენები სწორედ რომ IX-X საუკუნეებით თარიღდება.[152]

X საუკუნის დასასრულიდან, 989 წლიდან, დმანისი, მას შემდეგ, რაც იგი დავით ანჰოლმა აიღო[153], კვირიკიანი მეფეების მიერ ქვემო ქართლის ანექსირებულ მიწებზე

---

[148] რჩეულიშვილი, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, 165-166.

[149] მუსხელიშვილი, დმანისი, 419.

[150] რჩეულიშვილი, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, 167.

[151] ქართლის ცხოვრება, I, 257.

[152] კოპალიანი, დმანისის ციხე, 50-69.

[153] დევი ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი ნარკვევი I,* (თბილისი, 1979), 78.

წარმოქმნილ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში შევიდა. კვირიკიანების მიერ დმანისის ფლობა XI საუკუნის 60-იან წლებამდე უნდა გაგრძელებულიყო, ვიდრე ბაგრატ IV-მ ტაშირ-ძორაგეტის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არ დაიბრუნა თვით ამ სამეფოს დედაქალაქად ქცეული სამშვილდითურთ. ამავე პერიოდში უნდა აღედგინა ბაგრატ IV-ს თავისი იურისდიქცია დმანისსა და დმანისხევზე.[154]

თუმცა, სულ მალე, XI საუკუნის 70-იანი წლებიდანვე დმანისს თურქ-სელჯუკები ეპატრონებიან.[155]

როგორც ვნახეთ, მეჩეთის აშენების რჩეულიშვილისეულ სავარაუდო მონაკვეთში – X-XI საუკუნეებში მუსლიმები ქალაქს რეალურად მხოლოდ ერთი საუკუნის და უფრო მცირე ხნის განმავლობაში ფლობდნენ.

გასათვალისწინებელი მონაცემია, რომ ჩვენს ხელთ არსებული და დმანისის ნაქალაქარიდან მომდინარე ამ პერიოდის წარწერიანი არქეოლოგიური მასალა მხოლოდ ქართულია,[156] და, ამდენად, ქალაქის მოსახლეობაც, ძირითადად, ეთნიკურად ქართული ჩანს. შესაბამისად, X-XI საუკუნეებში დმანისში მუსლიმური (ასევე სომხური) მოსახლეობის ის რაოდენობა არ დასტურდება, რომლისთვისაც საჭირო გახდებოდა აღნიშნული სალოცავის აგება.

დმანისიდან მომდინარე სხვადასხვა არქეოლოგიური მონაცემების ანალიზისა და ისტორიული რეალიების, არსებული წყაროების გათვალისწინებით, ჩვენი ღრმა რწმენით, ქალაქ დმანისის ეთნიკური სურათის მკვეთრი ცვლილება და მუსლიმი მოსახლეობის გაჩენა, უკავშირდება არა ციხე-ქალაქის მუსლიმ დამპყრობელთა მიერ ფლობას, არამედ სხვა გარემოებებს. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ქალაქის აყვავების,

---

[154] ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, 102, 130-133.

[155] კოპალიანი, დმანისის ციხე, 14-15.

[156] ჯუმბერ კოპალიანი, წარწერიანი არქეოლოგიური მასალა დმანისის შიდა ციხიდან, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 76-82.

ეკონომიკური დაწინაურების პერიოდს, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი საქალაქო ცხოვრებისათვის, ხელოსნური წარმოების, ვაჭრობის გასავითარებლად. ეთნიკური და კონფესიური კუთხით ქალაქ დმანისში სურათის ცვლილებები, პირველ რიგში კარგად ჩანს ქალაქის სამაროვანზე მომხდარი ცვლილებებით.[157]

დაწინაურების ეს მონაკვეთი დმანისისათვის XII–XIV საუკუნეებზე მოდის, ქალაქობის II ეტაპზე, როდესაც დმანისი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერი ეკონომიკური სისტემის ნაწილი გახდა. ამ პერიოდშივე შეიმჩნევა დმანისის გადაქცევა მრავალეთნიკურ-რელიგიურ აღმოსავლურ-ქართულ ფეოდალურ ქალაქად. შესაბამისად, XIII-XIV საუკუნეებში დმანისის სამაროვანზე ჩნდება სომხური და არაბული მემორიალური ძეგლები, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა. ამავე პერიოდშია სავარაუდო ზემოხსენებული მეჩეთის აშენებაც დმანისში.[158]

როგორც აღვნიშნეთ, ნაქალაქარის III უბანზე არქეოლოგიური გათხრები პირველად 1937 წელს ჩატარდა. ამ კამპანიის დროს მეჩეთის შიგნით ჯვარედინი თხრილები გაიჭრა. საცდელი თხრილები გაკეთდა შენობის ოთხივე ფასადის კედლებთანაც.

გათხრების შედეგად გამოვლენილი, არქეოლოგიური ელემენტებით ასახული გარემოებები და აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები, რასაკვირველია, საინტერესოა შენობასთან მიმართებაში. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი დეტალი: მიჰრაბის, ანუ თახჩის, როგორც მას იმ დროისათვის უწოდებდნენ, დასავლეთი ნაპირის ძირთან (0.40 მ სიღრმეზე) გამოვლენილი 0.50 მეტრი სისქის ოთხკუთხედი, თლილი ქვა

---

[157] ჯიმშერ ჩხვიმიანი, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტბელობა, 2009 წლის მასალები,* (თბილისი: სეზანი, 2009), 337.

[158] ჯიმშერ ჩხვიმიანი, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B),* (თბილისი, 2011), 217.

წრიული და დაბრტყელებული თავით. ის უხეშად გათლილი ქვებით ნაგებ პოსტამენტზე იდგა. გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, ეს ზემოაღნიშნული სტრუქტურის ელემენტი „ხარისხი“ ყოფილიყო, რომელზედაც ოდესღაც სვეტი იყო აღმართული. ამავე ვარაუდით, შესაბამისად, მეორე სვეტის განლაგების ადგილი თახჩის ანუ ნიშის აღმოსავლეთი მხარე იქნებოდა. თუმცა, გათხრებმა ვერც მეორე ასეთი სვეტის პოსტამენტი და ვერც ხარისხი გამოავლინა სავარაუდო მონაკვეთზე.[159] ამავე დროს ფაქტია, რომ მიჰრაბს ნაპირებზე გარემორთულობის დეტალები უნდა ჰქონოდა, რომლებიც დღეს შემოცლილია. შესაძლოა, მიჰრაბის გვერდებზე, სავარაუდოდ აღმართული სვეტებიც ამ არქიტექტურული გაფორმების (გამოზიდული ნახევარწრიული თაღის შვერილის) დამჭერი სვეტის სეგმენტები ყოფილიყო.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული შემორჩენილი ხარისხი ერთ-ერთი სვეტის ბაზა იყო, რომელზედაც მინბარი – სასულიერო პირისთვის განკუთვნლი ამაღლებული საქადაგებელი კათედრა იქნებოდა დაყრდნობილი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მინბარი ჩვეულებისამებრ მიჰრაბის ნიშის მარჯვენა მხარეს, კედელთან, ეწყობოდა და ასეა დღესაც თანამედროვე მეჩეთებში,[160] დმანისის მეჩეთში ამ სვეტების აქ განლაგება ლოგიკურად შეიძლება მოგვეჩვენოს.

განხილულ შენობას, როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობების უდიდეს ნაწილს, ბრტყელი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

ამდენად, დმანისის ნაქალაქარის III არქეოლოგიურ უბანზე შემორჩენილ შენობასაც ყველა ის დამახასიათებელი ნიშანი აქვს, რასაც მეჩეთის ნაგებობის კანონიკურობა მოითხოვს – მექისკენ ორიენტაცია, მიჰრაბი და, სავარაუდოდ, მინბარი. რაც შეეხება მინარეთს, ის გამოვლენილი არ არის, თუ რა თქმა უნდა, მეჩეთიდან მოშორებით, დღემდე არქეოლოგიურად შეუსწავლელ მონაკვეთზე, არ მდებარეობდა. ყოველ შემთხვევაში, მეჩეთზე მიდგმით მიშენებული იგი არ ჩანს, როგორც ეს

[159] მუსხელიშვილი, დმანისი, 417-419.

[160] Andrew Petersen, *Dictionary of Islamic Architecture,* (London-New York: Routledge, 1996), 191.

ნაქალაქარის II არქეოლოგიურ უბანზე, განსახილველი მეჩეთის ჩრდილოეთით არსებული მინარეთიანი, მედრესმიდგმული მეჩეთის შემთხვევაში გვაქვს.

განვითარებული შუა საუკუნეების დროის სხვა მეჩეთი საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ან გამოვლენილი ჯერ-ჯერობით არ არის. ამდენად, ამ კონკრეტული პერიოდის პარალელურ მასალებს მოკლებული ვართ. თუმცა ფაქტია და ლოგიკურიც, რომ დმანისის ორივე მეჩეთი ადგილობრივ გარემოებებსა და მოთხოვნებს მორგებული ჩანს. როგორც ვახსენეთ, მეჩეთის მშენებლობის ტექნიკა და გამოყენებული მასალა ქართულია, ადგილობრივი. ამდენად, დმანისის მეჩეთები დიდად არ განსხვავდება ნაქალაქარზე გამოვლენილ და შესწავლილი სხვა შენობა-ნაგებობებისაგან. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს სხვებისგან, ეს მეჩეთებისთვის დამახასიათებელი კანონიკურობაა – მექისკენ ორიენტაცია და სამხრეთ კედელში არსებული მიჰრაბი, ხოლო ნაქალაქარის II უბანზე გამოვლენილ მეჩეთთან – მინარეთისა და მედრესის არსებობა. როგორც ჩანს, აღნიშნული რელიგიური შენობები სრულიად აკმაყოფილებდა დმანისის მოსახლეობის მუსლიმური ნაწილის მოთხოვნებს.

რაც შეეხება დმანისის ნაქალაქარის III უბნის მეჩეთის, II უბნის მინარეთიანი მეჩეთისგან განმასხვავებელ დეტალს – მიჰრაბზე, გარედან კედელზე, მიშენებულ ნახევარკონუსისებურ ბურჯს, ისლამურ სამყაროში ასეთივე დეტალი ამ პერიოდის და მოგვიანო ხანის მეჩეთებისთვისაცაა დამახასიათებელი. ამ არქიტექტურული სეგმენტის განხილვისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ რომ თავრიზში (ჩრდილოეთი ირანი – სამხრეთი აზერბაიჯანი), 1312-1322 წლებში აგებულ ალი-შაჰის გრანდიოზული მეჩეთის მიჰრაბსაც გარედან ნახევარწრიული ბურჯი აქვს მიდგმული.[161] აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის საქართველო ილ-ხანთა მონღოლურ სახელმწიფოს უშუალოდ ექვემდებარებოდა. გარდა ვასალური დამოკიდებულებისა, არსებული მდგომარეობა, რა თქმა უნდა, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსაც გულისხმობდა, რაც დმანისში

[161] Arthur Upham Pope, *Persian Architecture: The Triumph of Form and Color*, (New York: George Braziller, 1965), 177-179, 231.

გამოვლენილი არქეოლოგიური მასალითა და ნუმიზმატიკური მონაპოვრითაც დასტურდება.[162] ამდენად, გარდა პოლიტიკური დამოკიდებულებისა, არსებობდა კულტურული ურთიერთობებიც და ეგებ დმანისის ბურჯმიშენებული მეჩეთის შემთხვევაში მეზობელი ქვეყნების და რეგიონების არქიტექტურული ტენდენციების გავლენასთანაც გვაქვს საქმე.

მიჰრაბზე, გარედან კედელზე, მიშენებულ ნახევარკონუსისებურ ბურჯების მოწყობას ვხედავთ უფრო ადრეული პერიოდის, მეზობელი აზერბაიჯანის არქიტექტურაშიც. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ აფშერონის ნახევარკუნძულზე არსებული ერთ-ერთი ასეთი ადრეული ძეგლი, მუჰამედის მეჩეთი, ანუ ე.წ. „სინიქ ყალა“, აგებული XI საუკუნეში უსტა-რაის მუჰამედ აბუ-ბექრის შვილის მიერ.[163]

რაც შეეხება მეჩეთის აგების მუსხელიშვილისეულ და ჩვენს მიერ გაზიარებულ თარიღის, მის სასარგებლოდ სხვადასხვა გარემოებები მეტყველებს, რომლებიც ჩვენ მიერ ამ საკითხისადმი არქეოლოგიური მონაცემების სიღრმისეული კვლევის შედეგად მივიღეთ.

როგორც აღვნიშნეთ, მეჩეთის კედლების საძირკველი, რომლის სიღრმეც საშუალოდ 1.60-1.80 მეტრს აღწევს, დიდი და საშუალო ზომის ნატეხი ბაზალტის ქვითაა ნაგები და ის მყარ ნიადაგზე არ დგას. ადრეპლეისტოცენური პერიოდის მყარ შრეებსა და მეჩეთის ქვის საძირკველს შორის 0.20-0.70 მეტრი სისქის კულტურული ფენაა მოქცეული. ბუნებრივია, რომ მეჩეთის გეგმა არ ემთხვევა ადრეული შენობის კედლების ნაშთებს, რომლებიც მის ქვეშაა მოქცეული. ასევე, საინტერესოა მუსხელიშვილისეული დაკვირვება ერთ გარემოებაზე: როგორც იგი შენიშნავს, მეჩეთის კედლების სიახლოვეს,

---

[162] ირინე ჯალარანია, ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V,* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 16-32.

[163] Микаэль Усейнов, *Памятники азербайджанского зодчества, Памятники зодчества народов СССР,* (Москва: Государственное издательство архитектуры и градостроительства, 1951), 48-49.

ზედა დონეზე, გათხრებისას უფრო ადრეული ხანის მასალა ამოდიოდა, ვიდრე კედლებისგან მოშორებით, შენობის ცენტრში. აღნიშნულს იმით ხსნის, რომ მეჩეთის შენობის საძირკვლის გაჭრისას, წარმოებული მიწის სამუშაოების შედეგად ქვედა ფენების მასალა ზემოთ მოხვდებოდა.[164]

მეჩეთის აგების თარიღის დაზუსტებისთვის, საჭიროდ მიგვაჩნია მეჩეთის ინტერიერში გაჭრილი თხრილებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალის რამდენიმე ნიმუშზე გავამახვილოთ ყურადღება. ესენია:

ჯამი №763 (ილუსტ. 46/5) – წითელკეციანი, ჩაღარული და შიგნით გადახრილი ბაკოთი, სწორი, ოდნავ გარეთ გადახრილი პირით, სწორი ქიმითა და დაქანებული კალთით, პროფილირებული და შეზნექილი ქუსლით, ბრტყელძირიანი. ჯამის შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით, გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. მსგავსი ტიპის ჯამები თბილისიდან XI-XII საუკუნეებით თარიღდება.[165]

ჯამი №658 (ილუსტ. 46/7)– ღია მოწითალო კეცით, თხელი, სადა ბაკოთი, გარედან ოდნავ შესქელებულსარტყლიანი პირით, სწორი ქიმით, შვეული კალთითა და მცირედ პროფილირებული ბრტყელი ძირით. ქიმისა და კალთის შეერთების ადგილი კუთხოვანია, მცირედწიბოიანი. აღნიშნულ ჯამს პარალელები მოეპოვება ქვემო ქართლის კლდის ძეგლების მასალებში, სადაც ისინი განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ხანის მიჯნით თარიღდება.[166]

თეფში №657 (ილუსტ. 46/6) – წითელკეციანი, ბრტყელი, შიგნით დახრილი ბაკოთი, რთულპროფილიანი, კიდეჩაღარული პირით, შვეული კალთითა და ბრტყელი ძირით, მოწერნაქებული. ცეცხლის ზემოქმედების შედეგად თეფში დეფორმირებულია.

---

[164] მუსხელიშვილი, დმანისი, 417.

[165] მარინე მიწიშვილი, *მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში: IX-XIII სს.,* (თბილისი: მეცნიერება, 1979), ტაბ. I, სურ. 1-2.

[166] ნოდარ ბახტაძე, *ქვემო ქართლის კლდის ძეგლები (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), წიგნი 1*, (თბილისი: საქართველო, 1991), 42-43, ტაბ. IV, სურ. 4; ტაბ. V, სურ. 18, 19, 21.

მსგავსი ტიპის ნიმუშები სამეცნიერო ლიტერატურაში თარიღდება როგორც XIV საუკუნით,[167] ისე გვიანი შუა საუკუნეებით.[168]

მეჩეთის გათხრებისას აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური მასალაც (ილუსტ. 46/1-8; ილუსტრ. 47/1-6; 47/ 8-12), განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.



ილუსტრაცია 46. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი

[167] ნოდარ ბახტაძე, *კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში,* (თბილისი: ნეკერი, 2007), 135-137; ტაბ. 63, სურ. 13-14; ტაბ. 64, სურ. 1-2.

[168] დავით მინდორაშვილი, *არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში,* (თბილისი, 2009), ტაბ. XXX, სურ. 7.

მეჩეთის აგების თარიღის დაზუსტების საქმეში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1937 წლის ნუმიზმატიკურ მონაპოვარს, რომელიც ასევე შენობის შიდა სივრცეში, №1 საკონტროლო თხრილის გაჭრისას აღმოჩნდა. აქ, დასავლეთი კედლის სიახლოვეს, იატაკის დონიდან 1.05 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი 8 ცალი სპილენძის მონეტა[169] ვფიქრობთ, რომ მეჩეთის ქვეშ არსებული უფრო ადრეული ნაგებობის მოშლის შემდეგ წარმოქმნილ კულტურულ ფენაშია მოხვედრილი.

მონეტები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციების განძების ფონდში, შემდეგი ნომრებით:

1. გ.ფ. 7015 – ბასილი II და კონსტანტინე VIII (976-1025 წწ.), ზომა – 27/28 მმ; წონა – 5.93 გრ. (გამოცემის კატალოგის მიხედვით მონეტის №339).[170]

2. გ.ფ. 7019 – მიხეილ IV პაფლაგონელი (1034-1041 წწ.), ზომა – 27/29 მმ; წონა – 10.7 გრ. (გამოცემის კატალოგის მიხედვით მონეტის №373).

3. გ.ფ. 7026 – მიხეილ IV პაფლაგონელი (1034-1041 წწ.), ზომა – 27/29 მმ; წონა – 6.62 გრ.

4. გ.ფ. 7025 – კონსტანტინე IX (1042-1055 წწ.), ზომა – 24/25 მმ; წონა – 3,5 გრ.

5. გ.ფ. 7033 – კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.), ზომა – 28/31 მმ; წონა – 9.11 გრ. (გამოცემის კატალოგის მიხედვით მონეტის №427).

6. გ.ფ. 7034 – კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.), (კონსტანტინე და ევდოკია), გადაჭედილი, კონსტანტინე X-ის I ტიპი. ზომა – 28/31 მმ; წონა – 9.11 გრ. გამოცემის კატალოგის მიხედვით მონეტის №439).

7. გ.ფ. 7035 – კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.), ზომა – 28/29 მმ; წონა – 8.38 გრ.

---

[169] მუსხელიშვილი, დმანისი, 417.

[170] თამარ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1965), 93.

8. გ.ფ. 7039 – ალექსი I (1081-1118 წწ.), ზომა – 24 მმ; წონა – 4.73 გრ. (ასევე აღმოჩნდა შენობის ინტერიერში).

9. გ.ფ. 7042 – ჰენრი ფლანდრიელი (1205-1206 წწ.), ზომა – 27/28 მმ; წონა – 5.44 გრ.

მონეტების მოჭრის ქრონოლოგიური ჩარჩოები, როგორც ვხედავთ, X საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში ექცევა.

აღნიშნული მონეტების ჯგუფი ზოგადად, მიმოქცევაში XIII-XIV საუკუნეებშიც შეიძლება ყოფილიყო, როგორც ეს ბიზანტიური მონეტების შემთხვევაში გვაქვს ხოლმე.[171]

დმანისის ნაქალაქარის ბურჯიანი მეჩეთის (III ნაგებობის) მუსხელიშვილისეულ დათარიღებას ამაგრებს 1984-1985 წლებში შენობის ინტერიერში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებიც. ამ სამუშაოების შედეგად მეჩეთის კედლების საძირკვლის ქვედა დონეზე, მეჩეთზე უფრო ადრეული სამშენებლო ფენები, მინის სახელოსნო-საწარმოს ნაშთები და წარმოების კვალი გამოვლინდა. შენობის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონიდან 1.60 მეტრ სიღრმეზე, არსებულ მინის სადნობ ქურის ნაშთებთან, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა მინის (მომწვანო ფერის) მასიური ფრაგმენტები (ილუსტ. 47/3). ასევე, წიდების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ქვები, რომლებსაც გამდნარი მინის დანაღვენთები აღენიშნებოდა. 1.4 მეტრ სიღრმეზე ნაპოვნია თამარ-დავითის მიერ 1200 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა (საველე №515), ხოლო ქურის დონეზე, მის სიახლოვეს, სპილენძის კიდევ ორი მონეტა – ერთი ბიზანტიური, ხოლო მეორე ქართული, მოჭრილი დავით ნარინის სახელზე 1247-1248 წელს.[172]

---

[171] თამარ ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 300-301.

[172] Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Мгеладзе Нугзар, Гочиашвили Мери, Болквадзе Гиви, Бугианишвили Тамаз, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году, *Полевые археологические исследования в 1984-1985 году* / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 107, 115-117.

1986 წლისათვის მეჩეთის ქვედა დონეზე გამოვლენილი მინის სახელოსნოს შესახებ მეტი მასალის მოძიების მიზნით, შენობასთან გაიჭრა ორი თხრილი: №1, ზომით 5.60x3.50 მეტრი მეჩეთის აღმოსავლეთ ფასადთან (ტაბ. V, 5-6), ხოლო №2 თხრილი ზომით 10.0x3.50 მეტრი, ჩრდილოეთ ფასადთან (ტაბ. VII სურ. 1-3). თითოეულ თხრილში გამოვლინდა სამ-სამი საცხოვრებელი დონე. მათგან ყველაზე ქვედა – III საცხოვრებელი დონე – 2.50 მეტრ სიღრმეზე (პირობითი, გეგმებზე არსებული ნიშნულებით – 1.25-1.35 მეტრი), უშუალოდ ადრეპლეისტოცენურ დანალექ შრეზე იყო მოწყობილი. აღნიშნულ ქანებშივე იყო ამოჭრილი სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმის სამეურნეო ორმოები – №1 და №2 თხრილში შვიდ-შვიდი. ფასადებთან გაჭრილ თხრილებში აღმოჩენილი მასალა (ილუსტ. 47/13; ილუსტ. 48/1-8, 48/10) – მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის, იმპორტული ფაიანსის ნიმუშები, ასევე №2 თხრილში ნაპოვნი თამარისა და რუსუდანის მონეტები, თხრილების ქვედა საცხოვრებელ დონეს XIII საუკუნით ათარიღებს.[173]

[173] Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Вугианишвили Тамаз, Болквадзе Гиви, Гочиашвили Мери, Мгеладзе Нугзар, Абрамишвили Родам, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 103.

ილუსტრაცია 47. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

დამატებითი ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა მეჩეთიდან დასავლეთის მიმართულებით იმავე 1984-1985 წლებში წარმოებული გათხრებიც. აქ გამოვლენილი საცხოვრებელი შენობა XV a და b ოთახებით (ილუსტ. 45), რომლებიც მეჩეთს საძირკვლის დონეზე აკრავს დასავლეთი მხარიდან, როგორც ჩანს, მეჩეთის აშენებამდეა განადგურებული. მეჩეთის დასავლეთი კედელი ამ შენობის აღმოსავლეთი კედლის განსაზღვრულ მონაკვეთზეა აღმართული. XV ნაგებობის ქვედა საცხოვრებელი დონეებიდან და შენობაში არსებული სამეურნეო ორმოებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა (ილუსტ. 47/7; 48/9) მათ შორის, ნუმიზმატიკური მონაპოვარი –

დავით ნარინის 1245 წელს მოჭრილი ორი მონეტა – აღნიშნული შენობის ნაშთებს XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს.[174]

ილუსტრაცია 48. „ბურჯიანი მეჩეთის“ გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

[174] Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Мгеладзе Нугзар, Гочиашвили Мери, Болквадзе Гиви, Бугианишвили Тамаз, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году* / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 107, 115-117.

მეჩეთის შენობის ქვეშ არსებული კულტურული ფენების დასათარიღებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმპორტული კერამიკის, ე.წ. ფაიანსის ფრაგმენტები, მაგალითად, ნიმუშები საველე ნომრით 03:3-85:511[(1);] 03:3-85:511[(2)]; 03:3-85:330. მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა, ისინი განირჩევადია და მიეკუთვნება ე.წ. სულთანაბადური ტიპის კერამიკას, შესაბამისად, კარგად იძებნება პარალელებიც. განსაკუთრებით საინტერესოა შედარებით მოზრდილი №03:3-85:330, სავარაუდოდ, პატარა ჯამის პირგვერდის ფრაგმენტი (ილუსტ. 47/7). მისი კეცი მოთეთროა, ჭურჭელზე მწვანე და ლურჯი კობალტის საღებავებით მცენარეული ორნამენტია მოხატული, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. დმანისში აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი ფორმის, გამოყენებული ტექნოლოგიის, საღებავების ფერისა და მხატვრული სტილის მიხედვით ბევრ საერთოს პოულობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცულ, მალაიანის მიერ ირანში (შესაძლოა, ამათგან ერთ-ერთში: რეი, სულთანაბადი, ჰამადანი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ №1234 ჯამთან. ასევე, სავარაუდოდ, ქაშანიდან მომდინარე, ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმში CIRC.349-1929 ნომრით დაცულ ჯამთანაც, რომელსაც 1260-1350 წლებით ათარიღებენ.[175] აგრეთვე, სავარაუდოდ, ქაშანური წარმომავლობის, XIV საუკუნით დათარიღებულ (აღნიშნული ტიპის ჭურჭელი ზოგადად XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება – ჯ. ჩ.), ქუვეითში, ალ-საბაჰის კოლექციაში დაცულ LNS173C ჯამთან.[176]

როგორც ვხედავთ, მეჩეთის ქვედა დონეზე გამოვლენილი შენობა-ნაგებობის, სამშენებლო ფენების და არქეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენების

[175] URL: http://collections.vam.ac.uk/item/O281984/bowl-unknown/

[176] Oliver Watson, *Ceramics from Islamic Lands,* (London: Thames & Hudson, in association with the al-Sabah Collection, Dar al-Athar al-Islamiyyah, Kuwait National Museum, 2004), 388.

თარიღი საზღვრავს მეჩეთის აგების თარიღსაც. ამდენად, მეჩეთი XIII საუკუნის I ნახევარზე ადრეულ ძეგლად ვერ ჩაითვლება.

ასევე საინტერესოა ისიც, რომ 2007 წელს, ჩვენს მიერ მეჩეთის დასავლეთის მხრიდან განხორციელებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ერთგვარად შეავსო მონაცემები აღნიშნულ არქეოლოგიური უბნის შესახებ. გამოჩნდა რომ, მეჩეთისა და XV ნაგებობის დასავლეთით გამოვლენილი სახელოსნო კომპლექსის (ნაგებობა C) მოშლა და შემდგომ მისი განუახლებლობა, სახელოსნოს შორიახლოს მეჩეთისათვის სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან მცირე მოედნის მოწყობის საჭიროებას უკავშირდებოდა, რაც, სავარაუდოდ, XIII საუკუნის ბოლოს უნდა მომხდარიყო. სწორედ ამ სამუშაოების შემდეგ უნდა აგებულიყო მეჩეთიც, მას შემდეგ, რაც მიმდებარე ტერიტორია და საკუთრივ შენობისათვის განკუთვნილი ადგილი ძველი შენობების ნაშთებთან ერთად მოსწორდა. დაახლოებით მსგავსი სურათი – ძველი შენობების საგანგებოდ მოსწორების კვალი ჩანს დმანისის სიონის ტერიტორიაზეც, სადაც ეკლესია უშუალოდ მის ქვეშ არსებულ, უფრო ადრეული ხანის ქვითკირით ნაგები საცხოვრებელი შენობის ნაშთებზეა აგებული მას შემდეგ რაც ეს ძველი შენობები დაინგრა შემდგომ ეს ადგილი საგანგებოდ მოასწორეს.[177]

XIV საუკუნის ბოლოსათვის ქალაქ დმანისის ბურჯმიშენებული მეჩეთი მოშლილი ჩანს. აღნიშნულ ფაქტს ჩვენ თემურ ლენგის შემოსევებსა და მის მიერ ქალაქ დმანისის, განადგურებას ვუკავშირებთ. ქალაქის ამ ნგრევის შედეგად წარმოქმნილ არქეოლოგიურ ფენაში, მეჩეთთან ახლოს, ზემოხსენებულ სახელოსნო კომპლექსში, ნაგებობა C-ს ტერიტორიის ზედა ფენებში, 2007 წელს აღმოჩნდა, სავარაუდოდ, მეჩეთის გარემორთულობის არქიტექტურული დეტალი, რომელიც ქალაქის ნგრევის დროს უნდა მოხვედრილიყო ნახსენებ არქეოლოგიურ ფენაში.[178]

---

[177] დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციი 2007 წლის სამუშაოების ანგარიში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.

[178] ჩხვიმიანი, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, 224.

შენობის შიგნით და გარეთ ჩატარებულმა გათხრებმაც აჩვენა, რომ მეჩეთს მალევე დაუკარგავს თავისი ფუნქცია და იგი შემდგომში საცხოვრებელ ნაგებობად გამოუყენებიათ. ამის დასტურად შეიძლება გამოდგეს შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თითქმის კედელთან, მეჩეთის ზეძირკვლის დონიდან 0.35 მეტრ სიღრმეზე, მოწყობილი თონის აღმოჩენა,[179] ასევე ქვის მშრალი წყობის, 1.00 მეტრი სისქის, მოგვიანო პერიოდის ნაგები კედლის ნაშთი, რომელიც შენობის ერთიან შიდა სივრცეს ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად – ჩრდილოეთ და სამხრეთ ოთახებად ჰყოფდა. უსწორმასწოროდ ნაგები ქვის მშრალი წყობის კედლის შემორჩენილი სიმაღლე გათხრების დროისათვის 0.80 მეტრს შეადგენდა. არ არის გამორიცხული, საქმე ქვის საძირკველთან გვქონდეს, რომელზედაც ხის მასალისგან ამოყვანილი კედელი იდგა.

ამდენად, მეჩეთის თავდაპირველი ფუნქციის მოშლისა და მის საცხოვრებელ ნაგებობად ქცევის შემდგომ შენობის ერთიანი ინტერიერი დაირღვა და ის ორ ნაწილად გაიყო. ამის გამო, სამხრეთ ოთახში შესასვლელი კარის ფუნქცია მეჩეთის ძველ, აღმოსავლეთის ფასადში არსებულ, კარის ღიობს უნდა შეესრულებინა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალმოწყობილი ოთახების გამყოფ ქვის მშრალი წყობის კედელში გასასვლელი არ არის დატოვებული, საჭირო გახდებოდა შენობის ჩრდილოეთ ოთახში სხვა შესასვლელის მოწყობა. შესაძლოა, სწორედ ამ საჭიროებას უკავშირდებოდეს მეჩეთის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარის ღიობი, რომელიც ჩვენ თავიდანვე მოგვიანო პერიოდს დავუკავშირეთ. საფიქრებელია, შენობაში მოწყობილ ორ ოთახში სხვადასხვა ოჯახს ეცხოვრა.

გვიან შუა საუკუნეებში, გარდა მეჩეთის ინტერიერისა, საცხოვრებელ თუ დამხმარე სამეურნეო სივრცედ გამოყენებული ჩანს მისი გარე, ფასადების მიმდებარე პერიმეტრები. სავარაუდოდ, ხის მინაშენები იყო მოწყობილი მეჩეთის ოთხივე ფასადთან. მეჩეთის

---

[179] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, ნუგზარ მგელაძე, გივი ბოლქვაძე, მერი გოჩიაშვილი, თამაზ ბუგიანიშვილი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984, 18-19.

კედლებს უნდა დაყრდნობოდა ამ მინაშენთა გადახურვის კონსტრუქციის ერთი მხარე, ხოლო მეორე – ფასადებისგან მოშორებით აღმართულ ხის ბოძებს. ამ ვარაუდის გამომხატველი რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა: ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ფასადებთან, ზედა დონეზე მოწყობილი თონეები, ხოლო სამხრეთ ფასადთან, კონუსური ფორმის ბურჯთან, მიწაში ჩაფლული ორი ცალი მომცრო ზომის ქვევრი.[180]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში მოპოვებული და სტატიაში წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოების გათვალისწინებით, ნაქალაქარ დმანისის III არქეოლოგიურ უბანზე გამოვლენილი მეჩეთის აგების თარიღად XIV საუკუნის I ნახევარი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ამას ლევან მუსხელიშვილი ვარაუდობდა; ან ოდნავ ადრეული პერიოდი – XIII საუკუნის II ნახევარი, მეტწილად – XIII საუკუნის დასასრული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – X-XI საუკუნეები.

სავარაუდოა, რომ განხილულ მეჩეთს ქალაქის ერთ-ერთი უბნის სალოცავის ფუნქცია ჰქონდა, ხოლო II უბანზე გამოვლენილი მინარეთიანი, მედრესემიდგმული მეჩეთი დმანისის მოსახლეობის ისლამური რელიგიის აღმსარებელთა მთავარი სასულიერო-სასწავლო ცენტრი ყოფილიყო. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ დმანისის ქალაქობის პერიოდში მეჩეთთაგან ერთი შიიტური, ხოლო მეორე სუნიტური ყოფილიყო. თუმცაღა, ამგვარი მოსაზრების გამამყარებელ მასალებს პრაქტიკულად მოკლებული ვართ.

რა თქმა უნდა, ნაშრომში გამოკვეთილი აქცენტების – მეჩეთის თარიღის დაზუსტებისათვის წარმოდგენილი არგუმენტებისა და არქიტექტურულ-არქეოლოგიური მასალის გარდა, ჩვენ მიერ განხილული შენობის სახით გვაქვს უაღრესად

[180] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), ტაბ. 225, სურ. 1-2.

საინტერესო მონაცემები შუა საუკუნეების დმანისის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების, კულტურული და ყოფით-ტრადიციული სურათის შესახებ.

2.3. ე.წ მინარეთიანი მეჩეთი და მედერესე

ამ მეტად საინტერესო ისლამური ძეგლის გამოვლენა და შესწავლა 1961 წელს დაიწყო. 1960 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 30-იანი წლების შემდეგ, დიდი პაუზის მიუხედავად, ყოველწლიური არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები განაახლა. ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით აღდგენილ საექსპედიციო სამუშაოებს უშუალოდ ნაქალაქარის II უბანზე, ვადიმ ლექვინაძე ახორციელებდა. ამ არქეოლოგიურ უბანზე გამოვლენილი მინარეთიანი მეჩეთის, მასზე ჩრდილოეთის მხრიდან მიდგმული „სვეტებიანი შენობის“ გათხრები 1961-1963 წლებში წარმოებდა. აქვე გაითხარა აღნიშნულ შენობებთან დაკავშირებული ე.წ. „დერეფნიანი შენობა“, რომელზეც სამუშაოები 1965 წელს დასრულდა.

ნაქალაქარის II უბანზე წარმოებული გათხრებისას გამოვლენილი მინარეთიანი მეჩეთი ტრაპეციის გეგმისაა. კედლების გარე ზომებია: სამხრეთი და დასავლეთი კედლების სიგრძე 13.50 მეტრი; ჩრდილოეთი კედლის 17.50 მეტრი; აღმოსავლეთისა კი 12.00 მეტრი. მეჩეთის ინტერიერის სამხრეთი კედლის შუა ნაწილში დაფიქსირდა კედელში ჩაშენებული ნახევარწრიული ფორმის ნიში – მიჰრაბის ნაშთი (სიგანე 1.00-1.30 მ). შენობის ინტერიერის კედლები კირის ხსნარით ყოფილა შელესილი. შემორჩენილია ამ შელესილობის კვალი. შენობის შიგნით, მის აღმოსავლეთ კედელში იატაკის დონიდან 2.50 მეტრ სიმარლეზე მოწყობილია ოთხკუთხა პატარა ნიშები – ბუდე-წალოები. მათი ფუნქცია სავარაუდოდ, როგორც ეს ნაქალაქარის სხვა ნაგებობებშია დაფიქსირებული,

შენობის შიდა სივრცის განათებისთვის ჭრაქების ჩასადგამი ადგილი უნდა იყოს. მეჩეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, გარეთა მხრიდან მიდგმული ყოფილა მინარეთი. გათხრების შედეგად გამოვლინდა უხეშად დამუშავებული ქვითა და აგურით ნაგები, 3.6x3.80 მეტრი ზომის ოთხკუთხა „სვეტი“. ეს ნაშთი სავარაუდოდ მინარეთის ბაზას წარმოადგენდა. არ არის შემორჩენილი მინარეთის ზედა ნაწილი, სადაც წესით მინარეთზე ასასვლელი კიბის საფეხურები უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ილუსტ. 49).

ილუსტრაცია 49. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარის II არქეოლოგიური უბანი. გათხრების პროცესი. ფოტო 1960-იანი წლები. მეჩეთის ინტერიერი. ხედი ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ინტერიერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოჩანს სვეტის ქვით ნაგები ბაზისი, ხოლო მის უკან მინარეთის შემორჩენილი ნაშთი

შენობის ინტერიერში (ილუსტ. 52), მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა წრიული მოყვანილობის სვეტის ბაზისი, რომელიც ნაგებია უხეშად

დამუშავებული ბაზალტის ქვებით, კირის ხსნარზე. ბაზისის ძირის დიამეტრი 1.70 მეტრს უდრის. სიმაღლეში ბაზისი წაკვეთილი კონუსის ფომას იღებს და, შესაბამისად, მისი დიამეტრიც მცირდება (არ ვიცით ბაზის თავდაპირველი ზუსტი სიმაღლე რადგან მისი ზედა ნაწილი მორღვეულია). ბაზისზე, სავარაუდოდ, ხის მასიური სვეტი იქნებოდა აღმართული. ბაზისთან ახლოს in situ მდგომარეობაში აღმოჩნდა სვეტის კაპიტელი - კვადრატული ფორმის ქვა, რომლის ქვედა ნაწილი ცილინდრული ყელით ბოლოვდებოდა, სავარაუდოდ სვეტის კაპიტელის დიამეტრის შესაბამისად.[181] მეჩეთის გეგმაზე კაპიტელის ბაზის განლაგება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული შენობის ინტერიერს, კიდევ სამი ასეთი ბაზისი უნდა ჰქონოდა. მათი კვალი წაშლილია გვიანი შუა საუკუნეების ხანაში შენობის მეორადად გამოყენების პერიოდში განხორციელებული ნაგებობის გადაკეთებების დროს. გამოდის, რომ შენობას ოთხ კოლონაზე დაყრდნობილი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონოდა. როგორც ეს დმანისის ნაქალაქარის სხვა შენობა-ნაგებობების შემთხვევაში დასტურდება, ვადიმ ლექვინაძეც, აქაც ბრტყელ, ბანიან გადახურვის არსებობას ვარაუდობს. თუმცა, ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, ჩვენ ერდო-გვირგვინიანი გადახურვის არსებობის შესაძლებლობასაც ვუშვებთ – ვითვალისწინებთ რა მეჩეთის შემორჩენილი კედლების უსარკმელობას და ნაქალაქარზე ჩვენ მიერ 2014 წელს შესწავლილი დარბაზული ტიპის, უსარკმელო და ოთხ კოლონაზე დაყრდნობილი ერდო-გვირგვინიანი ბანური გადახურვის შენობის მსგავსებას აღნიშნულ ნაგებობასთან.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეჩეთის შიდა სივრცეში გამოვლენილი არტეფაქტები მეჩეთის ფუნქციონირების პერიოდს და მის მეორადად, საცხოვრებელ ნაგებობად გამოყენების პერიოდს შეესაბამება. ამ მხრივ, საინტერესოა შენობის გათხრებისას გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა: 2 ცალი ანონიმური ბიზანტიური სპილენძის მონეტა (XI ს); 3 ცალი თამარ მეფის სპილენძის მონეტა (XII-XIII სს); 3 ცალი

[181] სამწუხაროდ საველე-არქეოლოგიურ ანგარიშებში ვერ მოვიძიეთ აღნიშნული კაპიტელის უფრო დეტალური აღწერა და ზომები.

რუსუდან მეფის სპილენძის მონეტა (XIII ს); 1 ცალი სიმონ მეფის სპილენძის მონეტა (XVII ს); 2 ცალი გაურკვეველი სპილენძის მონეტა.[182]

ჩვენი აზრით, თავდაპირველად, მეჩეთს შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ მისი კვალი დღეისათვის არ იკითხება.



ილუსტრაცია 50. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მედრესე. ე.წ. „დერეფნიანი შენობა“ (მეჩეთის დასავლთით). ვ.ჯაფარიძის და არქ. თ. გერსამიას (1965 წელი) მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2018)

[182] მეჩეთის გათხრების შესახებ ზემომოყვანილი დეტალური ინფორმაცია ამოღებულია ვადიმ ლექვინაძის ხელნაწერი ანგარიშიდან: Вадим Леквинадзе, Отчет раскопок на II-ом участке Дманисской археологическесской экспедиции за 1961 и 1962 гг. აღნიშნული ხელნაწერის მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ აწ განსვენებული ვახტანგ ჯაფარიძის ოჯახს, მის შვილს, ბატონ დავით ჯაფარიძეს.

მეჩეთის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა რომ, მეჩეთის აგებიდან მალე, ამ შენობისთვის ჩრდილოეთის მხრიდან მასზე უფრო დიდი ზომის სვეტებიანი ნაგებობა მიუშენებიათ. აღნიშნული ნაგებობის ფორმა რუსული Г-ს მოხაზულობას იმეორებს. ნაგებობის არსწორი ფორმის მინაშენის შიდა ზომებია 13.00x10.50 მეტრი. მინაშენის სამხრეთი კედელი, რომელიც შესაბამისად მეჩეთის თავდაპირველი ჩრდილოთი კედელი იყო, შესაბამისად 16.00 მეტრი სიგრძისაა. თუმცა, ამ ორი ნაგებობის ერთმანეთზე მიდგმის შემდეგ მეჩეთის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი მოურღვევიათ და, ამდენად, ამ ორივე ნაგებობის ინტერიერი გაუერთიანებიათ. ახალაშენებულ, მეჩეთზე ჩრდილოეთის მხრიდან მიდგმულ შენობაში შესასვლელი თავდაპირველად მინაშენის, რუსული Г-ს ფორმის შვერილი ნაწილიდან უნდა ყოფილიყო, რომელიც 2.50x6.50 მ. ზომით, ერთგვარ კორიდორს წარმოადგენს. ამ კორიდორში, სავარაუდოდ, დასავლეთის მხრიდან არსებული შესასვლელი მოგვიანებით ამოუშენებიათ (ილუსტ. 50).

მეჩეთზე, ჩრდილოეთიდან მიდგმულ ნაგებობის შიდა სივრცეში შემორჩენილია ბაზალტის ქვებითა და დუღაბით ნაგები სვეტების ბაზისები. აღნიშნული, წრიული ფორმის ბაზისები 0.60-0.80 მეტრი სიმაღლის წაკვეთილი პრიზმის მოყვანილობისაა. მათი ძირის დიამეტრი 1.00 მეტრი, ხოლო თავის ზედაპირი 0.70 მეტრის ტოლია. სვეტის ბაზისები შენობის შიგნით ოთხ რიგადაა წარმოდგენილი. ამჟამად სრული სახით შემორჩენილია მხოლოდ 10 ბაზისი, რომელთა განლაგება გვიჩვენებს, რომ ამ შენობას 16 ასეთი ბაზისი და, შესაბამისად, სვეტი უნდა ჰქონოდა (ილუსტ. 50-51). გამოდის ოთხი რიგი, თითოში ოთხი ბაზისით, ჯამში 16 კოლონა. გათხრების შედეგად არ დადასტურებულა, რომ ქვითა და კირის დუღაბით ნაგები ბაზისებზე დაფუძნებული კოლონებიც ასევე ყოფილიყო ნაგები. მეტად სავარაუდოა, რომ ამ დანიშნულებით ხის სვეტები ყოფილიყო გამოყენებული.

ილუსტრაცია 51. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარის II არქეოლოგიური უბანი. გათხრების პროცესი. ფოტო 1960-იანი წლები. მეჩეთის ინტერიერი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. მეჩეთზე, ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებულ მედრესეს ინტერიერში მოჩანს სვეტების კოლონების ქვით ნაგები ბაზისები

გამოდის, რომ როგორც მეჩეთი, ისე მასზე ჩრდილოეთიდან მიშენებული ნაგებობა სვეტებიანი იყო. იმ განსხვავებით, რომ მეჩეთში ოთხი სვეტის ბაზა, ხოლო მის მინაშენში თექვსმეტი სვეტის ბაზის ნაშთი დადასტურდა. ყველა მონაცემით ჩანს, რომ სვეტებიან შენობას ბრტყელი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, თავდაპირველი შენობის სამხრეთ კედელში მიჰრაბის ნიშის, ხოლო შენობის გარედან, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მინარეთის ბაზის ნაშთების აღმოჩენით, ეჭვს არ იწვევს, რომ საქმე მუსლიმურ საკულტო ნაგებობასთან – მეჩეთთან გვაქვს. რაც შეეხება მეჩეთის ჩრდილოეთით მიშენებულ სვეტებიან შენობას, ის, როგორც ამას ვარაუდობდა ვადიმ ლექვინაძე, სასულიერო სასწავლებელი – მედრესე უნდა

ყოფილიყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით მეჩეთი და მედრესე XII-XIII საუკუნეებით დათარიღდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა ისიც, რომ მედრესემიშენებულ მეჩეთს, მას შემდეგ, რაც მან თავდაპირველი ფუნქცია დაკარგა (სავარაუდოდ თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად, XV საუკუნის დასაწყისისთვის ჯ.ჩ.), საცხოვრებელ ნაგებობად იყენებდნენ. ამასვე მოწმობს მეჩეთის შიდა სივრცეში გვიანდელი სამშენებლო ფენების არსებობა და, შესაბამისად, ინტერიერის დასავლეთ ნაწილში გვიან შუა საუკუნეებში მოწყობილი, კირის ხსნარის გარეშე ნაგები სამი ოთახის ნაშთები.[183]

ილუსტრაცია 52. ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“. დმანისის ნაქალაქარი. მეჩეთის ინტერიერი, ხედი სამხრეთით (მოჩანს მეჩეთის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, მინარეთი. ფოტო: ჯ. ჩხვმიანი (2019)

[183] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 68.

ძეგლზე არქეოლოგიური კვლევების უშუალო მწარმოებელი ვადიმ ლექვინაძე დმანისის ნაქალაქარის მინარეთიანი მეჩეთის თავდაპირველ ნაგებობას (მედრესეს გარეშე ჯ.ჩ.) პარალელს ჩრდილო კავკასიაში, ჩრდილოეთ ოსეთში, ნაქალაქარ ზემო ჯულატში შემორჩენილ მეჩეთთან ავლებს, უსვამს რა ხაზს დმანისის მეჩეთისა და ჯულატის მეჩეთის არქიტექტურულ ელემენტების სიახლოვეს, მინარეთების მშენებლობის ტექნიკაში არსებულ მსგავსებებს[184]

ზემო ჯულატის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ორი მეჩეთიდან ერთ-ერთი, ე.წ. „მცირე მეჩეთი“, რომლის მხოლოდ ფუნდამენტია შემორჩენილი, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე დამხრობილი წაგრძელებული დარბაზული ტიპის ნაგებობაა. შენობის შიდა ზომები 9.80x6.60 მეტრის ტოლია. მეჩეთში შესასვლელი კარის ღიობი სავარაუდოდ ჩრდილოეთი კედლის შუა ნაწილში ყოფილა მოწყობილი. ჩრდილოეთის კედელზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, კუბისებრი ფორმის და 2.60x2.40 მეტრი ზომის, ქვითა და კირით ნაგები, მინარეთის ფუნდამენტია შემორჩენილი. მინარეთის ზედა ნაწილი, ისევე როგორც დმანისში, ბრტყელი აგურითაა ნაგები. შემორჩენილია რამდენიმე ასეთი აგურის წყობის რიგი. ჰორიზნტულად განლაგებული აგურების ზომებია: 23-24x23-24 სმ, სისქე 4 სმ. სავარაუდოდ, აგური იყო გამოყენებული მეჩეთის კედლების ფუნდამენტის ზედა მშენებლობაშიც. მეჩეთის კედლების სისქე 0.80-1.00 მეტრს შორის მერყეობს. შენობის ინტერიერში, მეჩეთის სამხრეთ კედელში 1.15 მეტრი სიგანის და 1.15 მეტრი სიღრმის ოთხკუთხა ნიშია მოწყობილი. აღნიშნული ნიში მექისკენაა ორიენტირებული და მეჩეთის მიჰრაბს წარმოადგენს. მიჰრაბის, შენობის გარეთა მხრიდან, 4.00 მეტრი სიგრძეზე კედელი 0.5 მეტრითაა გარეთ გამოწეული და ერთგვარ კედლის კონტრფორსს, კედლის ბურჯს ქმნის. შენობის ინტერიერს ორ ნაწილად ჰყოფს მეჩეთის დასავლეთ და აღმოსავლეთი კედლების, 1.00x1.00 მეტრი ზომის პილასტრები. ავტორის, ო. მილორადოვიჩის მოსაზრებით, შენობის კედლებიდან პილასტრები ტრომპებში და

[184] Леквинадзе, Отчет раскопок на II-ом участке Дманисской археологичесской экспедиции за 1961 и 1962 гг. გვ. 35.

შემდგომ წრიულ გუმბათში გადადიოდა. მისივე მოსაზრებით შენობას ორი ასეთი წრიული გუმბათისებრი გადახურვა უნდა ჰქონოდა (არ არის გამორიცხული რომ მეჩეთს ორფერდა გადახურვა ჰქონოდა ჯ.ჩ.). ზემო ჯულატის ნაქალაქარის არნიშნულ მეჩეთს, ავტორი XIII საუკუნით ათარიღებს.[185]

ზემოგანხილული მეჩეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 260 მეტრში მდებარეობს ტატარტუპის მეჩეთისა და მინარეთის ნაშთები. კვადრატულ, ქვითა და კირით ნაგებ ფუნდამენტზე აღმართული იყო აგურის წრიული მინარეთი. მინარეთის შემორჩენილი სიმაღლე 21 მეტრს აღწევდა. მინარეთი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ქვედა ნაწილი კუბისებრი ფორმის მინარეთის ბაზისს წარმოადგენდა, ზომით 3.55x4.25 მეტრი, 2.35 მეტრი სიმაღლით. კუბისებრ ბაზისზე ბრტყელი აგურით (ზომ. 21-25x21-25 სმ და 4-5 სმ სისქის) ნაგები, ცილინდრული ფორმისა და სიმაღლეში დავიწროვებული, მინარეთის ზედა ნაწილი იყო აღმართული. მინარეთის ქვით ნაგებ ბაზისში მოწყობილი შესასვლელი კარით, მინარეთის თავზე ასვლა, წრიული კიბის საფეხურებით იყო შესაძლებელი. მინარეთის კოშკში, ზევითკენ ამავალი 72 საფეხურიანი კიბე, 15.45 მეტრ სიმაღლეზე გარეთ, 0.50 მეტრი სიგანის და 1.55 მეტრი სიმაღლის კარის ღიობით მინარეთიდან აივანის შვერილ ტერასაზე გადიოდა. ტატარტუპის მინარეთი, საბჭოთა პერიოდში, არასწორი რესტავრაციის პროცესის განხორციელების შედეგად დაინგრა და განადგურდა 1981 წელს.

ე.წ. ტატარტუპის მინარეთი აგებული იყო დიდი მეჩეთიდან დასავლეთით, 2.50 მეტრის დაშორებით. აღნიშნული, ზემო ჯულატის დიდი მეჩეთის (ტატარტუპის) არქეოლოგიური გათხრები 1960 წელს დაიწყო. არქეოლოგიურად შესწავლილი მეჩეთი არასწორი ფორმის ოთხკუთხა ნაგებობაა. ნაგებობის კედლებიდან სრულად შესწავლილი და გამოვლენილი მხოლოდ დასავლეთი კედელია. მისი გარე სიგრძე 11.40 მეტრია, შიდა

[185] Ольга Викторовна Милорадович, Средневековые мечети городища Верхний Джулат, *Средневековые памятники Северной Осетии. Труды Северо-Кавказской экспедиции 1958-1960 гг. Том II,* Материалы и исследования по археологии СССР; №114, Крупнов Е.И. (отв. ред.), (Москва: Издательство Академии наук СССР, 1963), 66-69.

– 9.70 მეტრი. გათხრების პროცესში, სამხრეთ და ჩრდილოეთი კედლის მხოლოდ 13.80 მეტრი სიგრძის მონაკვეთის შესწავლა გახდა შესაძლებელი. მეჩეთის ინტერიერში, სამხრეთ კედელში ოთხკუთხედი ფორმის ნიში – მიჰრაბია მოწყობილი. მიჰრაბის ნიშის ზომებია 1.35x1.00 მეტრი. მიჰრაბის ნიშის გარედან 3.33 მეტრ სიგრძეზე კედელი 0.40 მეტრზეა გამოშვერილი. ამდენად, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მიჰრაბის გარედან კედელზე ოთხკუთხა ბურჯისებრი შვერილია მოცემული. მეჩეთის კედლების 1.50 მეტრი სიგანის კირის ხსნარზე ქვით ნაგები ფუნდამენტი აგურის წყობითაა ამოყვანილი სიმაღლეში. ბრტყელი აგურის ზომებია: 21-25x21-25 სმ, სისქე 3-4 სმ. მეჩეთში შესასვლელი კარი დაფიქსირდა და ივარაუდება ჩრდილოეთ კედელში. კიდევ ერთი კარის ღიობი დატანილია დასავლეთ კედელში და ის სავარაუდოდ მინარეთთანაა დაკავშირებლი. მეჩეთის ინტერიერის იატაკი მოგებული ყოფილა 40x40 სმ ზომის ბრტყელი აგურებით. ავტორის ვარაუდით, მეჩეთს შესაძლოა ჰქონოდა ბრტყელი გადახურვა, რომელიც მეჩეთის აგურის კედლებს და ინტერიერში არსებულ ხის სვეტების კოლონებს ეყრდნობოდა. ტატარტუპის დიდი მეჩეთი ოლგა მილორადოვიჩის მიერ XIV საუკინითაა დათარიღებული.[186]

ვადიმ ლექვინაძე თავის ხელნაწერ ანგარიშში დმანისის მინარეთიან მეჩეთს ზემო ჯულატის პატარა მეჩეთს ადარებს, რომლის მინარეთის კუბისებრი ბაზა ისევე როგორც დმანისში, იქაც კედელზეა მიდგმული. ერთი განსხვავებით – მინარეთი ზემო ჯულატის პატარა მეჩეთზე ჩრდილოეთის მხრიდანაა მიდგმული. ჩვენი აზრით, ზემო ჯულატის მეჩეთებიდან, დმანისის მინარეთიან მეჩთთან, ტატარტუპის დიდი მეჩეთის შედარება უფრო მართებული იქნებოდა. ორი მეჩეთი ერთმანეთს მართლაც ჰგავს არასწორი ფორმების, გეგმარების მიხედვთ; თუმცა, არა მინარეთის განლაგების მიხედვით: დმანისის შემთხვევაში მინარეთი მეჩეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, გარედანა მიდგმული, ხოლო ტატარტუპის დიდი მეჩეთის შემთხვევაში იგი 2.50 მეტრითაა დაშორებული დასავლეთ კედელს.

[186] Милорадович, Средневековые мечети городища Верхний Джулат, 70-86.

შემთხვევითი არ არის, რომ ვადიმ ლექვინაძე დმანისის მინარეთიანი მეჩეთისა და ზემო ჯულატის მეჩეთის შემთხვევაში მსგავს სამშენებლო ტრადიციების არსებობას ხედავს.

როგორც ვიცით XIII საუკუნის 60-იან წლებში ერთიანი მონღოლური იმპერიის დაშლის შემდეგად, მანამდე უკვე ჩამოყალიბებულმა ოქროს ურდომ – ჯუჩის ულუსმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და უზარმაზარი მონღოლური სახელმწიფო შექმნა. ეს მონღოლური სახლმწიფო მოიცავდა ტერიტორიას ქვემო დუნაის წელიდან აღმოსავლეთით, ირტიშისა და ობის აუზებამდე, შავი, კასპიისა და არალის ზღვებიდან ნორვეგიის მიწებამდე.

ოქროს ურდოს მმართველებმა, სავარაუდოდ ეტაპობრივად, საკუთარი გავლენა გაავრცელეს ჩრდილოკავკასიელ ხალხებზე და ტერიტორიებზე, რომლებიც მანამდე ქართველი მეფეების მიერ კონტროლირებადი ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი გახლადათ, სადაც ქართული კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის აქტიური ექსპანსია აღინიშნებოდა.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოქროს ურდოს იმპერიის ტერიტორიაზე ისლამური რელიგიის გავრცელება იწყება. ოქროს ურდოს მმართველთაგან ბერქა ყაენი (1258-1266) იყო პირველი ვინც ისლამი მიიღო.[187] ირანის, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და მესოპოტამიის და კავკასიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ილხანთა სახელმწიფოსთან მტრული დამოკიდებულებისა და მრავალწლიანი, სისხლისმღვრელი ომების მიუხედავად, ილხანური კულტურული გავლენა ოქროს ურდოს სახლმწიფოს ყოფით და კულტურულ ცხოვრებაზე დიდი დოზით აისახა. აღნიშნული გავლენა იგრძნობა კულტურის სხვადასხვა სფეროში და გამოხატულია ასევე მატერიალურ მემკვიდრეობაში. ამის ნათელი მაგალითია ოქროს ურდოს კერამიკულ წარმოებაში

[187] Борис Дмитриевич Греков, Александр Юрьевич Якубовский, *Золотая Орда и ее падение,* (Москов - Ленинград, Издательство Академии Наук СССР, 1950), 78-80.

ასახული სურათი – ილხანთა პერიოდის ირანული მხატვრული კერამიკის წარმოების შემოქმედებითი ტენდენციების გავლენა ოქროს ურდოს კერამიკულ წარმოებაში, ადგილობრივი და სამხრეთიდან მომავალი კულტურული ტრადიციების ერთგვარი სინკრეტიზმი.[188]

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ოქროს ურდოს და ილხანურ სახელმწიფოს შორის, მათ შორის მოქცეულ საქართველოს (რომელიც უშუალოდ ილხანურ სახელმწიფოს ემორჩილებოდა) სამეფოსა და მის გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილოეთ კავკასიას შორის სხვადასხვა მონაცემებით დასტურდება. ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო მაგისტრალი რომელიც ოქროს ურდოს და ილხანებს აკავშირებდა, დარიალის ხეობაზე გამავალი გზა იყო. ჩრდილეთ კავკასიაში ამ გზაზე მდებარე, ჩვენგან, კავკასიონის ქედიდან ჩრდილოეთით ყველაზე ახლომდებარე ქალაქს სწორედ რომ ზემო ჯულატის (ტატარტუპის) ნაქალაქარი წარმოადგენდა (ჯულატიდან ჩრდილოეთით, ოქროს ურდოს დედაქალაქისკენ მიმავალ გზაზე, დღევანდელი სტავროპოლის მხარეში, მდინარე კუმაზე მდებარეობდა ქალაქი მაჯარი), ხოლო სამხრეთ კავკასიაში ამ გზაზე, კავკასიონის ქედიდან სამხრეთით მდებარე უახლოესი საქალაქო პუნქტი იყო დღევადელი ნაქალაქარი ჟინვალი. ამავე, სამხრეთით, ილხანური ირანისკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე, თბილისისა და სამშვიდის შემდგომ, მდებარეობდა დმანისიც.

საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და საქალაქო წარმოების განვითარება თავისთავად განაპირობებდა სხვადასხვა კონფესიური და მრავალეთნიკური მოსახლეობის გაჩენა-არსებობას კავკასიის ქალაქებში. ასეთივე საქალაქო ცხოვრების განვითარების სურათს, მრავალეთნიკური და რელიგიურად მრავალფეროვანი მოსახლეობით და მათი საცხოვრისი უბნებით, რელიგიური

[188] აღნიშნულ საკითხებს ეხება სხვადასხვა ნაშრომი: Наиля Лисова, Орнамент глазурованной посуды золотоордынских городов Нижнего Поволжья, *Археология евразийских степей, Выпуск 15,* (Казань: Казань, 2012); Rosalind Anne Wade Haddon, *Fourteenth-century fine glazed wares produced in the Iranian world, and comparisons with contemporary ones from the Golden Horde and Mamlūk Syria/Egypt,* PhD Thesis, SOAS, (University of London, 2011).

შენობებით, ბაზრებით, ვხედავთ ოქროს ურდოს ქალაქების შემთხვევაშიც. ეს ქალაქები, ისლამის გავრცელების პარალელურად, ეტაპობრივად ჩამოყალიბდნენ როგრც „აღმოსავლური იერის“ ქალაქები. ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი XIV საუკუნის შუა ხანებისათვის სწორედ რომ ერთ-ერთი ასეთი უდიდესი აღმოსავლური ყაიდის საქალაქო ცენტრი იყო მაშინდელ მსოფლიოში, რასაც გარდა არქეოლოგიური მონაცემებისა, თანადროული ისტორიული (არაბული) წყაროებიც მოწმობენ.[189]

ამდენად, ზემოგანხილული სხვადასხვა მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავინახოთ მსგავსება ოქროს ურდოს ქალაქებსა და შუა საუკუნეების დმანისს შორის, ასევე, ზემო ჯულატის (ტატარტუპი) ნაქალაქარსა და დმანისის ნაქალაქარს შორის.

დმანისის მინარეთიანი მეჩეთისა და ზემო ჯულატის მეჩეთების არქეოლოგიური კვლევა ერთდროულად, მე-20 საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში წარმოებდა. როგორც აღვნიშნეთ, ვადიმ ლექვინაძე ამ ორ განსხვავებულ რეგიონში მდებარე ნაქალაქარებზე გამოვლენილი ისლამური ძეგლების განხილვისას, ყურადღებას ამახვილებდა მათ არქიტექტურულ გეგმარებასა და მშენებლობის ტექნიკაში არსებულ მსგავსებებზე, რაც, ჩვენი აზრით შემთხვევითი არ უნდ იყოს.

ზემო ჯულატის ნაქალაქარი დმანისის ნაქალაქარის მსგავსად წარმოდგენილია როგორც ქრისტიანულ ისე მუსლიმურ რელიგასთან დაკავშირებული ძეგლებით. ნაქალაქარზე და მის შემოგარენში გამოვლენილია ოთხი ეკლესიის ნაშთი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ზემო ჯულატში, ტატარტუპის მინარეთიდან 1.2 კმ-ში მდებარე და 1962 წელს არქეოლოგიურად შესწავლილი ეკლესია №2, სადაც, ეკლესიის გადახურვის კრამიტების ფრაგმენტებია აღმოჩენილი ქართული ასომთავრული წარწერებით. ვლადიმერ კუზნეცოვის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ზემო ჯულატის ნაქალაქარის შესახებ, ილუსტრაცია 12, სურ. 1-3-ზე აღბეჭდილ კრამიტის ფრაგმენტებზე ვხედათ რელიეფურ ასომთავრულ ასოებს. ერთ-ერთ კრამიტის

[189] Владимир Густавович Тизенгаузен, *Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды (Извлечения из сочинений арабских), Том I*, (Санктпетербургъ, 1884), 306.

ფრაგმენტზე, სავარაუდოდ სამი ასეთი ასომთავრული ასო-ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომელთაგან შემორჩენილია მხოლოდ პირველი ორი – თავგახსნილი ორი „ბ“: ⵎⵎ, ამ ნიშნების მარჯვნივ, მათ თავზე ჩანს ქარაგმის ნიშანი – სწორი ჰორიზონტალური ხაზი და რომელიღაცა ასო-ნიშნის („ი“ – Ⴈ ?) ფრაგმენტი (ძნელია თქმა, თუ რომელი ასო-ნიშნებია აღბეჭდილი დანარჩენ ორ ფრაგმენტზე, შესაძლოა იყოს „ე“ და „დ“). ვლადიმერ კუზნეცოვის ინფორმაციით, აღნიშნული წარწერების – ასო-ნიშნების თარიღთან დაკავშირებით თავის დროზე ვარაუდი გამოთქვეს აკაკი შანიძემ და თეიმურაზ ბარნაველმა. შანიძის მიხედვით წარწერები XIII, ხოლო ბარნაველის მიხედვით XIII- XIV საუკუნით დათარიღდა. კუზნეცოვს მოცემული აქვს შანიძისეული წარწერის წაკითხვის ვესრსიაც: „ბრძანებითა“ («повелением», «по велению»). კუზნეცოვი აღნიშნული ეკლესიის სახით მისი ქათული წარმომავლობის საკითხს არ განიხილავს. თუმცა, ზემო ჯულატის როგორც ეკლესიების, ისე ისლამური ძეგლების – მეჩეთების მშენებლობაში გამოყენებული მასალის და სამშენებლო ტექნიკის ტრადიციებით, ქართულ სამყაროსთან (სამხრეთ კავკასიასთან) ზოგად კავშირს ადასტურებს. ავტორი, როგორც ეკლესიებს, ისე ისლამურ ძეგლებს XIII-ის ბოლოთი და XIV საუკუნით ათარიღებს, უკავშირებს რა მათ ოქროს ურდოს პერიოდს. კუზნეცოვი ვარაუდობს რომ, როგორც ქრიტიანული ისე მუსლიმური ძეგლები, შესაძლოა ქართველი და აზერბაიჯანელი ტყვეების მიერ იყოს აშენებული და სავარაუდოდ ეს ტყვეები ზემო ჯულატში 1319 წლის შემდგომ, სამხრეთ კავკასიაში ყაენ უზბექის (1312-1342 წწ.) ლაშქრობის შედეგად მოხვედრილიყვნენ.[190] აქვე, შესაბამისად, კუზნეცოვი არ იზიარებს ადრე ევგენი კრუპნოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ზემო ჯულატის ეკლესიების (ეკლესია №1) თარიღთან დაკავშირებით, რომელიც მათ XII საუკუნით, ოქროს ურდოს წინარე ხანით განსაზღვრავდა და

[190] Владимир Александрович Кузнецов, *Верхний Джулат. К истории золотоордынских городов Северного Кавказа.* (Нальчик, 2014). 47-80, 81-90.

უკავშირებდა ბიზანტიურ-სლავური ქრისტიანული სამყაროს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს (მათ შორის ბრტყელი აგურით ნაგები ეკლესიის კრიპტების თემას).[191]

რა თქმა უნდა, ზემო ჯულატის ქრისტიანული ძეგლების თარიღის დადგენა და არსებული დათარიღებების რევიზია, ასევე აღნიშნული ძეგლების ქართულ სამყაროსთან სავარაუდო კუთვნილების დადგენა, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. თუმცა, დმანისთან მრავალი პარალელის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, ისტორიულ წარსულში, რომ ქართული მონარქიის მიერ კონტროლირებადი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი ნაწილის, ზემო ჯულატის ნაქალაქარზე არსებული ქრისტიანული ძეგლები, დიდი ალბათობით ქართველ მეფეთა ან მათივე ადგილობრივ მმართველ ფეოდალეთა უშუალო დაკვეთით ყოფილიყო აგებული. შესაძლოა აღნიშნული მოქმედების გამომხატველი იყოს ზემო ჯულატის ეკლესია 2-ში აღმოჩენილ კრამიტებზე შესრულებული წარწერის შინაარსიც: „ბრძანებითა“, რომელიც, ამდენად, სავარაუდოდ სამშენებლო ხასიათის წარწერის შინაარს ატარებს – განკარგულებას ეკლესიის მშენებლობაზე.

ჩვენი აზრით, სათუა XIII საუკუნის II ნახევარი, ან თუნდაც XIV საუკუნე განისაზღვროს ზემო ჯულატის ეკლესიების აგების თარიღად იმ ერთადერთი არგუმენტის გამო განვიხილოთ, რომელიც კუზნეცოვის აღნიშნულ ნაშრომშია მოცემული: რომ ბრტყელი აგურის გამოყენება ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ ოქროს ურდოს ხანას, XIV საუკუნის II ნახევარს და შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ასევე საეჭვოდ წარმოგვიდგენია 1319 წელს ოქროს ურდოს მმართველთა მიერ სამხრეთ კავკასისაში ლაშქრობის შემდეგ აქედან წაყვანილი ქართველი და აზერბაიჯანელი

[191] Евгений Игнатьевич Крупнов, Христианский храм XII в. на городище Верхний Джулат, *Средневековые памятники Северной Осетии. Труды Северо-Кавказской экспедиции 1958-1960 гг., Том II, Материалы и исследования по археологии СССР; №114, Крупнов Е.И. (отв. ред.),* (Москва: Издательство Академии наук СССР, 1963), 48-65.

ტყვეების მიერ ქრისტიანული ეკლესიების აგება ისლამიზირებული ოქროს ურდოს მმართველთა ბრძანებით.

უფრო ლოგიკური იქნება, თუ ზემო ჯულატის ქრისტიანული ძეგლების აგების თარიღს ქართული სამეფოს ჩრდილოეთ კავკასიაში ჰეგემონობის პერიოდს, წინარე მონღოლურ ხანას, თუნდაც შემდგომი ხანის მცირე პერიოდს დავუკავშირებთ (ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილობრივი ფლობა ქართველ მეფეთა მიერ ოქროს ურდოს ხანაშიც გრძელდებოდა). პერიოდს, როდესაც საქართველოს სამეფოს მიერ კონტროლირებად და მფლობელობაში არსებულ ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილზე ქართული მონარქიისა და ეკლესიის მიერ აქტიურად ვრცელდება ქრისტიანობა და ზოგადად ქართული კულტურა.

სავარაუდოდ, შემდგომ პერიოდში, მას შემდეგ რაც შეიქმნა ოქროს ურდოს მონღოლური სახელმწიფო და გააქტიურდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ოქროს ურდოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომლებიც იმ ხანად ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში შედიოდნენ, განვითარდა ჩრდილო კავკაკასიური საქალაქო ცხოვრება. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამაკავშირებელ ერთ-ერთ სავაჭრო-სატრანსპორტო (დარუბანდის გზის შემდეგ) მაგისტრალზე – დარიალის გზაზე მდებარე, შუა საუკუნეების ზემო ჯულატში (ტატარტუპი), ისლამური ძეგლების – მეჩეთების გაჩენა ქრისტიანული ეკლესიების გვერდით, შესაძლოა დმანისში განვითარებული ცვლილებების პროცესების მსგავსიც იყოს. და, შესაძლოა ეს პროცესები – ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური ხასიათის ცვლილებები, საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას და მასთან დაკავშირებულ ბუნებრივ მიგრაციულ პროცესებს უკავშირდებოდეს. როგორც ზემო ჯულატში, ისე დმანისში, ქრისტიანული და ისლამური რელიგიური ძეგლები თანაარსებობენ – ისევე როგორც ამ ქალაქთა მოსახლეობის ქრისტიანული და მუსლიმური ნაწილი, ამიერკავკასიის და ოქროს ურდოს სხვა ქალაქების მსგავსად.

თემურ ლენგის ლაშრობებებით გამოწვეული მძიმე შედეგები, აისახა როგორც დმანისის, ისე სავარაუდოდ, ზემო ჯულატის შემდგომ ბედზე.[192]

სავარაუდოდ, თემურ ლენგის ლაშქრობებს შეეწირნენ დმანისის როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი მაცხოვრებლები. თემურ ლენგის მიერ განადგურებული დმანისი XV საუკუნეში აღდგა როგორც ციხე და მცირე სამოსახლო პუნქტი. აღდგა ქრისტაინული ტაძრები, თუმცა, მუსლიმი მოსახლეობის უკვე აქ არ არსებობის გამო, ვერ აღდგა ისლამური საკულტო ძეგლები – მეჩეთები.

სავარაუდოდ მსგავსი, მაგრამ კონფესიურად საპირისპირო მოვლენები განვითარდა ზემო ჯულატში: იქ თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგაც განაგრძობდა არსებობას ტატარტუპის მეჩეთი და მინარეთი, თუმცა ვერ აღდგა ქრისტანული ტაძრები, სავარაუდოდ ქრისტიანი მოსახლეობის არ არსებობს გამო (ისინი თემურ ლენგის ლაშქრობებს შეეწირნენ და მათი ბუნებრივი განახლება, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დასუსტების ფონზე, ვეღარ მოხერხდა).

ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ თემურ ლენგის მიერ წარმართული „საღვთო ომი“ და ისლამის ძალდატანებით გავრცელება ასევე ასახულია თანადროულ ისტორიულ წყაროებში.[193]

---

[192] თემურიანთა კარის ისტორიკოსი შარაფ ად-დინ ალი იეზდი თავის წიგნში "ზაფარ-ნამე" (გამარჯვებების წიგნი) ოქროს ურდოს ყაენის, თოხთამიშსა და თემურ ლენგს შორის წარმოებული სამხედრო ოპერაციების დროს იხსენიებს ჯულატს. ისტორიკოსის მიხედვით, თემურ ლენგის ჯარი ჯულატის მხარეში საკვები მარაგის შესავსებად მივიდა. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში მოხდებოდა აღნიშნული მხარის და სავარაუდოდ ქალაქ ჯულატის დარბევაც. ისტორიკოსის მიერ საუბარია აღნიშნულ მხარეში თემურის ჯარების მიერ სურსათის მარაგის შევსების შემდეგ მტრების განადგურებაზე. პირველ რიგში ეს ტატარტუპის ქრისტიანულ მოსახლეობას შეეხებოდა, თუმცა თემურ ლენგი, როგორც ვიცით, არც მუსლიმი მოსახლეობის მიმართ იყო შემწყნარებელი როცა ისინი მის ძარცვისა და რბევის, დაპყრობის გეგმაში შედიოდა. თემურმა ჯულატის მხარე მხოლოდ მას შემდეგ დატოვა რაც თოხთამიშის ჯარების გადაადგილების შესახებ შეიტყო: *Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, том II.* Извлечения из персидских сочинений, собранные В. Г. Тизенгаузеном, (Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР, 1941), 175-176.

[193] *Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, том II.* Извлечения из персидских сочинений, собранные В. Г. Тизенгаузеном, (Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР, 1941), 180-183.

ამდენად, ზემომოყვანილი მსჯელობის შეჯამება, ამგვარი დასკვნით შეგვიძლია: თემურ ლენგის მიერ საქართველოში განხორციელებული გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად ქალაქი დმანისი უმძიმესად დაზარალდა. ამის შემდგომ, ის, როგორც ქალაქი, ვეღარასოდეს აღდგა. სავარაუდოდ XV საუკუნის შუა ხანებიდან, იწყება დმანისის ციხისა და სხვა საფორტიფიკაციო სეგმენტების განახლება-აღდგენა. აღდგენას დაექვემდებარნენ ასევე ქრისტიანული საკულტო ძეგლები – დმანისის სიონი, წმ. მარინეს ეკლესია, უბნის მცირე ეკლესიები. აღნიშნულ ძეგლებზე დასტურდება განახლება-რესტავრაციის შედეგად წარმოქმნილი გვიანდელი სამშენებლო ფენები. ასევე, ამა თუ იმ ეკლესიის განახლების შესახებ ცნობებს გვაწვდის სამშენებლო წარწერები (მაგ. წმ. მარინეს ეკლესიაზე არსებული წარწერა). საყურადღებოა, რომ თემურ ლენგის შემდგომ ხანაში ე.წ. „მინარეთიან მეჩეთს“ და ე.წ. „ბურჯიან მეჩეთს“, თავდაპირველი ფუნქციით აღდგენა არ განუცდიათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, და რაზედაც არქეოლოგიური მონაცემებიც ცხადად მეტყველებს, ამ ორი მეჩეთის შენობას განსაზღვრული აღდგენა-გადაკეთებების შემდგომ, გვიან შუა საუკუნეებში, როგორც საცხოვრებელ ნაგებობებს ისე იყენებდენ.

ყოველივე ამის მიზეზი ის იყო, რომ დმანისის მეჩეთების ფუნქციურად აღდგენის საჭიროება არ დამდგარა. თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად ფიზიკურად განადგურებული ჩანს როგორც დმანისის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი ისე მუსლიმური. ამის ნათელი გამომხატველი მოვლენაა დმანისის სამაროვანზე ასახული სურათი – XIV საუკუნის შემდგომ დმანისის სამაროვანზე ახალი ისლამური მემორიალური ძეგლები არ აღუმართავთ. გვიან შუა საუკუნეების ხანაში არ გვხვდება არც ერთი მუსლიმური წესით დაკრძალვის ფაქტი და XIV საუკუნის შემდგომი პერიოდის არაბულწარწერიანი საფლავის ქვები.

ნაქალაქარის II უბანზე, საინტერესო მონაცემები მოგვცა ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთის“ დასავლეთით მდებარე ე.წ. „დერეფნიანი შენობის“ გათხრებმა. მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ასევე იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ეს მართკუთხა,

ჩრდილოეთ-სამხრეთ ხაზზე დაგრძელებული შენობა ზომით 5.00x9.00 მეტრზე, ნაგებია ბაზალტის დაუმუშავებელი ქვითა და კირის ხსნარით. შენობაში შესასვლელი ორი კარის 1.40 მეტრი სიგანის ღიობები დატანილია შენობის აღმოსავლეთ კედელში. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეებიდან კედლები გამოგრძელებულია აღმოსავლეთით, რითაც შენობის აღმოსავლეთიდან კიდევ ერთი, სამი მხრიდან კედლებით შემოსაზღვრული და აღმოსავლეთის მხრიდან ღია ტიპის სათავსი იკვრება. სწოროდ აივნისებრი, ნახევრად ღია სათავსის გამო ეწოდა ამ ნაგებობას „დერეფნიანი შენობა“. შენობაში, მიწის ზედაპირიდან 1.20 მეტრ სიღრმეზე გამოვლენილ ქვედა საცხოვრებელ დონეზე (იატაკზე) გამოჩნდა იატაკის დონიდან მიწის სიღრმეში ჩადგმული თონე – თიხის მილებით შედგენილი „სასულეთი“. შენობის ინტერიერის ცენტრში კერა დადასტურდა, კერასთან კი ბაზალტის ფილი და ფილთაქვა. ამავე იატაკის დონეზე in situ მდგომარეობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (ფერადი საღებავებით მოხატული და მოჭიქული ჯამი, ჩაიდნისებური (მილიანი) ჭრაქი, ცალყურა კოჭობი და ე.წ. „ფაიანსის“ დოქი, ასევე სავარაუდოდ, რომელიღაც ხუროთმოძღვრული ძეგლის დეტალი, აღნიშნულ საცხოვრებელ დონეს (საცხოვრებელი დონე II, 1.20 მეტრ სიღრმეზე) XII საუკუნის ბოლოთი და XIII საუკუნის I ნახევარით ათარიღებს. აღნიშნული ნაგებობის დაზიანებისა თუ ნგრევის შემდგომ ის კვლავ განუახლებიათ და ახალი, ზედა საცხოვრებელი დონე (საცხოვრებელი დონე I, 0.80 მეტრ სიღრმეზე) მოწყვიათ. ეს საცხოვრებელი დონე სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის მიხედვით XIII-XIV საუკუნეებითაა დათარიღებული.[194]

განსაკუთრებული აღსანიშნავია თეთრკეციანი მოჭიქული დოქი (საინვ. №81-65/1252), რომელიც 1965 წელს, „დერეფნიანი შენობის“ XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ II საცხოვრებელ დონეზე აღმოჩნდა.[195]

---

[194] ვახტანგ ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 65-67.

[195] ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965-1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები / საქართველოს*

ილუსტრაცია 53. თეთრკეციანი მოჭიქული დოქი (სამუზ. №81-65/1252). საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციები. „დერეფნიანი შენობა. დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

სახელმწიფო მუზეუმს არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967 წწ. ანგარიშები), (თბილისი: მეცნიერება, 1969), 57-74.

ეს კერამიკული ჭურჭელი, დმანისში იმპორტის სახით შემოსული ნაწარმიდან, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია. ჩვენამდე დაზიანებული სახით მოღწეული, ცილინდრული ტანის მქონე, რელიეფური მხატვრული ორნამენტით გაფორმებული და ლურჯი კობალტის ჭიქურით მოჭიქული დოქი ისლამური კერამიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს (დოქის შემორჩენილი სიმაღლე 29 სმ-ია, მუცლის დიამეტრი – 33 სმ; ქუსლის დიამეტრი – 11 სმ). ჭურჭელს აკლია პირ-ყელის ნაწილი და ყური რომელიც მხარსა და ყელზე უნდა ყოფილიყო მიძერწილი. დოქის მხრებზე მოცემულია მცენარეული ორნამენტი, ხოლო მუცელზე გამოსახულია თერთმეტი ადამიანის ფიგურა (ილუსტ. 53). სხვა ანალოგიების მსგავსად, დმანისურ დოქზე გამოსახული გვერდი-გვერდ მდგარი ადამინების ფიგურები, ამ ჯგუფის მიერ რიტუალური ცეკვის შესრულებას უნდა გამოხატავდეს (მიუხედავად იმისა, რომ ამ დოქზე, სხვა მსგავსი ჭურჭლების გამოსახულებების მსგავსად, მოცეკვავეებს ხელები ერთმანეთზე არ აქვთ ჩაკიდებული, ვფიქრობთ, რომ დმანისურ დოქზეც იგივე მასობრივი ცეკვის თემაა გადმოცემული). სხვადასხვა მოსაზრებებით, აღწერილი სიუჟეტი ძველ ირანულ, ზოროასტრულ რიტუალს ან თურქული ცეკვის ტრადიციებს შესაძლოა უკავშირდებოდეს.[196] მსგავსი ტიპის, XI-XII საუკუნეებით დათარიღებული ირანული დოქი, ანალოგიური ცეკვის სცენით, დაცულია რომში, ჯუზეპე ტუჩის აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმში და ანალოგიურადაა იტერპრეტირებული. ჭურჭელზე გამოსახული ხელი-ხელ ჩაკიდებული ხორუმი, სავარაუდოდ ცეკვა „დასტაბანდია“ – ის სომის სუფისტური მისტიციზმით, ღმერთთან დაახლოების საშუალებაა მუსიკითა და ცეკვის მეშვეობით. მეორე ვერსია, რომელიც თურქულ ტრადიციებს უკავშირდება, შესაძლოა სელჯუკთა ჩვეულებაში არსებულ ჯგუფურ გასართობ ცეკვას ასახავდეს, რაც ასევე დაკავშირებულია ნადირობის თემასთან.[197] აღნიშნულ ჭურჭელს, მხატვრული

[196] Géza Fehérvári, *Ceramics of the Islamic World in the Tareq Rajab Museum*, (London-New York: I.B. Tauris, 2000), 103.

[197] Sheila R. Canby, Deniz Beyazit, Martina Rugiadi, and A. C. S. Peacock, *Court and Cosmos: the great age of the Seljuqs,* (New York: Metropolitan Museum of Art, 2016), 163. სურ. 93

გაფორმებისა და ტექნოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, პარალელები ეძებნება შუა საუკუნეების კერამიკის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრის, ირანში მდებარე ქალაქ ქაშანის ნაწარმთან. დმანისური დოქი XII მეორე ნახევრით და XIII საუკუნის დასაწყისით შესაძლოა დათარიღდეს.[198]

დმანისის „მინარეთიან მეჩეთთან“ და ჩვენი ვარაუდით მეჩეთის კომპლექსში შემავალი ე.წ. „დერეფნიანი შენობის“ ინტერიერში ზემომოყვანილი ჭურჭლის აღმოჩენა შემთხვევითობას არ უნდა წარმოადგენდეს. სავარაუდოა, რომ იმ დროისათვისაც მსგავსი ტიპის ჭურჭელი ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ ღირებული და ფუფუნებისთვის განკუთვნილი ნივთი ყოფილიყო.[199] მისი აღმოჩენა დმანისში, მაშინდელ ამიერკავკასიის ისლამური კულტურისა და რელიგიის ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრში, ლოგიკურადაც გვეჩვენება.

ნაქალაქარის II უბანზე არქეოლოგიური კვლევების უშუალო მწარმოებელი ვადიმ ლექვინაძე „დერეფნიანი შენობაში“ ერთ-ერთი საშუალო შემლების დმანისელი ოჯახის საცხოვრებელ სახლს ხედავდა. მისივე კვლევის შედეგებით „დერეფნიანი შენობის“ პირველი ნგრევა XIII საუკუნის დასაწყისში დმანისში ჯალალ ად-დინის ლაშქრობას (1225-1230) ან მონღოლთა შემოსევების (1235-1240) დროს უნდა მომხდარიყო. მკვლევარის ვარაუდით, საფიქრალია, რომ ქალაქის აღნიშნულ დარბევას შეეწირა „დერეფნიანი შენობაში“ მცხოვრები ოჯახი ან ისინი ტყვედ წაიყვანეს. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს მას „დერეფნიან შენობის“ ეზოში ჩაფლული ოქროსა და ვერცხლის სამკაულების განძის აღმოჩენის ფაქტი აძლევს. მისი მოსაზრებით სახლის პატრონმა

---

[198] პარალელისთვის: კოპენჰაგენში, დავითის კოლექციაში დაცული ფირუზიფრად მოჭიქული ირანული წარმოშობის და XII საუკუნით დათარიღებული ჭურჭელი. ლიტ.: Kjeld von Folsach, Joachim Meyer, *The human figure in Islamic art: holy men, princes, and commoners,* (Copenhagen: The David Collection, 2017), 75, სურ. 5; ქრისტის აუქციონზე მუჰამედ საიდ ფარსის კოლექციიდან გასაყიდად გამოტანილი ქაშანური დოქი, ხორუმში მოცეკვავე ფიგურებით, ლურჯად მოჭიქული, დათარიღებული XIII საუკუნით: https://www.christies.com/lotfinder/lot/a-seljuk-figural-blue-glazed-ewer-kashan-central-5421865-details.aspx

[199] აღნიშნული ტიპის ჭურჭელი დღევანდელ ცნობილ ანტიკვარულ აუქციონებზე წარმოუდგენლად ძვირად ფასობს.

სავარაუდოდ, რომელიმე ზემომოყვანილი შემოსევის დროს ოჯახის კუთვნილი განძი ხის ყუთში მოათავსა და მაშინდელი ეზოს ზედაპირის დონიდან 0.6 მეტრ სიღრმეში ჩაფლა. პატრონს განძი უკან არ ამოუღია, სწორედ იმ მიზეზით, რომ განძის პატრონი და ამ განძის შესახებ ვინც იცოდა, სავარაუდოდ დმანისის დარბევის დროს დაიღუპნენ ან ტყვედ წაიყვანეს.[200]

ჩვენი აზრით, ე.წ. „დერეფნიანი შენობა“ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო დმანისის „მინარეთიან მეჩეთთან“, რომელიც მისგან აღმოსავლეთით, სულ რაღაც ხუთიოდე მეტრში იდგა იმგვარად, რომ შენობის ღია აივანი მიმართული იყო მეჩეთისაკენ. სავარაუდოდ, „დერეფნიანი შენობა“ მეჩეთსა და მედრესეს ფუნქციურად ემსახურებოდა როგორც კომპლექსში შემავალი სამეურნეო, თუ საცხოვრებელი ნაგებობა. ყოველ შემთხვევაში, გარდა ზემოაღწერილი და იმ დროისათვის სავარაუდოდ საკმაოდ ძვირფასი ჭურჭლის „დერეფნიან შენობაში“ აღმოჩენა, ისევე როგორც ბოლოს ნათქვამი განძის ჩაფვლის ფაქტი „დერეფნიანი შენობის“ ეზოში, ამ ნაგებობის განსხვავებულ მნიშვნელობას უნდა უსვამდეს ხაზს და, ამდენად, როგორც ჩვენ ვარაუდობთ, შენობა არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ რიგით საცხოვრებელ ნაგებობას.

„დერეფნიანი შენობის“ ეზოში აღმოჩენილი გადამალული განძი უძვირფასესი წყაროა განვითარებული შუა საუკუნეების ოქრომჭედლობის ხელოვნების შესწავლის თვალსაზრისით.

დმანისის განძი შედგება ოქროსა და ვერცხლის სამკაულებისგან. ესენია: საყურეები (ილუსტ. 54), სამაჯურები, სასაფეთქლე საკიდები, მძივები და ყელსაბამი.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დმანისის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობის ამსახველ ისტორიულ ცნობებს, რამდენიმე ცალკეული გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად მოკლებული ვართ, აღნიშნულ დანაკლისს დმანისის მოსახლეობის, მათ შორის მუსლიმური ნაწილის შესახებ, არქეოლოგიური მონაცემებით

[200] ვადიმ ლექვინაძე, რუსთაველის ეპოქის ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები, *საბჭოთა ხელოვნება, №9,* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966), 18-20.

ვავსებთ. დმანისის ნაქალაქარზე გამოვლენილი, რელიგიური სწავლებისა და ლიტურგიისთვის არსებული ისლამური კულტურის ძეგლები, სამაროვანზე არსებული ისლამური მემორიალები, დმანისის მოსახლეობის დიდი ნაწილის ისლამური რელიგიური კონფესიებისადმი კუთვნილებას ასახავს XII-XIV საუკუნეებში.

ილუსტრაცია. 54. ე.წ. „დერეფნიან შენობასთან“ აღმოჩენილ ჩაფლულ განძში შემავალი ოქროს წყვილი საყურე (სამუზ. №81-65:1227). საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციები. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემავალ ქალაქთაგან, სამეფოს დედაქალაქთან თბილისთან ერთად, დმანისი ისლამური კულტურისა და რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო მაშინდელ ამიერკავკასიაში. ამის

ამსახველ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წამოადგენს დმანისის ნაქალაქარზე მეჩეთებთან ერთად ისლამური სასწავლებლის – მედრესეს აღმოჩენა, რომელიც აღნიშნული რელიგიის სასწავლო ცენტრის არსებობას ადასტურებს შუა საუკუნეების დმანისში. როგორც შემდგომში, სამაროვნის ისლამურ ძეგლებზე საუბრისას ვნახავთ, მემორიალებზე არსებულ თანადროულ არაბულ ეპიტაფიებში, გარდაცვლილთაგან რამდენიმე სასულიერო პირიც იხსენიება.

დმანისი რომ ისლამური რელიგიისა და სწავლების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, რამდენიმე ცალკეული, საბედნიერო შემთხვევით შემორჩენილი აღმოსავლური ისტორიული წყაროც ადასტურებს.

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, გოჩა ჯაფარიძის მიერ მოძიებული ერთ-ერთი წყაროს მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება ერთ-ერთი დმანისელი სასულიერო პირი, რომელიც, როგორც ჩანს თავისი ცნობადობით სარგებლობდა მაშინდელ ისლამურ სამყაროში.

გოჩა ჯაფარიძის მიხედვით, XVI საუკუნის არაბი ისტორიკოსის, იბნ ტულუნის თხზულებაში, ალ-კალა'იდ ალ-ჯავჰარაიდა ფი თა'რიხ ას-სლიჰიდა („ძვირფასი ქვების ყელსაბამები სალიჰიას ისტორიაში"), იქ სადაც ის აღწერს დამასკოს (სირია) ერთ-ერთ უბანს – სალიჰიას, იხსენიებს ჩვენთვის საინტერესო წარმომავლობის სასულიერო მოღვაწეს რომელიც ნისბას (წარმომავლობის სახელი) – ალ-დუმანისი ატარებდა. იბნ ტულუნის უწყებით, ნისბას ალ-დუმანისი ატარებდა ღვთისმოსავი *შაიხი სადრ ად-დინ ჰამიდ იბნ'ალი.* იგი გარდაცვლილა ჰიჯრით 643 წელს, 14 რაბი' ალ-ავვალს (1245 წლის 9 აგვისტოს). ქალაქ დამასკოში, სალიჰიას უბანში, შარქასიას კვარტლის ჩრდილოეთით კი ყოფილა სარდ ად-დინის მავზოლეუმი – ათ-თურბა ად-დუმანისიდა და მის მიერვე აგებული მეჩეთი.[201]

[201] გოჩა ჯაფარიძე, ად-დუმანისი – იშვიათი არაბული ნისბა, *ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტომი I*, (თბილისი: მხედარი, 2012), 247-249.

დამასკოში მდებარე სალიჰიას უბანი, XII-XIII საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, აქ არსებული მედრესებითა და მეჩეთებით, ცნობილი იყო როგორც ისლამური განათლების უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აქ მოღვაწე დმანისური წარმოშობის სასულიერო პირი სადრ ად-დინი, კი გვევლინება როგორც გავლენიანი და შეძლებული საულიერო პირი რომელმაც აღნიშნულ უბანში მეჩეთი ააშენა. გოჩა ჯაფარიძე ფიქრობს რომ, სადრ ად-დინი, შესაძლოა სუფი ყოფილიყო, რაზედაც მისი ტიტული – შაიხი უნდა მიანიშნებდეს. სადრ ად-დინ ალ-დუმანისი თავისი ცხოვრების რომელიღაცა პერიდით, საკუთარი წარმომავლობის გამომხატველი ტიტულიდან გამომდინარე, დმანისთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შესაძლოა ის დაიბადა და განსაზღვრული დრო გაატარა დმანისში, ხოლო შემდგომში ცოდნის გასაღრმავებლად ახლო აღმოსავლეთის დიდ ისლამურ ცენტრებს, ამ შემთხვევაში დამასკოს მიაშურა, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა კიდეც.[202]

ამავე სტატიაში, გოჩა ჯაფარიძეს კიდევ ერთი, მამით დმანისური წარმოშობის მუსლიმი, *აჰმად იბნ აჰმად იბნ აჰმად ად-დუმანისი ას-სივასისი* მოჰყავს რომელიც XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსთან, ქათიბ ჩელბთანაა მოხსენიებული, ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში, ქაშფ აზ-ზუნუნ ‘ან ასამი ლ-ქუთუბ ვა ლ-ფუნუნ („ფიქრების გამჟღავნება წიგნებისა და ხელოვნებათა სახელების შესახებ“). აჰმად იბნ აჰმად ად-დუმანისი ას-სივასის, რომელიც რუმის სელჯუკთა ერთ-ერთ დედაქალაქში, სივასში (ჩრდილო-არმოსავლეთი ანატოლია) მოღვაწეობდა, ეკუთვნის თხზულება „მუჯმალ ალ-აკვალ ფი-ლ-ჰიქამ ვა ლ-ამსალ“ („კრებული აფორიზმებისა სიბრძნესა და ანდაზებში“), რომელიც დაწერილია ჰიჯრით 693 წელს (1293). თავის დროზე, აღნიშნილი კრებული განკუთვნილი ყოფილა კანცელარიების მდივნებისა და სხვა თანამშრომლებისათვის ოფიცილური წერილების და მაღალი დონის პროზის წერისთვის.[203]

[202] ჯაფარიძე, ად-დუმანისი, 249.
[203] ჯაფარიძე, ად-დუმანისი, 250.

ამდენად, ამავე პერიოდის საქართველოდან, თბილისიდან ახლო ან შუა აღმოსავლეთის რეგიონებში ემიგრირებული სასულიერო პირების გარდა დმანისელი წარმომავლობის ცნობილი მოღვაწეების მოხსენიება, კიდევ ერთხელ, დმანისის, როგორც ისლამური კულტურისა და განათლების ცენტრის მნიშვნელობაზე მიუთითებს XII-XIV საუკუნეებში.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ისლამური კულტურის, რელიგიისა და განათლების ცენტრებში, მათ შორის დმანისში დაწინაურებული მუსლიმები, შემდგომი მოღვაწეობის გასაგრძელებლად, მაშინდელი მსოფლიოს მთავარი ისლამური ცენტრებისაკენ მიისწრაფოდნენ. იქ, ადგილზე დარჩენილები და დაწინაურებულები კი, სავარაუდოდ კავშირს არ წყვეტდნენ და ინარჩუნებდნენ ურთიერთობას წარმოშობის ცენტრებთან. ამას კი, ისლამური კულტურისა და რელიგიის, მსოფლიოს მთავარი ცენტრებიდან პერიფერიებში, იმდროინდელ ისლამურ კულტურასა და განათლებაში არსებული სიახლეები და მიღწევები უნდა შეეტანა, მათ შორის დმანისშიც.

თავი 3. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი

3.1 სამაროვნის ზოგადი მიმოხილვა

როგორც ზემოთ ითქვა, სამაროვანს საკმაოდ დიდი ფართობი (დაახ. 25 ჰა) უკავია და იგი ქალაქს უშუალოდ სამხრეთიდან ეკვრის (ილუსტ. 55). აღნიშნულ ტერიტორიაზე, ქვედა დონეზე, ხშირია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა გამოვლენის

შემთხვევებიც,[204] რაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ადრეულ ქვედა ფენებში გამოვლენილ ამავე პერიოდის ნამოსახლართან უნდა იყოს დაკავშირებული.[205] ამავე სამაროვნის ტერიტორიაზე გვხვდება ადრე შუა საუკუნეების, ქალაქობის წინარე პერიოდის სამარხებიც;[206] და ბოლოს, ქალაქობის პერიოდის – განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი, რამდენიმე იარუსიანი სამაროვანი. აქვეა დაფიქსირებული გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი სამარხების ჯგუფიც.[207]

ქალაქობის პერიოდის სამაროვანი მიწისზედა მემორიალური ძეგლების მიხედვით, ასევე გარდაცვლილთა დაკრძალვის წესით, ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგებოდა – ქრისტიანული და მუსლიმური უბნებისგან. სავარაუდოდ, სამაროვნის ქრისტიანულ ნაწილში იკრძალებოდნენ როგორც დმანისელი ქალკედონისტი ქართველები, ისე დმანისელი სომხები (შესაძლოა სომეხი და ქართველი მონოფიზიტებიც).

---

[204] Джапаридзе, Копалиани, Вугианишвили, Болквадзе, Гочиашвили, Мгеладзе, Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, 108.

[205] ნანა რეზესიძე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. II,* (თბილისი: ფავორიტი პრინტი, 2011), 36-52.

[206] Вахтанг Джапаридзе, Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1980), 273.

[207] ვახტანგ ჯაფარიძე, ვარლამ ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში: 1968 წლის წინასწარი შედეგები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II* /საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, (თბილისი: მეცნიერება, 1971), 65-66.



ილუსტრაცია 55. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი, გეგმა. ჯ. ჩხვიმიანი, გ. კოპალიანი (2016-2019). 1. წმ. თევდორეს ეკლესია, XI-XII სს.; 2. „მცირე ეკლესია“ №1, XII-XIII სს.; 3. „მცირე ეკლესია“ №2, XII-XIII სს.; 4. ქართულწარწერიანი მემორიალები, XII-XIII სს.; 5. „ქვემო ხაჩკარი“, 1288 წელი; 6. „ზემო ხაჩკარი“, XIII ს-ის II ნახ.; 7. „ქვის მავზოლეუმი“, XIII-XIV სს.; 8. №1 – „აგურის მავზოლეუმი“ და №2 მავზოლეუმი, XIII ს.; 9. №3 და №4 მავზოლეუმები, XIII-XIV სს.; 10. „ზემო აბანო“, XII-XIII სს.; 11. „შუა აბანო“, XII-XIII სს.; 12. „ქვემო აბანო“, XII-XIII სს.

მუსლიმური მემორიალური ძეგლები განსხვავებულია. ვხვდებით სტელის ფორმის ბრტყელ საფლავის ქვებს, ხშირ შემთხვევაში სამკუთხა თავით და რელიეფური წარწერებით საფასადო, აღმოსავლეთის წახნაგზე; გვხვდება სარკოფაგის ტიპის ჰორიზონტული განლაგების ქვები, ორფერდა ზედაპირით და თავთან ოთხ ან ხუთწახნაგოვანი პრიზმისებრი შვერილით, რელიეფური არაბული წარწერებით, ამჯერად სამხრეთ და ჩრდილოეთ წახნაგებზე. მსგავსი ტიპის საფლავის ქვები ხშირ შემთხვევაში სწორკუთხოვან, მართკუთხედის ფორმის ბრტყელ კვარცხლბეკებზე, მათზე

სპეციალურად ამოჭრილ ფოსოში ზის.[208] დმანისის სამაროვანზე ათზე მეტი მავზოლეუმის ნაშთი დასტურდება. ყველა მავზოლეუმი გუმბათიანია, რომლებიც, თავის მხრივ, შენობის ტრომპებს ეყრდნობა. აღნიშნული შენობები ერთმანეთისგან გეგმარებით განსხვავდება. ვხვდებით ოთხკუთხა, კვადრატის ფორმის მავზოლეუმებს; ასეთივე ფორმის, გარედან კუთხეებჩამოთლილ მავზოლეუმებს; ექვს და რვაწახნაგოვანი გეგმარების, შიგნიდან წრიული ფორმის მავზოლეუმებს და წრიულ მავზოლეუმებს.[209] მავზოლეუმებში ვხვდებით როგორც ქვის ფილებით დახურულ ორმოსამარხებს, ისე ქვის ფილებისგან შედგენილ, ფილებითვე გადახურულ ქვის სამარხებს. ვხვდებით აგურით ამოშენებულ, შეისრული თაღით გადახურულ სამარხებს. სამარხები აღმოსავლეთ-დასავლეთის დამხრობისაა, მიცვალებულები გაშოტილ პოზაში არიან დაკრძალული, თავით ჩრდილოეთისკენ, სახით სამხრეთისკენ (ეს უკანასკნელი დმანისისთვის ქალაქ მექის, შესაბამისად, ყიბლის სამხრეთით მდებარეობას უკავშირდება. ამდენად, დმანისელი მუსლიმები სახით სწორედ რომ მექისკენ მიმართული იკრძალებოდნენ). მიცვალებულებს ხელები სხეულის გასწვრივ აქვთ დაწყობილი, რიგ შემთხვევებში მარცხენა ხელი მოხრილია და იდაყვეშ მდებარე მტევანი მუცელზე დევს ან მიტანილია ნიკაპთან.[210]

დმანისის სამაროვნის ქრისტიანული, ქართული და სომხური საფლავების დიდი ნაწილი ქვის ბრტყელი ფილებით გადახურული ორმოსამარხებია, ნაწილი კი ქვის სამარხები. ორმოსამარხები, რომელთაც არ გააჩნიათ გადახურვის ქვის ფილები, შესაძლოა, დახურული ყოფილიყო ხის ძელებით. მათი კვალი დღეისთვის გამქრალია. მიცვალებულები აღმოსავლეთ-დასავლეთის დამხრობით, გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით, გულმკერდზე დაწყობილი ხელებით არიან დაკრძალულნი. ამ ტიპის

---

[208] ვახტანგ ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984),* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 20.

[209] მუსხელიშვილი, დმანისი, 431-432; ჩხვიმიანი, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, 336-337.

[210] ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, *არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი: მეცნიერება, 1972), 52-55.

სამარხების მიწისზედა მემორიალებად გამოყენებული ყოფილა სტელის მაგვარი ბრტყელი ან ოთხწახნაგოვანი ქვები, ჯვრის, სხვადასხვა ორნამენტის გამოსახულებით და, იშვიათად, წარწერით. გვხვდება სარკოფაგის ფორმის ორფერდა ზედაპირიანი, ჰორიზონტულად დაწვენილი საფლავის ქვები; მათ გვერდებზე, არცთუ იშვიათად, ცრუ თაღების გამოსახულებების რიგი გაუყვება, რაც დარბაზული ეკლესიის მოდელისა და მისი გადახურვის იმიტაციის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. არის შემთხვევები, როდესაც მსგავსი ჰორიზონტული ორიენტაციის ქვები, ისევე როგორც მუსლიმური საფლავის ქვები, ბრტყელ კვარცხლბეკზე დგას. იშვიათად ასეთი მოგრძო ფორმის საფლავის ქვების თავთან სტელის ტიპის საფლავის ქვებია აღმართული. არცთუ იშვიათად, საფლავის ქვებად სწორკუთხოვანი, მოგრძო ფორმის, მეტ-ნაკლები სიზუსტით ნათალი ბრტყელი ქვებია გამოყენებული. სამაროვანზე გვხვდება ქვაჯვრებიც და სომხური ე.წ. „ხაჩკარებიც“.

დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე შესწავლილი სამარხების უმრავლესობა უინვენტაროა, თუმცა, როგორც სამაროვნის როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ უბნებზე, ვხვდებით ინვენტარიან სამარხებსაც (ინვენტარიანი სამარხების უმრავლესობა ბავშვებისთვის განკუთვნილი სამარხებია – ჯ. ჩ.). სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია გარდაცვლილი პირების პირადი სამკაულის სახით. ესაა: სამაჯურები (ლითონის, მინის), მძივები (სხვადასხვა ფორმის, გიშრის, ქარვის, სარდიონის, მინის, ე.წ. ფაიანსის, ვერცხლის და სხვ.), საყურეები, ბეჭდები (რკინის, მინის, ვერცხლის და სხვ.). მიცვალებულთათვის ჩატანებულ სამარხეულ ინვენტარში თითქმის არ გვხვდება კერამიკისა თუ ლითონის ჭურჭელი და სხვა ყოფითი ნივთები.[211]

დიდი ალბათობით, დაკრძალვის რიტუალთან – ქრისტიანული წესის აგებასთან და მიცვალებულთა სულის მოხსენიებასთან იქნებოდა დაკავშირებული დმანისის სამაროვანზე მდებარე წმინდა თევდორეს სახელობის ერთნავიანი, შვერილაფსიდიანი

[211] მერი გოჩიაშვილი, შუასაუკუნეების დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი, *ძეგლის მეგობარი №3 (1986),* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986), 52.

ეკლესია.[212] რაც შეეხება სამაროვანზევე არქეოლოგიურად გამოვლენილ ორ მცირე, დარბაზულ ეკლესიას, მათ საგვარეულო, დასაკრძალი ეკვდერის ფუნქცია უნდა ჰქონოდათ, სადაც ერთი ოჯახის, სავარაუდოდ საგვარეულოს წევრები იკრძალებოდნენ.[213]

როგორც შესავალ ნაწილში, დმანისის შესწავლის ისტორიის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, დმანისის სამაროვნის არაბულ და სომხურწარწერიანი საფლავის ქვები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება, თავის დროზე შესწავლილი აქვთ ვერა კრაჩოვსკაიას,[214] ლეონ მელიქსეთ-ბეგს[215] და ცისია კახიანს.[216]

დმანისის ნაქალაქარზე გამოვლენილი არაბულწარწერიანი და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების მრავალრიცხოვნობის ფონზე, ამის საპირისპიროდ, თითქმის არაფერი ვიცოდით დმანისის ქალაქობის პერიოდის ამავე სამაროვნის ქართულწარწერიან მემორიალურ ძეგლებზე. ზოგად ცნობას ასეთი საფლავის ქვების არსებობისა და აღმოჩენის შესახებ ვხვდებით ორჯერ – დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1977 და 1986 წლების არქეოლოგიური გათხრების ანგარიშებში,[217] თუმცა,

---

[212] ჩხვიმიანი, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, 340.

[213] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Нугзар Мгеладзе, Мери Гочиашвили, Гиви Болквадзе, Тамаз Бугианишвили, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. Полевые археологические исследования в 1984-1985 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 109.

[214] Вера Александровна Крачковская, надгробние надписи из Дманиси, *Эпиграфика Востока, т, V,* (Москва-Ленинград: 1951) გვ. 21-32

[215] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 159, სურ. 8.

[216] ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965).

[217] Вахтанг Джапаридзе, Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1980), 273; Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Тамаз Вугианишвили, Гиви Болквадзе, Мери Гочиашвили, Нугзар Мгеладзе, Родам Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования*

აღნიშნულ წლებში გამოვლენილი სამარხები და მათი საფლავის ქვები ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა. იგულისხმება აღნიშნული მემორიალური ძეგლების ტიპოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზი.

3.2. დმანისის სამაროვნის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები წმინდა თევდორეს ეკლესია

ერთნავიანი, შვერილაფსიდიანი ეკლესია დგას დმანისის სამაროვნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აღნიშნული ეკლესია ლევან მუსხელიშვილის მიხედვით, მოხსენიებულია როგორც წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია.[218] ეს ერთნავიანი ეკლესია გეგმით მართკუთხა ფორმის, 9.3x5.7 მ ზომის ნაგებობაა. ეკლესია ძირითადად ნაგებია ფლეთილი ქვით (ქვიშაქვითა და ბაზალტით), შენობის კუთხეები გამოყვანილია უხეშად დამუშავებული, დიდი ზომის კვადრებით. მშენებლობაში, ალაგ-ალაგ ფიგურირებს აგურის ჩანათებიც.

ეკლესიის აფსიდის ნახევარწრიული მოხაზულობის სისწორე დაცული არ არის. აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში ოთხკუთხედი ნიშია მოწყობილი; ცენტრში, ინტერიერისკენ წირთხლებგაგანიერებული და დაქანებულძირიანი სარკმლის წინ, ტრაპეზის ქვა დგას. კამარა დღეისთვის არ შემორჩენილა, თუმცა თავის დროზე ის შემაგრებული იყო საბჯენი თაღით, რომელიც სამხრეთით პილასტრს ეყრდნობოდა, ხოლო ჩრდილოეთით კრონშტეინს (ილუსტ. 57). ორივე მხარეს შემორჩენილია ამ თაღის

в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1991), 108.

[218] მუსხელიშვილი, დმანისი, 441.

თითო ქვა. ეკლესიის საბჯენი თაღი სრული სახით ფიქსირდება ერთ-ერთ ძველ ფოტოზე. აღნშნული ფოტო 1936-1937 წლებში, ლევან მუსხელიშვილის დმანისში წარმოებული არქეოლოგიური კვლევების დროსაა გადაღებული (ილუსტ. 56).[219]



ილუსტრაცია 56. დმანისის სამაროვნის თევდორეს ეკლესია. გეგმა. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის არქივის ნახაზების მიხედვით. ჯ. ჩხვიმიანი (2009)

[219] თევდორეს ეკლესიის საბჯენი თაღის ჩამონგრევა 20 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა. სოფელში არსებული გადმოცემის მიხედვით საბჯენ თაღზე სოფლის ერთ-ერთი ბავშვი გადადიოდა რა დროსაც ის ჩამოიშალა.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაა მოწყობილი (ილუსტ. 58). შესასვლელი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან კი თაღოვანი, რომელიც აგურითაა გამოყვანილი. შიდა სივრცის გასანათებლად გაჭრილია აღმოსავლეთის, გარედან მართკუთხა, სამხრეთისა და დასავლეთის თაღოვანი სარკმელები. დასავლეთ სარკმლის სათაურის წითელ ქვაზე გარედან ამოჭრილია ტოლმკლავა ჯვარი.[220]

ილუსტრაცია 57. წმინდა თევდორეს ეკლესია, დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. 1936-1937 წლების ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

[220] *დმანისის სამაროვნის „წმინდა თევდორეს ეკლესია“,* ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1978 წლის 17 ნოემბერს გ. კუპრაშვილის მიერ).

ინტერიერის ჩრდილოეთ კედელზე ჩაყოლებულია ოთხი ჩუქურთმიანი ქვა და ერთი ქვაჯვარი. ეს უკანასკნელი შესაძლოა საფლავის ქვა იყოს. ანალოგიური სტელისებრი საფლავის ქვები ჯვრის გამოსახულებით, მრავლად გვხვდება დმანისის სამაროვანზე. ისინი ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდებიან. კიდევ ერთი ორნამენტიანი ქვა შემოსასვლელ კარშია ჩაყოლებული. შიდა კედლებს ეტყობათ შელესილობის კვალი, ჩრდილოეთის კედელზე კი შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ილუსტრაცია 58. წმ. თევდორეს ეკლესია. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. ეკლესიის სამხრეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2007)



ილუსტრაცია 59. თევდორეს ეკლესია. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. ეკლესიის საკურთხეველი ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2012)

გარედან, ჩრდილოეთის კედელში, აფსიდის მხარეს ჩასმულია საშუალო ზომის ქვა, რომელზეც გამოსახულია სადგარზე მდგარი ტოლმკლავა ჯვარი. ქვა თავდაყირაა ჩასმული და შესაბამისად, ჯვარიც თავდაყირა მდგომარეობაშია. აღმოსავლეთის მხრიდან ეკლესია ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას.

3.3. სამაროვნის მცირე ეკლესია

1975 წელს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებდა დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში, სამაროვნის ქრისტიანულ უბანზე.[221]

აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოვლინდა პატარა ეკლესიის ნაშთები. ეკლესიის ჩრდილოეთით და სამხრეთით გაიჭრა ორი არქეოლოგიური თხრილი. 5x5 მეტრი ზომის თხრილი 1 და თხრილი 2 ზომით 4x4 მეტრზე. №1 თხრილის საზღვრებში ექვსი მართკუთხედის ფორმის ბრტყელი საფლავის ქვა დაფიქსირდა. ერთ-ერთი სამარხის საფლავის ქვაზე (№4), რომელიც სხვებთან შედარებით უკეთესად იყო გათლილ-

[221] არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე. უშუალოდ სამაროვნზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა მერი გოჩიაშვილი.

დამუშავებული, გამოსახული იყო ქალის ფიგურა. გამოსახულების ქვემოთ ქართული, მხედრული წარწერა – ეპიტაფია იყო ამოკვეთილი. სამარხის ქვების აღების შემდეგ ხუთი ორმოსამრხი გაითხარა. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა XVIII საუკუნის, მუჰამედ I-ის (1730-1735) თურქული ვერცხლის მონეტა.

№2 თხრილში მიწის ზედაპირიდან 1.10 მეტრ სიღრმეზე სამი, ხოლო 1.30-1.40 მეტრ სიღრმეზე კიდევ სამი ორმოსამარხი აღმოჩნდა. №1 და №2 თხრილში გამოვლენილი სამარხების ჯგუფი მოყვანილი მასალისა და გარემოებების მიხედვით XVIII საუკუნით დათარიღდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ეკლესია ერთნავიანი და შვერილაფსიდიანია (ზომა 2.40x4.5 მეტრი). ნაგებობა აგებულია დაუმუშავებელი, გაუთლელი ქვებით კირის დუღაბზე. შედარებით უკეთესადაა შემორჩენილი ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი. ეკლესიის სუსტად შემორჩენილ კედლებში არ ჩანს სარკმელების კვალი. ეკლესიის ინტერიერში შესასვლელი კარის 0.80 მეტრი სიგანის ღიობი მოწყობილია დასავლეთ კედელში (ილუსტ. 60).

ეკლესიის ინტერიერის იატაკის დონიდან სიღრმეში წარმოებული გათხრების შედეგად ორი სამარხი გამოვლინდა. №1 სამარხი ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული ბრტყელი ფილებისგან შედგენილი ქვის სამარხია (ზომით 1.10x2.00 მეტრი). სამარხში ერთი მიცვალებული ყოფილა დაკრძალული. აღნიშნული სამარხის ჩრდილოეთიდან №2 ორმოსამარხი დაფიქსირადა. ეს სამარხიც ინდივიდუალურია და მასში ერთი მიცვალებულის დაზიანებული ნეშტი აღმოჩნდა.



ილუსტრაცია 60. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №1. გეგმა, ჭრილი. მ. გოჩიაშვილის, არქიტექტორ ჯ. ბოკერიას მიხედვით (1975 წელი). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის გარშემო შესწავლილი სამარხები, მათში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალისა (XVIII საუკუნის თურქული ვერცხლის მონეტა) და საფლავის ქვაზე დაფიქსირებული ქართული მხედრული ეპიტაფიის წარწერის მიხედვით, XVIII საუკუნით დათარიღდა. აღნიშნული წლის საანგარიშო წერილში ნათქვამია, რომ არქეოლოგიური მასალის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა თავად ეკლესიისა და ეკლესიის ინტერიერში გამოვლენილი სამარხების დათარიღება.[222] თუმცა,

[222] Вахтанг Джапаридзе, Краткий отчет Дманисской археологическои экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1975 году* / Академия Наук Грузинской ССР, Институт Истории, Археологии и Этнографии

ჩვენი აზრით, სამაროვნის ეს მცირე ეკლესია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა, იქვე მდებარე მსგავსი ეკლესიის თარიღის გათვალისწინებით, განვითარებულ შუა საუკუნეების ხანას – დმანისის ქალაქობის პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. მისი ფუნქცია კი რომელიმე დმანისელი წარჩინებული ოჯახის წევრთა დასაკრძალი სამწირველო-ეკვდერი უნდა ყოფილიყო.



ილუსტრაცია 61. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №1. შესწავლილი სამარხები. გეგმა, ჭრილი. მ. გოჩიაშვილის, არქიტექტორ ჯ. ბოკერიას მიხედვით (1975 წელი). ჯ. ჩხვიმიანი (2019)

им. Акад. И. А. Джавахишвили, Центр Археологических Исследований, (Тбилиси: Мецниереба, 1978), 124-125.

3.4. სამაროვნის მცირე ეკლესია

1984 წელს არქეოლოგების მიერ დმანისის სამაროვნის სამხრეთ ნაწილში ორი თხრილი გაიჭრა. X თხრილი ზომით 8x8 მეტრი და XI თხრილი ზომით 6x6 მეტრზე.

X თხრილის საზღვრებში გათხრების დაწყებამდე მოქცეული იყო 13 საფლავის ბრტყელი, მართკუთხედის ფორმის ქვა. მიწის სამუშაობის შედეგად თხრილში 17 ინდივიდუალური სამარხი გამოვლინდა. აქედან 16 ორმოსამარხი, ხოლო ერთი ქვის სამარხი აღმოჩნდა. სამარხები მიწის ზედაპირიდან სიღრმეში სხვადასხვა დონეზე მდებარეობდა. 9 სამარხი 0.9-0.95 მეტრ სიღრმეზე; ერთი სამარხი 1.15 მეტრ სიღრმეზე და 7 სამარხი 1.55 მეტრ სიღრმეზე.

ილუსტრაცია 62. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2. ხედი დასავლეთიდან აღმოსავლეთით. 1985 წელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

XI თხრილში აღმოჩნდა ოთხი ქვის სამრხი. აღნიშნული სამარხები შედგენილი იყო უხეშად დამუშავებული ქვის ბრტყელი ფილებისგან. სამარხები აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0.75-0.90 მეტრ სიღრმეში. ინვენტარიანი მხოლოდ №4 სამარხი გამოდგა სადაც სარდიონის ბეჭედი აღმოჩნდა.[223]

X და XI თხრილების სამხრეთით გამოვლინდა მცირე ეკლესიის ნაშთები.

ე. წ. „მცირე ეკლესიის“ ნაშთები პატარა ზომის (4.80x3.20 მეტრი), მართკუთხედის მოყვანილობის დარბაზული ტიპის ერთნავიან ეკლესიას წარმოადგენს (ილუსტ. 62). ეკლესია აგებულია ნახევრად დაუმუშავებელი ქვებით კირის ხსნარზე. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს, სადაც შემორჩენილია 0.80 მეტრი სიგანის კარის ღიობი, რომლის შესასვლელის ზღურბლთან დევს დიდი გათლილი ქვა (1.2x0.57 მეტრი). ყველაზე კარგად ეკლესიის ჩრდილოეთი კედელია შემორჩენილი (სიმაღლე 1.5 მეტრი). ეკლესიაზე არ არის შემორჩენილი სარკმლების კვალი. ეკლესიის აფსიდი გეგმარებაში ჩაწერილი ნახევარწრიული ფორმისაა. მისი დიამეტრი 1.80 მეტრს ხოლო სიღრმე 1.10 მეტრს შეადგნს. საკურთხევლის ქვის ორივე მხარეს, აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია თითო ნახევარწრიული ნიში (ილუსტ. 63). საკურთხეველის იატაკი მოგებულია ბრტყელი (ე.წ. ქართული) აგურით (ზომა 0.25x0.25 სმ), ხოლო დარბაზის იატაკი ქვის ოთკუთხა ფილებით.[224]

---

[223] ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, ნუგზარ მგელაძე, გივი ბოლქვაძე, მერი გოჩიაშვილი, თამაზ ბუგიანიშვილი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984, 32-33.

224 Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Нугзар Мгеладзе, Мери Гочиашвили, Гиви Болквадзе, Тамаз Бугианишвили, Раскопки Дманисской археологической экспедиции (краткий отчот) Раскопки в 1984 году. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984. 11-12.



ილუსტრაცია 63. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2. გეგმა, ჭრილი. 1985 წელი. მ. გოჩიაშვილის არქიტ. ვ. სურგულაძის მიხედვით. ბ. გაბეხაძე (2018)

ეკლესიის შიგნით, იატაკის დონიდან 0.15 მ სიღრმეზე სამარხები გამოვლინდა (ილუსტ. 64). ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩენილ ორმოსამარხში მიცვალებულის ნეშტი იწვა ზურგზე, თავით დასავლეთისაკენ. მიცვალებულს ხელის მარჯვენა მტევანი

მუცელის არეში ხოლო მარჯვენა მტევანი ნიკაპთან ქყონდა მიტანილი. აღნიშნულ №2 მიცვალებულთან აღმოჩნდა მინის მძივები. №2 მიცვალებულის სამხრეთით მეორე, ეკლესიის სამხრეთ კედელთან მდებარე სამარხში ერთი, №1 მიცვალებული აღმოჩნდა. ამ მიცვალებულის დაკრძალვის პოზაც იგივე იყო ზემოგანხილულის მსგავსად, ერთი განსხვავებით, ამ შემთხვევაში მიცვალებულს ხელები მუცელზე ჰქონდა დაწყობილი. №2 მიცვალებულის აღმოსავლეთით კი კიდევ ერთი, №3 მიცვალებულის დაზიანებული ძველები გამოვლინდა (სავარაუდოდ №3 მიცვალებულის ძვლები დაზიანდა და ნაწილი ძვლებისა მიახვეტეს როცა №1 მიცვალებულს კრძალავდნენ – ჯ. ჩ.) №3 მიცვალებულის ნაშთებთან აღმოჩნდა ფერადი საღებავებით მოხატული და მოჭიქული, ფრინველის გამოსახულებიანი ჯამი.

ილუსტრაცია 64. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „მცირე ეკლესია“ №2.-ის ინტერიერი და იატაკის ქვეშ გამოვლენილი სამარხები. ზედხედი. 1984 წელი. ფოტო: საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

სამარხები მოწყობილი იყო ეკლესიის გარეთაც – უშუალოდ საფასადო კედლებთან ჩამწკრივებული საფლავის ქვების სახით. ხოლო, ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა მეფე რუსუდანის 1227 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა. გამოვლენილი სამარხები, ასევე ეკლესიის თანმდევი არქეოლოგიური მასალა განხილულ ძეგლს XIII საუკუნით (მეტადრე XIII საუკუნის I ნახევარი – ჯ.ჩ.) ათარიღებს. როგორც ძეგლზე მომუშავე არქეოლოგები ვარაუდობდნენ, იგი შესაძლოა საგვარეულო დასაკრძალ ეკლესიას წარმოადგენდეა.[225]

ის ფაქტი, რომ ე.წ. „მცირე ეკლესიებში" და არც მის ირგვლივ მდებარე სამარხებზე არ გვხვდება სომხურწარწერიანი საფლავის ქვები, გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნული ეკლესიები ქართულია (სხვა შემთხვევაში, მათი აქ არსებობა მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ზემო უბნის, ჩვენ მიერ სომხურად მიჩნეულ ეკლესიის შემთხვევაში გვაქვს). შესაძლოა ეს ეკლესიები, დმანისში მცხოვრები, რომელიმე წარჩინებული საგვარეულოს დასაკრძალ, ეკვდერის ტიპის ეკლესიებს წარმოადგენდეს, სადაც მათივე წარმომადგენლები იკრძალებოდნენ.

3.5. ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისის სამაროვნის ქრისტიანულ უბანზე[226]

ცნობილია რომ, ქართულწარწერიანი მემორიალური ძეგლები, რომლებიც შესაძლოა დანამდვილებით განვითარებული შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში (XI-XIV სს) მოექცეს, დღეს ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-

[225] Вахтанг Джапаридзе, Джумбер Копалиани, Нугзар Мгеладзе, Мери Гочиашвили, Гиви Болквадзе, Тамаз Бугианишвили, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. Полевые археологические исследования в 1984-1985 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 109.

[226] აღნიშნული ქვეთავი, როგორც ნაშრომზე მუშაობის პროცესში, თემის ფარგლებში მომზადებული სპეციალური კვლევა გამოქვეყნდა: ჯიმშერ ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დამანისიდან, *ჟურნალი კადმოსი, №7,* (თბილისი: 2015), 35-105.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, უაღრესად დიდი იშვიათობას წარმოადგენენ.[227] ამ რიგის ძეგლებზე საუბრისას, ბედნიერი შემთხვევის წყალობით საქართველოში აღმოჩენილი სულ რამდენიმე ეპიტაფიანი საფლავის ქვა შეიძლება გავიხსენოთ რუსთავიდან, დმანისის ნაქალაქარის სიახლოვეს ნასოფლარ ვარძაგარადან, გელათიდან და სხვ.[228] განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის წარწერიან მემორიალურ ძეგლებზე არსებულმა მონაცემების ესოდენ სიმცირემ, სამეცნიერო წრეებში აღნიშნული მოვლენის სხვადასხვა ახსნა და მოსაზრება გააჩინა. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ასეთი ვითარების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ინდივიდუალური სამარხის მოშლის წესი და კოლექტიური დაკრძალვის წესის გავრცელება, რომელიც სამარხის დროდადრო გახსნას და ხელახლა დახურვას მოითხოვდა. ამდენად, არსებული ვითარება, კოლექტიურ სამარხზე კონკრეტული გარდაცვლილი პირისადმი წარწერიანი მონუმენტის აღმართვას აზრს უკარგავდა.[229] კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, ქართველებს გვიან შუა საუკუნეებამდე ტრადიციად არ ჰქონდათ საფლავის ქვაზე წარწერის შესრულება. ამითვე ხსნიდნენ უშუალოდ დმანისის ნაქალაქარის სამაროვანზე, სხვა, არაბულ და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების გვერდით ქართულწარწერიანი ქვების არარსებობასაც.[230]

---

[227] ამ შემთხვევაში, გამონაკლისია დღევანდელ სომხეთში, ისტორიული ქართული პროვინციის – ლორეს ტერიტორიაზე, XII-XIII საუკუნეების ქალკედონურ ტაძრებთან გამოვლენილი მემორიალური ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები: Մուրադյան, Վրացերեն արձանագրությունները Հայաստանում, 30-48; ჯოჯუა, გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, 258-331.

[228] ლევან ჭილაშვილი, *ქალაქი რუსთავი,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958), 148-149; დევი ბერძენიშვილი, ვარძაგარა, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 69-72; დევი ბერძენიშვილი, ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან, *ძეგლის მეგობარი, №2,* (თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1986), 69-72; ვალერი სილოგავა, *სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები* / კატალოგი-გზამკვლევი, (ახალციხე. ა.ო. „პროგრესი“, 2000), 26, 153, 164.

[229] გიორგი ლომთათიძე, *საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1977), 74; ელდარ ნადირაძე, *საქართველოს მემორიალური კულტურა,* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001), 106.

[230] მუსხელიშვილი, დმანისი, 441.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებამდე, მკვლევართა განწყობა განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი ძეგლების პრობლემისადმი იქითკენ იხრებოდა, რომ თითქოსდა დმანისის სამაროვანზე, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოს სხვა იმავდროულ არქეოლოგიურ ძეგლებზე, განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ქართულეპიტაფიიანი მემორიალური ძეგლები ძნელად თუ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.[231] ამდენად, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მასალებში ახალი ინფორმაციის შემოტანა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დმანისიდან მომდინარე ქართულწარწერიან მემორიალურ ძეგლებს, მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ სპეციალური კვლევა მიეძღვნა. დმანისის ნაქალაქარზე მე-20 საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში აღმოჩენილი საფლავის ქვები ჩვენ შევისწავლეთ როგორც პალეოგრაფიული ისე სახელოვნებათმცოდნეო კუთხით. შესაბამის ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებული, ჩვენს მიერ მოძიებული საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის ინტერპრეტაციით და შესაბამისი პუბლკაციით აღვადგინეთ ამ მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის გარემოებები და არქეოლოგიური კონტექსტი.[232] ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მცდელობა ამ ძეგლების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური ნიშნებით განსაზღვრისა, გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

ქალაქის სამაროვნის სამხრეთი, ქრისტიანული უბანი თავიდანვე არქეოლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ

---

[231] თუმცა, ადრე არსებული მწირი მასალის ჩათვლით, განვითარებულ შუა საუკუნეებში საფლავის ქვებზე ეპიტაფიების გამოსახვის გავრცელებული ტრადიციის სასარგებლოდ მეტყველებს ბოლო დროის ახალი აღმოჩენები: ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, შოთა ბუაძე, გელათი, დავით აღმაშენებლის კარიბჭე (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), *ძველი ხელოვნება დღეს,* 02/2011, (თბილისი, 2011), 20-23.

[232] ჯიმშერ ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დამანისიდან, *ჟურნალი კადმოსი, №7,* (თბილისი: 2015), 35-105.

ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული პირველი არქეოლოგიური კამპანიების პერიოდიდან, რამდენიმე მიწისზედა მემორიალური ძეგლი იყო აღწერილი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კი არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს მიწის ზედაპირზე რთულად ხილულ, მართკუთხა პარალელოპიპედის ფორმის სტელების კონტურებს, რომელთა საფლავის მემორიალურ ქვებთან იდენტიფიცირება იმ ეტაპზე ეჭვს არ იწვევდა.

ილუსტრაცია 65. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილი. ხედი ჩრდილოეთიდან. 1976 წელი. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

1976 წელს, აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეოებდა წინასწარ მონიშნულ №5 თხრილის საზღვრებში, 5.0x6.0 ფართობზე. მიწის ჰუმუსოვანი შრის მოხსნის შემდგომ გამოჩენილი საფლავის ქვების მიხედვით, აღნიშნულ განათხარში 11 სამარხი უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ილუსტ. 65). იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო №5 და №6 სამარხებმა (ილუსტ. 67). მათგან ერთ-ერთზე, №5 სამარხზე, აღმართული აღმოჩნდა წარწერიანი საფლავის ქვა.[233] 1976 წელს №5 თხრილში გაითხარა №1 სამარხი, სადაც ზრდასრული ადამიანის ნეშტთან ერთად აღმოჩნდა პატარა ბავშვის ჩონჩხიც. ზრდასრულ ადამიანის თავის ქალასთან აღმოჩნდა თამარ-დავითის 1200 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა.[234]

[233] ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის დოკუმენტური ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1976, 11, ტაბ. XVIII-XIX.

[234] Джапаридзе Вахтанг, Гиви Гамбашидзе, Раскопки в Дманиси, *Полевые Археологические Исследованиа в 1976 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1979), 213-214.

ილუსტრაცია 66. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილი, II ფენა (საფლავის ქვების ნაწილი აღებულია), ხედი დასავლეთიდან. 1977 წელი. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 67. დმანისის სამაროვანი, თხრილი №5, სამარხები №5 და №6. ხედი აღმოსავლეთიდან. 1976 წელი. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

დმანისის სამაროვნის №5 არქეოლოგიური თხრილის ფართობზე სამუშაოები 1977 წელსაც გაგრძელდა.[235] საბოლოოდ, სულ აღნიშნულ თხრილში 15 საფლავის ქვა

[235] Вахтанг Джапаридзе, Краткий отчет Дманисской археологическои экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1975 году* / Академия Наук Грузинской ССР, Институт Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, Центр Археологических Исследований, (Тбилиси: Мецниереба, 1978), 120-125.

აღმოჩნდა.[236] ასევე, შესწავლილ თხრილში აღმოჩნდა მიცვალებულთა ნეშტები, რომელთაც არ გააჩნდათ საფლავის ქვები.[237] საერთო ჯამში თხრილში 20 ინდივიდის ჩონხი დადასტურდა. სამარხების დიდი უმრავლესობა მიწის ზედაპირის ჰორიზონტიდან 2.25-2.50 მეტრ სიღრმეზე დაფიქსირდა (ილუსტ. 69). ქვედა დონეზე, (ილუსტ. 70) 3.00 მეტრ სიღრმეზე გამოვლენილი ერთ-ერთი (ჩასწორებული და სტატიაში მოცემული ნუმერაციით №14) სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარით – ე.წ. „ბროწეულისთავიანი საკინძით“ და მძივებით IV-V საუკუნეებით დათარიღდა.[238] სულ შესწავლილი იქნა 20 სამარხი, საიდანაც 19 ორმოსამარხია, ხოლო ერთი – სამარხი №14 ქვის სამარხი აღმოჩნდა.

[236] საარქივო დოკუმენტაციის მიხედვით, V კვადრატში მცირე სამუშაოები წარმოებდა 1978 წელსაც.

[237] სავარაუდოდ, ამ მიცვალებულთა ნეშტის ნაწილის შემთხვევაშიც ინდივიდუალურ სამარხებთან და დაკრძალვის წესთან გვაქვს საქმე.

[238] Вахтанг Джапаридзе, Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1980), 272-273.



ილუსტ. 68. დმანისის სამაროვანი, №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ც. გაბაშვილის მიხედვით



ილუსტრაცია 69. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები. I დონე. მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ც. გაბაშვილის მიხედვით



ილუსტრაცია 70. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში გამოვლენილი სამარხები და საფლავის ქვები. II დონე. მ. გოჩიაშვილის და არქიტ. ნ თოფურიძის მიხედვით

საჭიროდ ვთვლით მეტი სიცხადე შევიტანოთ დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის ქრისტიანული უბნის №5 თხრილში შესწავლილი სამარხების ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხებში. ამ მიზნით, თხრილში გამოვლენილ სამარხებთან დაკავშირებით, საარქივო-საანგარიშო დოკუმენტაციიდან მოგვყავს მონაცემები:

სამარხი №1 – წარმოადგენდა ორმოსამარხს (ილუსტ. 68-69), რომელიც დახურული იყო ქვის ბრტყელი ფილებით. მიწის ზედაპირიდან 1.40 მეტრ სიღრმეზე გამოვლინდა ბავშვის დაზიანებული ჩონჩხი. სამარხში გამოვლენილი მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთით, გულმკერდზე დაწყობილი ხელებით. მიწის ზედაპირიდან 1.55 მეტრ სიღრმეზე გამოვლინდა მეორე, ზრდასრული ინდივიდის ჩონჩხი, ხოლო მისი თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა თამარ მეფის სპილენძის მონეტა. მეორე ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სამარხთან, 2.10 მეტრ სიღრმეზე.[239] არქეოლოგიური დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ №1 სამარხში ჯერ დაუკრძალავთ ქვედა დონეზე აღმოჩენილი ზრდასრული ადამიანი, ხოლო განსაზღვრული დროის შემდგომ მასზე მეორე მიცვალებული – ბავშვი დაუსვენებიათ. მეტად სავარაუდოა, რომ ისინი ერთი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ. ქვედა მიცვალებულის თავთან აღმოჩენილი სპილენძის მონეტა (თამარ-დავითის, 1200 წელს მოჭრილი) აღნიშნული სამარხის XIII საუკუნის I ნახევრით დათარიღების საშუალებას იძლევა.[240]

სამარხი 2 – ორმოსამარხის ტიპის (ილუსტ. 68-69), ზედაპირზე დალაგებული რიყის ქვებით. მიწის ზედაპირიდან 1.80 მეტრ სიღრმეზე სამარხში აღმოჩნდა საკმაოდ დაზიანებული მიცვალებულის ჩონჩხი, გაშოტილ პოზაში, სამხრეთ-დასავლეთ და

---

[239] ვახტანგ ჯაფარიძე, მერი გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), დოკუმენტური ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი: 1978. 1.

[240] Вахтанг Джапаридзе, Гиви Гамбашидзе, Раскопки в Дманиси, *Полевые Археологические Исследованиа в 1976 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1979), 213-214.

ჩრდილო-აღმოსავლეთის დამხრობით. სამარხეული მასლიდან ცნობილია: ლითონის სასაფეთქლე რგოლი საველე № 03-2-77-3 (ილუსტ. 71/5).[241]

№3 ნომრით მონიშნულ ადგილას სამარხი არ დადასტურდა.

სამარხი 4 – ორმოსამარხი (ილუსტ. 68-69) დახურული იყო ბრტყელი ფილაქვით (1.50x0.95 მეტრი). სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მიწის ზედაპირიდან 2.52 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ზურგზე დაწვენილი და გულმკერდზე ხელებდაწყობილი ჩონჩხი, თავით დასავლეთით. 2.78 მეტრ სიღრმეზე, ამავე სამარხში დადასტურდა მეორე (№4a), მსგავს პოზაში დაკრძალული, ასევე ზრდასრული ინდივიდის ჩონჩხი (ილუსტ. 69-70). საველე-არქეოლოგიური ტექსტური ანგარიშისა და სამარხის ანაზომების მიხედვით №4 და 4a მიცვალებულთა ნეშტები ერთიმეორეზეა დაკრძალული. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.[242]

სამარხი 7 – ორმოსამარხი (ილუსტ 69), აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი და ბრტყელი ფილაქვით (1.60x0.48 მ) დახურული. აღნიშნულ სამარხში ერთიმეორეზე დაკრძალული ორი მიცვალებული აღმოჩნდა. ამათგან ერთი (№7) 2.50 მეტრ სიღრმეზე, თავით დასავლეთით, ზურგზე გაშოტილი, გულმკერდზე ხელებდაწყობილი და ქვედა კიდურებმოხრილი პოზით. მეორე (№7a) ზედაპირიდან 2.70 მეტრ სიღრმეზე – ზურგზე გაშოტილი, გულმკერდზე ხელებდაწყობილი. სამარხის ორივე მიცვალებული უინვენტაროდ იყო დაკრძალული. ანაზომის მიხედვით, 7b ნომრითაა დანომრილი h – 2.70 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი მე-7 სამარხის კიდევ ერთი – მესამე ჩონჩხი, რომელიც 7a და 8a ჩონჩხებს შორისაა მოქცეული.[243]

---

[241] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 2.
[242] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 2.

[243] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 2; ანგარიშის ტექსტში ამ ნომრით წარმოდგენილი მიცვალებულის ნეშტი არ არის განხილული. თუ მიცვალებულთა ნეშტები, ნომრებით 7 და 7a ერთიმეორეზე არიან დაკრძალული, 7b მიცვალებული მათ გვერდზეა დაკრძალული. ამდენად, ვფიქრობთ, რომ 7b ნეშტის შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს სხვა სამარხის ნეშტთან.

სამარხი 8 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69). სამარხს ეფარა კარგად გათლილი, მართკუთხა სარკოფაგის ფორმისა და ორფერდა სახურავისებრი ზედაპირის მქონე საფლავის ქვა. საფლავის ქვის დასავლეთ ფასადზე გამოსახულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ტოლმკლავა ჯვარი; ქვედა მკლავის ორივე მხარეს ასევე ტოლმკლავება პატარა ჯვრების გამოსახულებით. საფლავის ქვის ქვეშ, 2.70 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, მუცელზე ხელებდაწყობილი მიცვალებულის ჩონჩხი. სამარხი უინვენტარო გამოდგა.[244]

სამარხი 9 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილ დიდი ზომის (2.0x0.75 მ) ფილაქვის ქვეშ, 2.50 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა დაზიანებული ბავშის ჩონჩხი. სამარხში აღმოჩნდა: სპილენძის თვალბუდიანი (თვალი ამოვარდნილია) ბეჭედი, საველე №03:2-77:16 (ილუსტ. 71/11); მძივი, 24 ცალი, მწვანე მინის, სფერული ფორმის, საველე №03:2-77:19 (ილუსტ. 71/9; მძივი, 3 ცალი, შავი გიშრის, ოვალური ფორმის, დაწახნაგებული გვერდებით – საველე №03:2-77:21 (ილუსტ. 71/10);[245] სამაჯური, 2 ცალი (ილუსტ. 71/16, 71/17). ერთი შავი, მრგვალგანივკვეთიანი გაუმჭვირვალე მინის, სადა ზედაპირით (სავ. №03:2-77:4), მეორე - მწვანე ფერის გამჭვირვალე მინის, გრეხილი და ასევე მრგვალგანივკვეთიანი, სავ. №03:2-77:5 (ილუსტ. 71/16).[246]

სამარხი 10 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი, დიდი ზომის (1.5x0.75 მ) ბრტყელი ფილაქვით დახურული. საფლავის ქვის ქვეშ, 2.40 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, გულმკერდზე ხელებდაწყობილი მიცვალებულის ჩონჩხი, თავით დასავლეთით. სამარხი უინვენტარო იყო.

---

[244] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 2-3.

[245] მსგავსი ტიპის გიშრის მძივი დმანისიდან XII-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული: რუსუდან დოლაბერიძე, *XI-XIII სს.საქართველოს ნივთიერი კულტურა,* (თბილისი: მეცნიერება, 1985), 91, ტაბ. XIV, სურ. 14.

[246] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 3; გრეხილი სამაჯურების აღნიშნული ტიპი ზოგადად XI-XIII სს-ითაა დათარიღებული: რუსუდან დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 110-111.

სამარხი 11 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), მოგრძო ფორმის (1.75x1 მ) საფლავის ქვით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი. საფლავის ქვის ქვეშ, 2.40 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, გულმკერდზე ხელებდაწყობილი მიცვალებულის ჩონჩხი, თავით დასავლეთისკენ. უინვენტარო

მე-12 ნომრით აღნიშნულ ადგილას სამარხი არ დადასტურდა.

სამარხი 13 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი. 2.26 მეტრ სიღრმეზე სამარხში ჩასვენებული აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, მუცელზე ხელებდაწყობილი ბავშვის ჩონჩხი, თავით დასავლეთით. სამარხი მიცვალებულის ნეშტის დონეზე შემოსაზღვრული იყო უსწორმასწორო ფორმის ქვებით. სამარხში აღმოჩნდა მინის მძივი, 1 ცალი სავ. №03:2-77:11 (ილუსტ. 71/12); მინის მძივი, 21 ცალი, სავ. №03:2-77:7, ცილინდრული ფორმის (ილუსტ. 71/15);[247] მინის მძივი, 1 ცალი, სავ. №03:2-77:12), ცისფერი, ოვალური მოყვანილობის, შედუღებული ლითონის მასით (ილუსტ. 71/7); მძივი, 1 ცალი, სარდიონის, სავ. №03:2-77:8, ოთხკუთხა და მოგრძო ფორმის (ილუსტ. 71/6); მძივი, 30 ცალი, სავ. №03:2-77:6, თეთრი თიხის, ე.წ. „ფაიანსის“ (ილუსტ. 71/14); მძივი, 1 ცალი, სავ. №03:2-77:10, ცისფრად მოჭიქული, ე.წ. „ფაიანსის“ (ილუსტ. 71/8); ღილი ძვლის, 1 ცალი, სავ. №03:2-77:9, ნახევარსფეროსებრი, გარეპირზე ირიბი ნაჭდევებით (ილუსტ. 71/13); მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა წყვილი მინის სამაჯური – ერთი გამჭვირვალე, შავი ფერის, მრგვალგანივკვეთიანი სადა ზედაპირით; მეორე მრგვალგანივკვეთიანი გრეხილი ღერძით, ხშული შავი ფერის.[248] სამარხთან

[247] მსგავსი მინის მძივების თარიღი დმანისიდან და რუსთავიდან, ასევე სხვა პარალელური მასალების თარიღი XIII ს-ითაა განსაზრვრული: დოლაბერიძე, *XI-XIII სს.საქართველოს ნივთიერი კულტურა,* 47-48.

[248] ზოგადად, საქართველოში აღმოჩენილი მსგავსი ტიპის სამაჯურები XI-XIII სს-ით თარიღდება: დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, 100-112; ძველი გავაზის სამაროვნის პარალელური მასალა XII-XIII სს-ითაა დათარიღებული: ლევან ჭილაშვილი, *ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* (თბილისი: მეცნიერება, 1975), 56-59; ასევე სხვა პარალელური მასალა: თინა არჩვაძე, ცისანა ჩიკოიძე, მერი ჩხატარაშვილი, რუსთავში გათხრილი საერო სასახლე, *რუსთავი III,* (თბილისი, 2005), 70, ტაბ. XLII, სურ. 1, 2, 4, 6, 8, 9.

ახლოს (0.75 მ-ში) აღმოჩნდა სადაფის გულსაკიდი ჯვარი სავ. №03:2-77:89 (ილუსტ. 71/4), სამკუთხად დაბოლოებული ტოლი მკლავებით.[249]

სამარხი 14 – ბრტყელი ქვის ფილებით მოწყობილი ქვის სამარხი (ზომ. 2.70x0.67 მ, სიღრმე 0.45 მ), ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის დამხრობის. მიწის ზედაპირიდან 3.0 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი ჩონჩხი, გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში იწვა (ილუსტ. 70) მიცვალებულს მარცხენა კიდური იდაყვმოხრილი და სახესთან მიტანილი, მარჯვენა კი მკერდზე ედო. მოხრილ მდგომარეობაში იყო მარცხენა ქვედა, ფეხის კიდური. სამარხში აღმოჩნდა წაკვეთილი სფეროს ფორმის მძივი, 2 ცალი. ერთი სარდიონის, №03:2-77:115 (ილუსტ. 71/2) მეორე ქარვის, სავ. №03:2-77:114 (ილუსტ. 71/3);[250] საკინძე სპილენძის, სავ. №03:2-77:116, ბროწეულის ფორმის თავით (ილუსტ. 71/1).[251]

სამარხი 15 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), ოდნავ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე დამხრობილი. 2.50 მეტრ სიღრმეზე ჩონჩხი ესვენა გულაღმა, გაშოტილ პოზაში, მარცხენა ხელის კიდური ედო მუცელზე, ხოლო მარჯვენა მიტანილი ჰქონდა თავთან. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.

სამარხი 16 – ორმოსამარხი (ილუსტ. 69), აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი. 2.50 მეტრ სიღრმეზე გულაღმა ესვენა ჩონჩხი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელის კიდური ედო მკერდზე, ხოლო მარცხენა მიტანილი ჰქონდა ნიკაპთან. ეს სამარხიც უინვენტარო აღმოჩნდა.

---

[249] ჯაფარიძე, გოჩიაშვილი, დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.), 3-4, ტაბ. XIV, სურ. 1

[250] მსგავსი ტიპის მძივები ყოღოთისა და სამთავროს სამაროვნიდან VI-VII სს-ითაა დათარიღებული: ნოე აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა (არქეოლოგიური ქრონოლოგიის საკითხები სამკაულის მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1979), ტაბ. XIV, სურ. 2; ტაბ. XVI, სურ. 14; ტაბ. XLII, სურ. 5,6.

[251] Джапаридзе, Отчет работы Дманисской археологической экспедиции (1977 году), 273.



ილუსტრაცია 71. დმანისის სამაროვანი, №5 და №13 თხრილებში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი

როგორც ვნახეთ, განხილული სამარხების ჯგუფის სამარხეული მასალა (გარდა ქვედა დონის №14 სამარხისა)[252] პარალელების მიხედვით განვითარებული შუა საუკუნეებით, XI-XIII სს-ით თარიღდება. გარდა ამისა, შესწავლილი სამარხების ჯგუფის დათარიღების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია №1 სამარხში და ამავე სამარხთან ახლოს აღმოჩენილი ორი ცალი თამარ-დავითის სპილენძის მონეტა. აღნიშნული გარემოება წარმოდგენილი სამარხების უმეტესობის თარიღის XIII საუკუნით, მეტადრე XIII საუკუნის I ნახევრით განსაზღვრას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

ჩვენი კვლევისთვს განსაკუთრებით საინტერესოა №5 და №6 სამარხების ატრიბუცია, რომელთაგანაც ერთ-ერთზე, №5 სამარხზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმართული იყო წარწერიანი საფლავის ქვა.

სამარხი 5 – ორმოსამარხი (ილუსტ. 72) დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა. მიწის ზედაპირიდან 2.45 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა გულაღმა, გაშოტილ პოზაში დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი, თავით დასავლეთით. მიცვალებულს მარჯვენა ხელის კიდური მკერდზე ედო, ხოლო მარცხენა მუცელზე. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.[253]

მე-6 ნუმერაციის სამარხში ჩონჩხი არ დადასტურდა.[254]

№5 და №6 ორმოსამარხებზე ზემოდან იდო კვარცხლბეკისებრი, მართკუთხედის ფორმის კარგად გათლილი ქვის ფილა (1.15x1.6x0.20 მ). აღნიშნულ ფილაზე, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მოთავსებული იყო მართკუთხედის ფორმის,

---

[252] №14 ქვის სამარხი და სამარხეული მასალა პარალელების მიხედვით შესაძლოა ადრე შუა საუკუნეებით – VII საუკუნით დათარიღდეს: აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა,* ტაბ. VII-4,13; XIV-2; XLII-5,6.

[253] №5 სამარხის აღწერილობას და სიღრმის დადგენას ვახდენთ საველე ანაზომების – საველე დოკუმენტაციის მიხედვით (ანაზომი №03:5-77:162).

[254] საველე-არქეოლოგიური ანგარიშის ტექსტურ ნაწილში არ არის მოცემული №5 და №6 სამარხების აღწერილობა. ვიცით მხოლოდ ის, რომ სამარხები უინვენტარო იყო. ასევე, ანაზომებიდან ჩანს, რომ №6 სამარხში მიცვალებულის ნეშტი არ აღმოჩნდა.

ჰორიზონტალურად განლაგებული ორფერდა სახურავისებრი ზედაპირის მქონე საფლავის ქვები (ილუსტ. 68). №5 სამარხის ქვა – სიგრძე 1.12 მ, სიგანე – 0.30 მ, სიმაღლე – 0.25 მ. №6 სამარხის ქვა – სიგრძე 1.10 მ, სიგანე – 0.25 მ, სიმაღლე – 0.20 მ. ორივე საფლავის ქვის დასავლეთით, თავთან აღმართული იყო ოთხწახნაგოვანი სტელის ფორმის საფლავის ქვები. №5 სამარხის სტელის მიწისზედა, ფასადური ნაწილის სიმაღლე – 0.43 მ. №6 სამარხის – 0,38 მ.

ილუსტრაცია. 72. დმანისის სამაროვანი. №5 თხრილი. №5 სამარხი

ამგვარად, სამარხების №5 და №6-ის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამი სხვადასხვა სეგმენტისგან შედგენილ მიწისზედა მემორიალთან. ესენია: 1 – კვარცხლბეკისებრი ფილაქვა; 2 – მასზე ჰორიზონტალურად, აღმოსავლეთ-დასვლეთის ხაზზე დამხრობილი ორფერდა სახურავის ზედაპირის მქონე სარკოფაგისებრი საფლავის ქვები, ხოლო მათ დასავლეთით, თავთან, 3 – ვერტიკალურად აღმართული, სტელის ფორმის, თითქმის თანაბარწახნაგოვანი საფლავის ქვები, წახნაგებზე წარწერის, ორნამენტისა და ჯვრის გამოსახულებით (იხილეთ №№5-6 და №5 თხრილში შესწავლილი სხვა სამარხების მემორიალების მოწყობის რეკონსტრუქცია, ილუსტ. 73).



ილუსტრაცია 73. დმანისის ნაქალაქარის სამაროვანი, №5 თხრილი მიწისზედა მემორიალური ძეგლები, მათ შორის №5 სამარხის წარჩინებული პირის – ოქრო/ოქრუას და მისი მეუღლის №6 სამარხის მემორიალი, რეკონსტრუქცია, ჯ. ჩხვიმიანი (2015)

ზემომოყვანილი სამარხების ჯგუფი დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან შემოსაზღვრული იყო 0.70-0.80 მეტრი სისქის ქვის კედლით, ერთგვარი ზღუდით (შემორჩენილი სიმაღლე დაახ. 0.80-0.90 მ). აღნიშნული კედლების შეერთების ადგილას ზღუდის ჩრდილო-დასავლეთის 90 გრადუსიანი შიდაკუთხე იქმნება. ზღუდეს, სავარაუდოდ, კედლები უნდა ჰქონოდა სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდანაც. სამწუხაროდ, №5 თხრილის ეს მხარე გასული საუკუნის დასაწყისში, თბილისი-ერევნის გზის მშენებლობისას ღრმადაა მოჭრილი. ამდენად, საფიქრებელია, რომ №5 თხრილის სამარხების მომსაზღვრელი ზღუდის სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები, ასევე ზღუდის შიგნით არსებული სამარხების ნაწილიც, გზის მშენებლობისას განადგურდა.

დაუმუშავებელი ქვითა და კირხსნარით ნაგები 0.50-0.70 მ სიგანის კედლების ნაშთებით ჩანს ასევე შემოზღუდული №13 ჯგუფის სამარხები (იხ. ქვემოთ). ჩვენი დაკვირვებით, მსგავსი ზღუდის მშენებლობის პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული დმანისის სამაროვანზე.[255] მათი ფუნქცია ერთი ჯგუფის საოჯახო-საგვარეულო სამარხების, მიწისზედა მემორიალური ძეგლების გამიჯვნა და დაცვა უნდა ყოფილიყო სხვა ჯგუფის სამარხებისგან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დაკვირვებით, დმანისის სამაროვანზე ზღუდით საზღვრავდნენ არა მარტო სამარხების ჯგუფს, არამედ მავზოლეუმებსაც.

დმანისის სამაროვნის სამხრეთით, ქრისტიანულ უბანში, №5 თხრილში გამოვლენილი №4-16 სამარხების[256] შემოვლებული ზღუდის ჩრდილოეთის კედლის შემორჩენილი შიდა სიგრძე 4.40 მ-ია, ხოლო დასავლეთისა – 5.20 მ. ვფიქრობთ, ამ სამარხების ჯგუფის შემთხვევაშიც, ზემომოყვანილი პარალელების გათვალისწინებით, საქმე ზღუდეშემოვლებულ, საოჯახო-საგვარეულო სასაფლაოსთან გვაქვს. მოყვანილი ზღუდის დასავლეთი კედელი ჩრდილოეთის კედელთან შიდა კუთხით შეერთების შემდეგ, კიდევ 2.40 მ-ით გრძელდება და შემდგომ სწორი კუთხით უხვევს დასავლეთით

[255] სამაროვნის ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირზე, ხშირად ჩანს ამგვარი ნაგებობათა კონტურები.
[256] ამ ჩამონათვალში არ ვგულისხმობთ №14 სამარხს, რომელიც ქვედა დონეზე აღმოჩნდა და რომელიც ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

და უკვე №1 და №3 და მათთან არსებული სამარხების ჯგუფის ზღუდეს კრავს. გამოდის, რომ 1-3 და 4-16 სამარხებს ერთი ზღუდის კედელი ჰყოფდათ. ამავე დროს, აღნიშნული კედლის წყობაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ №№1-3 და მათი სამარხების ჯგუფი შემოუზღუდავთ, ხოლო შემდგომ №4-16 სამარხების შემოზღუდვისას უკვე არსებული №№1-3 სამარხების ჯგუფის აღმოსავლეთი კედელი №4-16 სამარხების ზღუდის დასავლეთ კედლად გამოუყენებიათ; ასევე, მასზე მიუშენებიათ ამ უკანასკნელი ჯგუფის სამარხების მსაზღვრელი ჩრდილოეთი კედელიც. მოყვანილი სამშენებლო ფენების გათვალისწინებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ, №№1-3 სამარხების ჯგუფი უფრო ადრეულია, ვიდრე №№4-16 სამარხების ჯგუფი. სამარხების მსაზღვრელი წრიული გალავნის მაგვარი ნაშთი ჩანს №5 თხრილის ჩრდილოეთით, არქეოლოგიური გათხრების №6 თხრილში. არ არის გამორიცხული, რომ მსგავს ზღუდეგალავნიან საოჯახო-საგვარეულო სამარხებს გადახურვაც ჰქონოდათ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შემორჩენილი კედლები საკმაოდ კარგად ნაგებად გამოიყურება და მათი სისქეც ნორმალურია (0.70-0.80 მ და მეტი), თეორიულად დასაშვები და პრაქტიკულად განხორციელებული შეიძლება ყოფილიყო ასეთი ზღუდე-გალავნისთვის ხის ძელებზე დაყრდნობილი ბანური გადახურვის მოწყობა.[257] თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ დამატებითი მასალების მოძიების გარეშე, ეს მოსაზრება ამ ეტაპზე დაუსაბუთებლად გამოიყურება.[258]

[257] კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა კრამიტით გადახურული ზღუდიანი სამარხების ჯგუფი, რადგან კრამიტების აღმოჩენა დმანისის სამაროვნის ჩვენთვის საინტერესო თხრილში არ დასტურდება. აქვე, ცნობილია, რომ დმანისის ნაქალაქარზე გამოვლენილი საცხოვრებელი, სამეურნეო თუ რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ბანური გადახურვისა უნდა ყოფილიყო.

[258] ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისიდან, 48-49,

3.5.1. დმანისის სამაროვნის ქრისტანული უბნის, №5 თხრილში აღმოჩენილი №5 და №6 სამარხის საფლავის ქვები

№5 სამარხის სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზეუმო საინვენტარო № დმ.15). გამოთლილია მომწვანო-მონაცრისფრო ტუფის ქვისგან (ილუსტ. 74-75). ფორმით თითქმის ტოლწახნაგოვანი სტელაა, საერთო სიმაღლით 0.80 მ. აქედან 0.43 მ მიწისზედა, ფასადური, კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი წახნაგებია, ხოლო დარჩენილი 0.37 მ სტელის ქვედა, უხეშად გათლილი და ძირწაწვეტებული მიწაში ჩასამაგრებელი ნაწილი. საფლავის ქვის აღმოსავლეთ წახნაგზე (0.43x0.27 მ) ამოჭრილია 0.18 მ სიგანისა და 0.33 მ სიმაღლის თაღოვანი ნიში. ნიშში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი რელიეფური ასომთავრული წარწერა:

1. q[-] R⁻ o
2. S⁻ e s⁻ l
3. i •oqr
4. si •

ილუსტრაცია 74. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №5 სამარხის საფლავის ქვა (დმ.15) ოქრო/ოქრუას ეპიტაფიით. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ასო-ნიშნების მაქსიმალური სიმაღლე 6.5 სმ-ია, მინიმალური – 4.3 სმ. ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა შესაძლოა, ასე წავიკითხოთ:[259] **„ქ[(რისტ)ე] ღ(მერთ)ო, |[2] შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლ|[3]ი ოქრ/{ოჲ})/|[4]სი“.** ეპიტაფია ქანწილით იწყება, აღნიშნულ ნიშანსა და შემდეგ სიტყვას შორის სივრცე დაზიანებულია. ამდენად, ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა რაიმე სხვა ასო-ნიშნები მათ შორის.[260] მომდევნო ასო-ნიშნების, **R**-სა და **o** -ს თავზე დასმულია ქარაგმა: **ღ(მერთ)ო.** ქარაგმა ზის **S**-სა და **e**-ს თავზეც – **შ(ეიწყალ)ე.** ასევე ქარაგმის ნიშანი უნდა იყოს **s**-სა და **l** -ს თავზე – **ს[უ]ლ/ი.** ამ უკანასკნელსა და შემდგომ, სახელის აღმნიშვნელ სიტყვას – **ოქრ/{ოჲ})/სი**-ის შორის განკვეთილობის ნიშანი ერთი წერტილია. ეპიტაფიას ასევე ერთი წერტილი ასრულებს.[261]

საფლავის ქვის სამხრეთ და ჩრდილოეთის წახნაგებზე (0.43x0.27 მ) ამოჭრილია 0.13 მ სიგანისა და 0.35 მ სიმაღლის თაღოვანი ნიშები. თითოეულ ნიშში ამოკვეთილია წნული ორნამენტისგან შედგენილი ჯვრის მოტივი.

წარწერიანი საფლავის ქვის მთავარ საფასადო წახნაგის საპირისპირო, რევერსულ წახნაგზეც (0.42x0.25 მ) თაღოვანი, 0.18 მ სიგანისა და 0.30 მ სიმაღლის ნიშია ამოჭრილი. განსხვავებით საფლავის ქვის წარწერიანი წახნაგის ნიშისგან, დასავლეთის წახნაგზე ამოღებულ 0.01 მ სიღრმის ნიშში მეორე, 0.14 მ სიგანის და 0.26 მ სიმაღლის, 0.02 მ სიღრმის ასეთივე ნიშია ამოჭრილი.

---

[259] ზემომოყვანილი წარწერის წაკითხვისას გაწეული კონსულტაციისთვის და დახმარებისთვის, გვსურს მადლობა გადავუხადოთ პროფესორ თემო ჯოჯუას.

[260] სივრცე მცირეა, შესაძლოა, დატეულიყო ერთი ასო-ნიშანი. თუ ჩავთვლით, რომ ეპიტაფიის პირველი ხაზი **q**-თი იწყება, დაზიანებულ ადგილას თითქოს მეორე ნიშანი **T** უნდა იყოს. მათ თავზე თითქოს ქარაგმის ფრაგმენტია. როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაში ქარაგმის გახსნის შემდეგ იქნება ქ[(რისტ)ე]. თუ ჩავთვლით იმასაც, რომ პირველ და შემდეგ სიტყვას შორის არსებული მცირე რელიეფური შვერილი განკვეთილობის ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ პირველი სიტყვაა ქ[(რისტ)ე] და შემდეგი – ღ(მერთ)ო ერთმანეთისგან ერთი წერტილით არიან განცალკევებული. მომდევნო სიტყვა, რომელსაც ვკითხულობთ როგორც შ(ეიწყალ)ე, ასევე შესაძლოა გვეფიქრა, რომ იყოს მამაკაცის სახელი ჲ(ეს)ე ან ჲ(ოვანე)ე. მთლიანობაში ეპიტაფია ასეთ შინაარსს შეიძენდა: **ქ[რისტ]ე ღ(მერთ)ო / ჲ(ოვანე)ე[ს] ს(უ)ლ / ი ოქრ / {ოჲ} / სი.** ამ შემთხვევაში კი გარდაცვლილი ჲ(ოვანე)ე გამოდის, ოქროს ძე. თუმცა შენდობის, ღმერთზე მიბარების აღმნიშვნელი სიტყვის გარეშე, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

[261] ჩხვიმიანი, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისიდან, 49-50,

ილუსტრაცია 75. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №5 სამარხის საფლავის ქვა (დმ.15) ოქრო/ოქრუას ეპიტაფიით. 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

როგორც ვნახეთ, № დმ.15 სტელისებრი საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებულია გარდაცვლილის სახელი – ოქრო, რომლის სხვადასხვა ვარიაცია: ოქრია, ოქრუა, ოქროპირი, როგორც მამაკაცის სახელი, გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში (შეწირულობის დაწერილი ჭიაბერისა შიო მღვიმისადმი. 1189-1192 წწ.).[262] სავარაუდოდ, ზემოთ აღნიშნული სახელისგან ნაწარმოები გვარსახელი – ოქრომჭედლიშვილი გვხვდება საკუთრივ დმანისშიც, 1537-1538 წლების ერთ-ერთ საბუთში (განჩინება ლუარსაბ I-ისა იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე. 1537-1538 წწ.).[263] და ბოლოს, ისტორიულ თორში, სოფ. გუჯარეთის მახლობლად, ნასოფლარ თონეთში აღმოჩენილი ქვაჯვარა, რომელიც XII-XIII საუკუნეებითაა

[262] *ქართული სამართლის ძეგლები, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტომი II.* ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1965), 29.

[263] *ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, ტომი IV,* ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1972), 16.

დათარიღებული, ასევე შეიცავს მამაკაცის სახელს ოქრო (ოქროპირი) და ის ავტორის მიერ ადგილობრივ, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლადაა მიჩნეული.[264]

საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებული ოქრო/ოქრუა დმანისელი წარჩინებული უნდა ყოფილიყო. მის მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ, დაწინაურებულ მდგომარეობაზე მეტყველებს მისთვისვე მოწყობილი სამი სეგმენტისგან – კვარცხლბეკის, სარკოფაგისებრი ორფერდიანი გადახურვისებრი ზედაპირის მქონე ლოდისა და წარწერიანი სტელისებრი საფლავის ქვისგან შედგენილი მემორიალი, რომლის ანალოგი არათუ დმანისის სამაროვანზე, არამედ საქართველოს სხვა თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებზეც არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება №5 სამარხის, მემორიალური ძეგლისა და მისი წარწერის თარიღს, იგი დმანისის სამაროვნის სამხრეთი უბნის №5 თხრილის ამავე დონეზე გამოვლენილი სხვა სამარხების ინვენტარის, ასევე თამარ-დავითის 1200 წლის მონეტის აღმოჩენის გათვალისწინებით XIII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. ამ დათარიღებას საკუთრივ №5 სამარხის საფლავის ქვის (საინ. № დმ.15) წარწერის პალეოგრაფიული მხარეც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს (ილუსტ. 74).

საფლავის ქვის ეპიტაფია რელიეფურია, რაც ესოდენ დამახასიათებელია დმანისის სამაროვანზე არსებული ისლამური, არაბულწარწერიანი საფლავის ქვებისთვის.[265]

ნიშანდობლივია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ პალეოგრაფიულ ძეგლებზე, განსაკუთრებით ეპიტაფიების შემთხვევაში, რელიეფურად კვეთილი წარწერები იშვიათობაა. სამაგიეროდ, რელიეფურ წარწერებს ვხვდებით XIII-XIV საუკუნეებით დათარიღებულ დმანისის სამაროვნიდან მომდინარე არაბულწარწერიანი საფლავის ქვების აბსოლუტურ უმრავლესობაზე. № დმ.15 საფლავის

---

[264] დევი ბერძენიშვილი, ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან, *ძეგლის მეგობარი, №2,* (თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1986), 49-53.

[265] ცისია კახიანი, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965).

ქვის შემთხვევაში, შესაძლოა ადგილობრივი ტრადიციების, ზემომოყვანილი საერთო ტენდენციების ანარეკლს ვხედავდეთ. ამდენად, განსახილველი ეპიტაფიის ტექნიკურ შესრულებაშიც, სავარაუდოდ, იგრძნობა ადგილობრივი, ქალაქური ტრადიციების გავლენა.

როგორც აღვნიშნეთ, №5 თხრილის №5 და №6 ორმოსამარხი დახურული იყო ერთი საერთო, კვარცხლბეკისებრი, მართკუთხედის ფორმის კარგად გათლილი საერთო ფილაქვით (1.15x1.60x0.20 მ). ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდი ზომის საფლავის ქვებს ცოლ-ქმრის მემორიალთა მოსაწყობად გვიან შუა საუკუნეებსა და უფრო მოგვიანო პერიოდშიც იყენებდნენ. ორი პერსონისთვის – ცოლ-ქმრისთვის განკუთვნილ, ჰორელიეფიანი (გარდაცვლილთა სრული ფიგურების გამოსახულებით) საფლავის ქვებზე მამაკაცი ყოველთვის მარჯვნივაა გამოსახული და შესაბამისად, დაკრძალულიც.[266] მიცვალებულთა აღნიშნული განლაგება წყვილის ჯვრისწერის დროს, ზოგადად მამაკაცისა და ქალის გვერდიგვერდ დგომის წესის გამოხატულება უნდა იყოს, სადაც მამაკაცი მარჯვნივ, ხოლო ქალი მისგან მარცხნივ დგას. ამდენად, თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, დმანისელი ოქრო/ოქრუას სამარხის გვერდზე, მისგან მარცხნივ მისივე მეუღლე უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამწუხაროდ, №5 სამარხის გვერდით, №6 სამარხში ადამიანის ნეშტი არ დადასტურდა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ცოლ-ქმრისთვის განკუთვნილი №5 და №6 სამარხები, საერთო მემორიალური ძეგლით, თავიდანვე მხოლოდ №5 სამარხის, ჩვენთვის უკვე ცნობილი მამაკაცის, ოქრო/ოქრუას ნეშტს შეიცავდა. სავარაუდოდ, მისი მეუღლის მემორიალის მოწყობა მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან ის იქ არ დაკრძალულა. ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთის გარდაცვალების შემთხვევაში წინასწარ ერთი საერთო მემორიალის მოწყობას ვხვდებით ეთნოგრაფიულ თუ თანამედროვე ყოფაშიც. ამდენად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოქრო/ოქრუას გარდაცვალების შემდგომ მისმა მეუღლემ სურვილისამებრ მოაწყო საერთო, მათ შორის საკუთარი მემორიალური ძეგლი. ამის შემდგომ ის რაღაც მიზეზის

[266] ელდარ ნადირაძე, *საქართველოს მემორიალური კულტურა,* 121, ილუსტ. 43.

გამო მისთვისვე განკუთვნილ სამარხში არ დაკრძალულა. თუ ჩავთვლით, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი ოქრო/ოქრუა XIII ს-ის 30-იან წლებამდე გარდაიცვალა, რასაც ეპიტაფიის პალეოგრაფიული ნიშნები, ასევე ამავე სამარხების ჯგუფის სამარხეული მასალა, განსაკუთრებით თამარ-დავითის 1200 წლის მონეტის აღმოჩენაც ამყარებს, მაშინ შესაძლოა დავუშვათ ერთ-ერთ ვარაუდად, რომ, მისი ჯერ კიდევ ცოცხალი მეუღლე მონღოლების მიერ 1235 წლის დმანისის სავარაუდო დარბევას შეეწირა (შესაძლოა ეს ცოტათი ადრე, ჯალალ ად-დინის ლაშქრობების დროსაც, 1226-1230 წლებში მომხდარიყო), მისი ნეშტის განკუთვნილ ადგილას დაკრძალვა კი ვერ მოხერხდა. ან სულაც, შესაძლოა იგი ტყვედ ჩავარდა და სხვაგან, დმანისიდან შორს აღმოჩნდა. როგორც სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი აღნიშნავს, 1235 წელს მონღოლებმა ქალაქ ლორეს აღების შემდეგ, მათგან ლტოლვილი და გაქცეული მოსახლეობა ქალაქისვე მსაზღვრელ ღრმა ხევებში დიდი სისასტიკით ამოხოცეს. მისივე გადმოცემით, იგივე ბედი ეწია დმანისის მოსახლეობასაც.[267]

ამდენად, დმანისში დატრიალებულ ქალაქ ლორეს მსგავს ტრაგედიას შესაძლოა, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ემსხვერპლა, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო პირიც. ასევე, შესაძლებელია მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოქრო/ოქრუას ქვრივი ხელმეორედ გათხოვდა და ამჯერად ის უკვე სიკვდილის შემდეგ მეორე მეუღლის გვერდით დაიკრძალებოდა.

№6 სამარხის სტელისებრი საფლავის ქვა (საინვ. № დმ.14) გამოთლილია მოცისფრო-მონაცრისფრო ტუფის ქვისგან (ილუსტ. 76). ფორმით ის თითქმის ტოლწახნაგოვანი სტელაა, საერთო სიმაღლით 0.67 მ. აქედან 0.40 მ მიწისზედა, ფასადური, კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი წახნაგებია, ხოლო დარჩენილი 0.27 მ სტელის ქვედა, უხეშად გათლილი და ძირწაწვეტებული მიწაში ჩასამაგრებელი ნაწილი. საფლავის ქვის აღმოსავლეთ წახნაგზე (0.38x0.16 მ) ამოჭრილია 0.16 მ სიგანისა და 0.26 მ

[267] Киракос Гандзакеци, История Армении, 163.

სიმაღლის თაღოვანი ნიში. ნიშში მოთავსებულია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგარი რელიეფური ჯვარი. საფლავის ქვის სამხრეთ და ჩრდილოეთ წახნაგებზე (0.38x0.16 მ) ამოჭრილია 0.10 მ სიგანის და 0.26 მ სიმაღლის თაღოვანი ნიშები. თითოეულ ნიშაში ამოკვეთილია რელიეფური მცენარეული ორნამენტი.

საფლავის ქვის ჯვრის გამოსახულებიანი მთავარი საფასადო წახნაგის საპირისპირო, რევერსულ წახნაგზეც (0.40x0.17 მ) თაღოვანი, 0.17 მ სიგანის და 0.26 მ სიმაღლის ნიშია ამოჭრილი. როგორც №5 სამარხის საფლავის ქვის (დმ.15) შემთხვევაშიც, აქაც, დასავლეთის წახნაგზე ამოღებულ 0.015 მ სიღრმის ნიშში მეორე, 0.12 მ სიგანის და 0.23 მ სიმაღლის, 0.01 მ სიღრმის მსგავსი ნიშია ამოჭრილი.

ილუსტრაცია 76. დმანისის სამაროვნის №5 თხრილში აღმოჩენილი №6 სამარხის საფლავის ქვა (დმ.14). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

№6 სამარხის საფლავის ქვას (დმ.14), №5 სამარხის ქვასთან (დმ.15) ერთად ზემომოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე განვიხილავთ, როგორც საერთო

მემორიალურ ძეგლში შემავალ სეგმენტებად, ცოლ-ქმრის სამარხისთვის საგანგებოდ მოწყობილ მიწისზედა მემორიალად.

3.5.2 დმანისის სამაროვნის სამხრეთი უბნის №13 თხრილის სამარხების საფლავის ქვები

1986 წელს დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე არქეოლოგიური თხრილი გაიჭრა.[268] აქედან ერთ-ერთში – №12 თხრილში (ზომ. 5.0x9.0 მ), ქრისტიანული წესით გამართული 3 ქვის სამარხი და 20 ორმოსამარხი გამოვლინდა. სამარხების ნაწილს გააჩნდა საფლავის ქვები – უხეშად გამოთლილი მართკუთხედის ფორმის ქვის ბრტყელი ფილები. 23 სამარხიდან 6 ინვენტარიანი აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარის მიხედვით (მინის სამაჯურები, სპილენძისა და პასტის მძივები, ბრინჯაოს ბეჭდები), ზემოხსენებული სამარხების ჯგუფი XII-XIII საუკუნეებით დათარიღდა. ამავე წელს, ზემოხსენებულ თხრილთან გაიჭრა კიდევ ერთი ახალი თხრილი – თხრილი №13 (ზომ. 4.0x4.0 მ). სულ თხრილში, მიწის ზედაპირიდან 1.0-1.60 მეტრ სიღრმეზე 26 ორმოსამარხი დადასტურდა. მათგან 12-ს გააჩნდა საფლავის ქვები. სამარხები დახურული იყო მართკუთხედის ფორმის ბრტყელი ქვებით. სამი მათგანი ორფერდა სახურავის ზედაპირის მქონე, სარკოფაგისებრი ქვა აღმოჩნდა (ილუსტ. 77).[269]

№6 სამარხის მართკუთხედის ფორმის ქვის ბრტყელ ზედაპირზე გამოსახული იყო ადამიანის სტილიზებული ფიგურა, ჯვრით მკერდზე. №9 სამარხის თავთან ჩასმული იყო ბოლნური ჯვრის გამოსახულებიანი და ადრე შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით შემკული კუბის ფორმის სტელის ფრაგმენტი (სავარაუდოდ, მეორადად გამოყენებული – ჯ. ჩ.). მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ

[268] სამაროვნის არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი მერი გოჩიაშვილი.

[269] Джапаридзе, Копалиани, Вугианишвили, Болквадзе, Гочиашвили, Мгеладзе, Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции (в 1986 году), 108.

ქრისტიანული წესით. სამარხებიდან 7 ბავშვისა აღმოჩნდა. როგორც საველე არქეოლოგიური დოკუმენტაციიდან ჩანს, გრუნტში ჩაჭრილი რამდენიმე ქვედა, II დონის სამარხი (სამარხი №17-20, 26) შესაბამისი სამარხეული ინვენტარის მიხედვით გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის პერიოდისა იყო. შესაძლოა, საფლავის ქვის მიხედვით გვიან შუა საუკუნეებისა იყოს №6 სამარხი, ასევე I დონის სხვა რამდენიმე სამარხიც.

ილუსტრაცია 77. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13. ხედი აღმოსავლეთიდან დასვლეთით. 1986 წელი. ფოტო: საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

სულ 26 სამარხიდან 12 ინვენტარიანი აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარის მიხედვით (სამაჯურები – მინის, მწვანე, ლურჯი, ცისფერი და შავი ფერის, მრგვალგანივკვეთიანი, სადა და გრეხილი; სპილენძის სფერული, ყუნწიანი ღილები და სხვ.) II დონის სამარხების უმეტესობა განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა

განეკუთვნებოდეს. საინტერესოა ასევე, რომ №13 თხრილის №7 და №8 სამარხების სიახლოვეს აღმოჩნდა რუსუდან მეფის სპილენძის მონეტა.[270]



ილუსტრაცია 78. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13, სამარხი №27-29, ფოტო, სამარხების გეგმა

[270] ჯაფარიძე, კოპალიანი, ბუგიანიშვილი, ბოლქვაძე, გოჩიაშვილი, მგელაძე, აბრამიშვილი, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1986 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური მუშაობის დოკუმენტური ანგარიში, 29-34.

არქეოლოგიური გათხრების მოედნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, №13 თხრილს გარეთ, ამავე წელს[271] ექსპედიციამ დააფიქსირა ორი სტელისებრი საფლავის ქვა (ილუსტ. 78), აღმოსავლეთის წახნაგებზე ჯვრების გამოსახულებით, ხოლო საპირისპირო, დასავლეთის წახნაგებზე ერთ-ერთი ორნამენტული მოტივით შემკული, ხოლო მეორეზე ასომთავრული წარწერიანი ეპიტაფიით.[272] ჩვენთვის საინტერესო საფლავის ქვები შესაბამის სამარხებზე აღმართული იყო ვერტიკალურად, ერთმანეთისგან 0.45 მეტრის დაშორებით. საფლავის ქვა საინვენტარო ნუმერაციით – დმ.32 აღმართული იყო №27 სამარხის თავთან. სამარხი აღმოსავლეთ დასავლეთის ხაზზე დამხრობილი ორმოსამარხია.[273] ამ ორი კონკრეტული საფლავის ქვის სამარების შესწავლის მიზნით 1987 წელს ამ ადგილას გაივლო 2.00x2.00 მეტრი ზომის თხრილი. თხრილში, მიწის ზედაპირიდან 0.90-1.00 მეტრ სიღრმეზე გამოვლენილ ორ ორმოსამარხში სულ სამი მიცვალებული აღმოჩნდა. მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, ხოლო ხელები დაწყობილი ჰქონდა მკერდზე (ილუსტ. 78).

[271] აღნიშნული წლის გამოქვეყნებულ ანგარიშებში არ არის მოცემული ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ამ ორი საფლავის ქვის, შესაბამისად, სამარხების არქეოლოგიურად შესწავლის შედეგების შესახებ. თუმცა საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის – ფოტომასალისა და ანაზომების მიხედვით ვახდენთ აღნიშნულ სამარხთა არქეოლოგიური ელემენტების რეკონსტრუქციას.

[272] Джапаридзе, Копалиани, Вугианишвили, Болквадзе, Гочиашвили, Мгеладзе, Абрамишвили, О работах Дманисской экспедиции (в 1986 году), 108.

[273] აღწერას ვახდენთ ანაზომების მიხედვით. სავარაუდოდ, №27 ორმოსამარხი უინვენტარო იყო.



ილუსტრაცია 79. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №27 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 32). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

გვერდი-გვერდ მოწყობილი №27 და №28-29 ორმოსამარხები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ვერტიკალურად მდგარი ქვების რიგით. სამარხების თავთან, შუაში იდო ქვის ჯვარი სამი მკლავით (მეოთხე მოტეხილი აღმოჩნდა).

№27 სამარხის ზემოდან აღმართული სტელისებრი საფლავის ქვა (საინვ. № დმ.32) გამოთლილი ყოფილა მომწვანო-მონაცრისფრო ტუფისგან. მისი საერთო სიმაღლე 0.67 მ-ია (ილუსტ. 79). აქედან, 0.32 მ მიწისზედა, ფასადური, კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი წახნაგებია, ხოლო დარჩენილი 0.35 მ სტელის ქვედა, უხეშად გათლილი და ძირწაწვეტებული მიწაში ჩასამაგრებელი ნაწილია. საფლავის ქვის აღმოსავლეთ წახნაგზე (ფასადზე 0.32x0.19 მ) ამოკვეთილია რელიეფური, კვარცხლბეკზე მდგომი წნული ჯვარი. საფლავის ქვის სამხრეთ და ჩრდილოეთი წახნაგები (0.32x0.08 მ) სადაა. ჯვრის გამოსახულების რევერსულ მხარეს – სტელის დასავლეთ წახნაგზე (მთლიან ფასადურ ნაწილზე) მოცემულია წნული ორნამენტი.

მეტად საინტერესოა აღნიშნული, ამ ზოგადქართული ორნამენტის საფლავის ქვების რევერსულ მხარეს გამოსახვის ტრადიცია დმანისში. რამდენიმე ასეთ შემთხვევას ვხვდებით ისლამური სამარხების სტელისებრ საფლავის ქვებზე. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია არაბულწარწერიანი, სამკუთხედთავიანი სტელისებრი საფლავის ქვა №11 (სიმაღლე – 0.45 მ, სიგანე – 0.23 მ, სისქე – 0.13 მ), აღმოსავლეთის წახნაგზე კასიმ აჰმად იბნ ხავაჯას მოხსენიებით, ხოლო მის საპირისპირო, რევერსულ მხარეს (დასავლეთის წახნაგზე), ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ წახნაგების მთლიან სივრცეებზე ამოკვეთილი, ქართული მოტივებისთვის დამახასიათებელი წნული ორნამენტით. აღნიშნული ფაქტი ადგილობრივი, ქართული ტრადიციების გავლენად, დმანისის მულტიკულტურული სურათის გამოხატულებად მიიჩნევა. ზემოხსენებული საფლავის ქვა უთარიღოა, თუმცა პარალელური მასალების მიხედვით, იგი ავტორის მიერ დაახლოებით XIII საუკუნის I ნახევრითაა დათარიღებული.[274]

შუა საუკუნეების დმანისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში, თვალსაჩინოა სხვადასხვა წარმომავლობის მოსახლეობის განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების გავლენა ერთმანეთზე და ყოველივე ამის ასახვა ყოფით ცხოვრებაში, მატერიალურ კულტურაში. განსხვავებული ტრადიციების ერთმანეთთან შერწყმა კი სწორედ რომ ქალაქის სამაროვნებზე შეინიშნება. საფლავის ქვების დამუშავების ტექნიკის, გამოყენებული მასალის, მემორიალების მოწყობის მსგავსების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დმანისელ ქრისტიანთათვის (ქართველებისა და სომხებისთვის), ასევე მუსლიმანთათვის მემორიალურ ძეგლებს, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე ხელოსნები ამზადებდნენ, რა თქმა უნდა, შესაბამისი რელიგიური კანონიკის დაცვით. ამავე დროს, აქვე იქნებოდნენ შესაბამისად განსწავლული ქართული, სომხური და არაბულწარწერიანი ეპიტაფიების შემსრულებელნიც.

[274] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 105-106, ტაბ. XXIII-XXVII

ნაშრომში წარმოდგენილი №27 სამარხის წნულჯვრიანი და წნულორნამენტიანი საფლავის ქვა (დმ.32) ზემოთ მოყვანილი პარალელის, არაბულწარწერიანი საფლავის ქვის, ასევე, იქვე, იმავე დონეზე მდებარე სამარხების (თხრილი №13) თარიღის მიხედვით, ზოგადად XIII საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ, უფრო კი ხსენებული საუკუნის შუახანებით ან II ნახევრით.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა №27 სამარხის საფლავის ქვის გვერდზე, მის ჩრდილოეთით აღმართული მეორე სტელისებრი საფლავის ქვა.

№№ 28-29 სამარხის[275] სტელისებრი საფლავის ქვა (საინვ. № დმ.26) გამოთლილია მომწვანო-მონაცრისფრო ტუფის ქვისგან (ილუსტ. 81). მისი საერთო სიმაღლე 0.65 მ-ია. მიწისზედა, ფასადური, კარგად გათლილი სწორკუთხოვანი წახნაგების სიმაღლე 0,38 მ-ია, ხოლო დანარჩენი 0.35 მ სტელის ქვედა, როგორც სხვა შემთხვევაში, უხეშად გათლილი და ძირწაწვეტებული მიწაში ჩასამაგრებელი ნაწილია. საფლავის ქვის აღმოსავლეთ წახნაგზე (ფასადზე 0.38x0.24 მ) ამოკვეთილია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარი. საფლავის ქვის სამხრეთ და ჩრდილოეთი წახნაგები (0.38x0.12-0.13 მ) სადაა. ჯვრის გამოსახულების რევერსულ მხარეს – სტელის დასავლეთ წახნაგის ზედა ნაწილში მოცემულია სიღრმეში ამოკვეთით შესრულებული ეპიტაფია – ასომთავრული წარწერა სამ ხაზზე. ასო-ნიშნების მაქსიმალური სიმაღლე 6.1 სმ-ია, მინიმალური – 3.1 სმ.

[275] სავარაუდოდ, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ორმოსამარხში ორი მიცვალებულის ნეშტი აღმოჩნდა, ორმოსამარხსა და მიცვალებულთა ნეშტებს 28-29 ნომრები მიენიჭა.

ქართულწარწერიანი საფლავის ქვის ტექსტი ჩვენი ვერსიით შემდეგნაირად იკითხება:

1. **q. s̄lsa**
2. **ebsa**
3. **S̄n: R̄ n:–**

ილუსტრაცია 80. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №28-29 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 26) ებია/ებიტას ეპიტაფიით. ფოტო, გრაფიკა: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა შეიძლება ასე წავიკითხოთ: **„ qს[ულ]ლსა |[2] ებ{ია}სა |[3] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“.**

როგორც ვხედავთ, წარწერა ქანწილით იწყება, ქარაგმის ნიშანი გამოყენებულია **s**-სა და **l** -ს **(ს[ულ]ლსა)**, **S**-სა და **n**-ს **(შ[ეუნდვე]ნ)** თავზე, ასევე **R**-სა და **n**-ს **(ღ[მერთმა]ნ)** შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ქარაგმა ასო-ნიშნების თავზე კი არ არის მოქცეული, როგორც ეს წინა შემთხვევებში გვქონდა, არამედ სიტყვის დასასრულს და განკვეთილობის ნიშნის (ორი წერტილი) შემდეგ, ასოების შუაწელზეა გამოსახული.

ილუსტრაცია 81. დმანისის სამაროვნის №13 თხრილში აღმოჩენილი №28-29 სამარხის საფლავის ქვა (დმ. 26). 1-2 – აღმ. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4-5 – დას. წახნაგი; 6 – ჩრდ. წახნაგი. ფოტო, გრაფიკა: χ. ჩხვიმიანი (2014)

წარწერის მიხედვით, გარდაცვლილის სახელის ფუძეა **ები**. მსგავსი ფუძის სახელი ქართული ონომასტიკიდან ცნობილია შემდეგი ფორმებით: **ებია, ებინა, ებინაათ, ებიტა,** ასევე, სავარაუდოდ, ამავე სახელისგან ნაწარმოებია გვარი ებიტასშვილი/ებიტაშვილი. აღნიშნული სახელები ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში – ნასყიდობის, გაყრის, წყალობის ხასიათის XVII საუკუნით დათარიღებულ საბუთებში მრავლად გვხვდება.[276] მამაკაცის ეს სახელი გავრცელებული ჩანს შიდა და ქვემო ქართლში. სხვა შემთხვევაში თუ ეს სახელი ქალისაც შესაძლოა ყოფილიყო, შეგვეძლო გვეფიქრა სხვა გარემოებაზეც. მაგალითად, ნიშანდობლივია, რომ №27 სამარხის და №№ 28-29 სამარხების საფლავის ქვები (№ დმ. 32 და № დმ. 26) ერთმანეთთან ძალზე ახლოს იყო აღმართული. თუ ჩავთვლიდით, რომ ეს ორი საფლავის ქვა წყვილის, ცოლ-ქმრის სამარხების მემორიალებია, როგორც ამას წინა შემთხვევაში ვვარაუდობთ (ოქრო/ოქრუას და მისი მეუღლის მემორიალური ძეგლი), აქაც ცოლ-ქმრის – ქმრის მარχვნივ, ხოლო ცოლის

[276] *პირთა ანოტირებული ლექსიკონი,* XI-XVII *სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტომი* II, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. (თბილისი: მეცნიერება, 1993). 106-107.

მარცხნივ – დაკრძალვასთან შესაძლოა, გვქონდეს საქმე. თუმცა მსგავსი ქალის სახელი ჩვენთვის უცნობია. აქვე, №27 და №№ 28-29 სამარხების ანაზომებიდან ჩანს, რომ ები/ებია/ებიტა(?) სახელით მოხსენიებულ საფლავის ქვის ქვეშ, სამარხში ორი მიცვალებულის ნეშტი გამოვლენილა. ძნელია თქმა, ამ შემთხვევაში კოლექტიურ, ერთ სამარხში ერთიმეორეზე დაკრძალული ორი ადამიანის სამარხთან გვაქვს საქმე თუ სხვადასხვა სამარხის სხვადასხვა ნეშტთან. მეტად სავარაუდოა რომ თავდაპირველად №27 და №29 სამარხები მოეწყოთ. ისინი თითქმის ერთდროულადაა გამართული. შემდგომში №29 სამარხის მიცვალებულზე ახალი მიცვალებული უნდა დაესვენებინათ – №28. სავარაუდოდ ამ პერიოდისთვის მემორიალური ქვები სამარხებზე აღმართული იყო. გამოდის, რომ დმ. 32 საფლავის ქვა ეკუთვნოდა №27 მიცვალებულს, ხოლო № დმ.26 საფლავის ქვა №29 მიცვალებულს. ჩვენი ვარაუდით, რაღაც დროის შემდგომ, რაც №29 მიცვალებულზე №28 მიცვალებული დაკრძალეს, უკვე ორივე სამარხის მიცვალებულისთვის არსებულ დმ.26 საფლავის ქვაზე წარწერაც გაუკეთეს (ილუსტ. 82-83). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთის ფასადზე ამ დროს ჯვრის გამოსახულება უკვე არსებობდა და ამიტომ წარწერა საფლავს ქვის საპირისპირო წახნაგზე – დასავლეთი ფასადის სადა და თავისუფალ სივრცეზე ამოკვეთეს. თუ ჩვენი ვერსია სწორია, გამოდის რომ №28 მიცვალებულის სახელია **ებია**, როგორც ამას საფლავის ქვის ეპიტაფია გვეუბნება.

ილუსტრაცია 82. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13-ის მიმდებარედ. №27 და №28 (ებიას) სამარხები გახსნის შემდეგ. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ილუსტრაცია 83. დმანისის სამაროვანი, თხრილი №13-ის მიმდებარედ. №28 სამარხის მიცვალებულს ქვეშ გამოვლენილი კიდევ ერთი ნეშტი №29 მიცვალებული. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

გარდა პალეოგრაფიული ნიშნებისა, სამარხის თარიღის განსასაზღვრად უღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამარხეულ მასალას, რომელიც არქეოლოგიური დოკუმენტაციის მიხედვით № დმ.26 საფლავის ქვის ქვეშ, 0.90 მეტრ სიღრმეზე, №28 მიცვალებულის, ჩვენი ვარაუდით, ებიას ნეშტთან აღმოჩნდა.

№28 მიცვალებულის მენჯის არეში აღმოჩნდა ქამრის დაზიანებული რკინის ბალთის ოთხკუთხა აბზინდა (საველე №03:5-87-186), ხოლო მიცვალებულის ნეშტის მარცხენა მხარეს ორი სპილენძის მონეტა (საველე №03:5-87-187 და №03:5-87-188).[277] ერთი ლავიწისა და მხრის ძვალთან, მეორე კი გულის არეში (ილუსტ. 84).

№28 მიცვალებულთან აღმოჩენილი სპილენძის მონეტები XIII საუკუნით განისაზღვრა. სპილენძის ფული მოჭრილია თბილისში, დავით ნარინის სახელზე ჰიჯრით 645 წელს (=1247/48 წწ).[278]

[277] 2015 წელს, დმანისის ქართულწარწერიანი საფლავის ქვების შესახებ და ამ კონკრეტული სამარხის პუბლიკაციის დროისთვის ინფორმაცია №28 სამარხში მონეტებისა და ბალთის აბზინდის აღმოჩენის შესახებ არ გაგვაჩნდა. თუმცა, შემდგომში, ძველი ჩანაწერების მითითებებითა და ძველი ფოტო ნეგატივების გაციფრულებით, ფოტოქაღალდისგან განსხვავებით, სამარხში არსებული ვითარების გარჩევითობა გაიზარდა და როგორც ზემოთ ფოტოზე დავინახეთ, ზემომოყვანილი სამარხეული მასალის მიცვალებულთან მდებარეობაც განისაზღვრა. ვახტანგ ჯაფარიძის პირად მასალებში შემორჩენილი და ჩვენთვის უცნობი ძველი საველე ჩანაწერებისა და ფოტომასალის მოწოდებისთვის უდიდეს მადლობას მოვახსენებთ მის შვილს, ბატონ დავით ჯაფარიძეს. საველე დღიურების ჩანაწერებში აღნიშნულია რომ მონეტები სპილენძის, და არაბულწარწერიანი იყო. სავარაუდოდ დავით ნარინის სახელზე მოჭრილი.

[278] მონეტების განსაზღვრისთვის დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ ნუმიზმატ მაია პატარიძეს.

ილუსტრაცია 84. №28 სამარხში გამოვლენილი მიცვალებულის ჩონჩხი (ეგია) და სამარხეული მასალა: ორი სპილენძის მონეტა (საველე №03:5-87:187 და №03:5-87:188) და რკინის ოთხკუთხა ბალთა (საველე №03:5-87:186). 1987 წელი. ფოტო სლაიდი: დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

№27 და №28 სამარხის ნეშტების ალაგების შემდეგ, დაახლოებით იმავე სიღრმეზე (0.95 მ) აღმოჩნდა სპილენძის (ბრინჯაოს?) ბეჭედი (საველე №03:5-87:190), თხელი, ოვალური მოყვანილობის ფარაკითა და ასეთივე თხელი, ბრტყელი ღეროთი (ილუსტ. 85). მსგავსი ტიპის ბეჭდები სიონიდან XI-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული.[279]



ილუსტრაცია 85. №28 სამარხში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი ბეჭედი (საველე №03:5-87-190), ორი სპილენძის მონეტა (საველე №03:5-87:187 და №03:5-87:188) და რკინის ოთხკუთხა ბალთა (საველე №03:5-87:186)

აღნიშნულ ეტაპზე, ჩვენს ხელთ არსებული და სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, №№ 28-29 სამარხის თარიღი შესაძლოა უფრო დაზუსტდეს და იგი ზოგადი XIII საუკუნის ნაცვლად XIII საუკუნის შუა ხანებით ან XIII საუკუნის II ნახევრით განისაზღვროს. ასევე, აღნიშნულ სამარხზე აღმართული ეპიტაფიანი საფლავის ქვა და წარწერაც (საინვ. № დმ.26) შესაძლოა, ამავე პერიოდში შესრულებულად მოვიაზროთ და, როგორც წინა შემთხვევაში, ისე ახლაც,

[279] რამინ რამიშვილი, სიონი, *ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები* I, (თბილისი: მეცნიერება, 1970), 108-110, 109, სურ. 15, №75.

ეპიტაფიის ზოგადი პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინება, აღნიშნულ დათარიღებას, სავარაუდოდ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.[280]

წარმოდგენილი ეპიტაფიანი საფლავის ქვის თარიღის განსაზღვრისას, ასევე, გასათვალისწინებელია ზემოაღნიშნულ წარწერიანი საფლავის ქვასთან გამოვლენილი, ჩვენი ვარაუდით, თანადროულად აღმართული მეორე უწარწერო საფლავის ქვის დათარიღების მცდელობაც,[281] რომელიც ასევე ჩვენი ვარაუდით XIII საუკუნეზე მოდის. ჩვენ მიერ შემოთავაზებული თარიღის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს მომიჯნავედ, იმავე არქეოლოგიურ დონეზე არსებული სამარხებისა და სამარხეული ინვენტარის (მათ შორის რუსუდან მეფის სპილენძის მონეტის) თარიღი, რომელიც XIII საუკუნით განისაზღვრება.

ამდენად, შეჯამების სახით შეიძლება რამდნიმე საკითხის დასკვნის ფორმულირება მოვახდინოთ.

წერილობითი წყაროების, გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის, ისტორიულ-არქიტექტურული ნაშთების მიხედვით, განვითარებული შუა საუკუნეების დმანისი მრავალეთნიკური, განსხვავებული კონფესიის მოსახლეობით დასახლებული ქალაქია. სხვადასხვა რელიგიისა და კულტურათა თანაარსებობა, მათი ურთიერთგავლენა, ასახულია არქეოლოგიურად გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლებზე, და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დმანისის სამაროვნის მაგალითზე.

---

[280] ჩვენ მიერ შემოთავაზებული არქეოლოგიური და პალეოგრაფიული დათარიღება როგორც ებია/ებიტას ისე ოქრო/ოქრუას ეპიტაფიის შესახებ გაზიარებულია დმანისის წარწერების შემსწავლელი ჯგუფის მიერ: ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, 73-75.

[281] ეპიტაფიის შინაარსისა და ფორმულირების მსგავსების მიხედვით შესადარებელ მასალად შესაძლოა მოვიყვანოთ, რამდენიმე წლის წინ, გელათში, დავით აღმაშენებლის კარიბჭეში აღმოჩენილი ადაჲს ნერჩჲს ძის საფლავის ქვა და მასზე არსებული ეპიტაფია რომლის თარიღიც, ავტორის მიხედვით, XIII საუკუნის II ნახევრით განისაზღვრა: გიორგი გაგოშიძე, „ადაჲს ნერჩჲს ძის ეპიტაფია გელათიდან“, *ძველი ხელოვნება დღეს, 02/2011,* (თბილისი, 2011), 21-26.

დმანისის ქალაქობის პერიოდის სამაროვანი წარმოდგენილია მუსლიმური და ქრისტიანული (ქალკედონური) ქართულ-სომხური უბნებით. გვხვდება როგორც არაბულწარწერიანი, ისე სომხურწარწერიანი საფლავის ქვები. ისინი XIII-XIV საუკუნეებითაა დათარიღებული.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დმანისის სამაროვანზე ორი ქართულწარწერიანი საფლავის ქვის გამოვლენა, რომელთა კვლევის შედეგების პუბლიკაციაც მხოლოდ ამჟამად მომზადდა, იმ მოსაზრების საპირისპიროა, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში ქართველებს ტრადიციად არ ჰქონდათ საფლავის ქვების ეპიტაფიებით შემკობა. შესაბამისად, ამ მიზეზით არ გვხვდებოდა ისინი დმანისის სამაროვანზე, სხვა, თანადროულ არაბულ და სომხურწარწერიანი საფლავის ქვების გვერდით.

დმანისის სამაროვნის სამხრეთ ნაწილში, №5 თხრილში აღმოჩენილი სამარხების ჯგუფი, სამარხეული მასალის, ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით, განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. №5 თხრილის სამარხების ჯგუფში შემავალი №5 და №6 სამარხები მიწისზედა საფლავის მოწყობის ხასიათის მიხედვით ცოლ-ქმრისთვის განკუთვნილ მემორიალურ ძეგლად მიგვაჩნია. №5 სამარხს, სავარაუდოდ, ცოლ-ქმართაგან მამაკაცისთვის განკუთვნილ საფლავის ქვას (საინვ. № დმ.15) გააჩნდა ქართული ასომთავრული წარწერა. ქარაგმების გახსნის შემდგომ ეპიტაფია შესაძლოა ასე წაიკითხოს: **„ქ[(რისტ)ე] ღ(მერთ)ო, |² შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლ|³ი ოქრ/{ოჲ})/|⁴სი“.** წარწერიანი საფლავის ქვის შემცველი №5 სამარხი, აქვე გამოვლენილი არქეოლოგიური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა, XIII საუკუნის I ნახევრით დათარიღდეს. აღნიშნული სამარხის წარწერიანი საფლავის ქვის ზოგადად XIII საუკუნით დათარიღებას ეპიტაფიის პალეოგრაფიული მხარეც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

წარმოდგენილი მეორე წარწერიანი საფლავის ქვა აღმოჩენილია დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, არქეოლოგიური გათხრების №13 თხრილის

სიახლოვეს. № 28-29 სამარხებზე აღმართულ სტელისებრ საფლავის ქვაზე (საინვ. № დმ.26) ამოკვეთილი ეპიტაფია ქარაგმების გახსნის შემდეგ შემდეგნაირად შეიძლება წავიკითხოთ: **„ ⲫ[ⲩ]ⲗⲥⲁ |[2] ⲉⲃ{ⲓⲁ}ⲥⲁ |[3] ⲙ(ⲉⲩⲛⲇⲉⲃ)ⲛ ⲉ(ⲙⲉⲣⲧⲙⲁ)ⲛ“.**

ვაზუსტებთ ზემომოყვანილი საფლავის ქვის წარწერის და შესაბამისად სამარხის, 2015 წლის სტატიაში შემოთავაზებულ თარიღს – ზოგად XIII საუკუნეს,[282] და კვლევის აღნიშნულ ეტაპზე ებიას საფლავის ქვის ეპიტაფიას XIII საუკუნის შუა ხანებით ან მეტადრე მას XIII საუკუნის II ნახევრით ვათარიღებთ.

ამდენად, დღეისთვის არსებული მონაცემების, ნაშრომში წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში დმანისის სამაროვანზე არსებობდა როგორც არაბულ და სომხურწარწერიანი, ისე ქართულწარწერიანი მემორიალების მოწყობის ტრადიცია.

სადოქტორო ნაშრომის მომზადების ფარგლებში წარმოდგენილი განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები და მათთან დაკავშირებული კვლევა, ვფიქრობთ რომ, მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი გარემოების გამოც: როგორც ზემოთ აღინიშნა, არქეოლოგიური მასალის სიმცირის, უმეტეს შემთხვევაში კი არარსებობის პირობებში, დამკვიდრებული იყო აზრი, რომ თითქოსდა განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული არ იყო მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენელთა სამარხებზე დეკორირებული და ეპიტაფიანი ქვების აღმართვა. ამჟამად, ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების მონაცემებიდან გამომდინარე, ეს შეხედულება შესაძლოა, შეიცვალოს. ეს პირველ რიგში ეხება შუა საუკუნეების დმანისსაც. იმედი გვაქვს, რომ მომავალში მეტი ყურადღება დაეთმობა შუა საუკუნეების ქალაქების სამაროვნების არქეოლოგიურ კვლევას, ამ ტიპის მემორიალური ძეგლების გამოვლენას და ფიქსაციას.

---

[282] , განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, 56-58.

3.6. დმანისის სამაროვანზე გამოვლენილი სხვა ქრისტანული (სავარაუდოდ ქართული) მემორიალური ძეგლები

3.6.1. სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზ. №280) და სარკოფაგისებრი და სტელისებრი საფლავის ქვებისგან შედგენილი მიწისზედა მემორიალი სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თხრილი №9

დმანისის სამაროვანზე გამოვლენილი მრავალრიცხოვანი, ამ შემთხვევაში ქრისტიანული მემორიალური ძეგლების, სრულად წარმოდგენა ჩვენ კვლევაში, ნაშრომის მიზნებისა და მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნება. ეს საქმე ჩვენი სამომავლო კვლევების გეგმებშია განსაზღვრული. აღნიშნულ ეტაპზე კი, დამატებით რამდენიმე ცალკეულ მემორიალურ ძეგლს წარმოვადგენთ რომელებიც ჩვენი ნაშრომის თემას უფრო მეტად ეხმიანება.

მეტად საინტერესო ჩანს დმანისის სამაროვნიდან 1963 წელს დმანისიდან თბილისში ჩამოტანილი და ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ნიმუში სამუზეუმო ნომრით 280.

აღნიშნული სტელისებრი საფლავის ქვა ზომით 0.32x0.07x0.18 მეტრი გამოთლილია მოწვანო-მონაცრისფრო ტუფისგან (ილუსტ. 86).

ილუსტრაცია 86. სტელისებრი საფლავის ქვა (სამუზ. №280). ფოტოზე, აღმოსავლეთი და დასავლეთი წახნაგები. დმანისის ნაქალაქარი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2018)

არ ვიცით საფლავის ქვის საერთო სიმაღლე რადგან სტელის ქვედა, ძირწაწვეტებული მიწაში ჩასამაგრებელი ნაწილი მოტეხილია და შესაბამისად აკლია. ამდენად, შემორჩენილია მხოლოდ მიწისზედა, ფასადური, კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი წახნაგები.

საფლავის ქვის, სავარაუდოდ აღმოსავლეთ წახნაგზე (ფასადზე 0.32x0.18 მ), რომელიც დაბალრელიეფური ლილვის ხაზის სწორკუთხოვან ჩარჩოთია შემოსაზღვრული, ამოკვეთილია რელიეფური, ხუთ საფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. გამოსახული ჯვრის მკლავები შედგენილია ერთმანეთის

პარალელური დაბალრელიეფური ორი ლილვისგან რომლებიც ჯვრის მკლავების დაბოლოებებში ერთმანეთს კვეთს და ჯვრის მკლავების სამშვერილიან ბურთულისებრ წნულ დაბოლოებებს ქმნის.

გამოსახული ჯვრის ზედა და მარჯვენა მკლავს შორის, შესაბამისად საფლავის ქვის აღმოსავლეთ ფასადის ზედა სამხრეთ მეოთხედში ადამიანის სრული რელიეფური გამოსახულებაა მოცემული. იგი თითქოსდა ჯვრის მარჯვენა მკლავზე ფეხებითაა შემომდგარი. ადამიანის ფიგურა შემოსილია გრძელი, გაშლილი და კიდეებ აპრეხილი კაბით. ფიგურას თავზე მაღალი პრიზმული ფორმის წვეტიანი ქუდი ახურავს. საფლავის ქვაზე გამოსახულ ადამიანს ხელში მოგრძო ჯოხისებრი, ბოლოსკენ ბურთულით დაბოლოებული ნივთი უჭირავს რომელზეც მარჯვენა ხელის მტევანი უდევს. აღნიშნული ნივთის ხელში ჭერის სურთი თითქოსდა სიმებიან საკრავ ინსრუმენტზე დაკვრის სიუჟეტს გვაგონებს. მართლაც, შესაძლოა საფლავის ქვაზე გამოსახულ ადამიანს რაიმე სიმებიანი საკრავი, მეტად სავარაუდოა ფანდური ეკავოს ხელში.

სავარაუდოდ, საფლავის ქვაზე გამოსახული მამაკაცი გარდაცვლილი პიროვნების მემორიალური პორტრეტია.

ზემოაღწერილი, ანალოგიური ზომებისა და ფორმის, ხუთსაფეხურიან კვარცხბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული საფლავის ქვის სავარაუდოდ დასავლეთ წახნაგზე. საფლავის ქვის სამხრეთი და ჩრდილოეთ წახნაგები (0.32x0.07 მ) კი სადაა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში დაცული საფლავის ქვა სამუზეუმო ნომრით 280 ჩვენთვის სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვითაა საინტერესო.

პირველი რიგში, აღსანიშნავია რომ აღნიშნული საფლავის მემორიალისთვის გამოყენებული მასალა, დამუშავების ტექნიკა, ზომები, ხუთსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული სქემატური და წნული ჯვრის გამოსახულება, სტილისტურად იმეორებს ჩვენს მიერ ზემოთ, ვრცლად განხილულ დმ.32 საფლავის ქვას რომელიც სამაროვნის №13

თხრილთან, ებიას ეპიტაფიან საფლავის ქვასთან ერთად აღმოჩნდა. ეს ორი საფლავის ქვა იმდენად ჰგავს ერთმანეთს რომ ერთი მეორის ასლის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქვეა განსხვავება დასავლეთი ფასადის სიუჟეტებში. №280 საფლავის ქვის შემთხვევაში აღმოსავლეთი ფასადის სიუჟეტი კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის თემით დასავლეთ ფასადზეც მეორდება ადამიანის გამოსახულების გამოკლებით, ხოლო დმ. 32 საფლავის ქვის დასავლეთ ფასადზე კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის ნაცვლად, მთელ ფასადზე სწორკუთხოვან ჩარჩოში ჩაწერილი წნული ორნამენტია გამოსახული.

ჩვენი ღრმა რწმენით, ორივე ზემოგანხილული საფლავის ქვა, ერთი და იმავე პერიოდის, უფრო მეტიც, ერთი და იმავე ხელოსნის ხელწერით შესრულებული მემორიალური ძეგლები უნდა იყოს. შესაბამისად, №280 საფლავის ქვა დმ.32 საფლავის ქვის მსგავსად XIII საუკუნით, მეტადრე შუა ხანებით ან XIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

მეორე, რაც ჩვენი აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლეა, ის არის რომ XIII საუკუნით დათარიღებულ №280 საფლავის ქვაზე ადამიანის, სავარაუდოდ გარდაცვლილი პიროვნების მსგავს გამოსახულებას ვხვდებით.

სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ქრისტიანული ეპოქის მემორიალურ ძეგლებზე, ყველაზე ადრეულ, გარდაცვლილი პიროვნების გამოსახვას ბოლნისში, „ლამაზი გორიდან“ მომდინარე მასალებში ვხვდებით. „ლამაზი გორიდან“ ცნობილი ეს ე.წ. „პიტიახშის სტელა“ V-VI საუკუნეებითაა დათარიღებული.[283] შესაძლოა, აქ აღმოჩენილი ე.წ. „პიტიახშის“ გამოსახულება ბრტყელ სტელისებრ ქვაზე შესრულებული გარდაცვლილი პიროვნების პორტრეტული გამოსახვა იყოს. მით უმეტეს, რომ მსგავსი ქვები, სხვადასხვა ეპიტაფიებით, დანამდვილებით მათ მემორიალურ ძეგლებთან კავშირს ადასტურებს.

[283] ჯუანშერ ამირანაშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები (საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის არქეოლოგიური მასალის მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1968), 27-34.

ამ ადრე შუა საუკუნეების ნიმუშის შემდგომ, ადამიანის გამოსახულებიანი საფლავის ქვებს თითქოსდა განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდამდე არ ვხვდებით.

ამ საკითხის განხილვისთვის საინტერესო უნდა ჩანდეს სომხეთში, არაგაწონის პროვინციის სოფელ კოშში მდებარე XIII საუკუნის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელიც ცნობილია სამხრეთ ფასადზე შესრულებული მხარგრძელთა ქართული ასომთავრული წარწერებით.[284]

სავარაუდოდ ადამიანის სქემატური ჰორელიეფური გამოსახულება უნდა იყოს გადმოცემული სოფელ კოშის დარბაზული ეკლესიის ჩრდილოთ ფასადთან მდებარე ბრტყელზედაპირიანი მართკუთხედისებრ საფლავის ქვაზე. საფლავის ქვაზე ქართულწარწერიანი ეპიტაფიაა მოცემული, რომელიც შესაძლოა ასევე XIII საუკუნით თარიღდებოდეს.[285]

საფლავის ქვაზე არსებული სქემატური გამოსახულება საფლავის ქვის ზედაპირის ერთგავრი ჩარჩოს შთაბეჭდილებას ტოვებს და თითქოსდა ერთნავიანი, შვერილაფსიდიანი ეკლესიის მოხაზულობას იმეორებს. ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ნეკრესში, ჭაბუკაურის ბაზილიკაზე აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეების ბრინჯაოს ჭრაქი ერთნავიანი და შვერილაბსიდიანი მოხაზულობის კვარცხლბეკისებრ სადგარზე დგას და ეს სადგარი ეკლესიის ერთგვარ მოდელს წარმოადგენს.[286] საფლავის ქვები რომ ხშირ შემთხვევაში ეკლესიის სიმბოლოს და მოდელს გამოსახავდნენ ეს დმანისის სამაროვანზეც შეგვიძლია ვიხილოთ, სადაც ისინი ორფერდად გადახურული ეკლესიის მოდელს გამოხატავენ. ასეთ ქვებს, როგორც ეს

---

[284] Акакий Шанидзе, Грузинская надпись XIII века в сел. Кош, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I,* (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959), 7-20.

[285] ჩვენ უშუალოდ ვნახეთ ეს საფლავის ქვა.

[286] Nodar Bakhtadze, Vazha Mamiashvili, Bachana Gabekhadze, Jimsher Chkhvimiani, *An Archaeological Study of The Ancient Churches in The Former City of Nekresi,* (Wojnowice, 2018), 43-44, სურ. 40.

სამაროვნის ძეგლების შესახებ ტექსტის შესავალში ვთქვით, ჩრდილოეთ და სამხრეთ გვერდებზე ხშირ შემთხვევაში ცრუ თაღნარები ამშვენებთ, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე ჯვრები. შესაძლოა გვეფიქრა, რომ ბრტყელზედაპირიან საფლავის ქვებზე არსებული გამოსახულებები, რომლის ადრეულ ნიმუშსაც კოშის ეკლესიასთან არსებული საფლავის ქვაზე ვხვდებით, ასევე ეკლესიის მოდელს, მის სქემატურ გამოსახულებას გადმოსცემდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე ეპოქის მსგავსი ტიპის გამოსახულებებზე „შვერილი აფსიდები“ ყოველთვის დასავლეთის მხარესაა. ეკლესიის მოდელის შემთხვევაში, წესით აფსიდი აღმოსავლეთით უნდა იყოს მიმართული. ამდენად, კოშის საფლავის ქვაზეც აფსიდისებრი მორკალური შვერილი სწორკუთხოვანი მართკუთხედის ფორმიდან, დასავლეთითაა მიმართული, საითაც ქრისტიანული დაკრძალვის წესის მიხედვით, გარდაცვლილი ადამიანის თავი უნდა მდებარეობდეს. ამდენად, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ თავდაპირველად ბრტყელზედაპირიან საფლავის ქვებზე ერთნავიანი ეკლესიის აფსიდშვერილიანი მოდელის იდეასაც გამოსახავდნენ, მაგრამ შემდგომ, გვიან შუა საუკუნეებში, ეს სქემატური გამოსახულებები ნელ ნელა ადამიანის ჰორელიეფური გამოსახულების ფორმებს იძენს და უფრო დეტალური ხდება. იკვეთება დასავლეთით მდებარე ადამიანის თავი, სახე, თვალები, პირი და ტანის ნაწილები. ამდენად, შეიძლება თვალი ვადევნოთ ადამიანების ჰორელიეფური გამოსახულებების განვითარებას მარტივი სქემატური მოხაზულობიდან დეტალურ, ადამიანის სრულ გამოსახულებამდე.

ჩვენი ვრცელი მსჯელობა ამ საკითხზე, კერძოდ №280 საფლავის ქვაზე გამოსახულ ადამიანის ფიგურას უკავშირდება, რომლის პარალელიც, განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოდან, თითქოს არ გვახსენდება. სამაგიეროდ, მსგავსი ტიპის მიცვალებულთა გამოსახულებები მრავლად გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების ჰორიზონტულად განლაგებულ ბრტყელზედაპირიან საფლავის ქვებზე და ზოომორფულ საფლავის ქანდაკებებზე. ასეთ სიუჟეტებში, გარდა გარდაცვლილი ადამიანის გამოსახულებისა, მისი ცხოვრების წესის ამსახველი, სოციალური სტატუსისა თუ საქმიანობის გამომხატველი საგნებიცაა წარმოდგენილი. ამდენად, ამ საგნების

დანიშნულების გარკვევის საფუძველზე, ხშირად დავადგენთ ხოლმე საფლავის ქვებზე გამოსახული ადამიანების პროფესიას. მაგალითად, გვხვდება მხვნელ-მთესველების (მიწათმოქმედების), მჭედლების, ფეიქრების, მწყემსების, მუსიკოსების, მონადირეების, მეომრების საფლავები და ა.შ.

ამდენად, დმანისის სამაროვნის XIII საუკუნის საფლავის ქვაზე არსებული გარდაცვლილი პიროვნების გამოსახულებითი სიუჟეტი, შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში იყოს უკვე შემდგომში, გვიან შუა საუკუნეებში მემორიალურ ძეგლებზე გავრცელებული მხატვრული მოტივებისა, რომელთაც ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელ სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში, როგორც ქართულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ საფლავის ქვებზე, განსაკუთრებით კი ზოომორფულ მემორიალურ ძეგლებზე.[287]

№280 საფლავის ქვაზე გამოსახული ადამიანი სავარაუდოდ სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტით, ფანდურითაა გამოსახული და მისი ამგვარად გამოსახულება საფლავის ქვაზე, გარდაცვლილის ცხოვრების პერიოდში მის პროფესიას თუ არა, შემოქმედებით, მუსიკალურ შესაძლებლობებს და ნიჭს მაინც უსვამს ხაზს.

კიდევ ერთი, საინტერესო მემორიალური ძეგლი, დმანისის სამაროვნის ქრისტიანული ნაწილის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. სამწუხაროდ, აღნიშნული მემორიალის გამოვლენისა და გათხრის შესახებ საველე-არქეოლოგიურ დოკუმენტაციაში ტექსტური მასალა ვერ მოვიძიეთ. გაგვაჩნია მხოლოდ ფოტო მასალა, რომელიც ასახავს აღნიშნული მემორიალის მოწყობის სურათს.

სავარაუდოდ, ჩვენთვის საინტერესო სამახრზედა მემორიალური ძეგლი მოწყობილი იყო წმ. თევდორეს ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე ათეულ მეტრში. აქვე იწყებოდა სოფლის დასახლება და ფოტოზე ჩანს, რომ მემორიალი ერთ-ერთი მაცხოვრებლის კარმიდამოსთან, საოჯახო მეურნეობის აქტივობის არეალშია

[287] ელდარ ნადირაძე, *საქართველოს ზოომორფული ძეგლები,* (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996).

მოქცეული. 1976 წელს გადაღებულ ფოტოზევე აღბეჭდილია რომ სამახზედა მემორიალი საკმაოდ დაზიანებული იყო. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ შედგენილი მემორიალის ქვების ნაწილი, კონკრეტულად კი სტელისებრი ორ ქვა, გადარჩენის მიზნით გადაიტანეს დმანისის ექსპედიციის არქეოლოგიურ საცავში სადაც ისინი დღესდღეობითაც ინახება.



ილუსტრაცია 87-88. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის მიწისზედა მემორიალი. 1976 წელი. ფოტო: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

1976 წელს სამაროვნის აღნიშნულ ნაწილში გადაღებული ფოტოს მიხედვით (ილუსტ. 87-88), ჩვენთვის საინტერესო მემორიალი სამი სეგმენტისაგან შედგებოდა. მემორიალის ყველაზე დიდ ნაწილს ჰორიზონტულად განლაგებული, სარკოფაგისებრი ფორმის სახურავისებრად დახრილი ორფერდა ზედაპირის მქონე მართკუთხა ქვა შეადგენდა. ზომები: სიგრძე 1.20 მ; სიგანე 0.25 მ; სმაღლე 0.30 მ.[288] საფლავის ქვის ზედაპირის ორივე დაქანებული ფერდი, სქელი ლივლისებრი ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული.

[288] სიმაღლის რეკონსტრუქციას ვახდენთ ფოტოზე გამოსახული მასშტაბის საფლავის ქვასთან შედარების მიხედვით.

1976 წელს გადაღებული ამავე ფოტოს მიხედვით, მოგრძო სარკოფაგისებრ საფლავის ქვის თავსა და ბოლოში, ქვის დაზიანებული სტელები იყო აღმართული. აღნიშნული სტელები, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამადაც ექსპედიციის საცავში ინახება.

2016 წელს, სამაროვნის ამავე ტერიტორიაზე მივაგენით ზემოთ განხილული მემორიალის შუა ნაწილის, სარკოფაგისებრი მოგრძო ქვის ფრაგმენტს. გამოვლინდა საინტერესო დეტალი. აღნიშნული ქვის დასავლეთ გვერდზე სწორკუთხა და ტოლმკლავა ჯვარი აღმოჩნდა გამოსახული (ილუსტ. 89).

ილუსტრაცია 89. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სამარხის მიწისზედა, 1976 წელს დაფიქსირებული მემორიალიის ფრაგმენტი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2016)

მსგავსი ტიპის საფლავის ქვებზე ჯვრის გამოსახვას დასავლეთ წახნაგზე სხვაგანაც ვხვდებით. მხოლოდ, უცნაურია, რომ აღნიშნული მემორიალის მოწყობისას, მის დასავლეთ მხარეს, თავთან აღმართულ სტელას, ლოგიკურად, ეს ჯვარი უნდა დაეფარა.

მოგრძო სარკოფაგისებრ საფლავის ქვების დასავლეთ მხარეს, მიცვალებულის თავთან დამატებით სტელისებრი ქვების აღმართვის ტრადიცია, როგორც ზემოთ, №5 თხრილში გამოვლენილი ოქრო/ოქრუას და მისი მეწყვილის მემორიალების შემთხვევაში ვნახეთ, დმანისის სამაროვანზე ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ზოგადად, მიცვალებულის თავთან სტელის, ხოლო ფეხებთან ქვის საშუალო ზომის ლოდის

მოთავსებას ვხედავთ №13 თხრილში ებია/ებიტას მიწისზედა მემორიალის მოწყობის შემთხვევაშიც. თუმცა, ჯერ-ჯერობით არ დაგვიფიქსირებია მსგავსი სურათი, როცა სარკოფაგისებრი ფორმის ქვების ორივე დაბოლოებასთან – დასავლეთ თავთან და აღმოსავლეთ ბოლოშიც სტელები ყოფილიყოს აღმართული.

მემორიალის დასავლეთ მხარეს აღმართული სტელისებრი საფლავის ქვის (დმ.17) ზედა ნაწილი დაზიანებულია. სტელის ზომებია: სიმაღლე 0.52 მ; სიგანე 0.21 მ; სისიქე 0.14 მ. სტელის დასავლეთ წახნაგის ქვედა მხარე (0.22 მ) უხეშად დამუშავებული, ძირისკენ წამახვილებული, მიწაში ჩასაფლავი ნაწილია. სტელის საფასადო 0.21x0,30 მეტრი ზომის ზედა ნაწილში 0.15x0.23 მეტრი ზომის 1.5 სმ სიღრმის თაღოვანი ნიშია ამოჭრილი. ნიშის მთელ სიმაღლეზე ხელებაპყრობილი ადამიანის ფიგურაა გამოსახული. იგი გრძელი კაბითაა შემოსილი და ზეაპყრობილ ხელებში ჯვრები უკავია. გამოსახული ადამიანის სახის ზედა ნაწილი დაზიანებულია (ილუსტ. 90).

ილუსტრაცია 90. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მემორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (დმ.17). 1 - აღმ. წახნაგი, ფოტო; 2 - აღმს. წახნაგი, გრაფიკა; 3 - ჩრდ. წახნაგი, გრაფიკა. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი; ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

სტელის დასავლეთ წახნაგზე, საფასადო 0.21x0.30 მეტრი ზომის ზედა ნაწილში 0.14x0.24 მეტრი ზომის 1.5 სმ სიღრმის თაღოვანი ნიშია ამოჭრილი. ნიშის ამ შრიდან სიღრმეში მეორე, სამკუთხედი ნიში შედის. თაღოვანი ნიშის ზედა ნაწილი თითქოსდა საკურთხევლის კანკელის თაღს ჰგავს რომელიც წინგამოწეული სამფურცლოვანი ფესტონებითაა დამშვენებული (ილუსტ. 91). აღწერილი მხატვრული გაფორმება ძალიან ჰგავს დამნისის სიონის დასავლეთიდან XIII საუკუნის 10-20-იან წლებში მიშენებული კარიბჭის ფასადის ნიშებს. არ არის გამორიცხული, რომ საფლავის ქვის მკვეთელ ოსტატს აღნიშნული მოტივის კოპირება საფლავის ქვაზე სიონის კარიბჭის ფასადიდან მოეხდინა.



ილუსტრაცია 91. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მემორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (დმ.17). 1 – დას. წახნაგი, ფოტო; 2 – დას. წახნაგი, გრაფიკა; 3 – სამხ. წახნაგი, გრაფიკა. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი; ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2009)

სტელის ჩრდილოეთ და სამხრეთ წახნაგების საფასადო ზედა ნაწილებში (0.14x0.30 მ) 0.08x0.22 მეტრი ზომის და 1.5 სმ სიღრმის თაღოვანი ნიშებია ამოკვეთილი, რომლებშიც რელიეფური წნულორნამენტიანი ჯვრებია გამოსახული.

მემორიალის აღმოსავლეთ დაბოლოებასთან აღმართული სტელისებრი ქვა უფრო მეტად დაზიანებულია, ვიდრე პირველი (ილუსტ. 92). მომტვრეულია სტელის ზედა ნაწილი. სტელის შემორჩენილი საერთო სიმაღლე 0.51 მეტრს უდრის. აქედან 0.28 მეტრი სტელის მიწაში ჩასამაგრებელ ქვედა, წაწვეტებულ ნაწილზე მოდის. სტელის აღმოსავლთი წახნაგის საფასადო სივრცის სიგანე 0.22 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე 0.21 მ. საფასადო ზედაპირზე ამოკვეთილი 0.16 მეტრი სიგანის და 1.5 სმ სიღრმის, სავარაუდოდ თაღოვანი ნიში, რომლის ზედა ნაწილი, როგორც ვთქვით, შემორჩენილი არ არის. ნიშის ამ შრიდან სიღრმეში მეორე, 0.13 მეტრი სიგანის და სიღრმეში სამკუთხედი ფორმის ნიში შედის.



ილუსტრაცია 92. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილში 1976 წელს დაფიქსირებული სამარხის მიწისზედა მემორიალის შემადგენელი სტელისებრი საფლავის ქვა (აღმ. ნაწილში აღმართული სტელა). 1 – ჩრდ. წახნაგი; 2 – დას. წახნაგი; 3 – სამხ. წახნაგი; 4 – აღმ. წახნაგი. გრაფიკული ჩანახატი: ე. გომარელი

სტელის და დასავლეთ ფასადზე 0.21 მეტრი სიგანის ფასადზე 0.15 მეტრი სიგანის და 1.5 სმ სიღრმის ნიშია ამოჭრილი. ასევე, სავარაუდოდ, ამ თაღოვან ნიშში, ერთსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული იყო წნულმკლავებიანი ჯვარი (შემორჩენილია ჯვრის ქვედა მკლავი).

სტელის ჩრდილოეთ წახნაგზე ასევე თაღოვანი, 0.08x0.22 მეტრი ზომის და 1.5 სმ სიღრმის ნიშია ამოჭრილი, რომელშიც რელიეფური კვეთით გამოყვანილია გეომეტრიული და მცენარეული წნული ორნამენტები.

სტელის სამხრეთ წახნაგზეც, ჩრდილოეთ წახნაგის ანალოგიური 0.08x0.22 მეტრი ზომის და 1.5 სმ სიღრმის თაღოვანი ნიშია ამოღებული. პირველისგან განსხვავებით, აღნიშნულ ნიშში რელიეფური წნული ჯვრის ორნამენტებია მოცემული – ვერტიკალურად განლაგებული სამი ჯვარი.

განხილული სტელისებრი საფლავის ქვები გამოყენებული მასალის (მომწვანო-მონაცრისფრო ტუფი), ქვაზე კვეთის ტექნიკის, ფორმებისა და მხატვრული მოტივების მსგავსებით, №5 თხრილში გამოვლენილ, მათ შორის ოქრო/ოქრუას და მისი მეწყვილის საფალავის ქვების ანალოგიურია. ამდენად, დიდი ალბათობით ჩვენთვის საინტერესო ეს შედგენილი მომერიალიც შესაძლოა XIII საუკუნის I ნახევრით, ან ზოგადად XIII საუკუნით დათარიღდეს.

როგორც ფოტოდან ჩანს, სარკოფაგისებრი ორფერდა ზედაპირის მქონე საფლავის ქვის თავსა და ბოლოში აღმართული ოთხწახნაგოვანი სტელისებრი ქვები, მათთვის განკუთვნილ პოზიციაზე მოთავსების შემთხვევაში, ჩვენთვის უცნაურ რამდენიმე გარემოებას იწვევს: 1. დასავლეთ, მიცვალებულის თავთან აღმართული სტელა სარკოფაგისებრი ქვის დასავლეთ ფასადზე გამოსახულ რელიეფურ ჯვარს აბსოლუტურად ფარავს; 2. სავარაუდოდ დასავლეთ თავთან აღმართული სტელის აღმოსავლეთი ფასადის წახნაგის ნაწილი, მათ შორის ჯვრებით ხელებაპყრობილი ადამიანის ფიგურაც შესაბამისად ნაწილობრივ იფარებოდა; 3. ასევე, აღმოსავლეთ

ნაწილში აღმართული სტელის შემთხვევაში, იფარებოდა ამავე სტელის დასავლეთი წახნაგის საფასადო ფართობის წნული ჯვრის გამოსახულებიანი სიუჟეტის ნაწილი.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ გარდაცვლილის სამარხზე ჯერ სარკოფაგისებრი საფლავის ქვა დაიდგა, და უკვე შემდგომში მოხდა მის დასავლეთ თავსა და აღმოსავლეთ ბოლოში დამატებით ოთხწახნაგოვანი სტელების აღმართვა. პირადად ჩვენ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული სტელების აღმართვა ერთგვარი, აუცილებლობით, მემორიალების მოწყობის არსებული ტრადიციიდან გამომდინარე მათი არსებულ ადგილას მოთავსების აუცილებლობით იყო გამოწვეული.

სარკოფაგისებრი ჰორიზონტულად განლაგებული საფლავის ქვების თავსა და ბოლოში დამატებით სტელისებრი ქვების აღმართვას, ვხედავთ ისლამურ მემორიალურ კულტურაში, განსაკუთრებით კი ეს დამახასიათებილია სელჯუკური ტრადიციებისათვის. ასევე, სამარხების მსგავსად მოწყობის შემთხვევები გვხვდება ამიერკავკასიის ისლამურ სამაროვნებზე (მაგალითად ძველ ბაქოში)[289] და მათი თარიღი ეპიგრაფიკული მონაცემების მიხედვით XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრება.[290]

გვინდა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ დმანისის ქალაქობის პერიოდის სამაროვანზე მსგავისი ტიპის მემორიალების მოწყობის ტრადიცია, შესაძლოა ისლამური მემორიალური კულტურის გავლენით წარმოქმნილიყო. შესაძლოა გვეფიქრა ასევე, რომ ჩვენ მიერ ვრცლად განხილული მემორიალი რომელიღაცა დამნისელ, სოციალურად დაწინაურებულ და, შესაძლოა, გაქრისტიანებულ მუსლიმს ეკუთვნოდეს. ამაში უჩვეულო არც არაფერი იქნებოდა, თუ დმანისიდან მომდინარე, ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს კიდევ ერთხელ გადავავლებდით თვალს. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების დმანისში, სხვადასხვა ტრადიციებისა და კულტურების

---

[289] Василий Владимирович Бартольд, Отчет об осмотре древнего мусульманского кладбища в г. Баку, *Известия Императорской Археологической Комиссии, выпуск 16,* (Санкт-Петербург, 1905), 116-119.

[290] Машадиханум Нейматова, *Мемориальные памятники Азербайджана (XII-XIX века),* (Баку: Элм, 1981), 13-15.

სინკრეტიზმით ჩამოყალიბებული ადგილობრივი მატერიალური კულტურა მეტად თვალსაჩინოა.

სარკოფაგისებრი ფორმის ქვითა და სტელისებრი საფლავის ქვებით მოწყობილი მემორიალის თარიღის განსაზღვრისათვის, ამ შემთხვევაში კი დაზუსტებისათვის, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე, 1982 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული მონაცემები.

3.6.2. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. №9 არქეოლოგიური თხრილი

არქეოლოგიური გათხრები წმ. თევდორეს სამაროვნის ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით 25 მეტრში წარმოებდა, იქ სადაც, სავარაუდოდ 1976 წელს დაფიქსირებული ჩვენთვის საინტეროსო მიწისზედა მემორიალი მდებარეობდა. 8.00x8.00 მეტრი ზომის №9 არქეოლოგიურ თხრილში, რომელიც სოფლის მაცხოვრებელთა კარმიდამოსთან ახლოს და მათ არეალში იყო მოქცეული, 13 სამარხი დაფიქსირდა (ილუსტ. 93). ამთგან 11 ორმოსამარხი, ორი კი ქვის სამარხი აღმოჩნდა. სამარხებში ინდივიდუალრი და ქრისტიანული წესით დაკრძალვის წესი დადასტურდა. სამარხთაგან შვიდი (№№ 1, 2, 3, 5, 7, 8, 9) ბავშვის ან მოზარდის აღმოჩნდა. №№2, 2², 7 და 9 სამარხებში სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა (ილუსტ. 94).[291]

[291] 1982 წელს დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ დმანისისის ექსპედიციის ხელნაწერი საველე-არქეოლოგიური ანგარიშიდან: ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გივი ბოლქვაძე, მერი გოჩიაშვილი, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1982 წლის მუშაობის ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი: 1982, 8-12.



ილუსტრაცია 93. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. წმ. თევდორეს ეკლესია, №9 არქეოლოგიური თხრილი. დმანისის საველე-არქეოლოგიური ანაზომების მიხედვით, ჯ. ჩხვიმიანი (2015)

თხრილში გამოვლენილი საფლავის ქვები სახვადასხვა ზომის, ფორმისა და მასალის აღმოჩნდა. თხრილის საზღვრებში უხეშად დამუშავებული მოგრძო ლოდები ან საკოფაგისებრი მოყვანილობის ორფერდა დახრილი ზედაპირის მქონე საფლავის ქვები აღმოჩნდა.



ილუსტრაცია 94. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. №9 არქეოლოგიური თხრილი. გეგმა, ჭრილი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დოკუმენტაციის არქივი

ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი მონაცემები: თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ორფერდა ზედაპირიანი, სარკოფაგისებრი საფლავის ქვის (სიგრძე 2.00მ; სიგანე 0.50 მ) ქვეშ, 1.30 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი (№2) და მასში დაკრძალული მიცვალებულის დაზიანებული ჩონჩხი. სამარხში, მიცვალებულის თავის ქალის ორსავე მხარეს, გველისთავიანი ბრინჯაოს წყვილი საყურე აღმოჩნდა (ილუსტ. 95).



ილუსტრაცია 95. დმანისის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილში, 1982 წელს №9 არქეოლოგიურ თხრილში, №2 სამრხში აღმოჩენილი წყვილი საყურე (საველე № 03:2-82:106)

ინვენტარი აღმოჩნდა ასევე 1.20 მეტრ სიღრმეზე, №2 და №3 სამარხებს შორის მდებარე №2[2] სამარხში (ვერცხლის საყურე-რგოლი ღეროთი და მასზე ასხმული მარგალიტით); №7 ბავშვის სამარხში (1.50 მეტრ სიღრმეზე), სადაფის პატარა ჯვარი და სპილენძის მავთული; №9, ასევე ბავშვის სამარხში (1.30 მეტრ სიღმეზე) აღმოჩნდა ორი ცალი ყუნწიანი სფერული ღილი და ერთიც თეთრი ქვისგან დამზადებული.

ზემომოყვანილ არქეოლოგიურ მასალას პარალელები ეძებნება საკუთრივ დამნისის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხეულ მასალებში, სამაროვნის ისლამურ უბანში გამოვლენილ ნივთებში, რომლებიც სამარხი ქვების არაბული ეპიგრაფიკული მონაცემების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება.

ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია №9 თხრილის №2 ორმოსამარხში აღმოჩენილმა საყურეებმა. ჩვენი აზრით, აღმოჩენილი „პირდაღებული გველისთავიანი“ საყურეები, დრაკონის სიმბოლურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. საყურეები მრგვალგანივკვეთიანი, ღერომორკალული, გახსნილი 2 სმ დიამეტრის რგოლებია. ღეროს

დაწვრილებული დაბოლოება დრაკონის ფართოდ გაღებულ პირთანაა მიტანილი. მსგავსი ტიპის, პირღია დრაკონის გამოსახულებიანი საყურეების აღმოჩენის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა დმანისის სამაროვნის ისლამურ ნაწილში, №4 მრგვალი მავზოლეუმის საოჯახო სამარხების №5 საფლავის გახსნისას.

როგორც ცნობილია, განვითარებულ შუა საუკუნეებში გველეშაპის (დრაკონის) გამოსახულება გვხდება, როგორც შუა აზიურ, ისე ზოგადად მაშინდელი მსოფლიოს სელჯუკური მატერიალური კულტურის უძრავ და მოძრავ ძეგლებზე. ე.წ. „სელჯუკური ტიპის“ დრაკონი: მომცრო წვეტიანი ყურებით, ფართოდ გახსნილი პირითა და მოკაუჭებული ცხვირით დიდ სელჯუკთა დამახასიათებელ სიმბოლოდაც კი იქცა. ისლამურ სამყაროში გავრცელებული რწმენის მიხედვით, გველეშაპის გამოსახულება წარმოადგენდა ერთგვარ მაგიურ თილისმას. იგი, ერთის მხრივ, ადამიანს „ავი თვალისგან“ იცავდა, მეორეს მხრივ კი მას გარკვეულ მაგიურ ძალაუფლების ანიჭებდა.[292]

როგორც ქართული ხალხური ზღაპრების, ასევე ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, გველი ბოროტებასთან ასოცირდება. იგი მეტაფორული სახეა. ქრისტიანულ თეოლოგიაში გველეშაპთან ბრძოლა ბოროტებასთან, ცოდვასთან ბრძოლის სიმბოლოა. გველეშაპი/დრაკონი ყელგან ბოროტებას განასახიერებს და იგი ეშმაკთანაა გაიგივებული.[293]

დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნზე, ქრისტიანულ სამარხში სელჯუკური ტიპის დრაკონისთავიანი საყურეების აღმოჩენა დმანისის ქრისტიანულ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში ისლამური კულტურის გავლენებზე უნდა მიანიშნებდეს. როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ დმანისელ გაქრისტიანებულ მუსლიმებს ყოფით ცხოვრებაში და მემორიალურ,

---

[292] Sara Kuehn, The dragon in medieval East Christian and Islamic art / with a foreword by Robert Hillenbrand, *Islamic History and Civilization, Volume: 86,* (Leiden-Boston: Brill, 2011), 4, 35, 226.

[293] ელენე გოგიაშვილი, *მითოსური და რელიგიური სიმბოლიკის დინამიკა ზღაპრის სტრუქტურაში,* (თბილისი: უნივერსალი, 2011), 167-168.

დაკრძალვის ტრადიციებში, შემორჩენილი ჰქონოდათ ისლამურ რელიგიასთან დაკავშირებული გარკვეული წეს-ჩვეულებანი, რომლებიც, მეორეს მხრივ, შესაძლოა ლოკალური, ზოგად-დმანისური მატერიალური კულტურის ელემენტებსაც წარმოადგენდნენ.

3.7. დმანისის სამაროვნის სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლები

დამანისის შუა საუკუნეების სამაროვანზე ქართული და სომხური მემორიალური ძეგლები ერთად გვხვდება. როგორც ამას ლევან მუსხელიშვილი აღნიშნავდა, დმანისის სომხური მოსახლება ძირითადად ქალკედონური, ქართული ქალკედონიზმის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. ამ საკითხებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საყდრისქედის ეკლესიაში აღმოჩენილი წარწერების განხილვით, სადაც მოხსენიებული არიან „გაქალკედონებური/გაქართველებული“, სომხური წარმოშობის მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები. როგორც ზედა თავებში დავინახეთ, ქალაქობის პერიოდის დმანისში, მონოფიზიტური არქიტექტურული მახასიათებლების მატარებელი ეკლესია არ გამოვლენილა. ჩვენ მიერ სომხურად მოაზრებული ზემო უბნის პატარა ეკლესიაც (№1), ქალაქობის პერიოდში, როცა სომხური მოსახლეობა ქალაქის დიდ ნაწილს შეადგენდა, დიდი ალბათობით ქალკედონური იყო. მხოლოდ მოგვიანებით, გვიან შუა საუკუნეებში, №2 ეკლესიის სახით ჩნდება ზემო უბნის ეკლესიის კომპლექსში მონოფიზიტური ნიშნები. ამავე დროს, გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ შესაძლოა, როგორც ქალაქობის ხანაში, ისე გვიან შუა საუკუნეებში, გვერდი-გვერდ მდგარ ზემო უბნის ეკლესიებს იყენებდნენ როგორც მონოფიზიტი, ისე ქალკედონიტი სომხები და, ალბათ, ქართველებიც.

სავარაუდოდ, მსგავსი სურათი გვაქვს ქალაქის სამაროვნის ქრისტიანულ ნაწილში, სადაც ქართველი და სომეხი ქრისტიანები ერთად იკრძალებოდნენ (სვარაუდოდ, როგორც ქალკედონელები, ისე შესაძლოა მონოფიზიტებიც).

თითქოსდა, ლევან მუსხელიშვილი შენიშნავს სამაროვნის ერთ მცირე მონაკვეთს ჯვრიანი საფლავის ქვებით, რომელიც განცალკევებულია დანარჩენი ქრისტიანული საფლავებისგან და უშუალოდ აკრავს მუსლიმური სამაროვნის ნაწილს სამხრეთიდან. მუსხელიშვილი უშვებს ვარაუდს, რომ ეს პატარა განცალკევებული ტერიტორია, შესაძლოა სომეხი მონოფიზიტების დასაკრძალად ყოფილიყო განკუთვნილი.[294]

დმანსის სამაროვანზე დადასტურებულია ქალაქობის პერიოდის სომხურწარწერიანი საფლავის ქვები. სომხური ხაჩკარები დმანისის სამაროვნის გამორჩეულ მემორიალურ ძეგლებს წარმოადგენენ. აღნიშნული ხაჩკარები მაღალმხატვრული და ქვაზე კვეთის მაღალოსტატური ტრადიციული შესრულებით გამოირჩევიან.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, დმანისის სომხური ეპიგრაფიკა შესწავლილი და გამოცემული აქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს. ჩვენ ნაშრომში მის მიერ წაკითხულ რამდენიმე სომხურწარწერიან ხაჩკარს შევეხებით, რომლებიც დმანისის ქალაქობის ხანას უკავშირდება.

ქვემო ხაჩკარი (ილუსტ. 96), როგორც მას ლევან მუსხელიშვილი უწოდებს, მდებარეობს ქრისტიანული სასაფლაოს ცენტრალურ ნაწილში (ილუსტ. 55). მასიური ტუფის ლოდისგან გამოთლილი ხაჩკარის ზომებია 1.54x1.83 მეტრი. ხაჩკარს ერთი საფასადო მხარე დასავლეთ წახნაგზე აქვს და საუცხოოდაა ორნამენტირებული. ხაჩკარზე

[294] მუსხელიშვილი, დმანისი, 434; აქვე, შესძლოა ვიფიქროთ რომ ზედაპირულად საფლავის ქვების ხილული სამარხების ეს მცირე ჯგუფი შესაძლოა გვიან შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნებოდეს – დმანისის ქალაქობის შემდგომ პერიოდს, როდესაც მუსლიმი მოსახლება აქ უკვე აღარ ჩანს. შესაბამისად, გვიან შუა საუკუნეებში დმანისსა და ზოგადად ქვემო ქართლში ემიგრირებული სომხური მოსახლების ჯგუფებმა დმანისის სამაროვნის მუსლიმური უბანის ეს მცირე ნაწილი ხელახლა აითვისეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმედია პასუხებს მომავალი არქეოლოგიური კვლევები გასცემს.

გამოსახული ჯვრებიდან ყველაზე დიდი, აყვავებული ჯვრის რელიეფური სიუჟეტით, ფასადის ცენტრში ამოჭრილ დაახ. 10 სმ სიღრმის სწორმკლავა ნიშშია მოთავსებული. მთავარ ჯვარს გარშემო ამოკვეთილი სომხურწარწრიანი არშია („ზემო წარწერა“ – წარწერა №2) შემოუყვება, რომელიც თავის მხრივ ხაჩკარის გეომეტრიულ-მცენარეული მოტივებით შემკულ ჩარჩოში ექცევა. ხაჩკარზე გამოსახული ჯვრებიდან ორი, დიდი ჯვრის მკლავების ორსავე მხარეს, ხოლო დანარჩენი სამი ხაჩკარის ზედა ნაწილში, ლავგარდანის ფორმის შვერილზეა ამოკვეთილი. ხაჩკარი ჩასმულია ქვისგან გამოთლილ მართკუთხედის ფორმის ბაზისში (1.53x0.50 მ). აღნიშნულ ბაზისსაც კვეთით შესრულებული, სომხური ასომთავრული წარწერა („ქვემო წარწერა“ – №1) ამშვენებს. როგორც ჩანს, ხაჩკარი მოთავსებული ყოფილა აგურით აგებულ თაღოვან ნიშში, რომელიც დღეისათვის ჩამოშლილია.

ორსტრიქონიანი ქვემო წარწერა (წარწერა №1):

1. Ի ԹՎԻՍ ՉԼԷ ԵՍ Յ[ԱԿ]ՈԲ ԵՐԷՑ ԵԻ ԵՂԲԱՅՐ ԻՄ [ՔԱՐԻ]

2. ՄԱԴԻՆ ԿԱՆԳՆԵՑԱՔ ԶՍԲ ՆՇԱՆՍ Ի ՎԵՐԱ ԳԵՐԻ

„ქვედა ხაჩკარის“ „ქვემო წარწერის“ (წარწერა №1) წაკითხვის მელიქსეთ-ბეგისეული ვერსია ასეთია:

«Ի թվիս ՉԼԷ ես, Յ[ակ]ոբ երէց, և եղբայր իմ [Քարի]մադին կանգնեցաք զսուրբ նշանս ի վերա գերեզմանի...»

„წელსა 737 (=1288) მე, ი[აკ]ობ ხუცესმა, და ჩემმა ძმამ ქარიმადინმა აღვმართეთ წმინდა ესე ნიშანი (ჯვარი) საფლავსა ზედა ...“

ამავე ხაჩკარის „ზემო წარწერის“ (წარწერა №2) შინაარსი გაუგებარია:

«Սուրբ խաչ զաւրութեան պաշտելի, բարձող… /լեր… / քի լոյս, ով, փայլեալ եւ ծագե/ալք, ի յաւուրն յայն սոսկալի, ե/րբ դպրութեամբն հրաշք/ն բանի/ւք առաջնորդե/ա… Դաւթի ի յա թե բանս (?) յաջակողմի...»

თუმცა ამ წარწერაში იხსენიება სახელი „დავითი“.[295]

ილუსტრაცია 96. დმანისისის შუა საუკუნეების სამაროვანი. „ქვემო ხაჩკარი“ (ხაჩკარი №1). ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

დმანისის სამაროვნის „ქვემო ხაჩკარიდან“ დასავლეთით, რამოდენიმე ათეულ მეტრში მეორე, „ზემო ხაჩკარი“ (ხაჩკარი №2) მდებარეობს (ილუსტ. 97). ხაჩკარი ჩასმულია ქართული ბრტყელი აგურით გამოყვანილ ღრმა, თაღოვან ნიშში. როგორ წინა

[295] მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, 154.

შემთხვევაში, აქაც, 1.60x0.94 მეტრი ზომის ხაჩკარის ზედაპირი დასავლეთის მხრიდანაა ორნამენტირებული.

ილუსტრაცია 97. დმანისისის შუა საუკუნეების სამაროვანი. „ზემო ხაჩკარი“ (ხაჩკარი №2). 1936 წლის ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო არქივი

ამ ხაჩკარის მხატვრული გაფორმებაც „ქვემო ხაჩკარის“ მსგავსია, თუმცა, საგრძნობლად ჩამოუვარდება როგორც მოცულობით, ისე სიუჟეტების მრავალფეროვნებით და შესრულების ხარისხით. ხაჩკარზე ხუთი ჯვარია გამოსახული.

მთავარი ჯვარი ცენტრშია, ხოლო დანარჩენი ოთხი მთავარი ჯვრის მკლავებთან კიდეებზე. მთავარ ჯვარს აქაც გარშემო სომხურწარწრიანი ტექსტის არშია შემოუყვება:

ԵՍ, ՅԱԿՈԲ ԵՐԷՑՍ, ԿԱՆԳՆԵՑԻ /ԶԽԱՉՍ/ Ի ՎԵՐԱ ԳԵՐԵԶՄ/ԱՆԻ ՄԱՐԳԱ/ՐՏԱՅ ԲԱՐԵԽԱԻ/Ս ԱՌ ԱՍՏՈՒԱԾ ԻԻՐՆ և ՊԱՏՎԱԿԱՆ ԿԵՆ/ԱԿՑԻՆ ԻԻՐՈՅ /ՍԱՀԱԿԱ/ ԵԻ ՍԻՐԵԼԻ ՈՐԴՈ ԻԻ/ՐՍ ՏԷՐՏԷՐ/ԻՆ, ՈՐՔ Ի ՅԱԻՏԱՐՈՒԹԵԱՆ ՓՈԽ/ԵՑԱՆ Ի ՔՐԻՍՏՈՍ, ՈՐՔ ԵՐԿՐՊԱԳԷՔ

ამ წარწერის (№3) შინაარსი ასეთია:

«…Ես, Յակոբ երէցս, կանգնեցի /զխաչս/ ի վերա գերեզմ/անի Մարգա/րտայ բարեխաւ/ս առ աստուած իւրն և պատվական կեն/ակցին իւրոյ /Սահակա/ եւ սիրելի որդո իւ/րս Տէրտէր/ին, որք ի յաւտարութեան փոխ/եցան ի Քրիստոս, որք երկրպագէք»:

„...მე იაკობ ხუცესმა, აღვმართე ესე ჯვარი საფლავსა ზედა მარგალიტისასა, მეოხად ღრმთისადმი თვისა და პატიოსანი მეუღლისა თვისასა საჰაკისა საყვარელი შვილის თვისის ტერტერისა, რომელნიც ექსორიობასა განისვენეს ქრისტედ, და თაყვანი ეცით“.[296]

დმანისის ქალაქობის პერიოდის სომხური ხაჩკარების კიდევ ერთი ნიმუში გვხვდება დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭის სამხრეთ ფასადში (ილუსტ. 98). აღნიშნული ხაჩკარი (ხაჩკარი №3), ზომით 1.12x0.71 მეტრი, თითქმის სამაროვნის „ქვემო ხაჩკარის“ ანალოგიურია. ხაჩკარის ექვსი აყვავებული ჯვრიდან, სამი ლავგარდანისებრ შვერილზე, დიდი მთავარი ჯვარი ცენტრში, ხოლო დარჩენი ორი დიდი ჯვრის მკლავებთან, გვერდებზეა გამოსახული. მთავარი ჯვრის გარშემო ამოკვეთილია წარწერის (№4) არშია:

….ԱԻՈՒՐ ՄԵԾԻ [ՔԱԻԱՐԱՆԻ] ԿԱՆԳՈՒՆ Ա ՇԱԲԹԻ/Ն ԼԵՌ ԱԻԳՆԱԿԱՆ… ԽԱՉԻԿԻՆ ՆՈՒՆԻՆ…

[296] მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, 154-157.

დმანისის სიონის კარიბჭეში მოთავსებული №3 ხაჩკარის ამ წარწერის (წარწერა №4) შინაარსი ასეთია:

«…/…/…/…/ [յ]աւուր մեծի ք[ա]ւարանի] կանգուն ա շաբաթին լեր աւգնական /……/ Խաչիկին, Նունին /…./…./»:

„...დღესა დიდისა განკითხვისასა [ჯვარი] აღმართულია შაბათს, იქმენ მეოხად ხაჩიკისა ნუნისა...“[297]

ილუსტრაცია 98. დმანისის სიონი, დასავლეთი კარიბჭე. სამხრეთ ფასადში ჩასმული საფლავის ქვა – ხაჩკარი (№3). ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2010)

[297] მელიქსეთ-ბეგი, დმანისის სომხური წარწერები, 157.

დმანისის სიონის კარიბჭის სამხრეთ ფასადში ხაჩკარის ჩასმა გვიან უნდა მომხდარიყო. მას საერთო არაფერი აქვს სიონის კარიბჭის თავდაპირველ, სამშენებლო ფენებთან. ხაჩკარი მოთავსებულია სამრეთი ფასადის სარკმელსა და კარნიზს შორის არსებული კედლის გარეპირის სივრცეში, რომელიც ცალკე, ერთ-ერთი რესტავრაციის სამშენებლო ფენად შეიძლება გამოიყოს. რესტავრაციის ამ აღნიშნულ მონაკვეთზე ხილული ეს გვიანდელი სამშენებლო ფენა, განსხვავდება კარიბჭის სხვა, თავდაპირველი სამშენებლო ფენისგან. გვიანდელ რესტავრაციის ფენაში გამოყენებული ქვის კვადრები საკმაოდ უსწორმასწოროდ და ქაოტურადაა ჩალაგებული კედლის წყობაში, მათ შორის ზემოგანხილული ხაჩკარიც.

ამ კონკრეტული ხაჩკარის მეორადად, სამშენებლო მასალად გამოყენების ერთ-ერთი მოტივი, გარდა ესთეტიკური, ქრისტიანული სიმბოლოს ჯვრის გამოსახულების თემისა, შესაძლოა საკუთრივ ხაჩკარის დამზადებისთვის გამოყენებული მასალა ყოფილიყო. დმანისის სამაროვანზე ახლად გამოვლენილი ერთ-ერთი ხაჩკარისგან განსხვავებით, სიონის კარიბჭის ფასადში მოთავსებული ხაჩკარი, არა ბაზალტის, არამედ მომწვანო-მონაცრისფრო ტუფის ქვისგანაა გამოთლილი. ამდენად, კარიბჭის ერთ-ერთი განახლების დროს „რესტავრატორებმა“ სავარაუდოდ ყურადღება ამ მხარესაც მიაქციეს და მთლიანად მომწვანო-მონაცრისფრო ტუფიის კვადრებისგან აგებულ ნაგებობის ფასადში დისონანსის შემტანი სხვა, ამ შემთხვევაში ბაზალტის მასალა, აღარ ჩაურთეს. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებების შედეგად აღმოჩნდა განხილული ხაჩკარი სიონის კარიბჭის სამხრეთ ფასადის რესტავრირებული სამშენებლო ფენის წყობაში.

სავარაუდოა, რომ ამ ხაჩკარის სიონის კარიბჭის ფასადში ჩასმა თემურ ლენგის ლაშქრობების შემდომ პერიოდში, დმანისის ხელახალი განახლების პერიოდში, XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნეში მომხდარიყო. სწორედ ამ პერიოდში შეინიშნება საფლავის ქვების, როგორც ქრისტიანულის ისე მუსლიმური, არაბულწარწერიანი მემორიალების გამოყენება სამშენებლოდ დმანისის როგორც საერო დანიშნულების შენობების ფასადებში, ისე განსაკუთრებით, ეკლესიების ფასადებზე.

აღნიშნულ პერიოდში დმანისის მუსლიმი მოსახლოება ფიზიკურად უკვე განადგურებული ჩანს და, ამდენად, დმანისში უკვე აღარ იყვნენ მათი უშუალო შთამომავლები, რომელებიც წინაპრების საფალავის ქვებს ხელყოფისაგან და მათი სამშენებლო მასალად გამოყენებისაგან დაიცავდნენ.

სავარაუდოდ, მსგვსი სურათი იკვეთება სომხური მემორიალური ძეგლების სამშენებლო მასალად გამოყენების შემთხვევაშიც. თემურ ლენგის ლაშქრობების შემდგომ, ციხედ და სამოსახლო პუნქტად განახლებულ დმანისში, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, გვიან შუა საუკუნეებში სომხეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ლტოლვილი მოსახლებაც სახლდება. სავარაუდოდ ქართული მოსახლეობაც, რომელიც აქ გვიან შუა საუკუნეების შემდეგ ფიქსირდება, თემურ ლენგის შემოსევების შემდგომ ხანაში, დმანისის ხელახლა დასახლების და განახლების დროს საქართველოს სხვა კუთხეებიდანაა გადმოსახლებული დმანისის მფლობელი ფეოდალების მიერ და ხელშეწყობით. ამდენად, დმანისის ამ ახალ მოსახლეობას, როგორც ქართულს, ისე სომხურს, დმანისში არსებული სამაროვნის ძეგლებზე ზრუნვის პირდაპირი ვალდებულება არ ექნებოდათ – გამომდინარე იქედან, რომ სამაროვანზე არსებული მემორიალები მათ უშუალო ოჯახის წევრებს და ახლო თუ შორეულ წინაპრებს არ ეკუთვნოდათ. ამდენად, ჩვენი დაკვირვებით, გვიან შუა საუკუნეების დმანისში ქალაქობის პერიოდის მემორიალური ქვების როგორც სამშენებლო მასალად, ისე მათი მეორადად, ისევ მემორიალური ფუნქციით გამოყენება, ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. აღნიშნული ვითარება გრძელდოდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში, როდესაც ნაქალაქარ დმანისთან არსებული სოფელ პატარა დმანისის მაცხოვრებლები საკუთარი საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო სათავსების მშენებლობის პროცესში, მრავალ მემორიალურ საფლავის ქვას მოიხმარდნენ, როგორც სამშენებლო მასალას.

ვფიქრობთ, საინტერესოა ნაშრომში წარმოვადგინოთ კიდევ ერთი სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლი – ხაჩკარი რომელიც სამაროვნის

ტერიტორიაზე 2016 წელს აღმოვაჩინეთ. აღნიშნული, ბაზალტის მასიური ლოდისგან გამოთლილი ხაჩკარის ზედა ნაწილი ჩამომტვრეული და დაკარგულია.

ახლადგამოვლენილი ხაჩკარი (სარეგისტრაციო № დმ. 179) 1.10x0.15x0.80 მეტრი ზომის მართკუთხედის ფორმის ვერტიკალური საფლავის ქვაა. ძირზე, ქვის ბაზისში ჩასამაგრებელი ოთხკუთხედი სვეტისებრი შვერილით. ხაჩკარზე ექვსი ჯვრის გამოსახულებაა მოცემული. ჯვართაგან, მცირე ზომის ხუთი, ფასადის ძირზე, ჰორიზონტულად გამოკვეთილ თაღნარშია მოთავსებული. მთავარი, დიდი წნული ჯვარი ხაჩკარის ცენტრშია გამოსახული. მთავარ ჯვარს გარშემო ამოკვეთილი სომხურწარწრიანი არშია შემოუყვება, რომელიც თავის მხრივ გეომეტრიულ-მცენარეული მოტივებით შემკულ ჩარჩოშია ჩასმული (ილუსტ. 99).

ხაჩკარი უშუალოდ დმანისში არსებული სხვა პარალელების მიხედვით, შესაძლოა ზოგადად XIII-XIV საუკუნეებით დათარიღდეს. თუმცა მასზე არსებული წარწერა თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

ილუსტრაცია 99. ხაჩკარი (სარეგისტრაციო № დმ. 179). დმანისის სამაროვანი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი

ხაჩკარის წარწერის შინაარსი ასეთია:

„1281 (?) წელს მე [---] დავით მუშეღმა დავდგი წმინდა [----------] ჯვარი ... განისვენებს მონა ღვთისა, მოიხსენეთ“.[298]

ჩვენ მიერ წარმოდგენილი და დმანისიდან ცნობილი სომხურწარწერიანი საფლავის ქვები XIII და შემდგომი საუკუნეებით თარიღდება. დმანისის სომხური მოსახლეობის გაჩენა და მრავალრიცხოვნება ქალაქის აყვავების, ეკონომიკური დაწინაურების ხანას უკავშირდება, რომელიც ქალაქობის მეორე ეტაპისათვის, XII-XIV საუკუნეებზე მოდის. როგორც ავღნიშნეთ, სრულიად საპირისპირო ვითარებაა დმანისში როცა ქალაქი ტაშირ-ძორაგეტის, X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის I ნახევარში, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ სომეხ კვირიკიანთა სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. აღნიშნულ პერიოდში, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით (არქეოლოგიური მასალა, ეპიგრაფიკა) დმანისის მოსახლეობა ძირითადად, ადგილობრივი, ქართული ჩანს.

3.8. დმანისის სამაროვნის ისლამური მემორიალური ძეგლები

დმანისის სამაროვანზე შემორჩენილ მავზოლეუმებს ადგილობრივი მოსახლეობა „მეჩითებს“ უწოდებს. გადმოცემის მიხედვით ეს „მეჩითები“ დმანისის დაცვის დროს დაღუპული შვიდი ძმის დასაკრძალად აუგიათ.[299]

---

[298] ამჟამად, ბოლნისის ახლადგახსნილი მუზეუმის გამოფენაზე გადატანილი ხაჩკარის საკმაოდ დაზიანებული და რთული შინაარსის წარწერის ამოკითხვა შეძლო პალეგრაფმა ვლადიმერ კეკელიამ, მისივე ვერსიას ვიყენებთ ჩვენ ნაშრომში, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[299] მუსხელიშვილი, დმანისი, 432.

დმანისის სამაროვანის ტერიტორიაზე დაახლოებით ორი ათეულამდე მავზოლეუმის ნაშთი ფიქსირდება. სავარაუდოდ, მათი რიცხვი გაცილებით მეტია. მეტ-ნაკლები სისრულით შემორჩენილი მავზოლეუმები გუმბათიანია. გუმბათი ტრომპებსა და ნაგებობის კედლებს ეყრდნობა. დმანისის მავზოლეუმები ერთმანეთისგან გეგმარების მიხედვით განსხვავდებიან. ვხვდებით სწორ, ოთხკუთხა, კვადრატის ფორმის გეგმარების მავზოლეუმებს; ასეთივე გეგმარების, გარედან კუთხეებზე წიბოკვეთილ მავზოლეუმებს (ილუსტ. 100); ექვს და რვაწახნაგოვანი გეგმარების, შიგნიდან წრიული ფორმის მავზოლეუმებს და, ბოლოს, წრიული გეგმარების მავზოლეუმებს.[300]

დმანისის მავზოლეუმები, აქ გამოვლენილი ეპიგრაფიკული ნიმუშების და თანმხლები განათხარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდებიან. ბუნებრივია, დმანისური მავზოლეუმების სხვადასხვა ტიპები პარალელებს პოულობს მაშინდელი ისლამური სამყაროს მავზოლეუმების მშენებლობის ტრადიციებთან, არქტიქტურული და მხატვრული გაფორმების ტენდეციებთან.

ჩვენი აზრით, დმანისის მავზოლეუმები მსავსებას ამჟღავნებენ ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ მავზოლეუმების სხვადასხვა ტიპებთან რომლებიც XII-XIV საუკუნეებით თარიღდებიან.[301]

---

[300] მუსხელიშვილი, დმანისი, 431-432; ჩხვიმიანი, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, 336-337.

[301] Леонид Семёнович Бретаницкий, *Зодчество Азербайджана XII-XV вв. и его место в архитектуре Переднего Востока,* (Москва: Наука, 1966), მაგალითად გარე, რვაწახნაგოვანი და შიდა, წესიერი წრის გეგმარების დმანისის მსგავს მავზოლეუმებს – მელიქ აჯდარის და კიდევ ერთ უსახელო მავზოლეუმს ვხვდებით სოფელ ჯუდჯიმლში (აზერბაიჯანი), რომლებიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდებიან: მოყვანილი ნაშრომის გვ. 128-130.

XIII საუკუნითაა დათარიღებული აფშერონის ნახევარკუნძულზე, ბაქოსთან ახლოს, სოფელ შაგანთან მდებარე სწორკუთხოვანი, კვადრატის ფორმის მავზოლეუმი: Абдул Вагаб Саламзаде, Архитектура мавзолеев Азербайджана XII-XV, *Архитектура Азербайджана (очерки),* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1952), 229-336. სურ. 42.

ილუსტრაცია 100. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი, ე.წ. „ქვის მავზოლეუმი“. ფოტო: ვ. მამიაშვილი

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ XX საუკუნის 80-იან წლებში სულ ოთხ მავზოლეუმზე აწარმოა სამუშაოები.

შესწავლილ მავზოლეუმთაგან, №1 მავზოლეუმი მდებარეობს სამაროვნის ცენტრალურ-დასავლეთ ნაწილში, შედარებით მოსწორებულ ფერდობზე. აღნიშნულ მავზოლეუმს გაბატონებული ადგილი უკავია ახლომახლო არეში (ილუსტ. 55, 101-102). მავზოლეუმი კვადრატული გეგმარებისაა, ზომით 3.85x3.85 მეტრი. მისი საძირკველი და კედლის ქვედა პირველი რიგი დიდი ზომის ბაზალტისა და ტუფის კვადრებისგანაა

აგებული. კარგად გათლილი კვადრები ყოფილა გამოყენებული კარის ღიობისა და ნაგებობის კედლების კუთხეების ამოსაყვანადაც, თუმცა ნაგებობაზე ეს კვადრები დღეისათვის მთლიანად შემოცლილია. ნაგებობას ერთი შესასვლელი კარი აქვს აღმოსავლეთიდან. მეჩეთი სიმაღლეში ამოყვანილია 0.80 მეტრი სისქის აგურითა და კირით ნაგები კედლებით. ბრტყელი, ე.წ. „ქრთული აგურის“ ზომებია 23x5x23 სმ. მეჩეთს ტრომპებზე აღმართული მაღალი გუმბათი აქვს. შენობის საერთო სიმაღლე 6.25 მეტრს აღწევს, საიდანაც 2.55 მეტრი გუმბათის სიმაღლეზე მოდის. ნაგებობის ოთხივე კედელში შეისრულთაღიანი, ვიწრო სარკმლებია დატანილი. მეჩეთის ინტერიერის კედლები კირითაა შელესილი.

ილუსტრაცი 101. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1). მავზოლეუმის აღმოსავლეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

ილუსტრაცი 102. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1). მავზოლეუმის სამხრეთი ფასადი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2014)

კიდევ ერთი მავზოლეუმის ნაშთი აღმოჩნდა №1 მავზოლეუმის ჩდილო-აღმოსავლეთით დაახ. 8 მეტრში. ასევე, კვადრატული გეგმარების 4.00x4.00 მეტრი ზომის ნაგებობა (მავზოლეუმი №2), რომელსაც შესასვლელი სამხრეთის კედელში ჰქონია მოწყობილი. ნაგებობის კედლები ნაგები იყო უხეშად დამუშავებული ქვით კირის

ხსნარზე. კედლების სისქე 0.70 მეტრს შეადგენდა, ხოლო კედლების შემორჩენილი სიმაღლე დაახ. 1 მეტრს (ილუსტ. 104).

№1 და №2 მავზოლეუმების ინტერიერში, იატაკის დონიდან მიწის სიღრმეში გათხრამ, თითო-თითო ინდივიდუალური სამარხი გამოავლინა

ილუსტრაცია 103. დმანისის სამაროვანი, ე.წ. „აგურის მავზოლეუმში“ (მავზოლეუმი №1). გამოვლენილი სამარხი. დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

№1 მავზოლეუმში გამოვლენილი სამრხი აგებული იყო ქართული ბრტყელი აგურით კირის დუღაბზე, რომელსაც აგურითვე ამოყვანილი შეისრული გადახურვა ჰქონდა (ილუსტ. 103). სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხი გაძარცული აღმოჩნდა.



ლ. მუსხელიშვილის, რ. მეფისაშვილის (1937); ვ. ჯაფარიძის, თ. გერსამიას (1970) მიხედვით.
According by L. Muskhelishvili, R. Mephisashvili (1937); V. Japaridze, T. Gersamia (1970).
ბ. გაბეხაძე /B. Gabekhadze

ილუსტრაცია 104. დმანისის სამაროვანი. ე.წ. „აგურის მავზოლეუმი“ (მავზოლეუმი №1) და მავზოლეუმი №2. გეგმა, ჭრილი. ლ. მუსხელიშვილის, რ. მეფისაშვილის (1937), ვ. ჯაფარიძისა და თ. გერსამიას (1970) მიხედვით. ბ. გაბეხაძე (2019)

ერთი ინდივიდუალური ორმოსამრხი გამოვლინდა №2 მავზოლეუმის ინტერიერშიც. მიცვალებულის ნეშტი დამხრობილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, თავით დასავლეთით, გაშოტილ პოზაში.[302] სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა, სავარაუდოდ ადრევე გაძარცული.[303]

ზოგადად, მავზოლეუმების შიგნით თუ მავზოლეუმების გარეშე, მუსლიმ მიცვალებულთათვის ინდივიადუალურად მოწყობილ სამარხების შემთხვევაში, ვხვდებით როგორც ქვის ფილებით დახურულ ორმოსამარხებს, ისე ქვის ფილებისგან შედგენილ, ფილებითვე გადახურულ ქვის სამარხებს. არის აგურით ამოშენებული, შეისრული თაღით გადახურული სამარხების აღმოჩენის შემთხვევებიც, როგორც ეს №1, ე.წ. „აგურის მავზოლეუმის“ შემთხვევაში დაფიქსირდა. დმანისელ მუსლიმთა სამარხები, ქრისტიანთა მსგავსად, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. სამარხში ჩასვენებული მიცვალებულები გაშოტილ პოზაში წვანან, თავით დასავლეთისკენ, სახით სამხრეთისკენ (ეს უკანასკნელი დმანისისთვის ქალაქ მექის, შესაბამისად, ყიბლის სამხრეთით მდებარეობას უკავშირდება. ამდენად, დმანისელი მუსლიმები სახით სწორედ რომ მექისკენ იკრძალებოდნენ). მიცვალებულებს ხელები სხეულის გასწვრივ აქვთ დაწყობილი, რიგ შემთხვევებში მარცხენა ხელი მოხრილია და იდაყქვეშ მდებარე მტევანი მუცელზე დევს ან მიტანილია ნიკაპთან.[304]

მეტად საინტერესო აღმოჩნდა სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი კიდევ ორი მავზოლეუმის არქეოლოგიური შესწავლით მიღებული მონაცემები. სამაროვნის აღნიშნულ მონაკვეთზე არქეოლოგიური გათხრები წარმობდა 1970-1971 წლებში. მავზოლეუმები ნაქალაქარისაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს მდებარეობს.

---

[302] სამარხების და მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის აღწერას ვახდენთ საველე ანაზომების მიხედვით.

[303] ვახტანგ ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984)* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 18-20.

[304] ვახტანგ ჯაფარიძე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, *არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი: მეცნიერება, 1972), 52-55.

მავზოლეუმთაგან №4, სწორკუთხა გეგმარების ნაგებობის გუმბათი ჩანდა, ხოლო წრიული გეგმარების №3 მავზოლეუმის ნაშთი, არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოჩნდა.[305]

№3 ტრომპებიანი, სწორკუთხოვანი გეგმარების მავზოლეუმის შიდა ზომებია 3.30x3.10 მეტრი. მავზოლეუმის კედლები ნაგებია ნატეხი ქვით კირის დუღაბზე. ნაგებობაში შესასვლელი ღიობი აღმოსავლეთის მხრიდანაა მოწყობილი. მავზოლეუმში შესასვლელი ერთგვარი კორიდორისებრი დრომოსივითაა მოწყობილი. მავზოლეუმის იატაკი მოლესილი ყოფილა კირის ხსნარით. მასში მიცვალებული არ აღმოჩენილა.[306]

№4 მრგვალი მავზოლეუმის კედლების საძირკველი ნაგებია ბაზალტის დიდი ზომის ლოდებით დუღაბზე. ნაგებობის 1.1 მეტრი სიგანის კედლები ამოყვანილია ქართული აგურით (ზომ. 23x4.4x23 სმ) კირის ხსნარზე. წრიული მავზოლეუმის შიდა დიამეტრი 6.10 მეტრს შეადგენს (ილუსტ. 105). სავარაუდოა, რომ მრგვალი მავზოლეუმი შიგნიდან მოპირკეთებული ყოფილიყო სწორკუთხოვანი ფირუზისფერი შორენკეცებით. მათი ფრაგმენტები გვხვდება როგორც მავზოლეუმის შიგნით, ისე მის გარეთაც.

[305] ჯაფარიძე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, 52-55.
[306] ჯაფარიძე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, 54.





ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ
ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲡ�პᲔᲓᲘᲪᲘᲐ. 1972 ᲬᲚᲘᲡ.
N ᲣᲜᲘᲐᲜᲘ. ᲛᲐᲕᲖᲝᲚᲔᲣᲛᲘ №3-4.
1 ᲒᲔᲒᲛᲐ.

ილუსტრაცია 105. დმანისის სამაროვანი. №3 და №4 მავზოლეუმი. გეგმა, ჭრილი. 1971 წელი. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

მავზოლეუმები ერთმანეთზე მიბჯენითაა აშენებული. სამშენებლო ფენების და სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჯერ უნდა აეგოთ სწორკუთხა №3 მავზოლეუმი, ხოლო შემდგომ მასზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან №3 წრიული მავზოლეუმი უნდა მიეშენებინათ. ორივე მავზოლეუმს შემოვლებული ჰქონდა 12.00x9.30 მეტრი ზომის გაუთლელი ქვითა და კირის დუღაბით ნაგები გალავანი (ილუსტ. 105).[307]

№3 მავზოლეუმი №4 აგურით ნაგები წრიული მავზოლეუმისაგან განსხვავებით, მიწის ზედაპირიდან რამდენადმე უფრო ქვედა დონეზე, სიღრმეში მდებარეობს (განსხვავება მავზოლეუმების დონეებს შორის 1.90 მეტრს უდრის). მავზოლეუმი ერთგავრი მიწური, კრიპტის ტიპის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც ნაგებობის კედლებზე სარკმელების არარსებობაც ემეტება. უცნაურია ისიც, რომ №3 მავზოლეუმში იატაკის დონიდან სიღრმეში ჩაშვებული სამარხი არ გამოვლენილა (არც მიცვალებულის ნეშტი, არც ცარიელი სამარხი). მსგავსი სამარხების არსებობა ხომ წინა შემთხვევების გათვალისწინებით, თითქოსდა კანონზომიერი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ჩამოთვლილი „უცნაურობების“ შესახებ მსჯელობამ, ახალი ვარაუდის გამოთქმის საშუალება მოგვცეს. თუ კარგად დავაკვირდებით №3 მავზოლეუმის გეგმარებას, შევნიშნავთ, რომ შენობის შიგნით, ნაგებობის სამხრეთ კედელში 2.00 მეტრი სიგრძის და 0.80 მეტრი სიღრმის ნიშია მოწყობილი (აღნიშნული ნიში აღწერილი აქვთ აქ მოყვანილ და ძეგლზე მომუშავე ავტორებს). ზოგადად, თაღოვანი ნახევარწრიული ნიშები მეჩეთებზე ყიბლის, მექის მიმართულების მანიშნებელია და მიჰრაბს, სალოცავ ნიშს წარმოადგენს. მსგავსი მოყვანილობის პატარა ნიშები იშვიათად, მაგრამ გვხვდება დმანისის მავზოლეუმების ინტერიერში, სამხრეთ კედელში. სავარაუდოდ, ისინიც ამ შემთხვევაშიც სალოცავი ნიშებია; თუმცა, №3 მავზოლეუმში მოწყობილი ასეთი დიდი ზომისა და სიღრმის ნიში, ჯერჯერობით სხვა მავზოლეუმში არ დადასტურებულა. თითქოსდა შესაძლოა გვეფიქრა, რომ №3 მავზოლეუმში მოწყობილი ეს ნიში აქ განსვენებული პიროვნების ნიში-სარეცელი შესაძლოა ყოფილიყო. ამას ნიშის ზომებიც

[307] ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი, 20.

შეესაბამება. მასზე დაწვენილი მიცვალებულის განთავსების შემთხვევაში კი დამხრობაც შესაბამისი იქნებოდა – დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზი. ამდენად მსგავსი დასაკრძალი სივრცის მოწყობისას მავზოლეუმის ინტერიერში მიცვალებულს კი არ დაფლავდნენ მიწაში, როგორც ეს სხვა შემთხვევებში გავქვს, არამედ სპეციალურად მოწყობილ სარეცელზე დაასვენებდნენ, როგორც ეს ქრისტიანულ კრიპტებშია მიღებული. ჩვენი ვარაუდი ზემომოყვანილი სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, არცთუ ისე უსაფუძვლოდ გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, მავზოლეუმში მსგავსი ტიპის დაკრძალვის წესის შესაძლო არსებობა მეტად საინტერესოდ გამოიყურება დმანისის მუსლიმი მოსახლეობის მემორიალური კულტურისა და ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით.

რაც შეეხება №4 მავზოლეუმს, მის შიგნით აღმოჩნდა ორ რიგად ჩამწკრივებული, ძირითადად მასიური სარკოფაგისებრი ფორმის საფლავის ქვები, დასავლეთის თავთან ოთხკუთხა ვერტიკალური კუბისებრი ორფერდა ზედაპირიანი შვერილით. სხვადასხვა ზომის საფლავის ქვების რაოდენობა 13-ს შეადგენდა. ქვების მაქსიმალური ზომა: 2.65x0.32 მეტრი; მინიმალური: 0.42x0.10 მეტრი. საფლავის ქვები სწორკუთხა, მართკუთხედის ფორმის კვარცხლბეკებზე იდგა (კვარცხლბეკის მაქსიმალური ზომა: 3.40x0.58 მეტრი). კვარცხლბეკებს ზედაპირზე, მათზე აღმართული, საფლავის ქვების შესაბამისი მოხაზულობის არც თუ ისე ღრმა ფოსოები იყო ამოჭრილი, რომელშიც საფლავის ქვები იჯდა. საფლავის ქვათაგან ხუთი რელიეფურ-არაბულწარწერიანი აღმოჩნდა (ილუსტ. 106).

ილუსტრაცია 106. დმანისის შუა საუკუნეების სამაროვანი. მავზოლეუმი №3 და №4. აგურის წრიულ №4 მავზოლეუმში გამოვლენილი საოჯახო-საგვარეულო საფლავის ქვების ჯგუფი. 1971 წელი. ფოტო: დმანისის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური დოკუმენტაციის არქივი

საფლავის ქვების ქვეშ მდებარე, შესაბამისი სამარხები აღმოჩნდა საფლავის ქვების ძირის დონიდან 1.50-1.70 მეტრ სიღრმეზე. ისინი ძირითადად ამოშენებული იყო ბრტყელი აგურით (ქართული აგურით). ერთ-ერთს გააჩნდა შეისრული თაღოვანი გადახურვა, დანარჩენები კი დახურული იყო დიდი და ბრტყელი ფილებით. 13 სამარხიდან 6 ბავშვისა და მოზარდისა აღმოჩნდა. ცხედრები დასვენებული იყვნენ გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისკენ, სახით სამხრეთისკენ. ხელები ეწყოთ სხეულის გასწვრივ, რამდენიმე შემთხვევაში კი მარცხენა ხელი მოხრილი იყო და იდაყვქვეშა ხელის მტევნები ეწყო ან მუცელთან ან ნიკაპთან; ერთ შემთხვევაში

მიცვალებულს ხელები დალაგებული ჰქონდა მკერდზე. სამარხეული ინვენტარი დადასტურდა მხოლოდ რამდენიმე მათგანში: №5 სამარხში, სადაც რგოლისებრი წყვილი ვერცხლის საყურე აღმოჩნდა გველისთავიანი (დრაკონისთავიანი) დაბოლოებებით (ილუსტ. 107).[308] ბრინჯაოს მავთულის პატარა ბეჭედი აღმოჩნდა №6 სამარხში. მავზოლეუმის სამხრეთ ნაწილში სამარხების დონეზე ასევე აღმოჩნდა ცალი საყურე, ოქროსი, ღეროზე მარგალიტით (ილუსტ. 107) და № 7 სამარხში ერთი ცალი სარდიონის ბიკონუსური მძივი.[309]



ილუსტრაცია 107. №4 მავზოლეუმის №5 სამარხში აღმოჩენილი წვილი საყურე და მავზოლეუმში სამარხის გარეშე აღმოჩენილი ოქროს საყურე მარგალიტით

№4 მავზოლეუმის სამარხების ჯგუფი საფლავის ქვებზე არსებული წარწერების მიხედვით XIV საუკუნით თარიღდება.[310] შესაბამისად მრგვალი მავზოლეუმიც XIV საუკუნით, ხოლო №3 სწორკუთხა გეგმარების მავზოლეუმი XIII საუკუნითაა დათარიღებული.[311]

---

[308] მსგავსი ტიპის საყურეების კულტურულ კუთვნილებაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ როდესაც განვიხილეთ დმანისის სამაროვნის ქრისტანულ უბანზე, №9 თხრილში, №2 სამარხში აღმოჩენილი დრაკონისთავიანი, სელჯუკური ტიპის საყურეები.

[309] ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი, 25-26.

[310] არსებული ინფორმაციით საფლავის ქვების წარწერების ამოკითხვაზე იმუშავა ც. კახიანმა. აღნიშნული დათარიღებაც მას ეკუთვნის. სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია და არ გამოქვეყნებულა წარწერების შინაარსი.

[311] ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი, 26-27.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა №4 მავზოლეუმში არსებული №6 სამარხის საფლავის ქვა. აღნიშნული საფლავის ქვაც მასიური კვეთის სარკოფაგისებრი ფორმის ტიპს წარმოადგენს. საფლავის ქვის მარჯვენა წახნაგზე, თავთან არაბული წარწერაა ამოკვეთილი, რომელიც დაზიანებულია. საფლავის ქვის ზედაპირის მარჯვენა (ჩრდილოეთის) ფერდსა და წახნაგზე რელიეფური სიუჟეტური გამოსახულებებია. ესენია: ფარშევანგი, მზის დისკო, ორკუზიანი აქლემი, რომელიც საბელითაა დაკავშირებული მის წინ მიმავალ სახედართან (ცხენთან?) რომელზეც წოწოლა ქუდიანი მამაკაცია შემომდგარი (ილუსტ. 108).[312]

ილუსტრაცია 108. დმანისის სამაროვანი. №4 მავზოლეუმი, №6 სამარხის საფლავის ქვა

ზემოგანხილულ, მრგვალ მავზოლეუმში მოწყობილი სამარხების ჯგუფი, ისევე როგორც ზღუდეშემოვლებული ორივე მავზოლეუმი, ერთი რომელიმე ოჯახის, საგვარეულოს წევრებს უნდა ეკუთვნოდეს.

ზოგადად, მუსლიმურ სამარხებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ინვენტარი თითქმის მხოლოდ ბავშვის სამარხებში დასტურდება, ისევე როგორც ეს

[312] ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი, 24.

ქრისტიანული სამრხების შემთხვევაში. სამაროვნის ერთ-ერთ მონაკვეთზე გავლებულ არქეოლოგიურ თხრილში გამოვლენილი 21 სამარხიდან 10 ბავშვისა აღმოჩნდა, რომელთაგან 7 შეიცავდა სამარხეულ ინვენტარს (მინის სამაჯურებს, აქატისა და პასტის მძივებს, ბრინჯაოს საყურეებს და ა. შ.). აღნიშნული სამარხებიც XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნებიან.[313]

ისლამური მემორიალური ძეგლებისთვის დამახასიათებლი მეჩეთების გარდა, როგორც დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის მიმოხილვით ნაწილში ვახსენეთ, მუსლიმურ სამაროვანზე ვხვდებით სხვადასხვა ფორმის საფლავის ქვებსაც. მათგან ნაწილი სტელის ფორმის საფლავის ქვებია, ორი ან ოთხი საფასადო წახნაგით. მსგავსი მართკუთხედის ფორმის ვერტიკალურად აღმართული ქვების ზედა ნაწილი, ხშირ შემთხვევაში სამკუთხა თავითა და ორფერდა ზედაპირით ბოლოვდება. ამ ტიპის მემორიალებზე ამოკვეთილი რელიეფური წარწერები საფასადო, აღმოსავლეთის წახნაგზე გვხვდება, იშვიათ შემთხვევებში კი, სტელისებრი საფლავის ქვების სხვა წახნაგებზეც. გარდა სტელის ფორმის ქვებისა, სამარხებზე, ზემოდან გვხვდება სარკოფაგის ტიპის ჰორიზონტულად განლაგებული ქვები, ორფერდქანობიანი სახურავისებრი ზედაპირით, თავთან ოთხ ან ხუთწახნაგოვანი პრიზმისებრი შვერილით, რელიეფური არაბული წარწერებით წახნაგებზე. მსგავსი ტიპის საფლავის ქვები ხშირ შემთხვევაში სწორკუთხოვან, მართკუთხედის ფორმის ბრტყელ კვარცხლბეკებზე და კვარცხბეკის ზედაპირზე სპეციალურად ამოჭრილ ფოსოში ზის.[314]

დმანისის არაბული ეპიგრაფიკა შესწავლილი აქვთ ვერა კრაჩოვსკაიას და ცისია კახიანს და, ამდენად, აღნიშნულ ნაშრომში უკვე გამოქვეყნებული თითოეული ეპიგრაფიკული ნიმუშის კიდევ ერთხელ წარმოდგენისაგან თავს შევიკავებთ.[315]

---

[313] Вахтанг Джапаридзе, Манана Синауридзе, Раскопки городища Дманиси, *Археологические открытия 1970 года, (Академия Наук СССР, Институт Археологии),* (Москва Наука, 1971), 387-389.

[314] ვახტანგ ჯაფარიძე, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984),* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 20.

[315] რამდენიმე ეპიგრაფიკული ნიმუში, რომელიც თავის დროზე სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხვდა ცისია კახიანის პუბლიკაციებში, ასევე ბოლო წლებში, ცალკეული შემთხვევებით გამოვლენილი წარწერები, კვლავ საჭიროებენ სათანადო შესწავლას. იმედი გვაქვს, რომ მომავალში,

წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს. ზოგადად კი, მათ განვიხილავთ მხოლოდ დმანისის საქალაქო ცხოვრების, სოციალურ, ეთნიკური და კონფესიური საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობებისას.

ზოგადად, დმანისის არაბული ეპიგრაფიკული კორპუსის ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებ, კი შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ადრეული თარიღიანი ეპიგრაფიკული ნიმუში ჰიჯრის 601 წლითაა (1204-1205 წწ) წარმოდგენილი,[316] ხოლო ყველაზე გვიანდელი ჰიჯრით 777 წლითაა (1375-1376 წწ) დათარიღებული.[317]

3.8.1 ტუფისგან გამოთლილი სტელისებრი ფორმის ხუთწახნაგოვანი საფლავის ქვა (საინვ. №279)

სტელის (ზომით: 47x23x21 სმ) (ილუსტ. 109) წინა მხარეს ამოკვეთილია მემორიალური შინაარსის ხუთსტრიქონიანი რელიეფური, არაბული წარწერა/ეპიტაფია. სტელის გვერდითა წახნაგებზე, თავზე და უკანა, ზურგის წახნაგებზე ამოკვეთილია წნული ორნამენტები. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების მოტივებისთვის დამახასიათებელი ეს წნული ორნამენტები, ადგილობრივი, ქართული ტრადიციების გავლენად და დმანისის მულტიკულტურული საქალაქო ცხოვრების სურათის გამოხატულებად მიგვაჩნია.

საფლავის ქვის ეპიტაფია შემდეგი შინაარსისაა:

დმანისის შუა საუკუნეების კვლევებში შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობით ეს ხარვეზიც გამოსწორდება.

[316] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 20.

[317] ცისია კახიანი, ორი არაბულენოვანი საფლავის ქვის წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1974), 146.

„ესე არს საფლავი ნეტარისა განსვენებულისა კასიმ იბნ ჰუმაიდ იბნ ხავაჯასი“.[318]

3.8.2. საფლავის ქვა (სამუზეუმო საინვ. №509).

ტუფისგან გამოთლილი, სარკოფაგისებრი ფორმის, ორფერდაგადახურვისებრი ზედაპირის მქონე საფლავის ქვა (ილუსტ. 109), თავთან კუბისებრი ვერტიკალური შვერილით (სიმაღლე 0.50 მ; სიგანე 0.25 მ; სიგრძე 1.00 მ).

საფლავის ქვის ხუთ წახნაგზე ამოკვეთილია მემორიალური ხასიათის რელიეფური, არაბული წარწერები. სულ თექვსმეტი სტრიქონი:

„ესე არს საფლავი განსვენებულისა უცოდველისა ... შერიფ ედ-დინ ...თაჯ ედ-დინ იბნ იაზალისა. ნათელჰყოს ალაჰმა საფლავი მისი“.

„სააქაო წუთიერია, მაშ იყავ (მასში) მორჩილი“.

„გარდავიდა საიქიოსა თვესა ალაჰის მიერ კურთხეულსა მუჰარრამსა, წელსა ოცსა და შვიდასსა“.

„ყველაფერი იღუპება გარდა მისი სახისა“.

„მივენდობი ალაჰს“.

„საკმარისია სიკვდილი შთამაგონებლად“

წარწერა თარიღიანია: 720 წელი ჰიჯრით (1320-1321 წწ).[319]

[318] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 38-39.
[319] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 30-32.



ილუსტრაცია 109. სარკოფაგისებრი საფლავის ქვა (სამუზეუმო საინვ. №509) და სტელისებრი საფლავსი ქვა (საინვ. №279) დმანისის ისლამური სამაროვნიდან. ბოლნისის მუზეუმი. ფოტო: ჯ. ჩხვიმიანი (2019)

ცნობილი არაბისტის და დმანისის ეპიგრაფიკის მკვლევარის, ცისია კახიანის დაკვირვებით, საქართველოში არაბობის ბატონობის პერიოდის (VIII-X სს) მუსლიმური არაბულწარწერიანი საფლავები ნაკლებადაა გამოვლენილი. უფრო მრავლად გვხვდება თურქ-სელჯუკთა და მონღოლთა ბატონობის დროინდელი ძეგლები. მსგავსი სურათი გვაქვს დმანისის შემთხვევაშიც, სადაც გამოვლენილი არაბულწარწერიანი საფლავის ქვები XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.[320]

საფლავის ქვების წარწერების ანალიზით ირკვევა, რომ მათი მფლობელები ხშირ შემთხვევაში დმანისის მდიდარი ვაჭრები, სასულიერო პირები, მაღალი წრის წარმომადგენლები ან უბრალო მოქალაქეები არიან.[321]

[320] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 2.
[321] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 35-51.

სამაროვანზე დაკრძალულ ვაჭართა განსაკუთრებულად მაღალ მდგომარეობასა და სიმდიდრეზე მეტყველებს მათი მდიდრული მავზოლეუმები და საფლავის ქვები. საფლავის ქვებზე დაფიქსირებული ცოცხალი საქარავნო ტრანსპორტის – აქლემის, სახედრის გამოსახვა, სიმბოლურად აქ დაკრძალულ ვაჭართა შორეულ სავაჭრო მოგზაურობებზე უნდა მიუთითებდეს.[322]

ქალაქის სამაროვანზე არსებულმა სურათმა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილმა XII-XIV საუკუნეების მუსლიმურ-რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა სიმრავლემ გვაჩვენა, რომ ქალაქობის პერიოდში დმანისის მოსახლეობის დიდ ნაწილს მუსლიმები შეადგენდნენ. ეს შემორჩენილი ნაგებობებია: ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მინარეთიანი მეჩეთი, მასზე მიდგმული მედრესეთი და ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, მინის დანგრეული სახელოსნოს ადგილას აგებული, XIV საუკუნით დათარიღებული მეჩეთი. აღნიშნული ნაგებობების არსებობა, თავისთავად შესაბამის რელიგიის მსახურთა აქ ყოფნასაც უნდა გულისხმობდეს.

სამაროვნის მუსლიმურ უბანზე, არაბულწარწერიან საფლავის ქვაზე სავარაუდოდ რამდენიმე ასეთი სასულიერო წოდების მუსლიმი იხსენიება.[323]

ნიშანდობრივია, რომ აღწერილი ეთნიკური სურათის არსებობა უკავშირდება არა მუსლიმთა მიერ ქალაქის ფლობას, არამედ ქალაქის აყვავების, ეკონომიკური დაწინაურების, მშვიდობიან საქალაქო ცხოვრების პერიოდს, როდესაც შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ დმანისის შუა საუკუნეების სამაროვნის ისლამურ ნაწილში ქრისტიანულ სამარხებს ქვედა დონე (სიღრმე 1.5-1.8 მ) უკავიათ, რომლებიც ძირითადად XII-XIII საუკუნეებით (შესაძლოა უფრო ადრეული ხანითაც. – ჯ. ჩ.) თარიღდებიან. ქრისტიანული სამარხების ზემოდან, ზედა იარუსზე (სიღრმე 1.2-1.4 მ) ისლამური წესით დაკრძალული სამარხების მოწყობა ფიქსირდება. ზოგ შემთხვევაში მათზე

[322] ჯაფარიძე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, 55.
[323] კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, 35-51.

არაბულწარწერიანი ქვებია განლაგებული და მათი თარიღი XIII-XIV საუკუნეებით განისაზღვრება.[324]

გამოდის, რომ სამაროვნის ამ ნაწილზე ქრისტიანთა დაკრძალვის ადგილს XIII-XIV საუკუნეებში მუსლიმური საფლავები იკავებს (ილუსტ. 55). ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დმანისში მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობის ზრდას აღნიშნულ საუკუნეებში.

ჩვენ ნაშრომში, ხშირ შემთხვევაში ვრცელი აღწერითი და სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი მასალების, ძველი თუ ახალი არქეოლოგიური მონაცემების მოყვანის, სხვადასხვა მსჯელობების შემდეგ, შეჯამების სახით, დმანისის შუა საუკუნების სამაროვანზე შესაძლოა ითქვას შემდეგი:

შუა საუკუნეების, ქალაქობის პერიოდის დმანისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში, თვალსაჩინოა სხვადასხვა წარმომავლობის მოსახლეობის განსხვავებული კულტურის, რელიგიის, ტრადიციების გავლენა ურთიერთზე და ყოველივე ამის ასახვა ყოფით ცხოვრებაში, მატერიალურ კულტურაში. სხვადასხვა ტრადიციების ერთმანეთთან შერწყმა კი სწორედ რომ ქალაქის სამაროვანზე შეინიშნება. საფლავის ქვების დამუშავების ტექნიკის, გამოყენებული მასალის, მემორიალების მოწყობის მსგავსების გათვალისწინებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დმანისელ ქრისტიანთათვის (ქართველებისა და სომხებისთვის), ასევე მუსლიმთათვის, მემორიალური ძეგლები, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იმავე ხელოსნების მიერ მზადდებოდა. რა თქმა უნდა, შესაბამისი რელიგიური კანონიკის დაცვით. ამავე დროს, აქვე საქმიანობდნენ შესაბამისად განსწავლული ქართული, სომხური და არაბულწარწერიანი ეპიტაფიების „წამწერელნიც“.

---

[324] ვახტანგ, ჯაფარიძე, ვარლამ ართილაყვა, გათხრები დმანისსა და დმანისის მიდამოებში (1968 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები), XVIII*სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში* 1968 *წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი* (*მოკლე ანგარიში*), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი, მეცნიერება, 1969), 33-34.

არქეოლოგიური კვლევებიდან ჩანს, რომ მუსლიმური მოსახლეობა შუა საუკუნეების დმანისში XII საუკუნიდან ჩნდება. თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ, სავარაუდოდ არც ისე დიდი რაოდენობით ყოფნას წინარე ხანაში (ციხის მმართველები, გარნიზონის სამხედროები და სხვ.) მათი რიცხვი განსაკუთრებით XIII-XIV საუკუნეებში მატულობს. აღნიშნული მოვლენა, ქალაქის მოსახლეობის ზრდასთანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ დმანისის, როგორც სამეფო ქალაქის, ქართული სახელწიფოს საერთო სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, ისე საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტენსიური ჩართულობით და საქალაქო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ყოველივე ამას, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად ქალაქის მნიშვნელოვან საერთაშორისო სავაჭრო გზებზე მდებარეობაც განაპირობებდა.

აღნიშნულ პერიოდში დმანისი ჩამოყალიბდა როგორც აღმოსავლურ-ქართული მრავალეთნიკური ქალაქი. მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებები კარგადაა ასახული ქალაქის სამაროვანზე XIII-XIV საუკუნეებში ისლამურ-არაბული და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების გაჩენით და ასევე უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების გვერდით სომხური მცირე ეკლესიის, ორი მეჩეთისა და მუსლიმური სასწავლებლის, მედრესეს აგებით.

ჩვენი დაკვირვებით, დმანისის სამაროვანზე, თითქოს ქალაქის მოსახლეობის ერთგვარი შეჯიბრითობის სურათი იკვეთება, როცა საქმე საკუთარ მიცვალებულთათვის მემორიალების მოწყობას ეხება. საკმაოდ მჭიდროდ განლაგებულ სამაროვანზე გამოკვეთილია საოჯახო-საგვარეულო დასაკრძალი ჯგუფების არსებობა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში ქვითა და კირით ნაგები კედლების ზღუდითაა შემოფარგლული. მსგავსი ზღუდეები საზღვრავს როგორც მუსლიმთათვის განკუთვნილ მემორიალურ ძეგლებს (საფლავის ქვების ჯგუფს ან მავზოლეუმებს), ისე ქრისტიანთათვის განკუთვნილ საფლავის ქვებს. სავარაუდოდ, დმანისელი მოსახლეობის თითოეულ ოჯახს, თუ საგვარეულოს, ქალაქის სამაროვანზე საკუთარი ტერიტორია ჰქონდა

შემოსაზღვრული. საკუთარ წინაპართა მემორიალების სათანადოდ წარმოჩენით ისინი, ბუნებრივია, ასევე ხაზს უსვამდნენ საკუთარ ეთნიკურ წარმომავლობას და სოციალურ სტატუსს, რომელიც მათ იმ დროისათვის გააჩნდათ. დმანისში მემორიალების აღმართვისას ეს შეჯიბრითობის სურათი ჩანს არა მარტო ერთ კონკრეტულ კონფესიურ ჯგუფს შიგნით, არამედ სხვადასხვა კონფესიური ჯგუფების მემორიალების აღმართვის შემთხვევაშიც. ხშირად ვხვდებით ასეთ სურათს, როდესაც როგორც ქრისტიანულ ისე ისლამურ მემორიალურ ძეგლებზე ასახულია რომელიმე კონკრეტული, იმ დროისთვის დმანისში არსებული გაფორმება-ორნამენტირების „მოდური“ და აქტუალური თემები. როგორც ზემოთ ეს შევნიშნეთ, დმანისელ მუსლიმთათვის დამახასიათებელია სამაროვნის ტერიტორიაზე როგორც ცალკეული საფლავის ქვების აღმართვა, ისე ინდივიდუალური თუ კოლექტიური მავზოლეუმების აგება. მავზოლეუმები სავარაუდოდ განსაკუთრებულად დაწინაურებული, მაღალი სოციალურ-ეკონომიკური და იერარქიული წრის წევრებისთვის იგებოდა, რის უკანაც ამ მემორიალების მოსაწყობად საჭირო შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაც უნდა მდგარიყო.

ამდენად, დმანისის სამაროვანზე შემორჩენილი მავზოლეუმები უნდა განვიხილოთ როგორც ქალაქის მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთათვის მოწყობილი განსასვენებლები. სავარაუდოდ, დმანისელ მუსლიმთა მიერ მავზოლეუმთა აგების ტრადიციის გავლენა ქალაქის ქრისტიან, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე წრეებზეც აისახა, რაც ამ სოციალური ჯგუფის მიერ ოჯახის წევრებისთვის და სათავისოდ დასაკრძალ, საოჯახო ეკლესიების აგებაში გამოიხატა. როგორც ვნახეთ, ქრისტიანულ სამაროვანზე, გარდა ზეზეურად შემორჩენილი პატარა ეკლესიებისა, რამდენიმე ასეთი ეკლესიის ნაშთი არქეოლოგიური გათხრებითაც გამოვლინდა. სავარაუდოდ, მსგავსი დასაკრძალი ეკლესიების რიცხვი დმანისის სამაროვანზე გაცილებით მეტია და, ამდენად, მომავალში მათი აღმოჩენის ალბათობაც დიდია.

დასკვნები და რეკომენდაციები

შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების კვლევა ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა ამ კუთხით XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, მეტ-ნაკლები სისრულით რამდენიმე ნაქალაქარია შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ძნელია საქართველოში დავასახელოთ ამ ეპოქის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შესწავლილი თუნდაც ორიოდე ნაქალაქარი, სადაც დაბეჯითებით შეიძლებოდა გვესაუბრა ქალაქის ხუროთმოძღვრულ იერსახეზე, ფუნქციონალური და ეთნიკურ-კონფესიური ნიშნით ზონირებაზე, განვითარების ქრონოლოგიურ დინამიკაზე. გვიჭირს საუბარი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზეც, როგორიცაა საქალაქო წარმოება და ხელოსნობის დარგები, წარმოებისთვის საჭირო ნედლეულით მომარაგების წყაროები, ქალაქების გარესამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ძირითადი გეოგრაფიული ვექტორები, მოსახლეობის შემადგენლობაში შრომითი რესურსების და სოციალური ჯგუფების პროპორცია.

იგივე ითქმის ერთ-ერთი მეტად აქტუალური საკითხის – ქალაქების მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობითი სურათის შესახებ; ამ პრობლემის დამუშავებას, გარდა ობიექტური ფაქტორისა – მოპოვებული ფაქტიური მასალის სიმცირისა, ხელს ისიც უშლიდა, რომ საბჭოთა კავშირის აკადემიურ სივრცეებში და შემდეგ ინერციით, უახლოეს წარსულშიც კი, ამ თემის საჯარო განხილვა გარკვეულწილად უხერხულად და ერთგვარად ტაბუირებულადაც კი ითვლებოდა.

საქალაქო ცხოვრების ძირითადი ასპექტების შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავებას, ხშირად სრულიად ობიექტური ფაქტორებიც უშლის ხოლმე ხელს: საქართველოს ძველი ქალაქების ნაშთები, უმეტესწილად თანამედროვე მსხვილი ურბანული ცენტრების ან სოფლის ტიპის მოზრდილი დასახლებების ფარგლებშია მოქცეული, თანაც, მათი

სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილები, უკანასკნელი საუკუნეების საცხოვრებელ-ინდუსტრიული კვარტალების მშენებლობისას განადგურებულია.

დმანისის ნაქალაქარი კი საქალაქო ცხოვრების დეტალების პოტენციურად სრულყოფილი არქეოლოგიური სურათის წარმოსაჩენად, ერთგვარ „ბედნიერ გამონაკლისს“ წარმოადგენს, ვინაიდან მის ტერიტორიას შემდგომში ურბანული რეოკუპაცია აღარ განუცდია. სწორედ ამიტომაც, ამ ნაქალაქარზე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში წამოწყებულმა და, გარკვეული ინტერვალებით, დღემდე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგებმა, ფასდაუდებელი ინფორმაცია მოგვაწოდა შუა საუკუნეების ამ უმნიშვნელოვანესი ქალაქის სოციალურ, ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრის მცდელობაში, რაც ჩვენ გამოკვლევაშიც აისახა.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიასა და შემოგარენში, ავტოქტონური ქართული მოსახლეობის ცხოვრებასა და მათ ქრისტიანული კულტურაზე დაფუძნებულ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას, მთელი ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში გაედევნება თვალი (ადრეული სტელები და ეპიგრაფიკული ძეგლები, V საუკუნით დათარიღებული, დმანისის ნაქალაქართან არსებული როტონდის ტიპის ვარდისუბნის ეკლესია და სხვ.).

დმანისის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად ფორმირება IX-X საუკუნეებში იწყება. იმავე ხანებში დასტურდება ციხე-ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ხელოვნურად ცვლილების მცდელობები, რომელიც პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. თბილისის ამირის, საჰაკის სამაგალითო დასჯის შემდეგ, არაბი სარდალი ბუღა თურქი ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილ ას ოსურ ოჯახს (სავარაუდოდ იგულისხმება სამხედრო გარნიზონი) ასახლებს დმანისში. ბუღა თურქი მოკავშირეების დმანისში დასახლებითა და გამაგრებით, ის თბილისის საამიროსთვის ახალი თავდაცვითი სისტემის შექმნას ცდილობდა, რომელშიც იმ დროისათვის

თბილისის საამიროზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო გზების კონტროლიც შედიოდა.

X საუკუნის ბოლოსათვის დმანისი, ისევე როგორც ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტაშირ-ძორაგეტის მეფეთა მფლობელობაში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ზემოგანხილულ პერიოდში, შესაბამისად კვირიკიანების ბატონობის ხანაში, დმანისხევის სხვადასხვა პუნქტების მფლობელ-მმართველები ადგილობრივი ფეოდალები ჩანან. უშუალოდ ციხე-ქალაქ დმანისის, სავარაუდოდ ნარევი მოსახლეობაც მეტწილად ქართული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ პერიოდში ნაქალაქარზე აღმოჩენილი წარწერებიც მხოლოდ ქართულია. დმანისელი ამირებიც (თბილისელი ჯაფარიდების დმანისური შტო) ფაქტობრივად ადგილობრივ ქართველ ფეოდალებად გვევლინებიან.

1123 წელს დავით აღმაშენებელი დმანისს თურქ-სელჯუკთა მფლობელობისაგან ათავისუფლებს და თავის სამეფოში აქცევს. დმანისი სამეფო ქალაქი ხდება.

ახალი არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემები მხარს უჭერს ჩვენ მოსაზრებებს დმანისის სიონის 1123 წლის შემდგომ ხანაში აშენების შესახებ და დმანისის საეპისკოპოსოს დაარსებაზე ამავე პერიოდში. წმინდა მარინეს ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიაც, ამ ადგილზე XIII საუკუნეში უკვე ფუნქციონირებდა.

XII-XIII საუკუნეების ქალაქი დმანისი ყალიბდება, როგორც აღმოსავლურ-ქართული მრავალეთნიკური ქალაქი. მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებები კარგადაა ასახული ქალაქის სამაროვანზე ისლამურ-არაბული და სომხურწარწერიანი მემორიალური ძეგლების გაჩენით და, ასევე, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების გვერდით სომხური მცირე ეკლესიის, მეჩეთებისა და მუსლიმური სასწავლებლის, მედრესეს აგებით.

კვლევებით ირკვევა, რომ ნაწილი დმანისის მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებისა, სავარაუდოდ, ქალკედონიზირებული სომხური წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. სომხური არქიტექტურული ტენდენციები და იმპულსები ისევე ჩანს

დმანისის ქართულ-ქალკედონურ ხუროთმოძღვრებაში, როგორც ქალკედონიზირებული სომხური საზოგადოება ზოგადად დმანისის მოსახლეობაში (რა თქმა უნდა, მონოფიზიტი დმანისელი სომეხი მოსახლეობის სავარაუდოდ მცირე ნაწილის პარალერულად). მაგალითად, დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭის მშენებლობის შემთხვევაშიც, აღნიშნული ეპოქის ამ ტენდენციებიდან მომდინარე იმპულსებთან შესაძლოა გვქონდეს საქმე.

დმანისის სამაროვანზე ქართველი და სომეხი ქალკედონელები და, შესაძლოა მონოფიზიტებიც, უკვე ერთად იკრძალებოდნენ.

დმანისის ნაქალაქარის „ზემო უბანში “ არსებული ორი მცირე ეკლესია, სომეხი მოსახლეობით დასახლებული ქალაქის ერთ-ერთი უბნის ეკლესიები უნდა ყოფილიყო. ზემო უბნის №1 ეკლესია მონოფიზიტური ძეგლისათვის დამახასიათებელ ნიშნებს არ შეიცავს. თუმცა, აქვე მოწყობილ სასაფლაოზე გამოვლენილი სოხურწარწერიანი საფლავის ქვის და ეკლესიის ბალავარზე გამოსახული სომხური ტიპის ჯვრების გათვალისწინებით, რომელიც ეთნიკურ კუთვნილების ხაზგასმა უნდა იყოს და არა კონფესიის, ეკლესია შესაძლოა XIII-XIV საუკუნეებში სომხურ-ქალკედონური, და შესაბამისად დმანისელ ქალკედონელ სომეხთა უბნის ეკლესია უნდა ყოფილიყო (ქალკედონიტ სომეხ-ქართველთა ეკლესია). გვიან შუა საუკუნეებში, მას შემდეგ რაც დმანისმა ქალაქის ფუნქცია დაკარგა, ზემო უბნის ეკლესიის ტერიტორიზე მონოფიზიტური ნიშნები ჩნდება. №1 ეკლესიის პარალელურად №2 ეკლესიაც ფუნქციონირებს, რომელსაც მეორადად გამოყენებული, გვიან შუა საუკუნეების ხაჩკარებით მოწყობილი ამაღლებული საკურთხეველი აქვს. ამდენად, გვიან შუა საუკუნეებისთვის ზემო უბნის ეკლესიებიდან ერთ-ერთი – №1, კვლავ ქალკედონური უნდა ყოფილიყო, ხოლო №2 ეკლესია აწეული საკურთხეველით – მონოფიზიტთათვის განკუთვნილი. გვიან შუა საუკუნეებში ორივე ეკლესიის მცირე სასაფლაოზე, როგორც ეს საფლავის ქვებიდან ჩანს, ქართველი და სომეხი ქალკედონელები და, შესაძლოა მონოფიზიტებიც, უკვე ერთად იკრძალებოდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ დმანისის სომხური წარმოშობის მოსახლეობას საკმაოდ დიდი კულტურულ-ეკონომიკური წვლილი შეჰქონდა ქალაქის განვითარებასა და ზოგადად ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობაში. ქალაქ დმანისის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა რელიგიური და ხშირად ქართულ კულტურული თვალსაზრისით ქართულ სივრცეში უაღრესად ადაპტირებული ჩანს.

დმანისიდან მომდინარე სხვადასხვა არქეოლოგიური მონაცემების ანალიზისა და ისტორიული რეალიების, არსებული წყაროების გათვალისწინებით, ჩვენი ღრმა რწმენით, ქალაქ დმანისის ეთნიკური სურათის მკვეთრი ცვლილება და მუსლიმი მოსახლეობის გაჩენა, უკავშირდება არა ციხე-ქალაქის მუსლიმ დამპყრობელთა მიერ ფლობას, არამედ სხვა გარემოებებს. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ქალაქის აყვავების, ეკონომიკური დაწინაურების პერიოდს, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი საქალაქო ცხოვრებისათვის, ხელოსნური წარმოების, ვაჭრობის გასავითარებლად. დაწინაურების ეს მონაკვეთი დმანისისათვის XII–XIV საუკუნეებზე მოდის, ქალაქობის II ეტაპზე, როდესაც დმანისი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერი ეკონომიკური სისტემის ნაწილი გახდა. ამ პერიოდშივე შეიმჩნევა დმანისის გადაქცევა მრავალეთნიკურ-რელიგიურ აღმოსავლურ-ქართულ ფეოდალურ ქალაქად. არქეოლოგიური კვლევებიდან ჩანს, რომ მუსლიმური მოსახლეობა შუა საუკუნეების დმანისში XII საუკუნიდან, განსაკუთრებით XIII-XIV საუკუნეებში მატულობს. შესაბამისად, XIII-XIV საუკუნეებში დმანისის სამაროვანზე ჩნდება არაბულწარწერიანი მემორიალური ძეგლები, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობები.

ეთნიკური და კონფესიური კუთხით ქალაქ დმანისში სურათის ცვლილებები, პირველ რიგში კარგად ჩანს ქალაქის სამაროვანზე მომხდარი ცვლილებებით. სწორედ ასეთი ფონი გახლდათ ქალაქის მოსახლეობის განსხვავებული ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების უხიფათოდ თანაცხოვრებისა და მულტიკულტურულ შემოქმედებით ელემენტებზე დამყარებული, წარმატებული შრომითი საქმიანობის

გარანტი. და პირიქით: იგივე მუსლიმი დამპყრობლების ექსპანსია-გაპარტახება, ქალაქის ამავე კონფესიის წარმომადგენელი მოსახლეობის ფიზიკურ განადგურებასაც ისევე იწვევდა, როგორც სხვა ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფებისა.

ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიურ უბანზე გამოვლენილი ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის“ აგების თარიღად XIV საუკუნის I ნახევარი უნდა მივიჩნიოთ, ან ოდნავ ადრეული პერიოდი – XIII საუკუნის II ნახევარი, მაგრამ არა X-XI საუკუნეები.

დმანისის ნაქალაქარზე არსებული ე.წ. „მინარეთიანი მეჩეთი“ და მედრესე არსებული არქეოლოგიური მონაცემებითა და ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზის გათვალისწინებით XII-XIII საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

არ არის გამორიცხული, რომ დმანისის ქალაქობის პერიოდში ამ ორ მეჩეთთაგან ერთი შიიტური, ხოლო მეორე სუნიტური ყოფილიყო.

საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემავალ ქალაქთაგან, სამეფოს დედაქალაქთან თბილისთან ერთად, დმანისი ისლამური კულტურისა და რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო მაშინდელ ამიერკავკასიაში. ამის ამსახველ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წამოადგენს დმანისის ნაქალაქარზე მეჩეთებთან ერთად ისლამური სასწავლებლის – მედრესეს აღმოჩენა, რომელიც აღნიშნული რელიგიის სასწავლო ცენტრის არსებობას ადასტურებს შუა საუკუნეების დმანისში. ისლამურ მემორიალურ ძეგლებზე არსებულ თანადროულ არაბულ ეპიტაფიებში, გარდაცვლილთაგან რამდენიმე სასულიერო პირიც იხსენიება. ასევე, რაც მეტად საყურადრებოა დმანისური წარმოშობის გავლენიანი სასულიერო პირები ჩანან ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ისლამური კულტურის, რელიგიისა და განათლების ცენტრებში, მათ შორის დმანისში დაწინაურებული მუსლიმები, შემდგომი მოღვაწეობისთვის, მაშინდელი მსოფლიოს მთავარი ისლამური ცენტრებისაკენ მიისწრაფოდნენ. იქ, ადგილზე დაჩენილები და დაწინაურებულები კი, სავარაუდოდ

კავშირს არ წყვეტდნენ და ინარჩუნებდნენ ურთიერთობას წარმოშობის ცენტრებთან. ამას კი, ისლამური კულტურისა და რელიგიის, მსოფლიოს მთავარი ცენტრებიდან პერიფერიებში, იმდროინდელ ისლამურ კულტურასა და განათლებაში არსებული სიახლეები და მიღწევები უნდა შეეტანა, მათ შორის დმანისშიც.

XIV საუკუნის, თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდგომ ხანაში, ე.წ. „მინარეთიან მეჩეთს“ და ე.წ. „ბურჯიან მეჩეთს“, თავდაპირველი ფუნქციით აღდგენა არ განუცდიათ. ამ ორი მეჩეთის შენობას განსაზღვრული აღდგენა-გადაკეთებების შემდგომ, გვიან შუა საუკუნეებში, როგორც საცხოვრებელ ნაგებობებს ისე იყენებდენ. მათი ფუნქციურად აღდგენის საჭიროება არ დამდგარა. თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად ფიზიკურად განადგურებული ჩანს როგორც დმანისის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი ისე მუსლიმური. ამის ნათელი გამომხატველი მოვლენაა დმანისის სამაროვანზე ასახული სურათი – XIV საუკუნის შემდგომ, დმანისის სამაროვანზე ახალი ისლამური მემორიალური ძეგლები არ აღმართულა. გვიან შუა საუკუნეების ხანაში არ გვხვდება არც ერთი მუსლიმური წესით დაკრძალვის ფაქტი და XIV საუკუნის შემდგომი პერიოდის არაბულწარწერიანი საფლავის ქვები.

უკანასკნელ ხანებამდე, მკვლევართა განწყობა განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი ძეგლების პრობლემისადმი იქითკენ იხრებოდა, რომ, თითქოსდა დმანისის სამაროვანზე, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოს სხვა იმავდროულ არქეოლოგიურ ძეგლებზე, განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ქართულეპიტაფიიანი მემორიალური ძეგლები ძნელად თუ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. დმანისის ნაქალაქარის სამაროვანზე ჩვენ მიერ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დაფიქსირებულმა ფაქტობრივ მასალებმა, ახალი ინფორმაცია შემოიტანა, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ამ არსებული წარმოდგენის დაძლევის კუთხით. ამდენად, დღეისთვის ჩვენ მიერ მოპოვებული და გააზრებული მონაცემების საფუძველზე, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში დმანისის სამაროვანზე არსებობდა

როგორც არაბულ და სომხურწარწერიანი, ისე ქართულწარწერიანი მემორიალების მოწყობის ტრადიცია.

ქალაქობის პერიოდის ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დმანისის სამაროვნიდან სომხურ-არაბულ წარწერიანი საფლავის ქვების თანადროულია და XIII საუკუნით თარიღდებიან.

შუა საუკუნეების დმანისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში, თვალსაჩინოა სხვადასხვა წარმომავლობის მოსახლეობის განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების გავლენა ერთმანეთზე და ყოველივე ამის ასახვა ყოფით ცხოვრებაში, მატერიალურ კულტურაში. განსხვავებული ტრადიციების ერთმანეთთან შერწყმა კი სწორედ რომ ქალაქის სამაროვნებზე შეინიშნება. საფლავის ქვების დამუშავების ტექნიკის, გამოყენებული მასალის, მემორიალების მოწყობის მსგავსების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დმანისელ ქრისტიანთათვის (ქართველებისა და სომხებისთვის), ასევე მუსლიმთათვის მემორიალურ ძეგლებს, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე ხელოსნები ამზადებდნენ, რა თქმა უნდა, შესაბამისი რელიგიური კანონიკის დაცვით. ამავე დროს, აქვე იქნებოდნენ შესაბამისად განსწავლული ქართული, სომხური და არაბულწარწერიანი ეპიტაფიების შემსრულებელნიც.

ირკვევა ისიც, რომ ქალაქ დმანისის ავტოქტონური ქართული მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ ყოფაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა აღნიშნული ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფების ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში კულტურული ადაპტაციის ტენდენციები. კულტურულ ელემენტთა შერწყმის ერთ-ერთ ასეთ მაგალითად, წარმოდგენილია ქართულ და დანარჩენ ეთნიკურ-კონფესიურ ჯგუფთა წარმომადგენლების დაკრძალვის ადგილთა მემორიალური ძეგლების – საფლავის ქვებისა თუ საფლავზედა ნაგებობების იერ-სახის რამდენადმე ნიველირება და მათი გაფორმების ისეთი შტრიხებით შევსება, რაც დღემდე შუა საუკუნეების არც ერთ ქართულ ქალაქში არ დადასტურებულა.

ამდენად, დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი ერთ-ერთი საეტაპო ძეგლია არამარტო საქართველოს, არამედ რეგიონის – სამხრეთ კავკასიის მასშტაბითაც. სწორედ ამიტომაც, აქ მეცნიერულად ობიექტურად განსაზღვრული, ქალაქის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა, მოქალაქეთა ამ ჯგუფების ხანგრძლივი, დიდწილად მშვიდობიანი და კულტურულ-ეკონომიკური პროგრესის განმაპირობებელი თანაცხოვრების სურათი, პირობითად ქვეყნისა თუ რეგიონის იმავდროულ ურბანულ ცენტრებზეც შეგვიძლია განვავრცოთ, თუნდაც წინასწარი, სამუშაო ვერსიის უფლებით.

ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი თამარ, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1965).

ამირანაშვილი ჯუანშერ, *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები (საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის არქეოლოგიური მასალის მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1968).

არჩვაძე თინა, ჩიკოიძე ცისანა, ჩხატარაშვილი მერი, რუსთავში გათხრილი საერო სასახლე, *რუსთავი III*, (თბილისი, 2005).

აფხაზავა ნოე, *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა (არქეოლოგიური ქრონოლოგიის საკითხები სამკაულის მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1979).

ბაქრაძე აკაკი, XIII საუკუნის წარწერა გუნია-ყალადან, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953), 219-225.

ბახტაძე ნოდარ, *ქვემო ქართლის კლდის ძეგლები (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), წიგნი 1*, (თბილისი: საქართველო, 1991).

ბერძენიშვილი დევი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXIII, 3,* (თბილისი: მეცნიერება, 1964).

ბერიძე ვახტანგ, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება* (თბილისი: ხელოვნება, 1974).

ბერიძე ვახტანგ, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი: კანდელი, 1994).

ბერძენიშვილი დევი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნარკვევი I,* (თბილისი, 1979).

ბერძენიშვილი დევი, ქვაჯვარა გუჯარეთის თონეთიდან, *ძეგლის მეგობარი, №2,* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986), 49-53.

ბერძენიშვილი დევი, ვარძაგარა, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 66-75.

ბერძენიშვილი დევი, დმანისხევი, *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 96-186.

ბერძენიშვილი დევი, *დებედის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან,* (თბილისი: სეზანი, 2014), 357-443.

გაგოშიძე გიორგი, ჩანტლაძე ნათია, *მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში (არქიტექტურა, რელიეფები, წარწერები) I, ქვემო ქართლი* (თბილისი: არტანუჯი, 2009).

გაგოშიძე გიორგი, „ადაჲს ნერჩჲს ძის ეპიტაფია გელათიდან“, *ძველი ხელოვნება დღეს, 02/2011,* (თბილისი, 2011), 24-26.

გაგოშიძე გიორგი, სათხის მონასტრის წარწერა, *არქეოპრესი,* (თბილისი, 2019), 56-58.

გოგიაშვილი ელენე, *მითოსური და რელიგიური სიმბოლიკის დინამიკა ზღაპრის სტრუქტურაში,* (თბილისი: უნივერსალი, 2011).

გოჩიაშვილი მერი, შუასაუკუნეების დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანი, *ძეგლის მეგობარი №3 (1986),* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1986), 49-53.

დადიანი თამარ, ჭავჭავაძე ეკატერინე, ხუნდაძე თამარ, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება,* (თბილისი: სეზანი, 2017).

დმანისის სამაროვნის წმინდა თევდორეს ეკლესია, ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი

სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1978 წლის 17 ნოემბერს გ. კუპრაშვილის მიერ).

დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №2, ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1992 წლის 11 ნოემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

დმანისის ნაქალაქარის ზემო უბნის ეკლესია №1, ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1992 წლის 12 ნოემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

დმანისის ნაქალაქარის ქვემო უბნის ეკლესია, ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1993 წლის 10 სექტემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

დმანისის ნაქალაქარის ეკლესია „წმინდა მარინე“, ძეგლის პასპორტი: საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (შედგენილია 1993 წლის 15 სექტემბერს გია ჭანიშვილის მიერ).

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2007 წლის სამუშაოების ანგარიში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი (ხელნაწერი, საარქივო მასალა).

დოლაბერიძე რუსუდან, საქართველოს მინის სამაჯურები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXVIII-B, (თბილისი: მეცნიერება, 1969), 98-115.

დოლაბერიძე რუსუდან, *XI-XIII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა* (თბილისი: მეცნიერება, 1985).

ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1968).

ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია),* თამარ ლომოურისა და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით (თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა 1941).

თაყაიშვილი ექვთიმე, *ქართული ხურთმოძღვრების ალბომი,* ნახაზები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კარნისა, კეუნეს, რეაბოვისა და სევეროვის მიერ, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1924).

თაყაიშვილი ექვთიმე, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი პირველი, *ჟურნალი „კავკასიონი“, №1-2* (პარიზი: 1929).

თაყაიშვილი ექვთიმე, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი მეორე, *სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტომი 43*, (თბილისი, 1951), 153-175.

იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. 1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს შესახებ არსებული წყაროების შემსწავლელი კომისია, არაბული ტექსტი თარგმნა და შესავალი დაურთო ე. სიხარულიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1964).

კახიანი ცისია, დმანისის XIII-XIV საუკუნეების ზოგიერთი არაბული წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის*

შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960), 93-110.

კახიანი ცისია, დმანისის უთარიღო არაბული წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №3*, (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 203-216.

კახიანი ცისია, დმანისის XIII-XIV საუკუნეების რამდენიმე არაბული წარწერა, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIX, №3*, (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, ოქტომბერი), 497-504.

კახიანი ცისია, *დმანისის არაბული წარწერები,* (თბილისი: მეცნიერება 1965).

კახიანი ცისია, ორი არაბულენოვანი საფლავის ქვის წარწერის შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1974), 141-146.

კერესელიძე თინათინ, *ძვლის ნივთების კატალოგი (მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდების მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1978).

კერესელიძე თინათინ, გიორგაძე თენგიზ, ჭადრაკის ქართული ფიგურები, *საგჭოთა ხელოვნება №9,* (თბილისი, 1979).

კოპალიანი ჯუმბერ, *დმანისის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* (თბილისი: საქართველო, 1996).

კოპალიანი ჯუმბერ, წარწერიანი არქეოლოგიური მასალა დმანისის შიდა ციხიდან, *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 76-82.

კოპალიანი ჯუმბერ, *ქვემო ქართლის თავდაცვითი სისტემა შუა საუკუნეებში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* ავტორეფერატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევითი ცენტრი, (თბილისი, 2002).

კოპალიანი ჯუმბერ, დმანისის სიონის დათარიღებისათვის, *ძველი ხელოვნება დღეს, №4* (თბილისი, 2013), 56-63.

კოპალიანი ჯუმბერ, *დმანისის ნაქალაქარი,* (თბილისი: წიგნი+ერი 2017).

ლანჩავა ომარ, ისაკაძე როლანდ, ბუაძე შალვა, გელათი, დავით აღმაშენებლის კარიბჭე (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), *ძველი ხელოვნება დღეს*, 02/2011, (თბილისი, 2011), 20-23.

ლექვინაძე ვადიმ, რუსთაველის ეპოქის ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები, *საბჭოთა ხელოვნება, №9,* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966), 18-20.

ლომთათიძე გიორგი, *საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით),* (თბილისი: მეცნიერება, 1977).

ლომოური თამარ, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938), 283-316.

მაისურაძე ზაქარია, *ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII სს (დმანისის ანგობიანი კერამიკა),* (თბილისი: 1953).

მამაიაშვილი ნანა, *ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში,* (თბილისი: მეცნიერება, 1976).

მაჩაბელი კიტი, *ქართული ისტორიული კოსტუმი (V-X საუკუნეები),* (თბილისი, 2013).

მელიქსეთ-ბეგი ლეონ, დმანისის სომხური წარწერები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954), 153-161.

მესხია შოთა, *საისტორიო ძიებანი, ტ. I*, (თბილისი: მეცნიერება, 1984).

მეტრეველი ელენე, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,* (თბილისი, 1962).

მიქელაძე ნინო, *დმანისი ფეოდალურ ხანაში,* (თბილისი: ივერიონი, 2015).

მიქელაძე ქეთევან, დმანისის სიონის მხატულობა, *საქართველოს სიძველენი 7-8,* (თბილისი, 2005), 239-260.

მიწიშვილი მარინე, *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს.,* (თბილისი: ხელოვნება, 1969), 69-71.

მიწიშვილი მარინე, *მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში: IX-XIII სს.,* (თბილისი: მეცნიერება, 1979).

მუსხელიშვილი ლევან, დმანისი: ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1938). 319-448.

მუსხელიშვილი ლევან, ხიდაშელი შალვა, ჯაფარიძე ვახტანგ, *გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში,* (თბილისი: საქრთველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიის გამომცემლობა, 1954).

მშვენიერაძე დომენტი, *ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი,* (თბილისი: ტექნიკა და შრომა, 1950).

ნადირაძე ელდარ, *საქართველოს ზოომორფული ძეგლები,* (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996).

ნადირაძე ელდარ, *საქართველოს მემორიალური კულტურა,* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001).

ოთხმეზური გიორგი, ბარანას ციხის წარწერის თარიღისათვის, *საისტორიო კრებული წელიწდეული, 5* (თბილისი: მხედარი, 2015), 201-215.

ოთხმეზური გიორგი, ბოშიშვილი ალექსანდრე, მათითაშვილი შოთა, მირიჯანაშვილი ირინე, ჟღენტი ნიკოლოზ, ცუცქირიძე დიმიტრი, ხაინდრავა ელზა, *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* (თბილისი: 2017).

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტომი II, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. (თბილისი: მეცნიერება, 1993). 106-107.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საბუთების მიხედვით, ტომი III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ, (თბილისი: არტანუჯი, 2004).

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საბუთების მიხედვით, ტომი IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა (თბილისი: არტანუჯი, 2007).

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. საბუთების მიხედვით, ტომი V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ (თბილისი, 2015).

ჟღენტი ნიკოლოზ, დმანისის სიონის დასავლეთ კარის შელესილობის ნაკაწრი წარწერები, *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. 1: დმანისის რაიონი, V-XVIII სს.,* (თბილისი: 2017), 239-276.

რამიშვილი რამინ, სიონი, *ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I*, (თბილისი: მეცნიერება, 1970).

რეზესიძე ნანა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. ტ. II,* (თბილისი: ფავორიტი პრინტი, 2011), 36-52.

რჩეულიშვილი ლევან, დმანისის ნაქალაქარის ერთი შენობის დანიშნულების შესახებ, *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები,* გამოცემის რედაქტორი ვახტანგ ბერიძე, დიმიტრი თუმანიშვილი, (თბილისი: მეცნიერება 1994), 163-168.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979).

სილოგავა ვალერი, ქვემო ქართლის წარწერები, *დმანისი ტ. II*, (თბილისი: მეცნიერება, 2000), 214-313.

სილოგავა ვალერი, *სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები* / კატალოგი-გზამკვლევი, (ახალციხე. ა.ო. „პროგრესი“, 2000).

ფული საქართველოში, შემდგენელი: იულონ გაგოშიძე, მერი ანთაძე, ციალა ღვაბერიძე, მედეა წოწელია, თინათინ ქუთელია, მედეა შეროზია, (თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკის გამომცემლობა, 2000).

ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1955).

ქართლის ცხოვრება, ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, (თბილისი, 1959).

ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, მთ. რედ. ირ. აბაშიძე (თბილისი: სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, 1978).

ქართული სამართლის ძეგლები, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტომი II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1965).

ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, ტომი IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1972).

ქუთათელაძე ქეთევან, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის I ნახევარში (გურგენ-კვირიკე I, დავით „ანჰოლინი“), *დმანისი, ტ. II,* (თბილისი: მეცნიერება, 2000), 198-211.

ქუთათელაძე ქეთევან, *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია),* (თბილისი: მთაწმინდელი, 2001).

ქუთათელაძე ქეთევან, დმანისის ეპარქია, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XI,* (თბილისი, 2009), 133-155.

შანიძე აკაკი, ცისკარიშვილი ვასილ, ბარანის ციხის წარწერა, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №11,* (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968), 17-26.

ჩარკვიანი მაია, ექვთიმე თაყაიშვილი და არქეოლოგია, *დიდი ექვთიმე,* (თბილისი: არტანუჯი, 2014), 93-131.

ჩუბინაშვილი გიორგი, *ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1,* (თბილისი: სახელგამი, 1936).

ჩხვიმიანი ჯიმშერ, *ქალაქ დმანისის სტრუქტურული განვითარება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფონზე (ხელნაწერი),* სამაგისტრო ნაშრომი (თბილისი, 2007).

ჩხვიმიანი ჯიმშერ, ნაქალაქარ დმანისის სამაროვნის ძეგლები, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტბელობა (ხულო), 2009 წლის მასალები,* (თბილისი: სეზანი, 2009), 334-345.

ჩხვიმიანი ჯიმშერ, მეჩეთი დმანისის ნაქალაქარზე, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B),* (თბილისი, 2011), 214-246.

ჩხვიმიანი ჯიმშერ, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი საფლავის ქვები დამანისიდან, *ჟურნალი კადმოსი, №7,* (თბილისი: 2015), 35-105.

ჭილაშვილი ლევან, *ქალაქი რუსთავი,* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958).

ჭილაშვილი ლევან, *ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),* (თბილისი: მეცნიერება, 1975).

ჯავახიშვილი გიორგი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები,* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998).

ჯალაღანია ირინე, ჯაფარიძე ვახტანგ, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. V,* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 16-52.

ჯაფარიძე გოჩა, ად-დუმანისი – იშვიათი არაბული *ნისბა, ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტომი I,* (თბილისი: მხედარი, 2012), 247-252.

ჯაფარიძე ვახტანგ, *კერამიკული წარმოება საქართველოში XI-XIII სს* (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), (თბილისი: 1956).

ჯაფარიძე ვახტანგ, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი XXVIII-B,* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 53-76.

ჯაფარიძე ვახტანგ, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965-1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები / საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967 წწ. ანგარიშები),* (თბილისი: მეცნიერება, 1969), 57-74.

ჯაფარიძე ვახტანგ, ართილაყვა ვარლამ, გათხრები დმანისსა და დმანისის მიდამოებში (1968 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები), *XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიში),* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი, მეცნიერება, 1969), 33-34.

ჯაფარიძე ვახტანგ, ართილაყვა ვარლამ, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში: 1968 წლის წინასწარი შედეგები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, (თბილისი: მეცნიერება, 1971), 63-74.

ჯაფარიძე ვახტანგ, დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს, *არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, (თბილისი: მეცნიერება, 1972), 52-55.

ჯაფარიძე ვახტანგ, ამირანაშვილი ჯუანშერ, მელითაური კონსტანტინე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (გათხრები დმანისის გარეუბაში 1973 წელს) საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი, (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1973.

ჯაფარიძე ვახტანგ, ამირანაშვილი ჯუანშერ, მელითაური კონსტანტინე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (გათხრები დმანისის გარეუბაში 1973 წელს), *საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს,* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 82-85, ტაბ. XVII-XVIII/1.

ჯაფარიძე ვახტანგ, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, კრებული 2*, (თბილისი, 1974), 150-172.

ჯაფარიძე ვახტანგ, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი: 1976.

ჯაფარიძე ვახტანგ, გოჩიაშვილი მერი, *დმანისის გარეუბნის სამაროვნის გათხრის შედეგები (1977-1978 წწ.),* დოკუმენტური ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი: 1978.

ჯაფარიძე ვახტანგ, კოპალიანი ჯუმბერ, ბოლქვაძე გივი, გოჩიაშვილი მერი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1982 წლის მუშაობის ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი: 1982.

ჯაფარიძე ვახტანგ, *ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან,* (თბილისი: მეცნიერება, 1982).

ჯაფარიძე ვახტანგ, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტ. IV,* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 44-65.

ჯაფარიძე ვახტანგ, ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე, *ძეგლის მეგობარი №68 (1984)*, (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 18-27.

ჯაფარიძე ვახტანგ, კოპალიანი ჯუმბერ, მგელაძე ნუგზარ, ბოლქვაძე გივი, გოჩიაშვილი მერი, ბუგიანიშვილი თამაზ, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1984 წლის მუშაობის დოკუმენტური ანგარიში*, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984.

ჯაფარიძე ვახტანგ, კოპალიანი ჯუმბერ, ბუგიანიშვილი თამაზ, ბოლქვაძე გივი, გოჩიაშვილი მერი, მგელაძე ნუგზარ, აბრამიშვილი როდამი, *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1986 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური მუშაობის დოკუმენტური ანგარიში,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1986.

ჯაფარიძე ვახტანგ, დმანისის სავჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), *დმანისი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1998), 19-37.

ჯოჯუა თემო, გაგოშიძე გიორგი, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები XII-XIII,* (თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2012-2013), 258-331.

Бартольд Василий Владимирович, Отчет об осмотре древнего мусульманского кладбища в г. Баку, *Известия Императорской Археологической Комиссии, выпуск 16,* (Санкт-Петербург, 1905), 116-119.

Бретаницкий Леонид Семёнович, *Зодчество Азербайджана XII-XV вв. и его место в архитектуре Переднего Востока,* (Москва: Наука, 1966).

Всеобщая история Вардана Великого, Перевел Никита Осипович Эмин, (Москва: Типография Лазаревского института восточных языков, 1861) http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm (25.02.2020).

Всеобщая история Степ'аноса Таронского, Асох'ика по прозванию, писателя XI столетия, переведена с армянского и объяснена Н.Эминым (Москва, 1864).

Греков Борис Дмитриевич, Якубовский Александр Юрьевич, *Золотая Орда и ее падение,* (Москов -Ленинград, Издательство Академии Наук СССР, 1950).

Джапаридзе Вахтанг, Синауридзе Манана, Раскопки городища Дманиси, *Археологические открытия 1970 года, (Академия Наук СССР, Институт Археологии),* (Москва Наука, 1971), 387-389.

Джапаридзе Вахтанг, Краткий отчет Дманисской археологическои экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1975 году* / Академия Наук Грузинской ССР, Институт Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, Центр Археологических Исследований, (Тбилиси: Мецниереба, 1978), 120-125.

Джапаридзе Вахтанг, Гамбашидзе Гиви, Раскопки в Дманиси, *Полевые Археологические Исследованиа в 1976 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. Акад. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1979), 204-214.

Джапаридзе Вахтанг, Отчет работы Дманисской археологической экспедиции, *Полевые археологические исследованиа в 1977 году* / Академия Наук Грузинской ССР, Центр Археологических Исследований Института Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1980), 262-275.

Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Мгеладзе Нугзар, Гочиашвили Мери, Болквадзе Гиви, Бугианишвили Тамаз, Раскопки Дманисской археологической экспедиции (краткий отчот) Раскопки в 1984 году. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ხელნაწერი, საარქივო მასალა), თბილისი, 1984.

Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Мгеладзе Нугзар, Гочиашвили Мери, Болквадзе Гиви, Бугианишвили Тамаз, Дманисская экспедиция раскопки в 1984 году. *Полевые археологические исследования в 1984-1985 году* / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили, (Тбилиси: Мецниереба, 1987), 105-119, Таб. CLXXXVIII-CCII.

Джапаридзе Вахтанг, Копалиани Джумбер, Вугианишвили Тамаз, Болквадзе Гиви, Гочиашвили Мери, Мгеладзе Нугзар, Абрамишвили Родам, О работах Дманисской экспедиции, *Полевые археологические исследования в 1986 году / Академия Наук Грузинской ССР, Археологическая комиссия Грузии, Центр Археологических Исследований, Институт Истории, Археологии и Этнографии им. И. А. Джавахишвили,* (Тбилиси: Мецниереба, 1991), 102-110, Таб. 255-272.

Киракос Гандзакеци, *История Армении,* Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, (Москва: Наука, 1976).

Крачковская Вера Александровна, надгробние надписи из Дманиси, *Эпиграфика Востока, т, V,* (Москва-Ленинград: 1951), 21-32.

Крупнов Евгений Игнатьевич, Христианский храм XII в. на городище Верхний Джулат, *Средневековые памятники Северной Осетии. Труды Северо-Кавказской экспедиции 1958-1960 гг., Том II, Материалы и исследования по археологии СССР; №114, Крупнов Е.И. (отв. ред.)),* (Мосcква: Издательство Академии наук СССР, 1963), 48-65.

Кузнецов Владимир Александрович, *Верхний Джулат. К истории золотоордынских городов Северного Кавказа,* (Нальчик, 2014).

Леквинадзе Вадим, Отчет раскопок на II-ом участке Дманисской археологичесской экспедиции за 1961 и 1962 гг. ხელნაწერი სახით.

Лисова Наиля Фаритовна, Орнамент глазурованной посуды золотоордынских городов Нижнего Поволжья, *Археология евразийских степей, Выпуск 15,* (Казань: Казань, 2012).

Милорадович Ольга Викторовна, Средневековые мечети городища Верхний Джулат, *Средневековые памятники Северной Осетии. Труды Северо-Кавказской экспедиции 1958-1960 гг. Том II,* Материалы и исследования по археологии СССР; №114, Крупнов Е.И. (отв. ред.)), (Мосcква: Издательство Академии наук СССР, 1963), 66-86.

Нейматова Машадиханум, *Мемориальные памятники Азербайджана (XII-XIX века),* (Баку: Элм, 1981).

Отчет императорской археологической комиссии за 1894 год (Санкт петербург: Типография Главного Управления уделов, 1896).

Саламзаде Абдул Вагаб, Архитектура мавзолеев Азербайджана XII—XV, *Архитектура Азербайджана (очерки),* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1952), 229-336.

Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, том II. Извлечения из персидских сочинений, собранные В. Г. Тизенгаузеном, (Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР, 1941).

Тизенгаузен Владимир Густавович, *Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды (Из-влечения из сочинений арабских), Том I*, (Санктпетербургь, 1884).

Токарский Николай, *Архитектура древней Армении,* (Ереван: Издательство Академии наук Армянской ССР, 1946).

Токарский Николай, *Архитектура Армении IV-XIV вв.,* (Ереван: Армгосиздат, 1961).

Усейнов Микаэль, *Памятники азербайджанского зодчества, Памятники зодчества народов СССР,* (Москва: Государственное издательство архитектуры и градостроительства, 1951).

Чубинашвили Георгий, *Архитектура Кахетии,* (Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1959), 141-199.

Шанидзе Акакий, Грузинская надпись XIII века в сел. Кош, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I,* (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959), 7-20.

Armenia and the Crusades, tenth to twelfth centuries: The Chronicle of Matthew of Edessa /translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian; foreword by Krikor H. Maksoudian (Lanham, New York, London: University Press of America, 1993).

Bakhtadze Nodar, Mamiashvili Vazha, Gabekhadze Bachana, Chkhvimiani Jimsher, *An Archaeological Study of The Ancient Churches in The Former City of Nekresi,* (Wojnowice, 2018).

Brosset Marie, Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquités géorgiennes; envoi de M. le colonel Khodzko; inscriptions d'Akhal-Kalak, par M. PÉRÉVALENKO (Lu le 14 octobre 1853), *Mélanges Asiatiques. Tirés du Bulletin historico-philologique de l'Académie Impériale des sciences de St.-Pétersbourg. T. II (1852—1856),* (St.-Pétersbourg: Imprimerie de l'Academie Impériale des Sciences, 1856). 264-344, pln. 1-5.

Canby Sheila R., Beyazit Deniz, Rugiadi Martina, and Peacock A. C. S., *Court and Cosmos: the great age of the Seljuqs,* (New York: Metropolitan Museum of Art, 2016),

Fehérvári Géza, *Ceramics of the Islamic World in the Tareq Rajab Museum*, (London-New York: I.B. Tauris, 2000),

Folsach Kjeld von, Meyer Joachim, *The human figure in Islamic art: holy men, princes, and commoners,* (Copenhagen: The David Collection, 2017).

Haddon, Rosalind Anne Wade, *Fourteenth-century fine glazed wares produced in the Iranian world, and comparisons with contemporary ones from the Golden Horde and Mamlūk Syria/Egypt,* PhD Thesis, SOAS, (University of London, 2011).

Kuehn Sara, The dragon in medieval East Christian and Islamic art / with a foreword by Robert Hillenbrand, *Islamic History and Civilization, Volume: 86,* (Leiden-Boston: Brill, 2011).

Petersen Andrew, *Dictionary of Islamic Architecture,* (London-New York: Routledge, 1996).

Pope Arthur Upham, *Persian Architecture: The Triumph of Form and Color*, (New York: George Braziller, 1965).

Vardanyan Edda, The Zamatun of Horomos and the Zamatun/Gawit' Structures in Armenian Architecture, *Horomos Monastery: Art and History,* (Paris, 2015), 207-236.

Watson Oliver, *Ceramics from Islamic Lands,* (London: Thames & Hudson, in association with the al-Sabah Collection, Dar al-Athar al-Islamiyyah, Kuwait National Museum, 2004),

Աճառեան Հրաչեայ, *Հայոց անձնանունների բառարան, Հատոր 5,* (Երեւան: Երեւանի Պետական Համալսարան, 1942).

Աճառեան Հրաչեայ, *Հայոց անձնանունների բառարան, Հատոր 5,* (Երեւան: Երեւանի Պետական Համալսարան, 1962).

Կարապետյան Սամվել, *Կովկասյան թանգարանի հայկական հավաքածուն* (Երևան. ՀՀ ԳԱԱ «Գիտություն» հրատ., 2004), 68.

Մուրադյան Պարույր, Վրացերեն արձանագրությունները Հայաստանում, *Լրաբեր Հասարակական Գիտությունների, № 3,* (Երևան, 1966), 30-48.